

სახელი მოწოდება

მარტი 2011 №69

ფასი 5 ლარი



ისტორიაში

თამთა ჩალაშვილი

მოთა გაგარინი

სიმონ ლე ბოვეარი

ლალა გაფრიდებელი

თარიღი

ბერლინის 2011

გიორგი გვაგარინი

ეგვიპტი

ან კორპაი-საბადაშვილი

ფოსტ-ცენტრი

ნინო ლომაძე

სახარული

პირალი სივრცე

ნინო ზოგა

ესი

მოგორევები პრაზიდენტებზე
ლაპა ბულაძე

ლიტერატურა

გიორგი ლოგუანიძე

გიორგი კევლიძე

ბესი სარანაული

კავინ ბროკმაირი



ՀԱՅԵՐՆԱԼ
FM
98.0





მირადიო

თბილისი, ყვარელი, ლაგოდევი	FM 105.5
გორი, ჩარელი, ხაშური	FM 103.0
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია	FM 104.5
ურეკი, ქობულეთი, გათუები	FM 101.0
ცოთი, სენაცი, ზუგდიდი	FM 101.9



გარეკანზე: თამთა მელაშვილი
ფოტო: მარიკა ქოჩიაშვილი



სახლი მოწოდები

N69, მარტი 2011

- 6 რედაქტორის წერილი
- 8 ჩვენი აცტორები
- 10 გირჩევთ
- კრიტიკა** 18 მაოხრებელი მევდარი მაგდა გურული
- 20 სიზმრად ვნახე „შავი გედი“ დავით გაბუნია
- 22 პოლიტიკური არქიტექტურა თუ არქიტექტურული კიჩი თამარ ამიშვერელი
- 24 როგორ მოვცვდეთ სამშობლოსთვის, ანუ ჟოლოსთვის დავით ბუხრიკიძე
- მუსიკა** 26 Track N 18 – მტერი და ალტერ „მე“ მიშა მდინარაძე
- კულინარია** 28 ბარბარეს მეცხრამეტე დიანა ანფიმიაძე
- ახალი მედია** 30 ცუკერბერგის „სისტემა“ ან ასათიანი
- კომენტარები** 32 ბავშვები და სკოლა ნინო ბეჭიშვილი
- 36 კომიტუტერული თამაში: „სიმინდის რესპუბლიკა – 2015“ ზვიად ქორიძე
- რეპორტაჟი** 38 ტულიშვილა და წულიშვილი შორის ნინო ლომაძე
- 44 ბერლინალე – არც წვიმს, არც თოვს, არც მზე ანათებს გიორგი გვარაია
- 48 ტაბადან, სიყვარულით ანა კორძაია-სამადაშვილი
- ისტორიები** 52 თამთა მელაშვილი
გავლა – გათვლა – გათლა შოთა გაგარინი
- 76 სიმონ დე ბივუარი
Femme Unique ღულა გაფრინდაშვილი
- ინტერვიუ** 58 ქართული კონფორმიზმის შესახებ
- სპეციალუქტი** 64 პირადი სიცრცე ნინო გოგუა
- ესეი** 82 მოგონებები პრეზიდენტებზე ლაშა ბულაძე
- არქივიდან** 88 საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომის სტენოგრაფული ანგარიში
- 90 „არა ცილი სწამო!“



პონიკის წარმოების სიამოვნების მოყვანილობის



R.O.C.S.-ის კბილის პასატა „ყავა და თამბაქო“ სპეციალურად შემუშავებულია ყავის, ჩაის, ნითელი ღვინისა და თამბაქოს მოყვარულთათვის. შეინარჩუნეთ მომხიბვლელი ღიმილი და ჯანსაღი სუნთქვა.



www.gpc.ge



www.reda.ge

0-007

საიფორმაციო სამსახური

რელაქტორის წერილი

მთავარი რედაქტორები:

ნინო ლომაძე, რატი ამალლობელი

ართ-რედაქტორი:

გიორგი ნადირაძე

რედაქტორ-სტილისტი:

პაატა შამუგა

კორექტორი: თამარ ღონდაძე

ნომრული მუხლები:

დავით ბუხრივიძე, გიორგი გვახარია, ანა კორძას-სამადაშვილი, ლაშა ბულაძე,
დიანა ანფიმიადი, მიშა მდინარაძე,
შოთა გაგარინი, ნინო ბექიშვილი, ზვიად
ქორიძე, თამარ ამაშუკელი, ლელა
გაფრინდშვილი, ანი ასათანი, დავით
გაბუნია, რატი ამალლობელი, ნინო
გოგუა, ნინო ლომაძე, თეო ქავთარაძე,
ირინა ალიაშვილი

ფოტო:

მარია ქოჩიაშვილი, ლევან ხერხეულიძე,
სურგუ ბარისაშვილი

ილუსტრაცია:

მაია სუმბაძე

დიზაინი:

თორნიკე ლორთქიფანიძე

განვითარები:

რუსუდან ფურცელაძე

საზოგადოებრივი ურთიერთობა:

ლელა შებითიძე

კლიენტთა მომსახუაზის განვითარები:

ნათა რუსაძე

სარეკლამო გაყიდვები:

თინა ოსეფაშვილი

ლიტერატურა:

ზვიად შენგელია

გამოცემები:

შორენა შევერდაშვილი

გამოცემები:

შპს „ემ ფაბლაშინგი“, თბილისი 0105,
ფალიაშვილის ქ. 108, ტელ.: 912326

ელ-ფოსტა: mpublishing@caucasus.net

სხვა გამოცემები:

ლიბერალი, ბიზნესი-ადამიანები,
მეთოდები, სტრატეგიები, დიალოგი.

სტამბა:

„ფავორიტი“, თბილისი, ჩიუბინაშვილის ქ.
50, ტელ.: 951952

შურალი გამოცის 2004 წლის 25 დეკემბრიდან
© „M Publishing“ სავტორო უფლებები
დაცულია. შურალი გამოქვეყნებული
მასალების ნაწილობრივი ან მთლიანი
გამოყენება გამომცემლობის ნებართვის გარეშე
აკრძალულია.

**სახელი
მოგორიშვილი**



დღეს მსოფლიო საზოგადოება ისევ ღრმად შეშფოთებულია. მუამარ კადაფი საკუთარ მოქალაქებს სამხედრო ავიაციით ბომბავს და მავნე ელემენტებისგან „ყველა სახლს წმენდას“. ათიათასობით მოქალაქე ლიბიას ტოვებს. ევიპტეში ისევ არეულობაა. იემენის ქუჩებში დემონსტრაციები მანც არ წყდება. ირანში ტუნისი-სა და ეგიპტის რეპრესიული რეჟიმების დამარცხების აღსანიშნავად მასშტაბური აქცია იმართება. მსოფლიო ლიდერები ბრიფინგებს მართავენ. დევიდ კემერონი წუხს, რომ ნეო-კონები ისევ მოძველებული მეთოდებით მოქმედებენ და დემოკრატიული სიკეთების იმპორტს ისევ თვითმფრინავიდან გადმოფრქვევით ცდილობენ. ის ფიქრობს, რომ „ცოტა ფაქიზი“ მიდგომაა საჭირო.

ცხოვრება – ეს არის ძალისხმევა დროში, – ამბობდა პრუსტი. მამარდაშვილი მის აზრს ასე აგრძელებდა – იმისთვის, რომ დარჩე ცოცხალი, გჭირდება უწყვეტი, მუდმივი ძალისხმევა. რადგან სიკვდილი სიცოცხლის შემდეგ კი არ დგბა, ის ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ბევრი რამ, რაც ცოცხალი გვგონია, რასაც განვიცდით, რასაც ვფიქრობთ, სინამდვილეში დიდი ხნის მკვდარია. მკვდარია ყველაფერი, რაც აქ და ახლა არ იქმნება. მკვდარია მიბაძვა, მკვდარია ის, რაც მეორდება, მკვდარია სტერეოტიპი, სტანდარტი და ნორმა... და თუ ჩვენი გონება მკვდარი ნარჩენებით ამოიგო, ცოცხალი განცდისთვის, ფიქრისთვის, მომავლის-თვის ადგილი აღარ დარჩება.

მე კი მგონია, რომ ის, რაც დღეს სამყაროში ხდება, წინა საუკუნის ბოლოს დაიწყო. მაშინ, როდესაც ატომური კვლევების ლაბორატორიაში ერთ-ერთმა მკვლევარმა კორპორაციაში ინფორმაციის ეფექტურად გაცვლისთვის „ქსელის“ (ინტერნეტის ჩანასახი) პროექტი შექმნა. თმი ბერნერს ლიმ მაშინ არ იცოდა, რომ მისი იდეა ახალი მსოფლიო წესრიგის დასაწყისი იქნებოდა. დღეს, „აბლაბუდაში“ მედია „მეოთხე ხელისუფლების“ ტიტულით აღარ ამაყობს, ინფორმაციის მომხმარებლისა და მწარმოებლის როლები არეულია, მედიის სისტემური იერარქია აღარ არსებობს, შინაარსის კონტროლი მხოლოდ მცირე ხნით შეფერხებას ნიშნავს. ახალი სამყაროს ახალ მედიილი თავისუფლებაა.

დღეს, სანამ სოციალური ამბოხის ანალიგებს ვეძებთ და „დომინოს“ დახრის კუთხეს ვზომავთ, გვაგინდება, რომ ჩვენ უკვე აი, ასეთ სამყაროში ვცხოვრობთ. საუკუნეში, რომელშიც ტოტალიტარიზმის, ავტორიტარიზმის, დიქტატის კვდომა დაწყებულია. ადამიანების მართვის ყველაზე „ფაქიზი“ მიდგომებიც „დაძველებულია. დღეს, ყველა ხელისუფლება, ყველა მმართველი თავიდან ირჩევს – გამეორებას, მიბაძვასა და ახალს, მომავალს შორის. მოკლედ, როგორც მამარდაშვილი ამბობს – ის, ვინც „იმეორებს“, გამორიცხავს თავის თავს მომავალში, ის თვითონ ირჩევს საკუთარ სიკვდილს.

ნინო ლომაძე
მოგვერეთ, editor@shokoladi.ge



SINCE 1884

SARAJISHVILI

სარაჯიშვილი

შურცალი
„ცხელი შოკოლადი“
გილვევი
დისკუსიაზე

ჩემი ეპლაკი
ქალაქის გენ-გება,
თვითმმართველობა,
ისტორიული
მემკვიდრეობა

სტუმრები:
კოკა ამირეჯიბი,
ურბანისტი,
არქიტექტორი;
მაია მანია,
არქიტექტურის
ისტორიკოსი.

მოდერატორი
რუსულან
მირზიკაშვილი,
არქიტექტორი

**საქართველოს ეროვნული
მუზეუმის აუდიტორია**
ფურცელაძის 1
10 მარტი, 19.00



ლელა გაფრიდეაშვილი

ინტელექტუალური სიხარბე და პასუხისმგებლობა — ეს ორი, განუყრელი მეგობარი სულ თან მახლდა, ამ უნიკალური ქალის ცხოვრებისა და შემოქმედებას რომ ისე დავწაფებოდი, როგორც განუმეორებელი ტკბობისა და აღმოჩენების საგანძურას.

მაგრამ სიმონ დე ბოვუარის შესახებ წერისას საკმარისი საგზალი ვერ იქნება ის, რაც წაიკითხე.

ამასთან აუცილებელია თვითრეფლექსია, შემცენებულის საკუთარ ბეჭძი, გამოცდილებაში და გონიერები გატარება, თანაგანცდისა და თანაწვდომის პერმანენტული მონაცვლეობა. ამის გარეშე ვერასდროს შეძლებ იმ სისავსის და მრავალმხრივობის გადმოცემას, რომლითაც იგი მარტივ, თვითტკბობას მიცემულ გონებათაგან გამოირჩევა.

თუ სიმონ დე ბოვუარის გზას მასთან ერთად გაივლი, შენთვის ახალი ჰორიზონტი გაიხსნება: სინამდვილე, რომელიც ცხოვრობ და რჩები, უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო ხდება, მაგრამ შეცვლას, სილის განნას და გამოფხიზლებას მოითხოვს. და თუ შენს მეგზურს დაუკერძებ, მაშინ დღემდე „წაუკითხავ“ შინაარსებს წაიკითხავ და „დაუწერელ“ წიგნებს დაწერ.

ძველ, ეთნოგრაფიულ ტექსტებში ჩემი ხეტიალი სწორედ ბოვუარის დამსახურებაა. ძალიან მინდა სვანურიდან ნათარგმნი „ქალების წესი“ ამ ესესთან ერთად წაიკითხოთ, როგორც ერთ-ერთი „წაუკითხავი“ შინაარსი. ვინ იცის, რა ინტელექტუალური საზრდო იქნებოდა იგი კულტურაში ქალის ადგილის მკვლევარი ფრანგი ფემინისტისთვის!?



ანა კორძაძე-სამალაშვილი

დილით ფანჯრიდან რომ გავიხედე, გული გამისკდა.

თქვენ გიყვართ ზამთარი? მე მძულს. „აუ, აი, გარეთ რო თოვს და შენ რო თბილად ხარ და...“ და გარეთაც რომ თბილოდეს, არა? არა, არ მიყვარს ზამთარი.

ეგვიპტეში ვიყავი. ამ ქვეყნის შესახებ კვლავ იმდენი ვიცი, რამდენიც გამგზავრებამდე ვიცოდი, ამიტომ საყველოთაოდ ცნობილი ამბებით თავს აღარ შეგანყენთ. ნახვით ვერც კაიროს მუზეუმი ვნახე, ვერც პირამიდები, ვერც ნილოსი და ვერც სინას მთა. იქაური ალიაქოთი არანაირად არ შემხებია, ანუ დიდ თავგადასავლებსაც ვერ დავიკვეხნი. მერე რა. სამაგიეროდ, იქ ბედნიერი ვიყავი, ყველაფერი მიხაროდა და დიდი აღმოჩენაც გავაკეთე: ბევრი ფული მჭირდება, იმისთვის, რომ ოქტომბრიდან აპრილამდე ზღვასთან, ზაფხულში ვიცხოვრო და ჩემი მშვენიერი სიცოცხლე სიცივეს არ გავაფუქრებინო.

მართალია, რამდენიმე სიხარული თბილისურ ზამთარშიც მეღირსა: დავბრუნდი „შოკოლადში“, რაც, თავისთვალი, ძალიან მახალისებს; მაქვს დაბადების დღე — ხუმრობა საქმეა? და, რაც მთავარია, დამთავრდა ჩემი რომანი, რაც, ერთი მხრივ, გულს მწყვეტს, მეორე მხრივ კი, ალბათ, კარგია: „ყველაფერს ერთი ბოლო აქვს, მხოლოდ ძეხესა აქვს ორი. ასეა, ჩემი ძვირფასო, ასეა, ჩემი ძვირფასო...“

ეს ყველაფერი ძალიან კარგია, მართლა, ხმა არ ამომედება. უბრალოდ, ზაფხული მინდა.

რა კარგი იყო ეგვიპტეში...



ჯანმრთელობაზე ზრუნვის პროგრამა

- ✓ **დაზოგი თანხა** - მიიღე გარანტირებული **საუკეთესო ფასი*** არჩეულ 5 მედიკამენტზე;
- ✓ **ისარგებლებული სამედიცინო გელავათით** - მიიღე ყოველთვიურად კვალიფიციური ექიმის **უფასო** სამედიცინო კონსულტაცია და ექსკულუზიური **ფასდაკლება** ყველანაირ ლაბორატორიულ გამოკვლევაზე ექსპრეს კლინიკაში;
- ✓ **აირჩივი მზრუნველობა** - მიიღე ნებისმიერ შეკითხვაზე პასუხი და **სასარგებლო რჩევები** თქვენი სამედიცინო მრჩევლისგან (24 საათის განმავლობაში).



შენი საკუთრისაო ნაცათა

„ჯიპსი“ – ვიზუალური სიცოცხლეზე

* აღნიშნულ მედიკამენტებზე ამაზე დაბალი ფასი დღესდღეისობით არცერთ ქსელურ აფთიაქში არ არის. თუკი თქვენ სხვაგან ნახავთ უფრო დაბალ ფასად, ჩვენ ვუზრუნველყობთ თქვენთვის აღნიშნული მედიკამენტის ანალოგიურ, დაბალ ფასად მოწოდებას.

Heart

love

Lauch

Ambition

Respect

Unity

Wind

Peace

N-17.

Z-n.

T-S.

R-23.

I-I.

A-A.

K-J.

Z.P.

Life

Harmony

spirit


~~3M 000?~~

Time

water

~~2m 000~~

The way



გამოფენა

„ფრაგმენტები“

კოცე პიცასარაძე

„გალა“ გალერეა

გახსნა 1 მარტს, 19 საათზე

„გალა გალერეა“ კოტე ჯინჭარაძის ერთგვარ რეტროს-პექტივას წარმოადგენს და 1996-2000 პერიოდის ნამუშევრებს მოიცავს. კოლექციას თავად მხატვარი ფრაგ-მენტებს არქემეს. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ფრაგმენტები გამოფენებიდან „ეგზისტენციალისტის დღიური“, „კიჩი, ზიჩი და ნინა რიჩი“, „აჩრდილი“, „დროის სტრუქტურა“, „ლაბორატორია თავი IX“ და სხვ.

კოტე ჯინჭარაძე კონცეპტუალური ხელოვნების არტისტია, რომლის შემოქმედებასაც ყოველთვის ახლავს ისეთი ლიტერატურული ატრიბუტები, როგორიცაა აბსურდული თხობა, დაუჯერებელი იუმორი და მსუბუქი ჰუმანური ინტენციები. ფორმის მხრივ კი, მისი ნამუშევრები ყოველთვის ჰარმონიული და სასიამოვნოა, როგორც რაღაც ფანტასტიკური ინტერიერი.

დათო ჩიხლაძე

კომისი, მაგა და სხვა

გამოფენაზე წარმოდგენილია
გერმანული კომიქსების
მხატვრების ორი თაობა.
ამავე თემაზე ჩატარდება
მხატვარ საშმაცერის
(ჰაბურგი) ვორკშოპი.
გოეთეს ინსტიტუტი
ზანდურელის ქ.№ 16
15.03 – 30.03 გახსნა: 18სთ.

ცერენა

თვითნასწავლი მხატვრის,
პროფესიონალისტისა
და დირიჟორის, ჯარვი
ბალანჩიკაძის ფერწერული
ტილოების გამოფენა.
გალერეა „ბანა“ შარდენის
ქ. №10
11.03 – 22.03
გახსნა: 18სთ.

„ცენაგორიები“ და

კარიატერები

წარმოდგენილი იქნება
გალაკტიონის, პაოლო
ასეველის, აკაე წერტლის,
კონსტანტინე გამსახურდის
და სხვა ქართველი
მწერლების კარიატერული,
რომელთა ავტორები არიან:
გერმანელი წარმოშობის
ქართველი მხატვარი
ოსკარ შმერლინგი, გიგლა
ფირცხალავა, კარლო
კალაძე და სხვები.
ლიტერატურის მუზეუმი
ჭანტურიას ქ. № 8,
25 მარტი, გახსნა: 19 სთ.

„ათოლოგია“

დავით ჩიხლაძის
გამოფენა „ათოლოგია“.
მარგო კორობლიოვას
პერფორმანსის თატერთან
ერთად ავტორი
წარმოადგენს ვიდეო
ანთოლოგოურ ცირკს,
მკვდრების, კაცების,
ქალების, ბალერინების,
ფემინური კონსპირაციების
და სხვა თემების შესახებ.
„გალა“ გალერეა ათოლოგის
ქ. 27. სანაპიროს 4
25 მარტი, გახსნა: 19 სთ.



ფილმები

„ვიკრატასები“

რეჟისორი: ლევან ბაბუქიაძე

„ვიკრატასები, ანუ იღბლიანი ხრიკები“ – ასე პქვია ფილმს, რომლის ნახვაც კინოთაგატრ „რუსთაველში“ და „ამირანში“ 24 თებერვლიდან შეგიძლიათ. რუსეთში გადაღებული ფილმი ქართველი რეჟისორის, ლევან გაბრიაძის სადებიუტო ნამუშევარია და მასში მთავარ როლს ჰოლივუდის ვარსკვლავი, მილა იოვოვიჩი თამაშობს. გაბრიაძე ბოლო წლების მანძილზე რუსეთში რეკლამების გადაღებით იყო დაკავებული. სადებიუტო ფილმის სცენარის ავტორი რეჟისორის მამა, ცნობილი რეჟისორი და დრამატურგი რეზო გაბრიაძეა. ფილმის პროდიუსერი რუსი რეჟისორი, ტიმურ ბექმამბეტოვია („დღის გუშაგი“, „Wanted“). სწორედ მისი პირადი კონტაქტების წყალობით მოხდა როლზე მილა იოვოვიჩის დათანხმება. მსახიობი ლოს-ანჯელესიდან მოსკოვში 10 დღით ჩამოფრინდა და გმირის ხასიათის მორგების პარალელურად, რუსული ენის დახვეწაზეც ინტენსიურად იმუშავა: „ვიკრატასებში“ მილა რუსულად ლაპარაკობს.

ჰოლივუდის ვარსკვლავს ფილმში პარტნიორობას კონსტანტინ ხაბინსკი და ივან ურგანტი უნევენ. რომანტიკული კომედია პროვინციული ქალაქის სკოლის მასწავლებლის სლავას და მოსკოველი ლამაზმანის, ნადიას სიყვარულის ამბავს მოგვითხრობს.

„შავი გადი“

კინოთეატრი „რუსთაველი“

რეჟისორი: ივან რაიტმანი, როლებში: ნატალი პორტმანი, ეჭტონ კაჩერი „ოქროს გლობუსის“ მფლობელი „შავი გადი“ – ნატალი პორტმანი – ამჟარ-რად პირად პრობლემებს უმკავდება. ის და მისი პარტნიორი ცდილობენ, შეინარჩუნონ ურთიერთობა მხოლოდ ფიზიკური კავშირით, თუმცა რაღაც დროის გასვლის შემდეგ ისინი ხვდებიან, რომ რაღაც უფრო მეტია საჭირო.

„მარსს სეირდება დადები“ 3D

კინოთეატრი „ამირანი“

რეჟისორი: საიმონ უელსი, როლებში: სეტ გრინი, ჯონ ეიუსაკი, დან ფოგლერი პატარა ბიჭი, სახელად მაილო, მხოლოდ მას შემდეგ დააფასებს დედას, რაც მარსელები დედამიწაზე მოვლენ მის წასაყვანად.

„RANGO“, ანიმაცია

კინოთეატრი „ამირანი“

რეჟისორი: გორ ვერბინსკი ქამელერი ხელიქა, სახელად რენგოს, სურს გახდეს გმირი, ამიტომაც ის გადაწყვეტს, გაემგზავროს დასავლეთის ქალაქში თავგადასავლების საძიებლად.

„რაპულელი ჩახლართული ისტორია“ 3D


ანიმაცია – კინოთეატრი „რუსთაველი“

რეჟისორი: ნათან გრენო, ბაირონ პოვარდი

შევენიერ რაპულელს, 21-მეტრიანი ოქროსფერი თმა აქვს. გოგონა ჩაკეტილია კოშკში, უღრან ტყეში. ერთ შევენიერ დღეს, მოგზაურობისას, მომხიბლელი ყაჩალი ფლინი სწორედ ამ კოშკში გადაწყვეტს ლამის გათენებას და იგი ულამაზესი რაპულელის ტყვეობაში აღმოჩიდება.



ნინო ჩიმაკაძე



მისამართი: ჩეინის ხიდი 6
ტელ.: 43 89 50 / 43 89 51



ჩესკოჩანი "ოვალი" გთავაზობთ:

- მაღალი ღონის მომსახურებას და ყომფობელურ გახემოს
- გამხრელ კურსებს, ღისებს და ლვინის ფასოთ აჩრევანს

**ჩესკოჩანი "ოვალი" იღეაღები აღგიცია
თქვენთვის და თქვენი სუმისათვის**



თეატრი

„ბრძან ფერი“

რეჟისორი: ნინი ჩავალაძე

სამეცნიერო უბნის თეატრი

9, 17 მარტი, დასაწყისი 20 საათზე

ვიღები „ვიზუალური“

პერსონაჟები სკინერის თითქმის „ცხელი“
პიესა სამეცნიერო უბნის თეატრში

ნამდვილად არის რაღაც ჯადოსნური
ბრიტანულ დრამატურგიაში... ბრიტანელი
ავტორები შესანიშნავად გრძელებენ სცენას
და დიალოგის აგების თანდაყოლილობა,
ბუნებრივი „წნოსვით“ გამოირჩევან.

2009 წელს ლონდონში დადგმული
პერსონაჟები სკინერის პირველი პიესა
„ნახმარი“ მხოლოდ ხმაურიანი დასაწყისი
აღმოჩნდა. ამას მოჰყვა „ხუთიდან ერთი“,
„სტაციონარი“, „უკან არ მოიხედო“. პიესა „ბრძან ფერი“ 2010 წელს დაიწერა
და ცხადია, მისი დადგმა საქართველოში
უკვე მოვლენად შეიძლება, მივიჩნიოთ.

ვერ გეტყვით, რა შთაბეჭდილებას
მოახდენს მასზე დებიუტანტი რეჟი-
სორის, ნინი ჩავალაძის სპექტაკლი.
ჩვენი აზრით კი, ლირიკული სცენებით
საკმაოდ ცუდად „გამაგრებული“ და

ამავე დროს, სადაც და რეალისტურად
დადგმული კომედია არ არის დამლელი,
არც მომაბეზრებლად ჭუუს დამრიგებე-
ლი. ეს დამწყები რეჟისორისთვის უკვე
მიღწევაა.

ლონდონის სხვადასხვა უბანში მცხო-
ვრები ოთხი სრულიად განსხვავებული
ახალგაზრდის ურთიერთობა არც ურბა-
ნისტულ კოშმარებს გვიხატავს და არც
საზღამულად ძალადობრივ-სექსუალურს.
ავტორი განსხვავებული ცხოვრების სტი-
ლისა და ფილოსოფიური შეხედულებების
შეჯახებას აღწერს. მკვეთრი სოციალუ-
რობა, გამოკვეთილი, საინტერესო პერსო-
ნაჟები და, რაც მთავარია, შევი იუმორით
გაზიარებული დიალოგები, მსახიობებისა-
თვის საქამაოდ მსუფე მასალაა.

მაგალითად, ენი არის ესი? ფემინის-
ტი, რომელსაც ეშინია კაცების, მაგრამ
საშინალად აინტერესებს, როგორია სექსი
და ძალადობა ერთდროულად. პარტიულ
საქმიანობას ეწევა და თან გაუპატიურე-
ბული გოგონების შესახებ მოხსენებებს
კითხულობს. ან როუზი... სულელი და
მეოცნებები გოგო, რომელსაც ჯერ კიდევ
„ელფების, ფერიებისა და რქაგრეხილი
ციკლოპების“ სჯერა.

მთავარი ისაა, რომ პერსონაჟები სკინე-
რის პიესა აქ და ახლა იდგმება. და ეს
ნიშანები, რომ ევროპული დრამატურგიის

დროული გადაკვეთა ჩვენს რეალობასთან
შესაძლებელია. მერე რა, რომ მხატვრო-
ბა და სცენოგრაფია (თამუნა ლომსაძე)
ზედმეტად „პასურია“. სამაგიეროდ,
სუნდი (კომპოზიტორი ნიკა ფასური)
ნიჭიერად ნაკეთი მდელვარებითაა აღ-
ბეჭდილი.

დავით ბუხრიკიძე

„ვთავავობთ სტრილგერგს“

რეჟისორები: რობერტ სტურუა,
ანდრო ენუქიძე

ფრიდრიხ დურებმატი

რუსთაველის თეატრი

25 მარტი, დასაწყისი 19:45

„რომეო და ჯულიეტა“

რეჟისორი: გურამ ბრეგაძე
ილიას უნივერსიტეტის სამსახიო-
ბო ფაკულტეტის სტუდენტების
სადიპლომონ ნამუშევარი თანამე-
დროვე სამყაროში რომეოსა და
ჯულიეტას ისტორიას მოგვითხრო-
ბს.

ილიას საუნივერსიტეტო თეატრი
(ყოფილი ვაკის თეატრალური
სარდაფი)

6 მარტი დასაწყისი 19:00

PSP №1

ცლიტარულ კოსმეტიკაზე
გრანდიოზული ფასდაკლება

VICHY
LABORATOIRES

VitaSkin®

RoC

URIAGE
EAU THERMALE

LA ROCHE-POSAY
LABORATOIRE DERMATOLOGIQUE

DC
DERMACOL

BIO-ROM
LABORATOIRES

ziaja

nippes
Solingen

-10-50%

პე-ეს-პე გილოცავთ 8 მარტს
გისურვებთ ჭანმრთელობასა და სიღამაზეს

მუსიკა

Dwayne Dopsie & The Hellraisers

კრეოლური ზაილეკო

ლუზიანის ტბილისში

22 მარტი, 21.00 საათი

22 მარტს თბილისს ეწვევა ზაიდეკო (zydeco) მუსიკის ცნობილი შემსრულებელი დუეინ დუფლი. ზაიდეკო XX საუკუნის დასაწყისში, სამხრეთ-დასავლეთ ლუიზიანაში ფრანგული ეთნო მუსიკის, აფრიკული და კარიბის აუზის რეგიონის რიტმების შერწყმით შეიქმნა. მისთვის დამახასიათებელია მაღალი ტემპი და სინკოპირება, ძირითადი ინსტრუმენტია აკორდეონი. ეს მუსიკა კრეოლური კულტურის და ისტორიის შემადგენელია, დღეს კი უკვე ამერიკული ფოლკ-მუსიკის ნაწილად განიხილება. უშრეტი ენერგია და პროტესტული სული – სწორედ ასეთია Dwayne Dopsie & The Zydeco Hellraisers –ის მუსიკა რომლის მოსმენაც დაინტერესებს ჯაზის, ბლუზის, რიტმ ენდ ბლუზისა და ამერიკული ეთნო მუსიკის ყველა მოყვარულს.

ორგანიზატორი: Eastern Promotion

მიშა მდინარაძე



კონცერტები

ვაჭავარიანის საიშპილო კონცერტი (60 ლარი)

4 მარტი, დასაწყისი 19.00 სთ.

კონცერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზი

მონაწილეობენ: თბილისის ე. მიქელაძის სახ. ეროვნული სიმფონიური ორკესტრი. დირიჟორი – ვახტანგ მაჭავარიანი. სოლისტები: ალექსი მაჭავარიანი (უმცროსი), თამარ ლიჩელი

პროგრამა: ა. მაჭავარიანის სიმფონია №4 „ახალგაზრდული“, როსინის სონატა სიმებიანი ორკესტრისთვის, ი. ს ბაზის საფორტეპიანო კონცერტი F-moll ვ. მაჭავარიანის კონცერტინო.

საქართველოს ეროვნული სიმფონიური კოკესტი

31 მარტი, დასაწყისი 19.00სთ

კონცერვატორიის დიდი დარბაზი

დირიჟორი: ვახტანგ მაჭავარიანი, სოლისტი: ზვიად გამსახურდია (ვიოლინი) პროგრამა: რ. ვაგნერი – „ლოენგრინი“, III აქტის შესავალი; ი. სიბელიუსი – სავიოლინო კონცერტი; ფ. ლისტი – სიმფონიური პოემა „პრელუდიები“; ფ. ლისტი – სიმფონიური პოემა „პრომეთეოსი“.



სილამაზის სალონ Franck Provost-ში უკვე ერთი კვირაა, რაც ფრანგი საერთაშორისო დონის სტილისტი, სტეფან დე ლუზი ატარებს მასტერკლასებს. მან საქართველოში ცნობილი ფრანგული ბრენდის ექსკლუზიური კოლექცია ჩამოიტანა, რომლით სარგებლობაც ქართველ მანდილოსნებს მხოლოდ „ფრანკ-პროვოში“ შეეძლება.

Franck Provost-ში წელიწადში ორჯერ საერთაშორისო სპეციალისტები ჩამოდიან მასტერ-კლასების ჩასატარებლად. სწორედ ამიტომ ვიმყოფები დღეს მე აქ, თბილისში. უკვე ერთი კვირაა, რაც მასტერ-კლასებს ვუტარებ ქართველ სტილისტებს, ვუჩვენებ მათ თანამედროვე ტექნოლოგიას თმის მოვლის სფეროში, ასევე ვასწავლი ყველა იმ უალეს ტენდენციას, რაც მოდას უკავშირდება. ამჟამად ჩამოვიტანე 2011 წლის გაზაფხული-ზაფხულის კოლექცია, უკვე ერთი კვირაა ვწუშაობთ და ხვალიდან ქართველ ქალბატონებსაც შეეძლებათ „ფრანკ-პროვოს“ ახალი კოლექციის გაცნობა.

რა არის ის ინოვაცია, რასაც ცელს FRANCK PROVOST სთავაზობს თავის მომხარებელს?

ამ სეზონის მთავარი მოვლენაა „ძვირფასი ფერები“. ჩვენ ე.წ. „ძვირფასი ფერების“ გამოყენებით ვლებავთ თმას. ამჟამად კოლექციაში დომინირებს სამი ძირითადი ტონალობა: ესაა ორ ოქროსფერში მელირება, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ძალიან ბუნებრივი თმის ფერი, ასევე – ძალიან გამოკვეთილი და კაშკაშა. რამდენიმე ქერა ტონის გამოყენებით ისე ვლებავთ თმას, რომ განსხვავება თითქმის შეუმჩნეველია. ასევე გვაქვს „ყვისფერი ქაშმირი“. ის რბილია, მსუბუქი და სექსუალური, განკუთხილია, ძირითადად, შავგვრემანი ქალბატონებისთვის. ძალიან ბუნებრივი ფერთა გამაა, თითქმის შეუმჩნეველი გადასვლაა ესეც, თუმცა თმას არაჩვეულებრივ სიღრმეს ანი-

ჭებს. ახალი კოლექციის კიდევ ერთი ინოვაციაა ვენეციური ქარვისფერი. ეს შეფერილობა მონითალო ლია წაბლისფერიდან ქერამდე მერყეობს – სამი სხვადასხვა ტონია, რომელთა ერთმანეთში შერევაც თმას ბუნებრივ ბრწყინვალებას უნარჩუნებს. ახალი კოლექცია სწორედ ამ სამი ფერით წარმოვადგინეთ. და რაც მთავარია, ეს ტექნიკა მხოლოდ Franck Provost ბრენდის სალონებისთვისაა ექსკლუზიური. მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, სადაც ჩვენი სალონია, სწორედ ამ უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით შეგიძლიათ მოითხოვოთ მომსახურება.

აზიანებს თუ არა ამგვარი ტექნიკებია თმას?

გააჩინია საერთოდ როგორ უვლით მას. თუკი თმას ყველა წესის დაცვით შეიღებავთ, ეს მას არანაირად არ დააზიანებს. პირიქით, ჩვენ, პირველ რიგში, თმის მოვლაზე ვზრუნავთ. პარალელურად, თმის მოვლის სხვა საშუალებებიც უნდა იხმაროთ, რათა მას ბუნებრივი ბრწყინვალება და სიჯანსალე შეუნარჩუნოთ.

რამდენ ხას დარჩება ეს კოლექცია საქართველოში?

ახალი კოლექცია ფრანკ-პროვოში შემოდგომამდე დარჩება. შემდეგ უკვე ახალ ტენდენციებს და შემოდგომა-ზამთრის 2011 წლის კოლექციას შევთავაზებთ ჩვენს მომხმარებელს.

მარხენის მუზეუმი

მაგლა გურული

ტექსტი პირველად
გამოქვეყნდა ფეის-
ბუკზე. (შემოკლებუ-
ლი ვარიანტი)

„ოსტატი და მარ-
გარიტას“ პერსონაჟ
ფრიდას ყოველდღე
იმ ცხვირსახოცს ახვე-
დრებდნენ, რომლი-
თაც მან თავისი
შეილი დაახრჩო. გა-
საგებია, რომ ფრი-
და ჯოჯოხეთში იყო,
რადგან სხვაგან მსგა-
ვსი დასჯის მეთოდის
გამოყენება მეტისმე-
ტად არაპუმანური იქ-
ნებოდა.

იმედი მაქვს, რომ
მთლად ჯოჯოხეთშიც
არ ვართ, და მიუხდა-
ვად ყველაფრისა, მაინც
ვისახურებთ თუნდაც
მშუუტავ განათებას
გვირაბის ბოლოს.

...

„მაოხრებელი მკვდა-
რი“, ალბათ, უკეთესს ვერაფერს ინატრებდა: მის ადგილას
დაჩენილი ადამიანების მონუმენტს დადგამენ. მართალია,
ისინი წინ მიინევენ, მაგრამ ეჭვი მაქვს, შორს ვერსად
წავლენ, იქვე, შორიახლო იტრიალებენ, როგორც მისია-
შეუსრულებელი სული ჰოლივუდურ ფილმში. მოკლედ,
სტალინი სულაც არ უნდა იყოს უკმაყოფილო მოვლენე-
ბის განვითარებით – უყვარდა ცხონებულს ადამიანების
„ჩეხება“, ფიზიკური თუ სულიერი. ამაზე აბორიგენებში
უამრავი ზეპირსიტყვიერი გადმოცემა და ლეგენდა არსე-
ბობს, და ყველამ ბავშვობიდან ვიცით, თუ როგორ კაი-
ფობდა ბაბუა ჯოზეფი ადამიანების სიკვდილის შიშჩე. ამიტომ, კონცეპტუალური თვალსაზრისით, თამარ კვესი-
ტაძის პროექტი სტალინის ტრიბიტი (tribute) უფროა, ვი-
დრე მისი შედარებით ოპტიმისტური იდეით ჩანაცვლება,
იდეით, რომელსაც თითქოს სამუდამოდ უნდა გამოერიცხა
სტალინი აწმობში და, რაც მთავარია, მომავალში.

ყველამ ვიცით, რომ ხელოვნება რიტუალის წიაღიძან აღ-
მოცენებული სფეროა, და მას თავიდნ მაგიური დატვირ-
თვა ჰქონდა. ის ამ მახასიათებელს, მეტ-ნაკლებად, დღესაც
ინარჩუნებს. ხოლო თუ ზიზილ-პიპილო ქანდაკებამ შეიძლე-



იქ, ალბათ, ისეთი რამ უდეა მოსლეს, რომ

„კილურების ლაკარბვასაც“ შევეგუროთ და
ოკტომიზმის გაგვიჩნდეს. ასეთი სხვა
არაფერია, თუ არა ცოცხალი აღამიანი
და თავად სისოცხლე.

ბა, ჰა-ჰა, დოლარის კურსზე იმოქმედოს, ეს ქანდაკება რას „დაა-პროგრამებს“ დროში, სივრცესა და ადამიანების თავებში – ეს არ ვიცი და წარმოდგენაც არ მინდა. როგორც ტელევიზორიდან გავი-
გეთ, ეს კონცეპტი მხა-
ტვარმა ტკივილში და ტანჯვაში „დაბადა“ და, რაღაც, ესეც არ მსია-
მოენებს. ტკივილში და ტანჯვაში შვილის დაბა-
დება ხდება და არა რა-
მის შექმნა, და ვინაიდან უკვე ვიცით, როგორ „დაბადა“ ეს იდეა, იმედს ვიტოვებ, რომ თამრიკოს საიდუმლო სახელი როზ-მარი არ არის.

ყოველთვის მეგონა,
რომ თუ პროფესიონა-
ლიზმი რამეში გვარგია, ისიც უნდა მოახერხოს, რომ აღარ გვეტკინოს
და აღარ დავიტანჯოთ,
არამედ ემოციური და

მენტალური სიამოვნება მივიღოთ შექმნის პროცესში და
გარდაუვალი სირთულეების გადალახვის დროს.

დღეს, როდესაც კიდევ ერთხელ ვნახე მაკეტის კადრე-
ბი, მიეხვდი, რომ ამ საცოდავ ფიგურებს ის რაღაც საჭი-
რო „სიმძიმეც“ კი არა აქვთ, და დამპალ ღობეს რომ აქა-იქ
ნაწილები ჩამოცივდება, იმას მაგინებს.

ვეთანხმები ყველას, ვინც ამბობს, რომ ჯერ ადრეა აქ
რამის დადგმა. იქ დღეს არსებული ვოიდი, ანუ სიცარიე-
ლე, ყველაზე უკეთესი მემორიალი ჩვენი მოქრილი კიდუ-
რების, ახლობლების, ნათესავების, თანამოქალაქეების თუ
თანამემამულებისა, რომლებიც აღარ არიან, მაგრამ ჩვენ
„ფანტომური ტკივილით“ გვტკივა. იქ, ალბათ, ისეთი რამ
უნდა მოხდეს, რომ „კიდურების დაკარგვასაც“ შევეგუროთ
და ოპტიმიზმიც გაგვიჩნდეს. ასეთი სხვა არაფერია, თუ
არა ცოცხალი ადამიანი და თავად სიცოცხლე. ამიტომ,
სჯობს იმ სიცარიელეში საჯარო სივრცე შეიქმნას – თა-
ვშეყრის, ბავშვების თამაშის, პატანის, ნარდის თამაშის,
ჭორაობის, ზასაობის, გინდაც ჩსუბის და განევ-გამოწე-
ვის, თუნდაც დამით – სექსის და ყველა იმ საქმიანობის
ადგილი, რასაც ის სისტემა ებრძოდა.



G.U.R.U. club

G.U.R.U.club. Rustaveli Ave.12, Tbilisi, Georgia
info/tickets/tables : 983803 / 855 506890

სიზმრალ ვნახე „შავი გელი“

დავით გაგუანია

მართლაც მქონდა შეგრძნება, რომ სიზმრად ვხედავდი, სხვანაირად ვერაფრით აქხსნი, რამ შეშალა ასე ქვეყნიერების ნახევარი და რამ მოაწონა დარენ არონოფსკის ეს სრულიად კომერციული და, ცოტა არ იყოს, პრიმიტიული ფილმი. თუ ადამიანი ბალეტში ოდნავ მაინც ერკვევა, შეიძლება „შავ გეზე“ ბევრი იცინოს, და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ნატალი პორტმანი ძალიან ცუდად ცეკვას (მსახიობია, რა უნდა მოსთხოვო?). რეჟისორი „საგულდაგულოდ“ ცდილობს, კლასიკური ბალეტის სამყაროს ლეგენდარული სისახტიკე კიდევ უფრო გა-

ამძაფროს და ერთგვარ საბალეტო ტრილერს გვთავაზობს, ირონიაში თუ არ ჩამომერთმევა უანრის ასეთი განსაზღვრა. სიუჟეტი მელოდრამატულია, არშემდგარი ბალერინა-დედა (ჰერში) ქალაშვილისგან (პორტმანი) მოითხოვს თითქმის შეუძლებელს, ის საუკეთესო უნდა გახდეს და ჩაიკოვსკის ბალეტის ახალ დადგმაში გედის პარტია შეასრულოს. პარტიას კი მიანდობენ, მაგრამ ქორეოგრაფ-დირექტორი (კასელი) პორტმანის გმირში მხოლოდ თეთრ გედს ხედავს, სამწუხაროდ, შავს ვერა. აი, ეგაა და ეგ – მთელი დანარჩენი ფილმი ერთი გულუბრყვილო, საყვარელი გოგონას „გაშავებას“ ვუყურებთ. ნატალი პორტმანი ისევ „ლეონისებურად“ ბერავს ტუჩებს და ამაში პრიზებსაც აძლევენ, აქამდა, კარგად თამაშობს; სცენარისტი და რეჟისორი კი ცოტა მისატყიას ურევნენ და წარმატებაზე შეშლილი გოგონას ფანტაზიას იქამდე მიუშვებენ, რომ გოგონას მხრებზე ფრთხი ამოსდის, ფეხებზე აპკი და ნამდვილი გედის სხვა ატრიბუტიკა. არ ვიცი, რამდენად გულისხმობდა არონოფსკი ამ ყველაფერში ირონიას, მაგრამ როცა ჩაიკოვსკის ყბადალებული კლასიკა გესმის, სცენაზე შავ კაბაში გამოწყობილი პორტმანი ცდილობს მოგვატყუოს, რომ გულისწამლებად კარგად ცეკვას და მკლავების მექანიკური ქნევა თანდათან ნამდვილ ფრთხები გადაიზრდება – თქვენი არ ვიცი და მე პირადად გულიანად მეცინება. სხვა როგორი რეაქცია უნდა გქონდეს, როცა ფილმის ავტორებს ბალერინას



**კორეჩინის გმირი
„ყველაფრით დალლილი“
კაცობრიობის ოსებას განასახიერებს
– ჰავითი კატარა გოგონა,
მაზრების ვერაბი ვერაბი.**

არა უშავს. მერე ზედაპირული ფსიქოლოგიზმის დოზაც ერევა საქმეში: გადამეტებულმა თვითგვემამ შეიძლება სასურველ შედეგამდე კი მიგვიყვანოს, მაგრამ გაუძლებს კი ადამიანის (თონეჯვერი გოგონასი, მით უმეტეს) ფსიქიკა ამხელა სტრესს? და შედეგად ვიღებთ იმას, რომ მაყურებელი, რომელმაც ბალეტი პირველად ამ ფილმში ნახა (და ასეთი მაყურებლის დიდი ნაწილი იქნება, სამწუხაროდ) ჩათვლის, რომ ძალიან სერიოზული ფილმი ნახა საბალეტო ცხოვრების შესახებ. არადა, სინამდვილეში ერთი ჩვეულებრივი, მარტივზე მარტივი ტრილერია, სადაც მოქმედება საბალეტო სტუდიაში ხდება და ამ მასობრივი ისტერიის მიზეზადაც სწორედ ეს მიმაჩნია – უბრალოდ, ბალეტი მოგებიანი ანტურაჟი აღმოჩნდა თემაამონურული და ყველაფერნაცადი პოლივებისთვის. პორტმანის გმირი „ყველაფრით დალლილი“ კაცობრიობის ოცნებას განასახიერებს – ბეჯითი პატარა გოგონაა, მაზოხისტური ვნებები რომ შეიძყრობს. მოკლედ, არონოფსკიმ ეს ნამდვილად მოახერხა – სექსობიექტის ახალი ტიპი შექმნა და იმდენად წარმატებით, რომ აგერ, ხომ ხედავთ, ნახევარი მსოფლიო დააჯერა, შედევრი გადავიდეო. და ბოლოს – ნუ ენდობით ამ ფილმს. ბალეტი სხვა რამეა. უაინონა რაიდერიც ბევრად უკეთესი მსახიობია და იმედია, კიდევ გაგვახარებს და თავსი გმირის, გადამდგარი, მობერებული ბალერინას ბედს არ გაიზიარებს.

სახის შოკოლადი

თავებალი 2011 №68
ფასი 5 ლარი

ისტორია
მაის
მიქაშავიძე

შავლი ქართული-რუსის
და დანართი
რესერვაციის გოგირიძე

დაზანი რომორც არჩევანი

მოსკოვი პროდა
სინეგრანი
რომ გამარის
მიქსი

რასილიანი დესერტი
იღვა კრალიკი
ლავა ჩილიანი

დიდი რაოდი

დათო ქარლავა
ჯიგლი ვერვი
ლავა გაბურიძე
ხაჭაპური ზაზავაშვილი



ISSN 1512-2220

გამოიცერთ „სხის შოკოლადი“
თალისადმი მეომოდ 49 ლარად

შურნალს, გამოსვლის დღესვე, თქვენს სამუშაო ადგილას მოგაწვდით

საკონტაქტო ინფორმაცია:

822 23 37 31, 899 48 62 41

gamocera@shokoladi.ge

კოლექტური არქიტექტურა თუ არქიტექტურული კიჩი

თამარ აბაშვილი

Architecture is not political; it can only be used politically - Leon krier.

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე დაწყებულმა დიდმა ცვლილებებმა, სოციალური იქრარქიის

გაქრობამ, მასობრივმა ურბანიზაციამ, მოზღვავებულმა და მარტივად გაფრცელებადმა ინფორმაციამ სრულიად ახლო პირობები შექმნა, რომელიც ახალი ტიპის ადამიანი ყალიბდება. ხოსე ორტეგა ი გასეჭი მას „მასის ადამიანად“ მოიხსენიებს. ირლევა კულტურული იქრარქია, „დაბალ“ და „მაღალ“ კულტურას შორის ჩნდება კიდევ ერთი, სამუალო და „დამკრატიული“ – მასკულტურა, რომელიც ადამიანს განიხილავს

არა როგორც „ჰომოსაპინს“, არამედ როგორც კლინტს, გადამხდელს, საკუთარი კეთილდღეობის წყაროს.

ეს ყველასათვის ხელმისაწვდომი კულტურაა, რომელსაც არ ახასიათებს არც „ელოტური“ კულტურის დახვეწილობა და კონცეპტუალიზმი, არც ხალხური ხელოვნების სულიერება. მასკულტურა ინდუსტრია, ბიზნესი, რომლისთვისაც ხელოვნება კომერციული პროდუქტია.

კიჩი მათი კულტურაა, ვინც ხელოვნებისაგან უაზრობამდე დაყვანილ სიმარტივეს, ფერად ვაშუალსა და იაფ ფასს მოითხოვს. კიჩი ხელოვნების სიმულაციაა.

„ნუვორიშები“ მას საზოგადოებაში თავის დასამკეთრებლად, სახელმწიფოები კი მასის სატყუარად იყენებენ. კიჩი ილუზორული კეთილდღეობაა, „მოზრდილებასთვის შექმნილი და ტირაუირული საბავშვო ზღაპარი. სამოთხე ჯოჯონებთის გარეშე“ (მ.კუნდერა). კიჩი ყველგანაა: კაჩური გრძნობები, კიჩური მოლხენა, კაჩური რელიგია, კიჩური პოლიტიკა... თუმცა ამ სატატიამი მის ერთ მხარეს მინდა, შევეხო – კაჩურ არქიტექტურას, მოვლენას როდესაც დიდი პოლიტიკური PR-ი არქიტექტურას კიჩად აქცევს და საკუთარი, ხშირად ეფემერული კეთილდღეობის ილუსტრაციად იყენებს.

კიჩი – ეს არის ავარიული სახლები ვარდისფრად შეღებილი ფასადებით, ბლოკით ნაგები და ძველი აგურით მოპირკეთებული ძველი თბილისი. კიჩი – საროსკეპოს ფერებში განათებული აივნებია, ქუთაისის თეატრზე ნამოჭიმული ოქროს ლომები, ბორჯომის პარკში „ჩარგული“ პლასტმასის ხეები.

კიჩი – ოშმი დაღუპულ გმირთა მემორიალის გვერდზე უფრო დიდი მემორიალის ნიმოქმედა.

კიჩის ამოცნობა მარტივია: ფსევდო-მდიდრული ელემენტები, იმიტირებული ძვირფასი მასალებით ნაგები და ფსევდო-ისტო-



რიული ფასადებით. გრანდიოზული ზომები, „პორტიკები“, სკვეტები, კოლონები, რელიეფები, კოშკები და გუმბათები. თუმცა ცალკეულ ობიექტებზე მნიშვნელოვანი და პრობლემატური თავად არქიტექტურისადმი მიდგომაა. არქიტექტურა მხოლოდ ვიზუალური ხელოვნების დარგი არაა. ეს უნიკალური სინთეზია, სიერცითი მოცემულობის, სოციალური მოთხოვნის, ფუნქციური დატვირთვისა, კონსტრუქციული მხარისა და ვიზუალური ეფექტის. თუმცა ჩვენში დღეს მთავარი არა არსი, არამედ, ობიექტის ზომა და მისი კონტური იერია. ჩვენში ხომ ნაგებობები „კეთილდღეობის ილუსტრაციებად“ გვევლინებან.

„რედისონები“, „მერიოტები“, „რიც-კარლტონები“ და „შერატონები“ – ყველაზე მაღალი, ყველაზე შეშუშული, ყველაზე ლამაზი და, რა თქმა უნდა, ყველაზე ბრტყელია.

ასეთია ბარათაშვილის ქუჩაზე 50-იან წლებში აგებული „ვილაციისთვის უსახო“, კომუნისტური წარსულის მქონე შენობა, რომლის გათანამედროვეობა გუმბათითა და „ლირსული“ კიჩური დეკორით შემოსვას გულისხმობს. გუმბათის ფუნქცია და საჭიროება ისეთივე გაურკვეველია, როგორც ჩვენი „ბროლის ხიდისა“. აშეკრაა, რომ ორივე შემთხვევაში პროექტების განხორციელების მამორავებელი არა ფუნქციური, არამედ დეკორატიული დატვირთვა იყო. თბილისში ნამდვილად მიმძებნებოდა ტერიტორია, სადაც ხიდი არა მარტი ბუტაფორიული, არამედ ფუნქციურადაც დატვირთული იქნებოდა. ვითარებას ართულებს ისიც, რომ ორივე მიერები დაცვის ზონაშია მოქცეული, ეს მოცემულობა სრულიად სხვა მოთხოვნებს აყენებს არქიტექტორის წინაშე.

როგორც უკვე აღნიშნებო, კიჩი „ნუვორიშების“ ხელოვნებაა. მართალია, ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობა ნამდვილად არ გვიქმნის „ნუვორიშების“ სტატუსს, თუმცა მიდგომა საკუთარი ქვეყნისადმი და განსაკუთრებით, ურბანული მემკვიდრეობისადმი ძლიერ ჰგავს ზემოთ ხსნებულს. კიჩი ის მიდგომაა, რომლოთაც ჩვენ აღმაშენებლის გამზირის პარაზად და მესტიის შევიცარიად ქცევას ვაპირებთ. რამდენი მანსარდაც არ უნდა დაადგან აღმაშენებლის გამზირს, არ გამოვა მისგან პარიზი. სულ, რომ ათასობით „პიაცა“ ჩადგან ჩვენს ძველ, ნესტიან, „კოფეთი“ გაულენთილ ბათუმში, არ გამოვა მისგან არც ნიკა და არც რომი. ან კი, რატომ უნდა გამოვიდეს? ან ვის რად უნდა შენი კიჩი და არქიტექტურული ბიუტიერია? ჩემი კიჩის სანახავად მე თავად არ დავდივარ სილნაღმში.



ჯ.მარტ
G.mart

www.gmart.ge

როცა ყიდვა გსიამოვნებს

სუპერმარკეტი ჯ.მარტი ქახვასია

ციფრული გადახინის ქ.7 ტელ. 242 314

სუპერმარკეტი ჯ.მარტი ცენტრი

ვაბენის მოედანი 2 ტელ. 200 314

როგორ მოვკვლეთ სამშობლოსთვის, ანუ ჟოლოსთვის

ისე, რომ არა ტექსტი დავასახიროთ და სიზურაც კავყოფილი დარჩეს

დავით ბახრიძიძე

მიუხედავად იმისა, რომ მარჯანიშვილის თეატრში, რამდენიმე წლის წინ დადგმულმა „ქაქუცა ჩოლოპაშვილმა“ უკვე დაიწყო გახუნება, ლევან წულაძის სპექტაკლზე ჯარისკაცები და მოსწავლეები დღესაც ჯგუფებად დაჰყავთ. პატრიოტიზმი ხომ არასოდეს არის ნაგვიანევი... ამჯერად რეჟისორი სცენაზე სუფრო ზუსტად პარტერში, რადგან მოქმედება ახალ სპექტაკლში სწორედ პარტერში აგებულ სცენაზე მიმდინარეობს, მაყურებელი კი სცენაზე ზის) პატრიოტიზმის ფაქტზად პაროდირებასაც ცდილობს. ან შეიძლება, საკუთარი თავის პაროდირებასაც. და რა უცნაურიც უნდა იყოს, ამაში მას ცენზურა ეხმარება.

49 წლის პოპულარული იაპონელი დრამატურგის, სცენარისტისა და რეჟისორის, კოკი მიტანის პიესა როგორც ჩანს, რეჟისორისათვის ერთგვარი ტესტი იყო: სად გადის ზღვარი თავსმოხვეულ პატრიოტიზმა და პროფესიონალიზმს, პრინციპსა და დათმობას შორის. პიესაში, რომელსაც ორიგინალში „სიცილის აკადემია“ ჰქვია, ხოლო მარჯანიშვილში – „უოლო“, ნიჭიერი კომედიანტი და დრამატურგი ცუბაკი (ნიკა კუჭავა) ფინალში ომში მიდის, ხოლო მანამდე მანჯურიის ომიდან დაბრუნებული და თეატრის მოძულე ცენზორი ნეო (ნატა მურვანიძე) – თეატრით ავადდება.

თითქმის ორსაათიან ტრანსფორმაციამდე რეჟისორი კომედიის გაკვალული ბილიკებითა თუ შეუცნობელი უღრანით ერთდროულად გვატარებს. მან შიგნიდან იცის მსახიობის, ტექსტის, რეჟისორის თუ ცენზურის პრობლემები და ამიტომ დუღლი ცენზორსა და კომედიანტს შორის ბრწყინვალე, მაგრამ მანც თეატრალურ გამოცდას ემსგავსება: აბა, რამდენად სწრაფად შეგიძლიათ ტექსტი დაწეროთ?! ახლა შექსპირის პაროდიით შთაგონებული „რომეტა და ჯულიო“ XVI საუკუნის იაპონური დრამის პერსონაჟე-



**იქმნება ატმოსფერო,
რომელიც ასე უყვარს
„ზოლას პუბლიკას“: მსუბუქი
ფლირტი, ძალაუთანებელი
სხევები, კლუს – რდნავ
შესახევი სევდა და უცონო
დრამატიზმი.**

ბით ჩანაცვლეთ; სიტყვა „სამშობლო“ სიტყვა „უოლოთი“ შეცვალეთ... ახლა კი კომედია ისე დაწერეთ, რომ ერთხელაც არ გაგვეცინოს!...

მკაცრი და სისუფთავის მოყვარული ცენზორის ახირებებს ბოლო არ უჩანს, მაგრამ დრამატურგი ცუბაკი განუწყვეტლივ ახალ ვარიანტებს ქმნის. თანაც ისე, რომ თავსმოხვეული ცენზურის პირობებში ტექსტი სულ უფრო დაცვენილი ხდება. მსახიობების სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ისინი რეჟისორის მიერ მოფიქრებულ თამაშში ბავშვური უნიოთა და სიანცით ებმებიან: სხარტად აწყობილი დიალოგები, მოულოდნელი იუმორი, კარგად დასწავლილი უსტებისა და გა-

თვლილი პაუზების მონაცვლეობა ქმნის იმ ატმოსფეროს, უმთავრეს შრეს, რაც „ჭოლას პუბლიკას“ ასე უყვარს: მსუბუქი ფლირტი, ძალაუთანებელი სცენები, პლუს – ოდნავ შესამჩნევი სევდა და უწონო დრამატიზმი.

უოლოთი ჩანაცვლებული სამშობლოს მიღმა დაკვირვებულ თვალი იოლად აღმიაჩენს მნიშვნელოვან „მეორე პლან-საც“: რეჟისორი თავად ცუბაკის პროტოტიპია, რომელიც ცდილობს, ცენზორი, ანუ ხელისუფლება საკუთარი თამაშის წესებით გააცეროს. ამდენად, მას ცენზურა ხელს კი არ უშლის, თითქოს პირიქით, ეხმარება და შემოქმედებით ფანტაზიას უდივიძებს! სწორედ ეს ორმაგი თამაში, ნიღბების დაუსარულებელი გაცვლა, მსხვერპლისა და მოძალადის როლების მონაცვლეობა ქმნის იმ უხილავ, „მესამე პლანს“, რომელსაც მოულოდნელად იგრძნობთ სცენის 360 გრადუსით შემობრუნების შემდეგ.

კოკი მიტანის პიესა რაღაცით ბულგაკოვის „მოლიერის ცხოვრებას“ ჰგავს, სადაც ლუდოვიკო XIV-სა და მოლიერის დიალოგები იმეორებს ნეოსა და ცუბაკის თეატრალური თამაშის ფინალს: იმისათვის, რომ სამშობლოსთვის, ანუ უოლოსთვის მოკვდეთ, ტექსტის დასახირებაც უნდა შეგვეძლოს და ცენზურის გაცურებაც.

FREEDOM MUSIC

& DJ Pete Heller
@ Safe




18 დეკემბრის უნიკალური მიუზიკას თარაღონა ექვები ამ პალტო. ექვების ჩამისაფარი ცეტიში ელუაზი სასიამოვნო ათვალისწილოს 5 საათის განვითარებაში მარია.

VIP მოღვარეობა დაუცხო მუსიკის ფონზე და ართიანი ბილეთის მოხმავის თანხლებით მიმღებარის მოღვარეობა. მოცემულ სტატუსის საცხალდება მიმღები მიმღები არამარტინისტების მიმღება და საკავშირო მიმღების გამოსახულის მიმღები არამარტინისტების მიმღება.

ფრილო
მიუზიკა

& დიჯეი პირ ჰელერი
სეიფში



ავტორი: მიშა მღინარაძე

შემოქმედის ყველაზე დიდი პრობლემა საკუთარი შემოქმედებისგან თავის დაღწევაა. ეს რთული პროცესია, იმდენად რთული, რომ, ხშირ შემთხვევაში, ხელს გიშლის სხვა შენისთანა შემოქმედის ხელოვნება ადეკვატურად შეაფასო, მიიღო შენს სივრცეში და საკუთარი შემოქმედება, როგორც ეგოს ნაწილი, ან თუ გნებავთ, ამბიცია დროებით მაინც დაამარცხო.

მითი სალიერის შესახებ კიდევ ერთხელ ადასტურებს კულტურული სუბიექტივიზმის მნიშვნელობას, რადგან სწორედ ამ ზღურბლის გადალახვაა გენიალობის მაჩვენებელი და არა ხელოვნებაში საკუთარი ამბიციის ანარეკლის დატოვება. ქრისტიანული დოგმატით, ეს ასე გამოიყურება – გიყებულების მტერი შენი, ვითარცა თავი შენი. რთულია არა? იქნება ამიტომაც უჭირთ შემოქმედებს ერთმანეთისთვის გულწრფელი, თბილი სიტყვის თქმა, ამ დროს, „მე“-ს დაკინიბის საშიშროების წინაშე დგება, ის მტრის ხელოვნებით აღტაცებას ვერ უძლებს და განადგურებს შემის ქვეშ უამრავ თავდაცვით ხრის იგონებს, მაგალითად; არაადეკვატურ კრიტი-

კას, ლანძღვას ან დაცინვას. ძალიან იშვიათია შემთხვევა, როდესაც ერთი შემოქმედი პირდაპირ გამოხატავს სიმპათიას მეორის ხელოვნების მიმართ. ეს ძალიან „დიდებს“ შეუძლიათ მხოლოდ. ჩემი აზრით, კაცობრიობის ყველაზე დიდი ნაკლი ადამიანების ურთიერთაღიარების უნარის სიმცირეშია, ამიტომ იწყო ხელოვნებამ კვდომა.

Track N 18, ეს ტრეკი, ძალიან დიდი ხანია, ჩემს ლეპტოპში ინახება. ნიკა მაჩაიძეს არ ვიცნობ. ასეც ხდება ხოლმე – ამ პატარა ქვეყანაში მუსიკოსები ერთმანეთს არ იცნობენ. ვიცნობთ, ისინც დოდად არ ვრყყალიბთ ერთმანეთს. ამას თავისი მიზეზი აქვს, ალტერ ეგოსთან ბრძოლა – ბრძოლა, რომელიც ყოველ წუთს შემოქმედ „მე“-სთან გინებას. Track N 18 – სინამდვილეში, კომპოზიციას რა ჰქვია, არც კი ვიცი. ფაქტია, რომ „მტრის“ მუსიკა ძალიან მომწონს! „მე“ – შემოქმედი არც ისე დიდია, რომ სხვისი მუსიკა აღიაროს და „მე“ – ადამიანი არც ისე პატარა, რომ ის, რაც ძალიან მოსწონს, დამალოს.

ნიკა მაჩაიძის მუსიკა საკსეა ეგზის-

ტენციით და არა ყოფით, მისი მუსიკალური ალტერ ეგო ჩემთვის ძალიან ნაცნობია. ის თავისუფალია მავნე ტონალური სენტიმენტალიზმისგან და სქემატური, მაგრამ მნიშვნელობით დატვირთული დრამატურგიული ქარგა. ეს მუსიკა არ წარმოადგენს პოპკლასის ფართო მოხმარების გასართობ პროდუქტს, ეს ხელოვნებაა, სადაც ტონს, ბგერას და მათ შორის პაუზას ეგზისტენციური მნიშვნელობა აქვს. აქ არ არსებობს მკვდარი ნაწილები, ეს მუსიკა ცოცხალია დროსა და სივრცეში. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მასში არ არის ტყუილის, ფარსის, მოჩვენებითი ტრაგიზმის არც ერთი წამი. არც ისე საშიში ყოფილა კოლეგის ალიარება და ამაზე საქვეყნოდ საუბარი. თუ ეს ასე იქნება, პუშკინის სალიერი ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდება, ისტორიული სალიერი კი გამარჯვებას იზიებს, რადგან როგორც 2005 წელს მის სასამართლოზე დადგინდა, სალიერის არ მოუკლავს მოცარტი. მოცარტი უფრო პუშკინის ალტერ ეგოს მოკლა სალიერის ხელით და პრეცედენტიც დაუშვა.

რუსეთის კულტურის მუზეუმი



1 20.000	2 20.000	3 20.000	4 20.000	5 20.000
6 20.000	7 20.000	8 20.000	9 20.000	10 20.000
11 20.000	12 20.000	13 20.000	14 20.000	15 20.000
16 20.000	17 20.000	18 20.000	19 20.000	20 20.000
21 20.000	22 20.000	23 20.000	24 20.000	25 20.000
26 20.000	27 20.000			



ბარბარეს მისერამაზე

ავტორი: ლიანა აფიშიალი

ბარბარეზე უნდა მოვყენე, ჩემს საყვარელ ბარბარეზე, კნეინა ბარბარე ჯორჯაძეზე, ქართული სამზარეულოს მთავარ რომანისტზე, ქართული კულინარული ლიტერატურის ფუძემდებელზე, კარგ ქალზე და კარგ ადამიანზე.

ამას წინათ დიუმას „დიდი კულინარიული ენციკლოპედიის“ თარგმნა დავიწყე, ეს ენციკლოპედია კიდევ ცალკე თემა და ცალკე საკითხია. ჰოდა, როცა პარალელის გავლება ვცადე — ქართული სამზარეულოს შესახებ ვინ შექმნა ასეთი ფუნდამეტური, და, რაც მთავარია, ძალიან საინტერესო ლიტერატურული ნაშრომი, რა თემა უნდა, ბარბარე გამახსენდა, გამახსენდა და გული დამზღდა, რომ ეს შესანიშნავი ქალბატონი სრულიად ეპიზოდურად გვახსოვს „მამათა“ და „შეილთა“ ე.ნ. „ბრძოლის“ დროს მამების მხარდაჭერის გამო და სულ ეს არის.

არადა, საქამაოდ აქტიური ვინმე იყო, პოეტი, პროზაიკოსი, პედლიცისტი, დრამატურგი, განათლების საკითხებით დაინტერესებული, ქალთა უფლებების დამცველი და, ამასთანავე, ოჯახის ბერჯი, როგორც იტყვიან:

„განსვენებული, არამც თუ თვითონ იყო დიასახლისი, არამედ იგი სხვებსაც აგულიანებდა და აქეზებდა — რომ ოჯახისთვის მიეხდათ, ოჯახი ფეხზეც დაეყენებინათ და ეკონომიკურად გამაგრებულიყვნენ“, — ამას მისი ქალიშილი წერს მასზე — განსვენებული სიტყვით არ კმაყოფილდებოდა და მწერლობითაც სურდა გაეწია „პროპაგანდა“ დიასახლის-

თა შორის. სხვათა შორის, მან განიზრახა ქართული სამზარეულოს შედეგენა და გამოცემა — რადგან გრძნობდა, რომ ერის წარმატებაში და ცხოვრებაში პირველი ალაგი ჯანმრთელობას უკავია — ეს უკანასკნელი კი დამოკიდებულია კარგ და საღ საზრდოზე... ყოველი საჭმელი, რაც ამ წიგნი შედის, ყველა მისი პირადი გამოცდილების შემდეგ არის დაწერილი.“

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ პირველ რიგში ეს ქალი ჩემთვის პოეტია, პოეტია, მაგრამ არა იმ ლექსების გამო, რომელთა წერა თორმეტი წლის ასაკიდან დაუწყია. მე მისი სხვა პოეზია მიყვარს, აი, ასეთი :


„ტყემლის ჭრიანტელი

ტყემალს, როდესაც კურკა გაუმაგრდება, მოიტანთ და ფოთოლსა და კუნძუს დაარჩევთ, ჩაჰყორით ქაბში, ერთ ანუ ორს ჯამს და ზედ წყალს დაასხამთ, რაც დაჰთარავს, დასდგამით ცეცხლზე; როდესაც ისე მოიხარება რომ ისრისებოდეს, გადმოიღებთ და ხონში ჩაასხამთ, გააცივებთ და ხელით ამოსქყლებთ, შემდეგ ცხრილში გასწურამთ, ჩემჩრისა და კურკას გადაჰყრით, წვენს კი ამ რიგად შეარღებთ:

მოხარშავთ წითელ მხალს, რომელსაც ჭრიანტლის მხალს ეძახიან და თუ წითელი მხალი არა გაქვთ, თითმავალა მხალს მოხარშავთ, გასწურავთ და ნშინდად დაჰკეპავთ, შემდეგ ერთი მუშტის ტოლს ჩასდებთ იმ ტყემლის წვენში, აურევთ; აგრეთვე დააჭერით თრი თავი ხახვი და მწვანილეულობა: ქინძი, ქონდარი, კამა, რეპანი, სუსამბარი“.

აი, ხომ არ ვიცი, რა არის „ჭრიანტელი“, მაგრამ ვხდები, რომ რაღაც ძალიან გემრიელი, მომჟავო და მაცოცხელებელი უნდა იყოს.

ანდა ასეთი ვერლიბრი:



მუხლოს გულია

ერთი ჯამი მუხლო დაარჩიეთ, გარეცხეთ, თბილ წყალში დაალბეთ. მეორე დღეს ჩაყარეთ ქვაბში, ზედ დაასხით წყალი, მოხარშეთ, წვენი ცალკე გადაწერეთ და მუხლო დაწურჩეთ. ჩაყარეთ გარეცხილ ფილში, დანაყეთ, შიგ ჩააჭერით თოხი თავი ხახვი, ორი სტოლის კოვზი დანაყილი ბრინჯი, ცოტა მარილი, პილპილი და კიდევ კარგად დანაყეთ, მწვანილი დააჭრიოთ, ამონლეთ თეფშზე. აილეთ კაკლის ტოლა დანაყილი მუხლო, შეახვეთ ცხელ წყალგავლებულ კომბოსტოს ფოთლებში, ჩააწყეთ ქვაბში. სულ ასე დაამზადეთ.

დაასხით ნახევარ სტაქანი ზეთი, ერთი სტაქანი პომიდორის წვენი, ორი სტოლის კოვზი ფეხილი; ცოტა შაქარი, ქვაბს თავი დააფარეთ და მოხარშეთ.

ასეთ მინიმალიზმზე რას იტყვით:
„ქაბაბი ქონდარისა“

გააკეთეთ წმინდა ფქვილის თხელი ცომი, მარილი ჩააყარეთ, თითო-თითო ძირი ჩვილი ქონდარი ამოავლეთ ამ თხელ ცომში, ტაფაში ჩაასხით ზეთი; როცა ზეთი კარგად გაცხელ-დეს, ეს ამოვლებული ქონდარი ტაფა-ში ჩააწყეთ და მოწიოთ“.

ახლა ცოტაოდენი პროზა, უფრო კონკრეტულად, ტრაგიკული რეალიზმი:

„შემწვარი ღალდები“

საწებლათი ღალდები გაპტყვენით, გამოშენეთ, შეწვით შამფურზედ ან ქვაბში ორი-სამი კოვზი ერბოთი; შიგ-ნეულობა წმიდად დაკეპეთ, დანარჩენ ერბოში მოხრავთ ნახვარი თავი დაკეპილი ხახვით და ნახვარ კოვზ ფქვილით, ჩააყარეთ რვა მარცვალი ბაჟარი, ოთხი მარცვალი დანაყილი პილპილი, მარილი, ნახვარი ღამონი ჩაანურეთ. შეიძლება მიუმატოთ ორი კოვზი სმეტანა. ყველა ეს გახსენით ერთ სტაქან ბულიონში, აადულეთ და დაასხით ღალდებს“ (როგორი ენაა ქართული, ზმნა „გაპტყვენით“ მთლიანად გამოხატავს საბრალო ღალდების მთელ უბედურებას“.).

და ერთიც, რთული და დახლართული სიუჟეტის რეცეპტი:

„ღასპინგი“

ექვსი ხბოს ფეხი ან ერთი მოზრდილი ხბოს თავი კარგად გააწმენდილი, გარეცხილი მოხარშეთ; ხორცი გამოაცალეთ, კვერცხსა და სუხარში ამოავლეთ, შეწვით. რაც ძვლები დარჩება, დაკუნეთ, ისევ იმ წვენში ჩაყარეთ და მიუმატეთ ხორცი, ქათმის ან ინდოურის ძვლები, ან კიდევ რისაც საცივი (მაიონეზი) კეთდება, იმის ძვლები და ხორცი; რაც უფრო დიდხანს იხარშება, იმდენად უფრო გემრიელია. ორი თავი ხახვი, ორი ძირი სტაფილო, ერთი ძირი ოხრახუში, ერთი ძირი ნიახური, ორი დაფნის ფოთოლი, ოცი ბაჟარი, მარილი, ესენი სულ ჩააყარეთ და კარგად ჩაიხარშოს, ქვაბი გადმოდგით და, როცა გაგრილდება, რასაც ქონს მოიგდებს, იმას მოხდით; ნახვარი ჩაის სტაქანი თეთრი ძმა-რი ჩაასხით ან ღიმონის ნერი, იმდე-

ნი სიმჟავე მიეცით, რომ გემო კარგი ჰქონდეს; ან სამი კვერცხი გატებეთ და ნაჭუჭიანად შიგ ჩააგდეთ, მერე ისევ ცეცხლზე შედგით და ნელ ცეცხლზედ იხარშოს, ხშირად და წყნარად მოურიეთ; ქვაბს თავი დახურეთ, როცა ღასპინგი დაინშინდება, საღვეტკში განურეთ და აადულეთ. დაწმენდილი ღასპინგი ითხო ჩაიქანი უნდა გამოვიდეს და, თუ ნაკლებია, ადულებული წყალი მიუმატეთ. ვისაც უნდა, რომ წითელი ფერი ჰქონდეს, წითელი წებოთი (ჟელატინით) შეღებეთ ან თრი ნატეხი შაქარი დაწვით და ის აურიეთ. თუ წმინდა ფერი არა აქვს, ისევ ჩაასხით ქვაბში და ერთი კვერცხის ცილა ჩააგდეთ, მერე კიდევ სალფეტაში განურეთ, თევზებზე დაასხით და დადგით ყინულზე ან ცივ ალინგის, რომ გაიყინოს“.

დესერტი გინდათ? აქ რას არ იპოვით, ნესვის ჟელე თუ ნუშის პლომბირი, შაქრიანი ვაშლის ფელამუში, ვაშლის პუდინგი და გოგრის ფაფა.

სოუსები? თეთრი და წითელი, ხახვის და მინივაშლასი, სოუსი ისპანა-ხის და სოუსი ქიშმიშის.

და მთავარი წესი ბარბარესაგან:

„უფროთხილდით, საჭმელი მლაშე არ მოგივიდეთ, საჭმელს მარილი ყოველთვის ცოტა უნდა უქნათ, დამატება ყოველთვის შეიძლება, მოკლება კი ყოვლად შეუძლებელია“.

აი, ასე.

PS. (გამოგონილი ამბავი)

ხალხში ღაბარაკობდნენ, რომ მამებისა და შვილების დაპირისპირების ჭეშმარიტი მიზეზი სულ სხვა რამ იყო, მეტიც, ზოგიერთი ამ მიზეზს უკილო პირზე ხელის მიფარებით და ცბიერი თვალების მოხუჭვით კონკრეტულად ასახელებდა კიდეც. თუმცა სინამდვილეში მხოლოდ ორმა ადამიანმა – თავადმა ილია ჭავჭავაძემ და კნეინა ჯორჯაძისამ იცოდნენ, რა მოხდა სინამდვილეში. რასაკვირველია, არცერთი არ ამხელდა.

ყველაფერი მანსვეტაშვილებთან გამართულ სადილზე დაიწყო. ილიაც იყო მიწვეული და ხანში შესული და დარბაისელი კნეინა ბარბარეც იქ სუფევდა თავისი განუყრელი ჩიხტიკო-

პით. საოცარი ქალბატონი იყო ბარბარე, საზოგადოების სული და გული, ქალთა ემანსიპაციისა და ჩალალაჯის საკითხებზე ერთნაირად გატაცებითა და გულმურვალედ მოსაუბრე, კარგი მოკამათე და დეკლამატორი. მისაღებ ოთახში ისხდნენ ის და მოხუცი კნეინა ბარათაშვილი. ბარბარე ახალი თაობის პოეტებზე ლაპარაკობდა დიდი სიყვარულით და ცოტა ამრეზით, ხოლო მის თანამოსაუბრე საზოგადოების ახალი ჭორები უფრო აინტერესებდა.

თანდათან, როგორ მოხდა, ვერცერთმა ვერ შენიშნა, საუბარმა მიმართულება შეიცვალა. ნაზუქის ცომით დაიწყეს და შიგთავსს როცა მიადგნენ, თავადი ილიაც შემოუერთდა. კნეინას უყვარდა განათლებული ახალთაობელები, ილიას კი დარბაისელ დედაქაცებთან საუბარი, მათი ქართულის მოსმენა.

თავიდან მშვიდად ბაასობდნენ, მერე კი, რომელილაც კერძის, რომელილაც ინგრედიენტზე მსჯელობისას, განინმატებულმა ბარბარემ ქართული კაბისთვის სრულიად შეუფერებელი მარაო ხმაურით დაკეცა, უცბად წამოდგა და ოთახიდან გასვლისას ილიას მიაძახა: „ამ ახალთაობელებს ენის ცოდნა როგორ მოგვითხოთ, ზრდილობა არ იცითო“.

ჰოდა, აქედან დაიწყო, რაც დაიწყო, ბედად, ერთმა თავადმა ერთი ცუდი რუსი პოეტი ცუდად თარგმნა, ილიამაც არ დააყოვნა, ილიას ნერილს გრიგოლ ორბელიანის პასუხები მოჰყვა, მერე აკაკიც შეეშველა თავისი გესლიანი კალმით, ათასი ლექსი, წერილი, გამოხმაურება თუ გამოცანა დაიწერა, მოკლედ, აირია მონასტერი.

არადა, სულ უბრალო მიზეზი ჰქონდა ამ ყველაფერს, ილიას საიდანაც ხელში ჩავარდნოდა ბარბარეს სამზარეულოს წიგნის ხელნაწერი და შენიშვნა მისცა, „ქაში“ კი არა, „ფაფა“ უნდა გენეროთო. კნეინამ იუკადრისა და შეეპასუხა, ილიამაც არ დაუთმო, ჰოდა...

რა უნდა ექნა, მისთვის „ქაში“ სხვა იყო, „ფაფა – სხვა, კიდევ სხვა „რძის ფლავი“ და „კორკოტი რძისა“.

სიტყვის ქალი იყო კნეინა ბარბარე. სიტყვების და გემოების.



ცუკერბერგის „სისტემა“

ავტორი: ანი ასათიანი

ტერმინი „სოციალური ქსელი“ გასული საუკუნის 30-იან წლებში გაჩნდა. ამერიკელი სოციოლოგები ადამიანებს შორის არსებულ ურთიერთობავშირებს სწავლობდნენ. ასეთ კავშირებს სოციოგრამების საშუალებით გამოსახავდნენ, რომელშიც ცალკეული პიროვნებები წერტილებით იყვნენ აღნიშნული, მათ შორის კავშირები კი – ხაზებით. ამ სახით ვიზუალიზებულ ადამიანთა საზოგადოებას სოციალური ქსელი დაარკვეს.

ტერმინმა მოგვიანებით სოციოლოგიდან ინტერნეტშიც გადაინაცვლა.

ბოლო ხანს ონლაინ სოციალზაფია დიდი პოპულარობით სარგებლობს, რასაც, თავის მხრივ, ინტერნეტის განვითარებამ შეუწყო ხელი. ამის მაგალითა თუნდაც Facebook-ი, რომლის მომხმარებლთა რიცხვმა 600 მილიონს გადააჭარბა, მისი შემქმნელი მარკ ცუკერბერგი კი ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერად იქცა.

ჩაქეცილი ვებ ეპოსისგან

სოციალურ ინტერნეტ სერვისებს თავად მომხმარებელი ამდიდრებს (youtube, blogger, wordpress, soundcloud, Fliker და სხვა). ერთ დღესაც მომხმარებლებმა ინფორმაციის განთავსება რომ შეწყვიტონ, ისინი არსებობას ვეღარ გააგრძელებენ. ამ სერვისებს ღია პლატფორმებს უწოდებენ. ისინი ერთმანეთთან ინტეგრირებულია. მაგალითად, soundcloud-ში განთავსებულ აუდიო ფილს ან youtube-ზე დადებულ ვიდეოს ხშირად იხილავთ ვინმეს ბლოგში

ან Facebook-ის კედელზე. თავად ამ სერვისებს ასეთი მიდგომა აქვთ: ინტერნეტი არის თავისუფალი სივრცე, ყველაფერი ყველგან ყველასთვის მისაწვდომი უნდა იყოს. ამ იდილიურ გარემოში Facebook-ი ცალკე დგას – ნებისმიერ სხვა სერვისში განთავსებული ინფორმაცია შესაძლებელია შემოტანო, ხოლო ის, რაც ამ სოციალურ ქსელშია განთავსებული ამავე სამყაროში რჩება. და დაპირისპირებებიც სწორედ აქ იწყება.

ცუკერბერგის გეგმვის

მარკ ცუკერბერგის გეგმები, Facebook-მა მთელი ინტერნეტი ჩაყლაპოს, ვირტუალურ სივრცეში მუდმივად ახალი ტერიტორიების დაპყრობას გულისხმობს. რაც, თავის მხრივ, ახალი და სხვების მიერ უკვე აპრობირებული სერვისების Facebook-ში გაჩინას მოიცავს.

სულ ცოტა ხნის წინ ონლაინ სოციალზაფიას ონლაინ ბაზრობა მოჰყვა (Marketplace). Facebook-ის აქტიურმა მომხმარებლებმა უკვე შეამჩნიეს ახალი ღილაკი, რომელსაც Marketplace ჰქვია და სოციალურ ქსელის ყველა მომხმარებელს სოციალურ ბაზრობაზე ეპატიუება.

ახლა კი ახალი პროდუქტი @Fmail ჩაერთო ელექტრონული გზავნილების კონკურენტულ გარემოში.

დღეისათვის ელექტრონული ფოსტის სამყაროში ერთ-ერთი უდაფო ლიდერი Google-ია, თავისი Gmail-ით. ახალი პროდუქტის გაჩინისთანავე გაჩნდა მოსაზრებები, რომ Fmail-ი Gmail-ს სერიოზულ კონკურენციას

გაუწევს და მას ჯიმეილის მკვლელიც (Gmail killer) კი უწოდეს.

უფრო კონკრეტულად, „ფეისბუკის“ ახალი სერვისი გულისხმობს არა ახალი ელექტრონული ფოსტის შექმნას, არამედ „თანამედროვე გზავნილების გავრცელების სისტემა“ (modern messaging system); რომელიც თავისთავში ჩატს, მოკლე ტექსტურ გზავნილებს და ელექტრონულ ფოსტას მოიცავს. ყველა ეს ფუნქცია მომხმარებლამდე ერთი ინტერფეისის საშუალებით მივა.

მარკ ცუკერბერგის მიერ გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, დღევანდელი ელექტრონული ფოსტა „ზედმეტად ფორმალური“ და ჩახლართულია.

„ფეისბუკის“ ახალი ტექსტური გზავნილების გამოყენებისას, აღრიცხვის მიზანი, რომ ზოგიერთი საკონტაქტო პირის მხოლოდ ტელეფონის ნომერი, ზოგის ელექტრონული მისამართი და ზოგის საერთოდაც არანაირი საკონტაქტო ინფორმაცია არ გახსოვს, საკმარისად Facebook-ის მეშვეობით დაწერო შეტყობინება და დანარჩენს ქსელი თავად გააკეთებს, თვითონ განსაზღვრავს მოკლე ტექსტური შეტყობინება გააგზავნოს მობილურ ტელეფონზე, ელექტრონული ფოსტით თუ ჩატის საშუალებით გადასცეს შეტყობინება ადრესატს.

„ფეისბუკის“ მეილ სისტემა (facebook/about/message/) ჯერჯერობით ბეტა მოხმარების რეჟიმშია და, როგორც ჩანს, ძალიან მალე ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდება.



პრომეთის ვოიაჟი, (ყოფილი სეულის ვოიაჟი), ბორჯაზობი

ტექნიკური მოგზაურობას **საფრანგეთში**
და პომპინიებულ ტექნიკას ცვრცის სხვა კვეყნებში:
შვეიცარია, ჩრდილოეთი იტალია, ციხესიმაგრე, ვენეცია

• თვითმფრინავისა და მაკაჟების ბილეთები
• საექიუიტო სასტუმროები

• ქანსფერები და ავტომობილის ღაქისავება
• ცნობილი ჩესტომინები და კაბაჟები

• ინტერაქტუალური ექსკურსიები



მოინკავთ საოჯახო ცენტრი
და აჩერეთ თქვენს შვილებს ღაუვინაში ღლები
პარიზის ღისნეიის ნორდინი!

611 ცვერან



ლიკაბელის შემთხვევაში: სასტუმრო საუზმით 3 ლამით და 4 ლოს პარკის ბილეთები მნ კფერს და ექიმ ბავშვზე

კოსტა-გრანდის 45ს, სასტუმრო "ვაშაზი", მუ-2 სახთელი, 221425, 221426, 890 221425

info@promethea-voyages.com, nato-cgvt@voyages.com.ge

www.promethea-voyages.com, www.cgvt-tbilissi.ge

ბავშვები და სკოლა

დალი ცაავას მოსაგონარი

ბავშვობაში წაკითხული წიგნებიდან ერთი განსაკუთრებით მიკლავდა გულს – ავტორი აღარ მახსოვრს, ლევ ტოლსტოის რომელიდაც მოსწავლის მოგონებები იყო იასნაია პოლიანას სკოლის შესახებ, სადაც გრაფი გლეხების გოგო-ბიჭებს წერა-კითხვას და ანგარიშს ასწავლიდა. დავხუჭავდი თვალებს და წარმოვიდგენდი, რა კარგი იქნებოდა, ასეთი მხიარული და კეთილი მასწავლებელი რომ მყოლოდა.



ავტორი: ნინო ბერიძე ვალი

ბავშვს სრულად რომ უსაროდეს, ყველაზე მიზად სამი რამ შეიჩრდება –
ადამიანური სიტყო,
სამართლიანობის
განცემა და არჩევის
თავისუფლება.
ეს კი სწორებ
მასწავლებელთა
უდეა
უზრუნველყოს.
დღევალებ
საქართველოში,
წარმოუდგენელია
არასტაციარჩული
და საინიციატივო,
დალი ცაავასნაირი
ადამიანების
სკოლაში მიზიდვა.

სკოლა მძულდა. თუ შემეძლო, ვაც-დენდი, თუ არადა – 2 საათამდე სულელი მასწავლებლებისთვის უნდა გამეძლო. ერთი-ორი ნორმალური მასწავლებელი სურათს ვერ ცვლიდა. ყველაფერი ისე იყო, როგორც იმ ქვეყანაში უნდა ყოფილიყო, სადაც ვცხოვრობდი. სულ არ გამკვირვებია სკოლის დამთავრებისას მასწავლებლების უმეტესობამ ნეილონის პერანგების და ფრანგული სუნა-მოების სანაცვლოდ უპრობლემოდ რომ დაუწერა მაღალი ნიშნები ჩემს სამოსან თანაკლასელებს. კიდევ ბევრნაირი უსამართლობა ხდებოდა, მაგრამ არაფერი მაკვირვებდა. მივეჩივი.

ნამდვილი ცხოვრება სკოლის მერე იწყებოდა – მეგობრები, წიგნები, თეატრი, ოპერა, კინო. მოკლედ, ვცდილობდი, რაც სკოლაში მაკლდა, გარეთ შემევსო და გამომდიოდა კიდეც. თან შვება ისიც იყო, რომ ჩემ მშობლებსაც ასეთივე დამოკიდებულება ჰქონდათ სკოლის მიმართ – ნიჰილისტური და ცოტათი აგდებული. ხედავდნენ, უსაქმოდ არ ვიყავი და სკოლას ხანდახან ავადმყოფობის გარეშეც მაცდენინებდნენ ხოლმე.

როცა ჩემი უფროსი შვილი 6 წლისა ხდებოდა, გულდასმით დაგინეჟე სკოლის ძებნა. მაშინ არც სკოლების ბრენდირება არსებობდა, არც ერთიანი სასწავლო გეგმა და როგორც ჩემი მეგობარი მიმტკიცებდა, სამინისტროში ისიც კი არ იცოდნენ, სულ რამდენი საშუალო სკოლა იყო ქვეყანაში.

1996 წელი იდგა. სკოლის ძიება მთელი თავგადასავალი იყო: ჯერ ერთ კერძო, ძვირადლირებულ, მართლმადიდებლურ სკოლაში მივედი, სადაც ყველა კლასში წვერებიანი კაცი დამხვდა და შევშინდი. არც არავის გავსაუბრებივარ, ისე გა-

მოებრუნდი უკან. მეორეგან, იტალიურ კერძო სკოლაში დირექტორი მესაუბრა იმაზე, როგორი ძვირფასი ფარდები იყიდა ახალი სასწავლო წლისთვის და რამდენს ხაჯვაეს სკოლის მოსართავად, მესამეგან კიდევ უარესი – ზუსტად ისე-თივე სულელი დამხვდა, როგორიც ჩემი სკოლის მასწავლებელთა უმტესობა იყო, ცარიელი მზერითა და დაზეპირებული ტექსტით.

საბოლოოდ, ისევ საჯარო სკოლაზე შევაჩერე არჩევანი – ბროსეს ქუჩის „მე-ექვსე გერმანულზე“ და მგონი, არც შევმცდარვარ.

მესამე კლასში ჩემ შვილს „სამშობლო ხევსურისა“ ასწავლეს და დასაწერად მისცეს თემა „რატომ მიყვარს ჩემი სამშობლო“. დაახლოებით ამგვარი რამ დანერა: სამშობლო კი ძალიან მიყვარს, მაგრამ რომ გავიზრდები აუცილებლად ვისწავლი ინგლისურს, წავალ ამერიკაში და ისეთ ქალაქში ვიცხოვრებ, სადაც სულ არის დენი და ბავშვებს მულტფილმების ყურება მაშინ შეუძლიათ, როცა მოესურვებათო. კიდევ ეწერა იმაზე, რომ ამერიკაში აქვთ დისნეი-ლენდი, გათბობა და სკოლებში ბავშვები არ იყინებიან. დოდად სასაცილო რამ იყო ეს თემა, გული მწყდება, რომ არ შევინახე. მოკლედ, არაფერი ეწერა სამშობლოს სიყვარულზე და იმაზე, რომ თავის სალკლდებს სხვა ქვეყნის სამოთხეზე არ გაცვლიდა, უფრო პირიქით. სანამ გადაათეთრებდა, წამაკითხა. მე შევაქედა ვუთხარი, რომ მაინტერესებდა, რას ეტყოდა მასწავლებელი.

მასწავლებლის იმედი ნამდვილად მქონდა. ვიცოდი, არ გაყიცხავდა და არ დაუწყებდა ნოტაციის კითხვას იმის შესახებ, რომ სამშობლო აუცილებლად

კოდა

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამათული თეატრი

www.marjanishvili.ge



ილია ჭავჭავაძე

მაზარის ცერიტუაჲი

რაჟისორიანი
თამარ ჩხეიძე
დიმიტრი სვიტისიაშვილი

მოადილაობა:

თანაის არჩევაპი
გივი ბარიკაზვილი
გიგა გურჯანიაპი
დავით დვალიშვილი
რობერტ რეროვილიძე
ზვიად სეირტლაპი

ვარჯანიშვილის დ.მ.ზ რედ.: +995 32 95 59 66 / 47 57 68 (საქართველო);
+995 32 95 35 82 (სამხრეთი კავკასიონი);
ტელე: +995 32 55 40 01

www.marjanishvili.ge
www.facebook.com/Marjanishvili.Theatre

უნდა ყვარებოდა. დალი ცაავა არა-ორდინაციური ადამიანი იყო, მშობლებთან – ცოტა უხეში და მკაცრი, მოითხოვდა რაღაც წესების დაცვას, რასაც მაშინ ცოტა თუ იცავდა. მა-ხსოვს, საშინლად ბრაზობდა, თუკი ვინმე გაკვეთილზე აგვიანებდა – ყველამ ვაცოდით, დაგვიანებულებს კლასში არ უშევებდა. მოსწავლებ-თან – ერთდროულად მოსიყვარულე და თბილი. ისიც მინახავს, დალის დანახვაზე როგორ გაეკვრებოდნენ ხოლმე კედელზე შატალოზე გამოსული უფროსკლასელები. ბავშვებს ძალინ უყვარდათ და ჩემ შვილს სკოლაში სიარული სულ უხაროდა ხოლმე, სანამ დალი ასწავლიდა.

რამდენიმე დღის მერე სკოლაში

ძალიან გაიხარა, შინ დამპატიურა და ეს ყველაფერი მაჩვენა. მერე, მოგვიანებით გავიგე, რომ თურმე თვითონაც მშვენიერ ლექსებს წერდა.

რას აკეთებდა დალი ცაავა განსაკუთრებულს, როცა ის კლასში ბავშვებთან მარტო რჩებოდა, არ ვიცი, ეს მხოლოდ შემიძლია ვივარაუდო. მაგრამ ის ნამდვილად გამორჩეული ადამიანი იყო: საინტერესო, ღრმა, განათლებული, ცოტათი – ახირებულიც. მაშინ განათლების სისტემაში სრული განუკითხაობა იყო და დალი ამით კარგად სარგებლობდა – პროგრამას თავად ადგენდა, გარდა წერა-კითხვისა, უამრავ რამეს ასწავლიდა ბავშვებს – ბერძნული მითოლოგით დაწყებული, ბიბლიური

დღეს ქართულ საჯარო სკოლებში ბავშვები იმ მასწავლებლების პირის-პირ რჩებიან, რომელთაც ჯერ კარგად ვერ დაივიწყეს ძველი, ახალი ხომ ვერა და ვერ ისწავლეს. თანაც ეს „ახალი“ ძალიან განსხვავდება იმისგან, რაც რამდენიმე წლის წინათ დაიწყო: თუკი მაშინდელი განათლების სამინისტრო დემოკრატიისა და პუმანიზმის დანერგვას ცდილობდა სკოლაში, დღევანდელ ბავშვებსაც და პედაგოგებსაც პოლიციური მეთოდებით ეპრძვის. რა ღირებულებები აქვთ მასწავლებლებს, რატომ მიმართავენ ისინი ძალადობისა და დაშინების პრაქტიკას, ეს არავის ანუხებს, ამ საკითხებს არავინ იკვლევს, ამაზე საერთოდ არ საუბრობენ. როცა მან-

როცა მაცლატურის ინსტიტუტი შემოგვარებელი, არ გვიმსჯებია, რამ გამოიწვია ბავშვებში აგრესისა და ძალადობის მატება. იქნებ ამის მიზეზი ჩვენ – უფროსები, მშობლები და მასწავლებლები (ანუ ოჯახი და სკოლა) ვართ? თავისით, ციდან ძალადობა და აგრესია არ ჩნდება.

რომ მივედი, დალიმ გამაჩერა და მითხვა, ძალიან სწორად ზრდი შვილს. რაც მთავარია, ბავშვს თავისი აზრების გამოხატვა თამამად შეუძლია, მაგრამ მე ჩემი ისტორია მაინც მოვუყევი და ვუთხარი, როგორ დავბრუნდი პეტერბურგიდან ოცნლიანი ცხოვრების შემდევ აქ, სწორედ იმიტომ, რომ ქართველი ბავშვებისთვის მესწავლებინაო.

დალი ცაავას პეტერბურგიდან ნამდვილი სიმდიდრე ჰქონდა წამოლებული – ანა ახმატოვას ნაჩქარი პატარა ჩანთა და თავისი ახლო მეგობრის, ისიც ბროდსკის ამერიკიდან გამოგზავნილი ავტოგრაფიანი წიგნები, ღია ბარათები და წერილები. ბროდსკის ემიგრაციაში წასვლის შემდეგ პოეტის სხვა მეგობრებთან ერთად ისიც ულიდა და პატრიოტიდა მის მოხუც, მარტოხელა მშობლებს. როცა გაიგო, ბროდსკის ლექსები მიყვარდა,

სიუჟეტებით დამთავრებული. ჩემი შვილი დღემდე იმეორებს, რომ არ შეხვედრია „დალიმასზე“ უფრო საინტერესო და მაგარ ადამიანს, რომ ყველაფერი, რაც უსწავლია, დალი მასწავლებლისგან იცის.

ხშირად ვფიქრობ, დალი ცაავა ცოცხალი რომ იყოს, შეძლებდა თუ არა დღევანდელ საჯარო სკოლაში მუშაობას. მგონი, გაუჭირდებოდა. ვერ შეეგუებოდა ვერც ამდენ დირექტივას და ვერც მანდატურს, რომელიც შეიძლებოდა შუა გაკვეთილზე შევარდნოდა და გაეკონტროლებინა, ვის ჩაუწერა „არა“ და ვის – არა. მანდატურს ერთს გემრიელად მიალანდავდა, აქტსაც დაუწერდნენ და გააგდებდნენ კიდეც. ვინ გამოესარჩებოდა? მას არ სჭირდებოდა არავინ – მიისურავდა კლასის კარს და თავად აგვარებდა ყველანაირ პრობლემას.

დატურის ინსტიტუტი შემოგვქონდა, არ გვიმსჯელია, რამ გამოიწვია ბავშვებში აგრესისა და ძალადობის მატება. იქნებ ამის მიზეზი ჩვენ – უფროსები, მშობლები და მასწავლებლები (ანუ ოჯახი და სკოლა) ვართ? თავისით, ციდან ძალადობა და აგრესია არ ჩნდება.

ბავშვს სწავლა რომ უხაროდეს, ყველაზე მეტად სამი რამ სჭირდება – ადამიანური სითბო, სამართლიანობის განცდა და არჩევნის თავისუფლება. ეს კი სწორედ მასწავლებლმა უნდა უზრუნველყოს. დღევანდელ საქართველოში, სადაც მთავრობას არა და არ ემეტება ფული განათლებისთვის, ხოლო სამინისტრომ არჩევანი განათლების ავტორიტარულ მართვაზე გააკეთა, წარმოუდგენელია არასტანდარტული და საინტერესო, დალი ცაავასნაირი ადამიანების სკოლაში მიზიდვა.

თავის ჩილდენთან შებ
ძლობორ შეხერხს ეს გენერაცია...

...ძალით Pampers Premium Care
აუკან შებს ყსნს.



სხვა Pampers Premium Care მიღმომავალი შეცვლილი DryMax, უფრო მშრალი რა,
აძლევ იმით, 20%-ით თხერთ. ეს ჩვენი
უკრატები მშრალი რა თხერთ ციფრის. ას რით
უძრავი სრული შეცვლა 6 წელის შემდეგ.

Pampers
Premium
Care™

კომპიუტერული თამაში: „სიმინდის რესპუბლიკა – 2015“

ეს არის ვირტუალური თამაში.

თამაში ლანდშაფტურია. ეკრანზე ჩანს მთა-გორები, ალაგ-ალაგ - ტყეები, მდინარეები, დასავლეთით წყლის დიდი რეზერვუარია. ტერიტორიაზე, სადაც თამაში უნდა განვითარდეს, 5 მილიონი ადამიანი იცხოვრებს და თამაში ყველა ჩაერთვება, რადგან ინტერნეტი ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნება.



კვლევითი სამუშაო

ଧାରାତଳ୍ଲୋହିଲେ
ମନୋଦେଖିବୁ କାହାରାଙ୍ଗ
କଲ୍ପନାଶବିଲୀ,
ରମାଲ୍ଲସାମ ଟିକୁ
ଶ୍ରେଷ୍ଠରକ୍ଷାଶଳ
ବାସନାତଳ୍ଲାକଲ୍ଲାଲ
ଅନ୍ତରାମକିଲାବୁ 400
ଏକଟାହାଲ୍ଲୀ ପ୍ରମଲେ
ବେଲ୍ଲଜାସାମ,
ଶାଲ୍ପକାରିପ ପଢ଼େଲ୍
ଧିତ୍ତବୁଦ୍ଧି ପଥକିଲୁବୁ,
ଶାଲ୍ପକାରିପ ଶ୍ଵାଲୋତିଲା
ଏବଂ ପ୍ରମଲ୍ଲାଦେହିଲେ
ମେହାବୁ ପ୍ରମଲ୍ଲୋହି
ଉଦ୍ଧା ଧାରାତରିଲେ ଲା
କେଲ୍ଲା କିଲ୍ଲେବେ କିତିକ
କୁଟିଲେଲେ କରନନ୍ଦାରା,
ରମାଲ୍ଲସାମ ମନୋର
ଶ୍ରେଷ୍ଠରକ୍ଷାଶଳେ
ରୂପକର୍ଣ୍ଣାନ୍ତିରୀ,

თამაშის პერსონაჟები უმთავრესად
იცხოვრებენ დიდ ქალაქებში. მხოლოდ ცო-
ტანი იქნებან სოფლად, მაგრამ სოფელი
იქნება აყვავებული. ყველანი საერთაშო-
რისო სტანდარტების გზებით ივლიან. და-
დაქალაქიდან წყლის დიდ რეზიუმუარამდე
რკინიგზასაც გაიყვანენ და მატარებლები
125-130 კმ/სთ სიჩქარით იმოძრავებენ.

ტერიტორიის შუაგულში ერთი დიდი
ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა განთა-
ვსდება. იგი მთლიანად დააკმაყოფილებს
ტერიტორიის მოთხოვნებს და ჭარბ პრო-
დუქტსაც შექმნის. 17 პიდროველექტრო-
სადგური უკვე აშენებული იქნება და 13
კი – მშენებარება. სასმელი წყალი 24 საათის
განმავლობაში მიენოდება კველა მონაწი-
ლეს. სათამაშო ტერიტორიის 70 პროცენ-
ტი გაზიფარირებული იქნება.

თამაშის პირობება გაზრდილი ბიუჯეტი
და შემცირებული უმუშევრობა. კომპიუ-
ტიურული ქსელის გადატვირთვის საფრთხეები

განვითარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი
თამაშში ჩაერთვება დამატებით 5 მილიონი
ვიზიტორი, რომელმაც ერთი წლის განმა-
ვლობაში უნდა მოინახულოს ეს ტერიტო-
რია.

აქ არ იქნება კორუფცია. ფიანსთა მინისტრი, 26 წლის თამთა ხარებავა შენუებული ამბობს: „შეიქმნა განცდა, რომ სახელმწიფოს მხოლოდ დასჯა შეუძლია და არ შეუძლია თანამშრომლობა“. მან წინა ცხოვრებაში რეკორდი დაამყარა: ერთ იმპორტიორს შემოტანილი ტვირთი 6 წუთში განებარა.

ტერიტორიაზე მონოპოლიებს გერმვიან, თუმცა მანიც არსებობენ ცუდი ბიჭები: კახა და ნუჯბარი წინა თაობის თამაშიდან დარჩენ. პეტრე და ივანე ახლები არიან. ცუდ ბიჭებს კარგი ბიჭები მოერევიან და ეს ტერიტორია ბიზნესის კეთების სიმარტივის საუკეთესო ათაულში შევა.

ეს ტერიტორია თავისუფალი ვაჭრობის



ხელშეკრულებას გააფორმებს ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ევროკავ-შირთან. ამ ფაქტით შეძრული კემპრი-ჯელი პროფესორი პიტერ რუთსი პა-ტარა სოფელში, პირობით სახელით სიმონეთი, შემოსაზღვრავს 6 კვადრა-ტულ მეტრ მიწას, ჩაარჭობს ბრიტა-ნეთის დროშას და დაწყებს ასკეტურ ცხოვრებას.

განათლების მინისტრი ქეთევან კლი-მიაშვილი, რომელსაც წინა ცხოვრება-ში მასნავლებლად მუშაობისას 400 ერ-თეული ჰქონდა ხელფასად, ცალკერდ ძველ ბიჭებს ებრძვის, ცალკერდ შვე-დეთისა და ჰოლანდის მსგავსი სკო-ლები უნდა გააკეთოს და ახლა კიდევ პიტერ რუთსის პრობლემა, რომელიც მიწიერ ცხოვრებას უნდა დაუბრუნოს.

იქნება იგი. ერთი ვერსიით, პრემიერ-მინისტრი გახდება; მეორე ვერსიით, პარლამენტის თავმჯდომარე; არის მე-სამე ვერსიაც: საერთოდ, დეპუტატიც კი არ გახდება და მხოლოდ მმართველი პარტიის თავმჯდომარედ დარჩება. სა-დაც უნდა იყოს, მის მიერ შექმნილი და დაპატენტებული ვირტუალური თამაში მას უდიდეს სიამოვნებას მოჰკვრის.

2011 წლის 11 თებერვალს მან პირ-ველი ექსპერიმენტი ჩაატარა საქარ-თველოს პარლამენტში. ექსპერიმენ-ტი წარმატებული გამოდგა, რადგან ვირტუალური თამაშის პრეზენტა-ციისას უზრუნველყოფით მას 33-ჯერ გა-ანწყევებინა სიტყვა ტაშით. ამ ექსპე-რიმენტს ყველა საერთო-ეროვნული არხით უყურებდა საქართველოს მო-

რეპლიკას მოჰყვა პირველი აპლოდის-მენტი.

1989 წელს ევროპაში სიმინდის ყვე-ლაზე დიდი ექსპორტიორი ქვეყანა რუმინეთი იყო. ამ ქვეყანაში გზებსაც აგებდნენ, დენსაც და წყალსაც შეუ-ფერხებლად აწვდიდნენ მოსახლეო-ბას, საავადმყოფოებსაც აშენებდნენ და სახელმწიფო ლამის საგარეო ვალ-საც კი ისტუმრებდა, თუმცა ნიკოლაე ჩაუშესკუს თავის სამფლობელოში არ ჰქონდა ორი რამ: თავისუფალი სასა-მართლო და თავისუფალი მედია. სწო-რედ ეს აღმოჩნდა საბედისნერო მისი რეუმისთვის.

თანამედროვე დემოკრატიას სა-სიცოცხლოდ სჭირდება ეს ორი ინს-ტიტუცია. მხოლოდ ამ შემთხვევაში

აქ არ იქნება კორუფცია. ფინანსთა მინისტრი, 26 წლის თამთა სარებავა შეცუხვებული ამბობს: „შეიძლო გაცდა, რომ სახელმიწოდებელი მენეჯერი და არ შეუძლია თანამთხოვოლობა“. მან ნინა სხოვარებაში რეკორდი დაამყარა: ერთ იმპორტიორს შემოტანილი ფინანსთა მინისტრი 6 წელში განებაშა.

ტერიტორიაზე 2,5 მილიონი ადა-მიანია დაზღვეული. 5 მილიონი ნაფი-ცი მსაჯულია, მაგრამ სასამართლო არ არის. სამაგიროდ, არის ციხე, რომლის მინისტრი ხათუნა კალმახელი-ძე სრულწლოვანი გახდა. თამაში კი-დევ რამდენიმე მინისტრი მონანილეო-ბს. მაგალითად, მინისტრი გოგოლაძე პიბრიდული სიმინდის თესლის იმ-პორტზე იმუშავებს, ხოლო მინისტრი მაჭარაშვილი – ამ თესლით მონებული მოსავლის ექსპორტზე. მას ეკუთვნის სხვა რეკორდი – 8,5 ტონა სიმინდი ერთ ჰქექტარზე.

შინაგან საქმეთა მინისტრი ამ თა-მაშში არ იკითხება. იგი სხვა თამაშ-ში ჩარჩა, სახელად „პოლიცია“. ახლა პროგრამისტთა მთავარი ამოცანაა, ამ ორი თამაშის ბმული გამართონ.

2015 წელს მიხეილ სააკაშვილი სა-ქართველოს პრეზიდენტი აღარ იქნება. ყოველ შემთხვევაში, მას ამას კონსტი-ტუცია უკრძალავს. არავინ იცის, სად

სახლეობა, რომელსაც მიხეილ სა-აკაშვილმა თავისი პრეზიდენტობა მიუძღვნა და თავიც მოუქონა: „მათი სათქმელი მინდა ვთქვა, მინდა მოვი-ტანო მათი იმედები და მოლოდინები, მინდა ვისაუბრო მათ პრობლემებსა და გასაჭიროზე.“ ეს იყო პირველი სა-დღეგრძელო. მეორე სადღეგრძელო ბოლოს თქვა. იგი მოდერნიზაციას ეხებოდა. ორ სადღეგრძელოს შორის იყო ვირტუალური თამაშის აღნერა: რა იქნება 2015 წელს?

თუ არ ჩავთვლით 20-ლარიან ელე-ქტროენერგიის ვაუჩერს, 30-ლარიან სასურათო ვაუჩერს და გაჭირვების ჩასაცხრობად აკუმულირებულ 150 მილიონ ლარს, მიხეილ სააკაშვილს ახლანდელ გამოწვევებზე არ უსაუ-ბრია. ტოტალური საფინანსო კრიზი-სის ფონზე დიდ წარმატებად შეაფასა პარლამენტმა პრეზიდენტის რეპლიკა: „წელს საქართველო სიმინდის ექსპორ-ტიორი ქვეყანა გახდება“. სწორედ ამ

გახდება სახელმწიფო კონკურენტუნა-რიანი. სიმინდის რესპუბლიკების დრო ისტორიას ბარდება და მათი ადგილი მხოლოდ ვირტუალურ სინამდვილეში-ლა თუკი რჩება. მიხეილ სააკაშვილს სწორედ ამ ორ ფაქტორზე არ უთქამს არაფერი. არც აწმყო და არც მომავალ დროში. თუ არ ჩავთვლით მხოლოდ ერთ წინადაღებას, რომ „სასამართლო შეჯიბრებითობის პრინციპზე იქნება დაფუძნებული“. მისთვის ეს თემები ტაბუირებულია.

ეს თემები საზოგადოებამ უნდა გა-დაარჩინოს და მოიპოვოს თავისუფალი მედია და თავისუფალი სასამართლო. წინააღმდეგ შემთხვევაში, რეალური სიმინდის რესპუბლიკა თავისი მწარე რეალობით გადავა ვირტუალურ მომ-ხსნებულ თამაშში, რომელიც მიხეილ სააკაშვილის ფანტაზიის დახმარებით აღვენერე.

არ გამოგვეპაროს: თამაში უკვე რენ-დერზეა გაშვებული.



ტულიშსა და წულიშს მორის ორი დღე ფოცხო-ენერის დასახლებაში

ავტორი: ნინო ლომაძე

ფოტო: მარიკა ქოჩიაშვილი

„აი, აქედან რომ იყურები, თითქმის მთელ წყალსაცავს ხედავ. როცა ქარი არაა, კაშალზე დგომას არაფერი სჯობია. 270 მეტრია, ხომ იცით? ჰოდა, დგახარ ამ ორ თაღს შორის, ზედა კიდეზე და მთელ ხეობას ჩაჰყურებ. ეს ენგურის მდინარის ზედა ნაწილია, ყველაზე წყალუხვი. ზაფხულში წყალი თითქმის პირამდე აღის. მოჩანს კიდეც წყლის ზედა ზღვარი თაღზე და ქედებზე, კლდეს ფერი აქვს შეცვლილი. 30 კილომეტრში უკვე გალის საზღვარია. იმ მნერეგვალის პირდაპირ კი, ფოცხოა, ადგილი, რომელიც ძალიან შეიყვარეთ ბოლო დროს უურნალის-ტებმა“, – ამბობს გიორგი, ენგურჭესის თანამშრომელი და ჩვენი მასპინძელი. ფოტოგრაფი და მე, გიორგისთან ერთად, კაშალზე ვდგავართ. ფოცხო-ენერში რომ მოვდიოდით, ენგურჭესზე ასვლა არ გვიფიქრია. იქ რომ ხვდები, მისკენ, უბრალოდ, უნებურად მიდიხარ, ენერგიას წყარისკენ მიაჰვები. გრძნობ, ეს ერთადერთი დინამიკა გარშემო. წყალგარდნილი თუ ღიაა, წყლის ხმაური მთელ ხეობას ედება. სხვა დროს შიშველი ტულიშისა და წუ-

ლიშის მთებს შორის მოქცეულ ხეობაში გამაყრუებელი სიჩუმეა.

ჩვენ აქ მედიის ისტერიას გამოვყევით. გვინდოდა გვენახა, როგორ ცხოვრობენ ადამიანები ადგილას, რომლის შესახებ ყველა ურთიერთგამომრიცხავი ისტორია ერთად არსებობს. რომელიც ხან უხვეოსავლიანი მიწაა და ხან სალი კლდები და ქვა-ლორდი, ხან თანამედროვე სტანდარტის საცხოვრებელი სახლებია და ხან ჩამოქცეული „რემონტი“, ხან განვითარების პერსპექტივა და ხან სამყაროს დასასრული. რაც მთავარია, გვინდოდა გვენახა ხალხი, ვისაც უკვე ოცი წელია მხოლოდ საკუთარი სტატუსი ჰქვია და ახლა აქვს შანსი, ბოლოს და ბოლოს, იქცნენ დამოუკიდებელი საქართველოს სრულუფლებიან მოქალაქეებად.

გადასახვევთან, გზის შუაღულში, პატარა მოედანზე რკინის ძველისძველი, დაუანგული ტრაფარეტი დაგას. კარგად თუ დააკვირდი, აქა-იქ გაცრეცილ ასოებს შეაკონინებ და „ფოცხო-ენერს“ ნაიკითხავ, იქვე კოპნია



საბჭოთა კავშირის გერბსაც მოჰკრავ თვალს. მზანი ამინდია. ქუჩის მარცხენა მხარეს დაბალი ღობით შემოსაზღვრული ენგურპესის სასტუმრო დგას, ცარიელი დაცვის ჯიხურით. მარჯვნივ ქუჩა სამად იყოფვა. ორივე მხარეს ფერადი ოთხსართულიანი საერთო საცხოვრებლები დგას, ალაგ-ალაგ შეურემონტებელი შენობებიც გვხვდება. ეს დასახლება 60-იანი წლების დასაწყისში აშენდა. მაშინ, როდესაც ნიკო ნიკოლაძის ოცნების პროექტის, „ქართული ტექნიკური აზროვნების ისტორიაში ყველაზე თამაში ჩანაფიქრის“ ენგურის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის მშენებლობა დაიწყო. უზარმაზარ მშენებლობას სამი ათასზე მეტი მუშახელი სჭირდებოდა. დასახლების გასაშენებლად კაშხალონან ახლოს, ტულიშის მთის ძირი შეირჩა, ძლიერი ქარებისაგან შედარებით მოფარებული ადგილი.

„წამობრძანდით, ნანა კვაშილავას გაესაუბრეთ, ჩამოსახლებული დევნილების გასაჭირს, პრობლემებს, ყველაფერს ის მოგიყვებათ, – გვირჩევს ახალგაზრდა კაცი, ბირველი, ვისთანაც გამოლაპარაკებას ვဖდილობთ.

ოთახი, სადაც ნანა კვაშილავას ვესაუბრებით, ნელნელა ხალხით იქსება. დასაჯდომი ადგილი აღარ არის, ამიტომ ნანილი ფეხზე დგას და ნანას საუბარს ყურადღებით უსმენს. ნანას ოჯახი ერთ-ერთია თვრამეტიდან, რომელიც დევნილების განსახლების პირველ ტალღაში მოჰყევა და აგვისტოში თბილისიდან ფოცხო-ენერგიი ჩამოასახლეს. მეშვიდე თვეება, აქ ცხოვრობენ.

იქ რომ ცვლაბი, მისეან, უპარალოდ, უნებურად მიღინარ, ენერგიას წყაროსავე მიჰყვები. ბრძობა, ეს ერთადერთი დინამიკაა გარშემო. წყალვარდილი თუ ლიან, წყლის ხაური მთალ ხორბას ელეგა. სხვა ლროს შიგველი ტულიშისა და წელიშის მთაბს ზორის მოძალულ ხორბაში გამაყრულებელი სიჩუანა.

„მე რასაც ვლაპარაკობ, იმას უარყოფითი დებატები არ უნდა მოჰყევეს. ეს ორივე მხარისთვის – ოპოზიციის-თვის და მთავარი ღრძილისთვის – მთავრობისთვის კარგი უნდა იყოს. მე რომ ვიცი ისე, მაპატიეთ, მაგრამ ბევრმა არ იცის, – იწყებს საუბარს ნანა, – ეს ოთახი ყურადღების ცენტრშია, – ახლა ვხვდები, რომ ოთახი მეც მეცნობა, ტელე და ფოტორეპორტაჟებში მაქვს, ალბათ, არაერთხელ ნანახი, – დახმარება რომ მოდის, აქ ვიყოფთ ყველა. დახმარება აგვისტოში ჩამოსულ, „ახალ“ დევნილებს გვჭირდება. ოორემ, ვინც თითქმის ოცი ნელია აქ ცხოვრობს, ანწყო უკვე ცხოვრება. შიმშილით მიკვდება დედა და ძმისშვილი. სხვები მოპირკეთებული სახით და ინსცენირებული ცრემლით ცდილობენ სალხის მოტყუებას. მაპატიეთ, მაგრამ არის ორი მხარე, ვინც მართლა შიმშილობს და ისინი, ვინც ზედმეტ ლუკმას ელოდებიან,



– ჩქარა და დამაჯერებლად საუბრობს, წინ, მაგიდაზე საბუთები უწყვია, პერიოდულად ფურცლებს ხელში ათამაშებს, – ცოტა ხნის წინ, ტიმო მაჯასარიც, გაეროდან, ამ ოთახში იყო. ასე თქვა, ფოცხოს შესახებ პირველად ახლა გავიგეთო. ლტოლვილთა სამინისტროში გვითხრეს, ადრე მითვისებულ ოთახებში ცხოვრობდნენ. ჩვენ კი ხალხი სამეგრელოს დავუბრუნეთო, – ასე თქვა ტიმომ, სამინისტრო თავს ამით იმართლებსო.

უურნალისტებისა, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლების ტელეფონები ერთ დიდ დავთარში უწერია. როდესაც „ძალიან გაუჭირდებათ ხოლმე“ რევენას იწყებს. „სხვა ჩვენ არაფერი შეგვიძლია“. ნანა ჩქარობს, ცდილობს არაფერი გამორჩეს. უკვე იცის მედიასთან ურთიერთობა. არც ერთი

„ქალიან დავილალეთ. ქალა ალარ გვაქვს. ერთი კილო შაქრისთვის ერთმანეთს ხოსავენ უკვე. გვერდში დადგომის თავის ალარ გვაქვს. შიგვილია, რა უდეა მოსთხოვო? ჩვენ ჯერ იმის დაჯერება გვინევს, რომ ანი აფხაზეთზე გარჩო ლამაზ სადღეგრძელოვაზი ვილაპარაკებთ. ასეა, დავრჩით სამუდამოდ ლიტოლვილებად“

შანსის ხელიდან გაშვების უფლება არა აქვს. მწყობრად ჩამოთვლის: „სამუშაო არ არსებობს, უახლოეს მომავალში არც არაფერი გაჩინდება. ერთადერთი იმედი აქ კაშხალი იყო, სადაც დამატებითი მუშახელი არ სჭირდებათ, ადგილობრივებიც ჰყოფნით. ყველაზე ახლო ქალაქ ჯვარში ხალხი თვითონ უმუშევარია, მიწას ამუშავებენ და იმით ირჩენენ თავს. ფოცხოში ქვა-ლორლიანი ნიადაგია. მაგრამ ეს ქვა-ლორლიანი მიწაც არა აქვთ. მხოლოდ დევნილის დახმარების იმედზე არიან (სულზე 22 ლარი). ზუგდიდამ-დე მგზავრობა 5 ლარი, ჯვარამდე 3 ლარი ჯდება. დედა და ძმისშვილი ორივე სასწრაფოდ საოპერაციო არიან. აქ დიდხანს ვერ დარჩებიან. სახლების დაკანონებაზე ხელს თვრამეტიდან არც ერთი ოჯახი არ მოაწერს“.

ცოტა ხანში სიტუაცია მძიმდება. ვიღაცები უკვე უნდობლად გვიყურებენ, თითქოს ჩვენს „უსარგებლობაში“ რწმუნდებიან. ჩვენი წასვლის შემდეგ მათ არაფერი დარჩებათ. ჩვენ მხოლოდ მოსასმენად, ინფორმაციისთვის ჩამოვედით. იმ წუთს, როდესაც ოთახში საერთო განწყობა იცვლება, მე და ფოტოგრაფი ერთდროულდ ვგრძნობთ. ახლა, ალბათ, უმრავლესობისთვის ჩვენ „იმ სამყაროს“ წარმოვადგენთ, იმის ნაწილი ვართ, რამაც ისინი „ამ დღეში ჩაყარა“. საუბარიც უფრო გულწრფელი ხდება, რადგან დასაკარგი ალარაფერია. „შურიანი ხალხია აქ, – გვიაბობენ უკვე ერთად, – აქ იმდენი ინტრიგანია, იმდენი პროვოკატორი. უურნალისტების წინ რომ ტირიან, მეორე დღეს დახმარების პროდუქტებს ჰყიდიან. ჩემთვის



ბრილიანტის ბეჭედი არაფერია იმასთან, 5 წლის ბავშვი რომ გეტყვის მშიაო და პურს ვერ ყიდულობ. ასეთებს თავს შევაკლავ, აბა, რას ვიზამ“.

ორი ახალგაზრდა კაცი ქუჩაში მოგვყება და ჩვენი ისტორიის განვითარების საკუთარ გეგმას გვთავაზობს: „წამოდით, მე გეტყვით, რა დაწეროთ. მანდ რა გინდათ, არ მოუსმინოთ მაგათ. ეგენი 5000 წლის წინ ჩამოვიდნენ აქ. არ დაუჯეროთ, ფუტურისტები არიან ეგენი!“

ქუჩის მეორე მხარეს, ძველი სასადილოს შენობის გვერდით შეურემონტებელი კორპუსი დგას. პირველ სართულზე აბრა ჰეიდია, სიჩქარისგან ვერც კი ვარჩევ, რა წერია, კარს ვაღებ და შევდივართ. ბნელა. მაღაზიაში მოვხვდით, მეორე ოთახში პატარა სასადილოც მოუწყვიათ. თაროებზე თითზე ჩამოსათვლელი პროდუქტი აწყვაა, ძირითადად, სასმელები – ალკოჰოლური, არაალკოჰოლური და რამდენიმე შეფუთვა „სასუსნავი“.

მაღაზიაში ხანში შესული კაცი და ქალი დახლს უკან სხედან. ჩვენს დანახვაზე ფეხზე დგებიან და ჯერ დაბნეულები გვიყურებენ (გარედან ისმის ჩვენი ერთ-ერთი მეგზურის გაბრაზებული ყვირილი: არ შეხვიდეთ-მეთქი მანდ!), მერე სკამებს გვთავაზობენ. ქალბატონი გალიდანაა. ომის შემდეგ ზუგდიდში ჯერ ტაქსოპარკში ცხოვრობდა ოჯახთან ერთად, მერე საავადმყოფოში. საავადმყოფოს ღობეზე განცხადებაში წაიკითხა, რომ ენგურპესზე მუშახელს ეძებდნენ. „თორმეტი წელი კომუტატორში ელ-სმენად ვმუშაობდი. 2007 წელს „მაგთიფიქსი“ დადგეს და

გამოგვიშვეს ჩვენ სახლში... რა უნდა, რა აყვირებს? რას გვეჩეუბებიან – ჩვენ რომ არ ვიყოთ, რა გეშველებათო, გვაძახებენ. ასეთი თქმები არ არის საჭირო. ეს რომ ჩვენ-მა პრეზიდენტმა იცოდეს, არ მოხდებოდა ასეთი რამე აქ. მაგათან მოათრევენ ყველაფერს. აქ სხვა, ოთხმოცზე მეტი ოჯახია. დახმარება ჩვენ რატომ არ გვინდა ვითომ? ამდენი ხანია აქ ვცხოვრობთ და მთავრობისგან არაფერი მახსოვეს. ყველაფერი უფროსობას მიჰქონდა სახლში“.

ალბერტი ბავშვობიდან ფოცხოში ცხოვრობს. მისი ბიჭი კაშხალზე მუშაობს. „ვინც ძველები ვართ, აწყობილი გვაქვს ცხოვრება ასე თუ ისე. ამათ ძალიან გაუჭირდებათ, თუ არ დაასაქმებენ, – ამბობს ალბერტი, – აქ ადრე 3000 კაცი ცხოვრობდა. სასადილოები, რესტორნები, ბაგა-ბაღები, სკოლა, კინო, კულტურის ცენტრი, ყველაფერი იყო. მერე სოციალისტური წყობა დაეცა და მოვიდა კაპიტალიზმი, გაჩანაგდა, გაპარტახდა ყველაფერი“. ალბერტი გვიამბობს, რომ ძველი დევნილებიდან ბევრი გალიდანაა. ნაკვეთები ახლაც აქვთ იქით. გადადიან, მინას ამუშავებენ და თავს ამით ირჩენენ, გვეუბნება. „არ არის სამუშაო. ძველ დევნილებსაც და აქაურებსაც აქამდე თავი ალუმინით, სპილენძით გაჰქინდათ. მორჩა ეს ჯართი. გზატკეცილიც შორია. სპეციალურად უნდა მოხვიდე აქ, გზად ვერ მოხვდები, ამიტომ ვაჭრობაც გამორიცხულია. მინა საბოსტნეც არ არის. რამდენი დღეა ვზივარ და ვერაფერს ვყიდით, ფული არავის აქვს, მარტო ისისად მიაქვთ“.



გარეთ რომ გამოვდივართ, ყველაფერი ბურუსშია გახვეული. ეტყობა, მოსათოვად ემზადება. უკვირთ კიდეც ფოცხოში ამდენი ხნის უთოვლობა. აქ ცივი ზამთარი იცის. ქუჩაში რამდენიმე ლანდი მოძრაობს. მთელი ლანდშაფტი გადღაბილი კინოვადრივითაა – ერთმანეთში არეული, ერთმანეთში გაგრძელებული ფიგურებით, სილუეტებით, ბიოგრაფიებით, ისტორიებით.

სალამოს, ენგურჭესის ერთ-ერთ თანამშრომელთან მივდივართ სახლში სტუმრად. ზღურბლზე უკვე ვგრძნობთ, რომ სხვა სამყაროში მოვხდით – სიმშვიდეში, სტაბილურობაში. ბუხარში ცეცხლი გიზგიზებს, ბეჟანის მოხუცი დედა სავარძელში მუხლებზე ბლედმიფარებული ზის, ბუხართან დაბალი მაგიდა და რამდენიმე სკამი დგას. ეს სახლი ბეჟან მალაზონიას ენგურჭესის ადმინისტრაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა დაუთმო. ახლაც ასე ცხოვრობენ, „ნათხოვარ ბინაში“. მაგრამ არ დაექცეს, ამ პატარა საკუთარმა სახლმა თვრამეტი წელი გაატანინა.

ბეჟანი ომამდეც კაშხალზე მუშაობდა. ახლაც სინანულით იხსენებს კომუნისტების გიგანტური პროექტის ჩაშლილ გეგმას. მაშინ „მწვანეების“ სამოქალაქო აქტიურობის შედეგად ხუდონჭესის, ტობარის, ფარიშესის მშენებლობა შეაჩერეს. თორემ ენგურზე ერთის მაგივრად ოთხი ვარდნილჭესი უნდა აშენებულიყო.

ბეჟანმა ცოლ-შვილთან ერთად გალი 30 სექტემბერს დატოვა, ომის დასრულებიდან სამი დღის თავზე. მშობლები გალში დარჩნენ. წლების მანძილზე ბეჟანს ისინი

არჩენდნენ. მაშინ ჰესი თანამშრომლებს ხელფასს ვერ უხდიდა, მაინც მუშაობდნენ – აბა, ჰესს ხომ ვერ გავაჩერებდითო, ამბობს. პროდუქტებზე ყოველ კვირა გალში მშობლებს აკითხავდა. უკან მამის შეკერილ ზურგჩანთაში ჩაწყობილი ხორაგით ბრუნდებოდა. „ორი ფუთი იყო. 55 კილომეტრი ფეხით მომქონდა, წლები მწყვეტდა გზაში. მახსოვს მამას ვეუბნებოდი ხოლმე, ვერ წავიღებ, აღარ შემიძლია-მეთქი. ეცინებოდა, ბავშვები მშივრები კვდებიან, ისე ლამაზად წაიღებ, როგორც დაგიბარებიაო. მომქონდა, რას ვიზამდი?! გზაც საშიში იყო, აფხაზი საით ჩამომტნებოდა, არ ვიცოდი. მერე სად გინდა, გაიქცე, და-სამალიც არსადაა ამ ბილიკივით გზაზე. წლები ვიყავით ასე. რა გინდა, რომ ქან?! ცხოვრება გრძელდება და უნდა გაუძლო. მე კურო ვარ და უკან დახევა არ მჩევევია“.

დასახლებაში დამე ავდივართ. სამივე ქუჩა ცარიელია. აქა-იქ ანთია შუქი. სასტუმროში სანამ შევალთ, ისევ გვესმის ნაცნობი ხმა: „დაგხოცავთ, იობ ვაშიხ, დაგხოცავთ ყველას, თქვე ფუტურისტებო!“

მეორე დილით თოვლი მოდის. მალე უნდა გავიდეთ, სანამ უდელტებილი გადაუკეტავთ. ქუჩაზე ერთი ორი კაცი სეირნობს, წავლენ ბოლოსკენ, მერე მობრუნდებიან უკან.

– თქვენი სახელი? მეკითხება ერთი ახალგაზრდა კაცი. – და, რომელი ტელევიზიდან ხართ? ჩემს პასუხებს მანქანაში, პატრულის უნიფორმისან კაცს გადასცემს. პატრული თავს აქნევს და მიდის. „ჩვენი პატრულია, უბრალოდ, აინტერესებს რისთვის ჩამოხვედით. აი, ქალბატონი ეთერიც



მოდის, სამინისტროს კოორდინატორია, – გვაცნობს ქალბატონს და გვირჩევს „ყველაფერზე, რაც გვაინტერესებს“, მას გავესაუბროთ. ქალბატონ ეთერს ჯერ ოფიციალური თანამდებობა არა აქვს, „დევნილთა და განსახლების სამინისტროს“ ფაქტობრივი წარმომადგენელია და შეამავლის ფუნქციას ითავსებს. დევნილების მოთხოვნებსა და პრობლემებს გამგეობას გადასცემს და სამინისტროსაც ვითარების გარკვევაში ეხმარება. „დაასაქმებენ, აბა, სხვანაირად როგორ იქნება?! მთელი პარლამენტი, დეპუტატები, ადგილობრივი მთავრობა, გუბერნატორი – ყველა ამაზე მსჯელობს. პირველ ადგილზე რომ დგას ფოცხო, ეს მგონი უკვე იცით. მაგიტომ მოხვედით თქვენც. ისე, გაფიცებ ყველაფერს, რომ მოდიან მიკროფონებით, თუ იცი, რომ გენურია და გვშია, ჩამოგვიტანე მაშინ, ღმერთი ჩემო, რამე. ერთი კილო შაქარიც საქმეა. ვერავის იტყვის, რომ აქ არაფერი კეთდება. უბრალოდ, ეს უბიად არ ხდება. ამას ერთი, ორი, სამი წელი დასჭირდება. დაასაქმებისთვის იბრძიან მთავრობაში – მე ზუსტად ვიცი. ხატი, ჯვარი, ილორიო, რომ იტყვიან. მე ტყუილი არ მიყვარს“.

ქალბატონი ეთერი თვალს რომ ეფარება, მამაკაცი გვიახლოვდება და გვთხოვს სახლში წავყვეთ, რაღაც აქვს სათქმელი. მიდის და თან უკან იხედება. ფურცელზე საბანკო ანგარიშის ნომერს გინიერს. „რამდენიმე ოჯახისაა. რა ვიცი, ვისთანაც მიგინვედებათ ხმა, იქნება, რამე მოახერხოთ. დედაქმეს ვერ ვტოვებ, მიხმარება სჭირდება, თორემ მე ვიცი, რასაც ვიზამდი... ვერა ნახეთ, ძლიერ დადის. ჰო, კარგად,

გარეთ რომ გამოვლივართ, ყველაფერი ბურუსშია გახვეული. ეცყობა, მოსათოვალ ემზადება. უკვირთ კილას ფოსხოში ააღინის სის უთოვლობა. აქ ცივი ზამთარი ისის. ქუჩაში რამდენიმე ლანდი მოძრაობს. მთელი ლანდშაფტი გადლაგილი კინებადივთაა – ერთმანეთში არაული, ერთმანეთში გაგრძელებული ფიგურაზით, სილუეტებით, ბიოზრაფიაზით, ისტორიებით.

აბა! ... არ დაგავინყდეთ, ნომერი ბანკისა, გამოჩნდება ვინმე. კაპიკებია, რა არის? ბევრს კი არ ვითხოვთ. არ მოგვშივდეს და ეგაა. მეტი არაფერი გვინდა“.

მანქანაში ესხდებით და მოვდივართ. ქუჩაზე უკვე ბევრნი არიან. შორიდან კიდევ ერთხელ ვიხედებით უკან, სანამ თვალს არ ვეფარებით, გაუნძრევლად დგანან და გვიყურებენ. „ძალიან დავილალეთ. ძალა აღარ გვაქვს, – მასენდება ახალგაზრდა ქალის სიტყვები, წინა საღამოს – ხომ ხედავთ, ერთი კილო შაქრისთვის ერთმანეთს ხოცავენ უკვე. გვერდში დადგომის თავიც აღარ გვაქვს, შიშილია, რა უნდა მოსთხოვონ?! ბრძოლისთვის ენერგია აღარავის არ დარჩა. ჩვენ ჯერ იმის დაჯერება მოგვიწევს, რომ ანი აფაზეთზე მარტო ლამაზ სადლეგრძელობში ვილაპარაკებთ. ასეა, დავრჩით სამუდამოდ ლტოლვილებად“.

ცერილი ბარლინალება

ბერლინალი

არც წვიმს, არც თოვს, არც მზე ანათებს

ავტორი: გიორგი გვარაშვილი





რეჟისორი ვან დე ბელეხსი და ახმალა გარეალი „აიდა“ პრემიერაზე



ისრაელი რეჟისორი ჯაფარ აკანი პილაშტრი



გერმანეთის განაცხადი



„ტარინის სხვერი“, რეჟისორი ბალა ტარი

„ხან წვიმს, ხან მზე ანათებს“ – ასე ჰქვია კორელი რეჟისორის, ლი ენ-კინის ფილმს, რომელიც ბერლინის წლევანდელი კინოფესტივალის კონკურსში იყო ჩართული. ამბავი შეყვარებულებზე, რომლებიც ფილმის პროლოგში გადაწყვეტენ დაშორდნენ ერთმანეთს, მაგრამ განგება, უფრო სწორად, ამინდი, ორივეს ერთ სივრცეში გამოკეთავს, სულ 13 კადრითაა აწყობილი. არადა ფილმი თითქმის ორი საათი გრძელდება... ორი საათის მანძილზე ვუსმენთ, როგორ არკვევს ერთმანეთთან ურთიერთობას ახლად გამდიდრებული ქალ-ვაჟი. ვუსმენთ, ამინდის პრივნოზთან ერთად, რომელსაც სულის რადიო გადმოსცემს. ფილმი თავიდან ბოლომდე შორი და საშუალო ხედებითაა გადაღებული. ამიტომ როგორ თამაშობენ მსახიობები გაუგებარია. შესაბამისად, მაყურებელიც, რომელიც კარგად ვერ ხედავს გმირებს, გულგრილი რჩება ამ ქალ-ვაჟის ტანჯვის მიმართ. შორიდან უყურებ, უსმენ წვიმის შხაპუნს და გეიინება! მით უმეტეს, რომ პრესისთვის განკუთვნილი სეანსი დილის 9 საათზეა დანიშნული. მით უმეტეს, რომ

გარეთ ყინავს და „ბერლინალე პალაცში“, ტრადიციულად, კარგად ათბობენ.

ამბობენ, სამხრეთ კორეას ნაკლებად შეეხო ეკონომიკური კრიზისით. არ ვიცი. ბერლინის 61-ე კინოფესტივალზე ნარმოდებენილი ამ სურათით თუ ვიმსჯელებთ, კორეულ კინოს „ეკონომიკურად“ ძალიან უჭირს; კორეა, რომელიც ბოლო დროს გამოირჩეოდა კინოტექნოლოგიური ექსპერიმენტებით, უაღრესად მაღალი ხარისხის ფირზე გადაღებული მართლაც რომ სანახაობრივი ფილმებით, „ბერლინალეზე“ ნარადგინეს სამოყვარულო ფილმი პერფორმანსით, რომლის მსგავსი პირადად მე ათასჯერ მაქვს ნანახი ჯერ კიდევ 80-იანი წლების ბოლოს, ობერჰაუზენის მოკლემეტრაჟიანი ფილმების კინოფესტივალზე. მას მერე დიდი დრო გავიდა, წელს, აგერ უკვე მეოცედ ვიყავი აკრედიტებული ბერლინის კინოფესტივალზე და რა ვნახე? სრულმეტრაჟიანი ვიდეო-პერფორმანსები (Contemporary art), რომელთა მოქმედება ხან სამხრეთ ამერიკაში ხდება, ხან კორეაში, ხანაც აფრიკაში... მაგრამ ყველგან ერთი და იგივე იგრძნობა – მინი-

მალიზმი, მოქმედების გაწელვა სრულ-მეტრაჟიანი ფილმის ფორმატამდე... სი-ცარიტე და დაღლა. გამოიფიტულობა.

უცნაურია, მაგრამ ასეთ კინოს ჯერ კიდევ ჰყავს თაყვანისმცემელი. აგერ კრიტიკოსებმა ძალიან შეფასება მისცეს უნგრელი რეჟისორის, ბელა ტარის ფილმს „ტურინის ცხენი“, რომელიც ფასტივალის ბოლომდე „ოქროს დათვის“ მთავარ ფავორიტად ითვლებოდა. რაღაც დოზით იუმორი ნამდვილად იყო ამ ფილმში... თუნდაც იმაში, რომ სურათის დასაწყისში კადრსმიღმა ხმა გვიამბობს ნიცშეზე, რომელმაც 1869 წელს ტურინის მოედანზე იზიდა როგორ ცემდა გლეხი თავის მომაკვდავ ცხენს... და სწორედ ეს სცენა გახდა ნიცშეს „გაგიუგიბის“ საბაბი. მერე ვეცინება, რადგან ხედავ, რომ ბელა ტარმა აშკარად მოგატყუა; ნიცშე ეკრანზე არ ჩანს (მოლოდნის მიუხედავად); ჩანს ცხენი, მისი პატრონი და პატრონის ქალიშვილი. მათი მოსაწყენი ცხოვრება უნგრელ სოფელში... გადაღებული სულ რამდენიმე კადრით და აწყობილი ფილმში, რომელიც ორსაათნახევარი გრძელდება.



მსახიობები რეაქტ კაირიში უ გაც ლევი ფილმი „აოაზის“ პრესკონფერენციის დროს

ბელა ტარის ფილმის მიმართ ინტერესს ისუც ზრდიდა, რომ პრემიერამდე ცოტა ხნით ადრე რეჟისორმა განაცხადა – „ტურინის ცხენი“ მისი ბოლო ფილმია, ე.ი. ტარის თავისებური „კინემატოგრაფიული ანდერძი“. თუკი გავიხსენებთ, როგორ უყვარს ამ რეჟისორს სამყაროს დასასრულზე ფილმების გადაღება (არადა ვერა და ვერ „დასრულდა“ ეს სამყარო), ტარის განცხადება და ნიცველის მიერ დანახული ცხენის ამბავი გარკვეულ წილად „გაერითმება“ ერთმანეთს, რაც აუცილებლად აღაგზნებს ათასგვარი დამთხვევებისა და კონცეფციების მოყვარულ კინოკრიტიკოსებს. და, რაც მთავარია, იმთა ვისაც სჯერა, რომ კინო დროსა და სივრცეში აღბეჭდილი სიკედილის სახეა – თუნდაც ანდრეტი ტარკოვსკის ფან-კლუბის წევრებს, რომლებიც თანახმანი არიან უყურონ ანდრეტი არსენიევიჩის ეპიგონებს – ალექსანდრე სოკუროვს, ბრუნო დიუმონს, ბელა ტარს, ოლონდაც თავიანთი მკვდარი კერპის წევროფილურ სივრცეში ამოყონ თავი.

ამ ფანკლუბმა წლევანდელ „ბერლინალეზეც“ კარგად იმუშავა. მიუხედავად იმისა, რომ ფილმის მსვლელობის

დროს, სადღაც შუაში, დარბაზს რომ ვტოვებდი, ჩემი თვალით ვიხილე, როგორ ეძინა პუბლიკას ტარის ფილმზე, ბერლინის 61-ე კინოფესტივალის უიურიმ უნგრელ რეჟისორს „დიდი პრიზი“ მაინც გადასცა კინოში განეული დვანლისთვის. ბელა ტარი სცენაზე ავიდა, აიღო პრიზი, მაგრამ არაფერი უთქვამს.. „ფაქ იუ“ რომ ეთქვა, ფასპინდერივით, ან მორის პიალასავით, შეიძლებოდა მართლაც დამეჯერებინა, რომ ალტერნატიულ კინოს იდებს. მაგრამ განაწყენებულმა აიღო პრიზი (წუთუ „ოქრო“ უნდოდა?) და სცენიდან ჩუმად ჩამოვიდა. ჩემმა რუსმა კოლეგამ, ვალერი კინიმმა განაცხადა, ტარის ადრეც უთქვამს კინოს გადაღებას თავს ვანებები... მაგრამ მერე დაფინანსება მიულია და გაუგრძელებია კინოში მოღვაწეობა. ამიტომ ეს პრიზი მას აუცილებლად დააბრუნებს კინოში...

არა... არანაირად არ იფიქროთ, რომ ნელი და ზანტი კინოს წინააღმდეგი ვარ. არც დარბაზში ძილს ვაპროტესტებ. სშირად ვიმეორებ თეო ანგელოპულოსის სიტყვებს – ჩემს ფილმებზე თუ ჩაგეძნებათ, იქნებ ტყბილი სიზმარი ნახოთ, ეს იმის მანიშნებელი იქ-

ნება რომ კარგი ფილმი გადავიღეო. თავის დროზე, ჯერ იაპონელმა კანეტი სინდომ, მერე იტალიელმა ერმანო ოლმიზ გადაიღეს ნელზე ნელი ფილმები, რომელთა გმირები განსაკუთრებულს არც არაფერს აკეთებდნენ ეკრანზე; სინდოს „შიშველ კუნძულში“ და ერმანო ოლმის ფილმში „ხე ფეხსაცმელებისთვის“ ადამიანები შრომობენ, საჭმელს ამზადებენ, იძინებენ... მაგრამ იქ ეს შენელებული და განელილი თხრობა, დაკვირვებული კამერა კათარზისის ეფექტს ქმნიდა. ამ „სინელე“ თავისი დრამატურგია ჰქონდა. ვითარდებოდა, იფურჩენებოდა. იმდენად, რომ ბუნების სუმაც კი გრძნობდი ეკრანიდან. აქ კი – ანდრეტი არსენიევიჩის ეპიგონებთან, რომელთაც კინო მხოლოდ და მხოლოდ თვითდამუკიდრების და, თუ გნებავთ, მაყურებლის მანიპულირების საშუალებაა, ეკრანი მხოლოდ და მხოლოდ სიცივისა და სიკედილის შეგრძნებას ქმნის. არ გამოვრიცხავ, რომ ვიღაცას გულნრფელად სიამოვნებს სიცივის ეს შეგრძნება. მაგრამ ის კი ნამდვილად ვიცოდი, რომ ბელა ტარი ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალის მთავარ „დათქს“ ვერასდროს ელიტრებოდა.



„დაღი და სიმი. განვითარება“, რეჟისორი ასპარ ფარვალი

„შაბათის“, რეჟისორი ალექსანდრე მილეავი

„ინ თუ არა ჩვენ“, რეჟისორი ანრეს ვიკტორი

„ტარიეს სხვენი“, რეჟისორი ბალა ტარი

სხვათა შორის, ბელა ტარის წინა ფილმებს კანის ფესტივალის კონკურს-შიც რთავდნენ. „ყაფი ლონდონიდან“ მაგალითად, ასევე ლიდერობდა რამდენიმე წლის წინ, კანის საკონკურსო პროგრამაში. მაგრამ უნგრელი რეჟისორი მაშინ პრიზის გარეშე დარჩა. ძალიან ძლიერი იყო კანის კინოფორუმის პროგრამა იმისთვის, რომ „სიკვდილის კინო“ იქ თუნდაც დიპლომით აღნიშნულიყო. მართალია, ბერლინის ფესტივალი დადი ხანია ჩამორჩება კანის კინოფორუმს ფილმების ხარისხთაც, „სახელფითაც“. „ტურინის ცხენის“ გამარჯვება აქ, უბრალოდ, იმის მანიშნებელი იქნებოდა, რომ „ბერლინალე“ ღრმა კრიზისშია.

თუმცა კრიზისის ნიშნებს ბერლინის 61-ე კინოფესტივალი მაინც ვერ გადაურჩა... და ეს ყველაზე მეტად ჯერ „ბერლინალეს“ საკონკურსო პროგრამაში, შემდეგ კი ფესტივალის შედეგებში გამოიხატა. არასდროს ყოფილა ფესტივალის კონკურსი 17 ფილმი იყო ნარმოდგენილი) და ამავე დროს, ასეთი ჭრელი. უფრო სწორად, ასეთი „არაკონცეფუტუ-ალური“. კონკურსში არ იყო ჩართული არც ერთი იაპონერი, ჩინური, ესპა-

ნური, იტალიური ფილმი. არ იყო კინო სკანდინავის ქვეყნებიდან. იმ „Contemporary art“ – ებს, რომელთა მსგავსს ადრე მხოლოდ „პანორამის“ პროგრამით უჩვენებდნენ, ცვლიდა ახალი პოლიტკორექტული, და სრულიად ტრადიციულ სტილში გადაღებული ფილმები ევროპელ ექიმებზე, რომლებიც აფრიკაში მუშაობენ („ძილის დაავადება“), გერმანელ მემარცხენებზე, რომლებიც ექსტრემისტები ხდებიან („ვინ, თუ არა ჩვენ“), ალბანელ ახალგაზრდებზე, რომლებიც ვენდეტის ძველ ტრადიციებს უპირისპირდებიან („სისხლის პატიება“). წლევანდელმა ფესტივალმა ორ, სრულიად განსხვავებულ კინოს კი დაუჭირა მხარი, მაგრამ ამით თავისი სახე დაკარგა – პოლიტიკური სიმწვავე. საკონკურსო პროგრამა ისეთივე აღმოჩნდა, როგორც ამინდი ფესტივალის დღეებში; არც წვიმდა, არც თოვდა, არც მზე ანათებდა! ნაცრისფერი იყო ბერლინი და ნაცრისფერი იყო ბერლინის 61-ე კინოფესტივალი.

„ბერლინალეს“ დირექცია, ცხადია, ვერ დამალავდა შესფოთებას იმის გამო, რომ წელს „ცოცხალი კინკლა-სიკოსების“ აბსოლუტური უმრავლე-

სობა ფილმებს კანის ფესტივალისთვის ინახავს. პედრო ალმოდოვარმა და ძმებმა დარდენებმა კანის გადაღების გრაფიკულ კი ისე ააწყვეს, რომ ახალი ფილმის პრემიერა კანში მოწყობილიყო. ახალგაზრდა-დებიუტანტები კი, რომლებიც ფართოდ იყვნენ წარმოდგენილნი წლევანდელ „ბერლინალეზე“, ჯადოქრები არ არიან ეკონომიკური კრიზისის დროს, საკმარისი ფული რომ იშვიონ სრულმეტრაჟიანი ფილმის გადასაღებად... ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ფესტივალის დირექტორმა, დიტერ კოსლიკმა განგებ დაიწყო საკონკურსო ჩვენება ამერიკელი დებიუტანტის, ჯერ სენდორის ფილმით „უკიდურესი მოთხოვნა“, რომლის მოქმედება 2008 წელს, ერთ ამერიკულ საინვესტიციო ბანკში ხდება. სურათის ავტორი, ამერიკული „დამოუკიდებელი კინოს“ წარმომადგენლი, მოურიდებლად გამოხატავს მაქინაციებს ამერიკულ საბანკო სისტემაში, თუმცა მაიკლ მურისა და ოლივერ სტოუნისგან განსხვავებით, არანაირად არ ცდოლობს თანამედროვე კაპიტალიზმის მხილებას.

>>> გამოქვეყნა გვ. 92



ტაბადან, სიყვარულით

ავტორი: ანა კორძაია-სამალაშვილი

პოლიტიკა არ მესმის, არ მაინტერესებს და არ მინდა. მაგრამ ის მაინც სულ მეხება და ცხოვრებას მიფუჭებს. მისგან ხეირი არ მახსოვს, წყენა – უთვალავი.

ახლაც ასე მოხდა.

ჩემს ცხოვრებაში პირველად თავზე ხელი ავიღე, „ინტერკონტინენტალ-ში“ შესანიშნავი საგზური ვიყიდე და ეგვიპტეში გავემგზავრე, არც „მასალისთვის“, არც სამუშაოდ, არც სათარჯიშოდ, არამედ დასასვენებლად. ბურუუაზის მოკრძალებული ხიბლი და მსგავსები.

არ შემერგო. არა, ძალიან კარგი იყო, ძალიან ვისიამოვნე, მაგრამ ჩემი სამოსები სამი დღით ადრე დამატოვებინეს ქალებმა, რომელთაც თავიანთი „ბაოები“ მოენატრათ, მამაკაცებმა,

როგორებსაც დიდი გერმანული ენა Klugscheisser-ებს უწიდებს და, რაც მთავარია, პოლიტიკურმა მოვლენებმა, რომლებიც არანაირად არ მეხებოდა, მაგრამ მაინც შემეხო.

არადა, იცით, რამდენი რამის მოსწრება შეიძლება სამი დღე-ღამის განმავლობაში? მაგალითად, სინას მთაზე ასვლა. ან წმინდა ეკატერინეს მონასტრის დათვალიერება. ან ფარაონის კუნძულთან წითელ ზღვაში ყვინთვა. ან ქვიშაში წოლა და ბუტბუტი: „რა კარგია... რა კარგია... რა კარგია...“

ზღვის სანაპიროზე.

აქეთობას დრო ვატარე – ნუ იტყვი. არ ვიცი, ჩემი სისხლივით წითელი, თარსი თავის ბრალი თუ იყო – შენ არ გინახავს, შევიღებე და ამიერიდან შეგიძლია „ბანდერა როსა“ დამიძახო. ასე თუ ისე, ფაქტია, რომ საზღვარზე ქამარი შემხსნეს, მხოლოდ მე შემხსნეს, და თან ქამარი, რომლის წყალობითაც ჯინსი მუხლებამდე არ მვარდება. და ეს უშველებელი შარვალი ორივე ხელით წელთან რომ მქონდა ჩაბლუჯული, მითხრეს, ფეხზე გაიხადეო.

აი, როგორ?

მოვახერხე, მაგრამ როგორ ვისიამოვნე, ხომ წარმოგიდგენია.

კაი, გავიცინე და დავიცინებუ. თურმე, სად ხარ!? თვითმფრინავი არასოდეს აფრინდა, აეროპორტში გაუგებრობაა



რაღაცო, და ერთი საათის მერე – რაღა დაგიმალო და არც გამიგია, ღრმა ძილით მეძინა, – გამოაცხადეს, მისტერ კორძაია, ერთი, აქ მოდიო. მგზავრები აქოთქოთდნენ და დამანჯლრიეს. ვაი? თავზე დავაბიჯე მძინარე გუგას და გამცილებლებთან მივედი. გამიყვანეს თვითმფრინავიდან და მიმიყვანეს ჩემს ჩანთასთან. თქვენია? მეთქი, კი. მერე? მერე რა-მეტქი? შიგ რა დევსო? მეთქი, ტანსაცმლი. მართლა? მეთქი, მე მოვკვდე. კარგი, ბოდიში, ქალბატონო.

რა იყო ესა?

დასკვინის სახით, ჩემმა ახალმა, ბიო-მეტრულმა თუ რაღაც უბედურმა პასპორტმა ეგვიპტის საზღვარზე თავი მოიჭრა. ვერაფრით ვერ გაატარეს. „სისტემა ვერ მკითხულობს,“ როგორც მავანი იტყოდნენ, ამოსაწყვეტები. კარგახანს ვუდიმე არაპ მესაზღვრეს, მანაც მიღიმა – ვაი და რას ჰეგვდა! თხუთმეტი წუთი მაინც მაყურყუტეს

„გაუცხოების ზონაში“.

მერე კი გამოვედი უდანოში და მივხვდი, რომ ყველაფრის მოთმენა ღირდა, იმიტომ რომ ძალიან კარგ ადგილას ამოვყავი თავი.

თავად განსაჯე: ახლა ვერანდაზე ვზიგარ და სამ ქვეყანას – ისრაელს, ორდანის და საუდის არაბეთს ერთად უყურებ მეოთხე ქვეყნიდან, ეგვიპტიდან. ზაფხულის დამეა, სანდლები მაცვია, და ჩემი საწყალი სხეული ცოტა დაბნეულია – ამშელა სიხარულს ნამდვილად არ ელოდა: შესანიშნავი ამინდი, ქვიშიანი სანაპირო, ვაბჰამი, როგორიც, რა ხანია, არ ღირსებია, და კახი და გუგა – აი, მეტი რა? გასაგებია, ზემოდან ერთი ჯონი დეპიც არ იქნებოდა ურიგო, მაგრამ, პატარა უფლისწულის მელაკუდასი არ იყოს, „ეჰ, სრული ბედნიერება არ არსებობს...“

კახიმ, რომელიც ეგვიპტები რამდენიმე თვე ცხოვრობდა, მოგვახსენა, რომ თორმეტი დღე ასე ვიცხოვრებთ,

„ძაან წყნარად, ძაან ჩოტეად“.

ნავალ ახლა, დავგორდები. ძალიან გრძელი დღე გამომივიდა. მე მგონი, კარგი წიგნი მაქვს თან, „სარაგოსაში ნაპონი ხელნაწერი“ – წაკითხული გაქვს? ვნახავ ერთი, რა ხდება.

ანა კ.ს.

„მაყვალს არ ეცდო!“

28.01.11

წიგნმა გაამართლა. სულ მაქცების, სახრჩობელაზე მოქანავე ყაჩალების და ორ-ორ გრძელების ნამდვილად ამბების ამბები.

სამაგიეროდ, სხვა რამეში მაგრად არ გამიმართლა.

ქალები!

ანგელოზი ნია და ოქრო თამარა კი არა, ქალები.

გუშინ ვიფიქრე, რომ სულელი ქალების საზოგადოება სასიმოვნოც კია – თავისთვის კაკანებენ რაღაცას „ყველაფერი ყირამალას“ ურუნა დედლე-



ბივით... თურმე, შევცდი. დღეს დედა მიტირეს, სულ სუნთქვითი ვარჯიშები ვატარე, რომ რამე უზრდელობა არ მე-თქვა.

კახიმ კი მაინც თქვა: „ეარგი გოგოა. აი, ძაბ.“

საერთოდ, სიამოვნებით დავწერდი ტრაქტატს თემაზე „ლამაზია გურჯი ქალი“, ოლონდ ლასი ოთხფეხიანი თუ ოთხთავიანი უნდა იყოს, არა ლაზურ-ჭანური, არამედ გაღმური. მერნმუნე: განსაკუთრებული საფრთხე რამე მოგზაურობის დროს მზეთუნახავთა მეზობლობაა, თუ დანებდი, მოგინელებენ.

გადავუხვიე. ტაბა ჰეითისის შესახებ უნდა მომეყოლა. ტაბა ჰეითისი ჩვენი სასტუმროდან, რომელსაც „მზესუმზირა ლაზუარდოვანი“ ჰქვია, დაახლოებით ოცი წუთის სავალშია. გზა ასეთია: ერთ მხარეს – წითელი კლდეები, მეორე მხარეს – ზღვა, გზაზე კი თვითმკვლელი მძღოლები, საბედნიეროდ, ცოტანი, სა-

ათში ათას კილომეტრს ფარავენ. თავად დასახლების აღწერა მე არ შემიძლია, რომელი კაფუა მე ვარ. არა, მაინც ვე-ცდები. წარმოიდგინე სიცხე, ცა, რომე-

ლიც ორი წუთის წინ ლურჯი იყო, ახლა კი შავია, ქვიშის უდაბნოში – პალმების მეჩერი, ძუნნად განათებული ხევანი,

და აქა-იქ – წითელი, ნარინჯასფერი და ყვითელი, პატარა სახლები, რომელთა ფანჯრებიდანც შუქი არ გამოდის და ვერც შიგ შეიხედავ, დარაბები მხოლოდ ალაგ-ალაგაა გახვრეტილი. დასახლებაში სიჩუმეა. სულ რამდენიმე ადამიანი დავინახე, მამაკაცები. ისინი სახლების

წინ დგანან, მარტონი, სიბრძეში. რატომ – კაცმა არ იცის. ალბათ, გიყურებენ. ან არ გიყურებენ. მიდი და გაიგე.

მერე იყო დიდი მოედანი, სრულიად ცარიელი. ამ მოედნიდან ერთადერთი განათებული თაღის გავლით დაახლოებით შენი სასტუმრო თოახისეულა ქუჩაზე გავედით. იქ იყო მაღაზია, სადაც კედები, „არიელი“ და ნამცხვრები იყი-

დებოდა, ოლონდ არც მყიდველი ჩანდა, არც გამყიდველი, მის მოპირდაპირე მხარეს კი თექვესმეტიოდე წლის ყმანვილი ინდაურის ბუმბულის მარაოს აქნევდა მაყლის მსგავსი რაღაცის თავზე. რატომ – არ ვიცი. არ მიკითხავს. არც არაფრის სუნი არ იდგა.

და იქ დაგვირება – არ დაიჯერებ! – რომელილაც ქართული არხის უურნალისტმა და კახის ჰკითხა, პირდაპირ ეთერში, როგორ ხართ ეგვიპტეში ქართველებიო. თურმე, კაიროში დედა შვილს არ იყვანს, მთავრობა შეიცვალა, ხალხი დაიხოცა...

ახლა საერთაშორისო კაშშირი გაწყდა, ტელეფონი და ინტერნეტი არ ფუნქციონირებს. რამდენს ვიცნებ, რევოლუციონერებმა ხაროში რომ ჩამაგდონ, ფეხზე ის რაღაც კატორდელების ბამბალიკა მომაბან, ხმელა პურზე დამსვან და სამშობლოს ჩემი გამოსასყიდი თანხა მოსთხოვონ!

ვხუმრომ. დარწმუნებული ვარ, რომ



აღთქმული მიწის სიახლოვეს არ დავრჩები საშვილიშვილოდ, სამკვირიან ტატუსაც გავიყეთებ, და მერე მე და გუგა სინას მთაზეც ავალნევთ.

„მაყვლის ბუჩქებს არ ენდოთ!“ – გაგვაფრთხილა კახიმ. „აქ არ იზრდება.“

მანამდე კი წავედი ჩემს მაქციებთან. ისე, წიგნის ავტორმა მთავარი გმირი ბოლოს სინანულში რომ ჩააგდოს, შევაჩვენებ, და ჩემი, უცოდველი და განწმენდოლი ანსა წყევლა აუცილებლად მიუვა – თურმე, სინაზე თუ ფეხით ახვედი, ყველა ცოდვა შეგენდობა, თუ აქლემით ააღნიე – მიქარულის მხოლოდ ნახევარი, რაც, თავისთავად, უკვე საქმეა, მაგრამ მე ვითომბედუინებთან ვაჭრობის თავი არა მაქს და ფეხით ავალ. არ იყითხავ, რას აკეთებენ? შეუთანხმდები, რომ ათად აგიყვანს, და აგიყვანს, ოღონდ სამსართულიანი ცხოველიდან აღარ ჩამოგსვამს, სანამ ორმოცდაათს არ გადაუხდო, და მეორედ მოსვლამდე იჯდები ასე, სუნიან

აქლემზე. ბედუინს რა ენაღვლება, სხვა საქმე აქვს თუ რა...
ფეხით, ფეხით!
ანა კ.ს.

პარამი და სხვა სამოთხეები

29.01.11

კახის ისეთი სუნი აქვს! სუნი საკვირველი. ნელსაცხებლების მაღაზიაში 191 სანტიმეტრიანმა კახიმ თაროს თავი აარტყა და სულ ზედ გადაევლო მარადიული ახალგაზრდობის, უკვდავი სიყვარულის, ფარაონების სიმდიდრის და დაულალავი ერქეციის ზეთები.

ახლა კი, როცა კახიმ დაბანა, არიელის ამბავს გიამბობ. ვერაფრით გავიხსენე, უდაბნოს და ნაის სულს რა ჰქვია, აი, იმას, მორწმუნე იფრითი რომაა, და ჰა, ჯანდაბას, ერქვას ამ საოცრებას არიელი.

არიელი აქაური მასაუისტია, ჰამამი კი, მოგეხსენება, ყველაფერს მირჩევინა. ეს არიელი, დიდი-დიდი, ოცდახუთი

წლისა იქნება, ისეთი ლამაზია, თვალები ამიჭრელდა, და, მე მგონი, ცოტა ჯადოქარია. დიდი სნის ყაყანის მერე შედარებით ადამიანურ ფასად მის ფერსთით აღმოვჩნდი, ცხელ ქვაზე, რომელსაც არაბულად თურმე „ქაიფ“ ჰქვია.

იქიდან ორ საათში გამოვცოცდი, სახეზე იდიოტის ლიმილი დამთამშებდა, და ჩემს დაახვაზე აუზთან მჯდომმა კახიმ გუგას ჩუმად და სერიოზულად უთხრა: „არა კარგად.“

პირიქით. ძალიან კარგად ვარ. დღეს ისეთი ზღვა იყო, შიგ მოტივტივე განუწყვეტლივ ვძუტბუტებდი: „ვახ, რა კარგა!“. მფრინავი თევზები ვნახე – არ იცი, რა იდიოტები არიან. თეთრი ფრთებით. დღემდე ვერ გაუგიათ, ჩიტები არიან თუ თევზები. ძალიან გავირუჯე და წყლიდან ამოსვლის მერე ათიოდე წუთში მთელ სხეულზე თითქოს მტვერი მეყარა – მარილი.

>>> გამრძელება გ3. 95



გავლა – გათვლა – გათლა

ავტორი: შოთა გაგარინი
ფოტო: მარიკა ერებუაშვილი

„ცხოვრება უფრო ხშირად ჰგავს ნოველას,
ვიღრე ნოველა – ცხოვრებას“
უორქ სანდი

არ ვიფხორები, ტყუილად არ დავიწყე ეს წერილი იმ მწერალი ქალის სიტყვებით, გაგანია მეცხრამეტე საუკუნეში, თანამედროვეების გულისგასახეთქად, კაცის ტანისამოსით რომ დასეირნობდა და ნუ იტყვით, თურმე გემრიელად ექაჩებოდა თამბაქოს ხალხმრავალ ადგილებში. დღეს რამდენიმე ეგვიპტი ქალის ხსენება მომიწევს – ნაღლი ქალის, ხაზგასმულად ქალის, ორმაგად ქალის – ცალკე (საზოგადოებრივ, პოლიტიკურ) ცხოვრებაში რომ ცდლობენ ქალის ხმა ჭექდეს და ცალკე ლიტერატურაში.

ლიტერატურას მოვაყოლებ – ორი კარგი წიგნი წავიკითხე ამ თვეს, ერთი მხატვრული, ერთიც სამეცნიერო – „გათვლა“ და „მელანქოლიის გზამკვლევი“. პირველი ქართველმა დაწერა, მეორე კი ახალი ზელანდიის მკვიდრმა. პრინცაპში, საერთო ამ ორ წიგნს შორის იმდენივეა, რამდენიც საქართველოსა და ახალ ზელანდიის მორის – მხოლოდ ფორმალური ნიშნები. წესით, ერთადერთი რამ, რაც ჩემს მახსოვრობაში მათ დააკავშირებდა, წაკითხვის მიმდევრობა უნდა ყოფილიყო. კიდევ ის, რომ ორივეს ავტორი ქალია, მაგრამ თამთა მელაშვილის გადამკიდე, ჩემმა დავირუსებულმა ოპერატიულმა სისტემამ ამ ორ წიგნს ერთ საქაღალდეში უკრა თავი.

მოკლედ, რა ხდება: „მელანქოლიის გზამკვლევის“ ავტორი, პრიფესორი ჯეკი ბაურინგი ლამის კანიდან ძრება, ისე უნდა დამარწმუნოს მელანქოლიის, ანუ მამაპაპურად რომ ვთქვათ კაეშნის, ქმუნვის, ნაღვლიანობის სოციალურ სარგებელში, ათასი გენიალური ნანარმოების თუ გმირის სახით (პამლეტიდან – ბეტმენამდე), ხოლო „გათვლას“ ავტორი თამთა მელაშვილი ცოცხალი მაგალითია მწერლისა, ვინც თავისი ბლუზი ირ ყდას შორის მოაქცია, გულის ნადები გაგვიზიარა. „გულის ნადებს“ მწერლებთან დაკავშირებულ კლიმედ ნუ მიიღებთ, ამ შემთხვევაში მართლა იმ მწერალზე მაქვს საუბარი მელანქოლიას რომ იყენებს გზად და ხიდად. თამთას ამგვარი



კანწყობა-ტემპერამენტი ჩემთვის სიახლე იყო. კაი ხანია ვიცენობ, ხუთ წელზე მეტი იქნება, მაგრამ მთელი ამ დროის განმავლობაში ვიცენობდი ქალად, რომლის „თვალები ჰგავდა შოკოლადში ამოვლებული ალუპლის ბომბს, ცეცხლმოკიდებული ფითოლით“. აღმოჩნდა, რომ ეს თვალები სინამდვილეში ციხეა, ფიქრები კი – პერსონალური კამერა მკითხველებისთვის. ან როდის რას უნდა მივმევდარიყავი – მელანქოლიკი იყო, სანგვრიკი, ქოლერიკი თუ ფლეგმატიკი. თითქმის არ გვილაპარაკვია ერთმანეთთან. ერთ პონტში როცა ვხვდებოდით, ხან ჩემს მიერ უზადოდ შემწვარ, ანუ სამყაროში საუკეთესო მწვადს ვჭამდით, ხანაც ვენეროდით (მადლობა შაკა ფასნაურისთვის). პირველი, რაც თამთას ვკითხე ინტერვიუზე – ექვსი გვერდი როგორ გავაგსოთ-მეტქი. რა დებილი ვიყავი... მეგონა საუბარში არტილერიის როგორ წიგნს უნდა ეტვირთა. პირიქით მოხდა. სიუზან სონტაგისა არ იყოს, ტკივილის ესთეტიზაციაზე, ანუ ნანარმოებზე მინდოდა საუბარი და „სხვისი ტკივილების შესახებ“ ამბებში ჩაევიძირე. ნაღდ, ცხოვრებისეულ აბბებში, რომელიც უფრო შეირჩად ჰგავს ნოველას, ვიდრე ნოველა ცხოვრებას.

რაც შექება კონკრეტულად „გა-
თვლას“, ჩათვალე, ეს შენი ლიტერატუ-
რული თავანია. გამოსვლის თარიღის
და ფორმატის გათვალისწინებით, ჰა-ჰა
მარტის ბოლოს უნდა ჩაპარდეს, თუ თა-
ვმოყვარე ხარ და ფუფლომეტხევლის
სახელი არ გიტყდება. ისე, „ცხელ შოკო-
ლადს“ და „გათვლას“ ერთი ფასი აქეს და
ვინიცობაა ამ ხეთმა ლარმა გადაწყვი-
ტოს ყველაფერი, საჩავიყენს პატარა
ნაკოლს მოგცემთ, საჭიროების შემთხვე-
ვაში თავი რომ დაიძერინოთ. მაშ ასე:

როცა მინა დანაღმულია, როცა სივრცე ცე დასაზღვრულია, საზღვარზე გავლა კი გათვლაა: ინილო-ბანილო, შროშანო-გვრიფინო... ვინც ვერ გავიდა, ისლა დარჩენია დაიხუჭოს და დაითვალის დარჩენილი (პხოვრების წუთები).

კურ-ასკულა განაჩენია.

ასეთია ყოველდღიურობა დასახლებებში, რომლებსაც ხშირად კონფლიქტურ რეგიონად თუ ბუფერულ ზონად მოისხინებენ. ამ შერალ, სიცოცხლისგან დაკლილ ტერმინებში ძნელია დანახახო

**აა შესანიშნავ ნაწარმოებში
მოთხოვთ გადატრანსფორმირებული ნიცხოვის და ცენაფას
კამატის გადატრანსფორმირებული ნიცხოვის და ცენაფას**

ცოცხალი ადამიანები, ადამიანები, რო-
მელთა ცხოვრებაც რუსულ რულებს
დამსგავსებია. ჩვენთვის, პრაგანების-
თვისაა ძნელი, თორებ თამთა მელოძ-
ვილს ისეთი მახვილი მზერა აღმოაჩნდა,
რომ საკომპენსაციოდ ცალმა ყურმა
დაუსტუკა (ზოდიში თამთა, ვედარ მო-
ვითმინება).

අඟ මැක්වෙනු ම්‍යේරින දා පාසරි ගුනිත
ජුම්පුරු මුශ්‍යාත්‍ය තුළුම්බින්දේස් මුශ්‍යරුව ගාර්ස්
ඡාල්පිස්, රාතා මුශ්‍යත්වෝල්ස් මාති නමදුගැ-
ලු ගුම් ආගර්ධන්බින්බෑස්. ගුවරුවෝල්ස්, රා-
ත්‍යාලා ග්‍යා ක්‍රියෝලොජිත්‍රිස් ත්‍රිත්‍යාල්ඩ්, රීමලු-
ද්‍යුච් දාවාරුච්නිල්ලි තුළුම්බින්දේස් මුශ්‍යරුව ගාර්ස්
ඡාල්පිස් සිංහල ප්‍රාග්ධනයේ ප්‍රාග්ධනයේ ප්‍රාග්ධනයේ.

განლა - გათვლა - გათლა.

ამ შესანიშნავ ნაწარმოებში მოთხოვთ
ბილი ნინცოს და ცქინაფეს ამბავი ჩეცნი
ამბავიცაა – ჰუმანიტარული კატასტრო-
ფების პირობებში გაზრდილი საზოგა-
დოების, რომელიც სულმოეუქმედად
ელის „კორიდორის გახსნას“ სამშენებლო-
ბოს გასაღწევად განზოგადების საპაპს
გმირების უცნაური თხრიბაც იძლევა,
ვერც ერთ დიალექტს ან ინტონაციას
რომ ვერ მიაუთხნებ. მოქმედების დროც
არ ჩანს. შედეგად, ნაწარმოების ქრონო-
ტოპოსს სურვილისამებრ ისე გავტერავ
და გაენელავ, გმოგასული კევივით, რო-
მელსაც, როგორც მინიმუმ, ოცი წელია
ყველანი ერთ ტაქტიში ვლეჭავთ.

— ხო, ამდენი არ მიუკიქრია, მაგრამ
რაც მითხარი მომწონს, — სიცილით მეუ-
ბნება თამთა.

- ეს უძლიერესი პერსონაჟები საიდან
გაჩდნენ? პროტოტიპები გყავდა?

— არა, არ მყოლია, უბრალოდ, რაღა-
ცები მოვიპარე ცხოვრებიდან. კოცონის
სკონა თუ გახსოვს, ლილარჩმა დღვევა ასე

ტანსაცმელი, ჩემთა დამ – ნახატები. მე
მონაწილეობას არ ვდებულობდი, ვუყე-
რებდი. ეს შთაბეჭდილება ცხოვრების
ბოლოომდე გამყება, ალაპათ.

– პირველ წიგნზე ასეთ პოზიტიურ გა-
მოხმაურებას რამდენად ელოდი?

– არ მიფიქრია მაგაზე. უბრალოდ, იმ-
დენი რაღაც მქონდა დაგროვილი, უნდა
გადმომეტანა რა.

საერთოდ, სადებიუტო რომანები რა-
მდენიმე თვე, წელი, ზოგჯერ კი მთელი
ცხოვრება იხარშება ავტორის თავში,
განსხვავებით მეორე, ე.წ. სოფომორული
რომანისგან, რომლის ჩაგარდნის რისკი
მით უფრო დიდია, თუკი დებიუტი წარ-
მატებული გამოდგა. საქმე იმაშია, რომ
პურილისებრი სტარტის შემთხვევაში,

მეორე რომანის დასაბეჭდად ცალკე გა-
მომცემლები გაჩქარებენ, ცალკე საკუ-
თარი პატივმოყვარეობა. ამ მხრივ, თა-
თქოს ღვინის კულტივირებას წააგავს
წიგნზე მუშაობა. რაც უფრო დაახველებ
ნაჯურს, მით უფრო ასამოვნებ დამგე-
მოვრებელს მერე და მერე. არა, ისე არ
გამიგოთ, თითქოს კაი „სამაგონს“ ვაკ-
ნინებდე. პონტის და ხასიათის ამშავია.
ყოველ შემთხვევაში, მე წინააღმდეგი არ
ვიქები, თამთამ შემდეგ ჯერზე ნაპალ-
მივით ჭაჭა შემომთავაზოს. ბაზარი არაა.
უბრალოდ, იმას ვამბობ, რატომ დასჭირ-
და ამ პატარა, მაგრამ დიდი წიგნის მო-
ხარშვას ორ წელზე მეტი.

„გათვლის“ დაწერა ავტორს 2008 წლის ომბა უბიძგა, – ოღონდ მაქსიმალურად ვეცადე, რომ ეს კონკრეტული სივრცით არ შემომჟავარგდა, – მუქანდება, – „ხო, მანამდე 2008-შივე „წერიზე“ (ლიტერატურული კონკურსია ასეთი) გავაგზავნე ამ იდეით დაწერილი ნაწარმოები, რაღაც უვარგისი, სამ ფურცლიანი მოთხოვნა.«



რა თქმა უნდა, არ გავიდა, მაგრამ ვუი-ქრობდი, რომ იდეა დასაკარგი არაა. მე ასე ვარ. რაღაც დრო მჭირდება, რომ მომწიფდებს“.

— იცა რა მიტყდება ყველაზე მეტად?
— ვეკითხები.
— რა?
— ამხელა კატასტროფა მოხდა 2008-ში, სამი წელი გავიდა, ათობით წიგნი გა-მოიცა და მარტო სამი თუ ოთხი წლები წავიკითხე, სადაც ომს რაღაც ადგილი უჭირავს.

— იმდენჯერ ვთქვი (უკვე ჩემს თავს ვეღარ ვიტან), რომ აი, რაც იწერება ამ ომზე, იწერება კაცების მიერ. მარტო ჰე-როიკა კი არა, მასკულინური კრიზისები და რამე, ვიფიქრე, კარგი იქნებოდა თუ ქალის თვალითაც შევხდავდი.

— არა, მე სხვა რამეს ვგულისხმობ. სიტყვაზე, ამერიკა ავილთ. ამის დედა ვატირე, საერთოდ არ შეხებია მო საკუ-თარ ტერიტორიაზე, მაგრამ გინდა მეორე მსოფლიო იყოს, გინდა ვიეტნამის, მთე-ლი შემდგომი მწერლური თაობები გამო-ჩარხეს ამ ომების. ეს შოკირებული მწერ-ლები, მოის შვილები... ჩვენი მწერლების განწყობაზე კარს მომდგარი კატასტრო-ფაც არ მოქმედებს. ისე უდარდელად გრძნობენ თავს, როგორც ფაჩხნაყრილი მონამეები, როცა რატომდაც ცეცხლი არ ინთება. მეგონა ჩემსავით ამაზე მოგეშა-ლა ნერვები და ასეთი მძაფრი ემოციების მომგვრელი „გათვალაც“ ამის შედეგია.

— ნერვები კი მომეშალა, მაგრამ ლი-ტერატურული კონტექსტები არაფერ შეუაშია. პირადი, უმისამართო პროტეს-ტი იყო, უფრო მოის მიმართ. ასეთი პროტესტები მაქსეს მთელი ცხოვრება. შეიძლება პათეტიკურად უდერდეს, მა-გრამ „გათვალა“ პროტესტის გამოხატვის

საუკეთესო ფორმად მივიჩნიე.

— მომ პირადად შეგეხო?

— არა... ხო. პირადად შემეხო, როგორც მოქალაქეს. მომ ხომ თოხმოცდათიანე-ბიდან მოყოლებული ყველას გეხება. თოხმოცდათიანებში მეც იმავე ასაკის ვიყავი, რაც, ვთქვათ, „გათვლის“ მთავა-რი გმირები.

ინტერვიუზე კიდევ უფრო გამიმყარდა პიპოთება, რომელს თანახმადაც ჩვენ, 90-იანებში წამოჩიტულ მკითხველებს, და მწერლებსაც, მოკლედ, ყველას ამ თაობიდან, ვისაც წიგნთან პირდაპირი ან ირიბი კავშირი აქვს, სულ სხვანაირი ბიოგრაფია უქნებოდა, ერთი კონკრე-ტული სერია რომ არ გამოეცათ დიად საბჭოთა საქართველოში – გემახსოვრე-ბათ, – ლატვიური, სკანდინავიური, ეს-ტონური და ა.შ. ზღაპრები. ყველას მიერ ჩარაკირებული ნორმატივია. ახლა რომ ვფიქრობ, არც მიკირის ამ ზღაპრების საკულტო წიგნობა. ჩვენს ბავშვობას ხომ სააღლუმოდ გამოწვრითილი სალდაფო-ნივით უწყობდა ფეხს სამოქალაქო მოი და სხვა სოციალური კატაკლიზმები. რეალობისგან გაქცევის საქმეში, ჩემს თაობასთან შედარებით, უილ დელიოზიც ნალი დოლეტანტია.

არა მარტო ბავშვობა, შემდგომი წლე-ბიც ჩვენთვის უნისონში მიდიოდა. როცა ღრუბლებში გაშენებული ზღაპრული ციტადელებიდან, ნებით თუ უხებლივეთ, „წარმატების“ და „ლუზერების“ სამყა-როში ვადენდით ბრავანს, ფანტაზიები უკან რჩებოდა. და ვინაიდან ლიტერატუ-რა ჩვენთვის სხვა არაფერი იყო თუ არა ფანტაზია, მასაც სხვა სათამაშობივით მივატოვებდით და მივიგონებდით ხოლ-მე, როგორც ასაკისოვის შეუფერებელ რამეს. მერე სტანდარტული ამბავია, შე-

გარდნაძე, სტაბილურობა, ოჯახურ კონ-სილიუმებზე შერჩეული ფაქულტეტები და სამუშაო სფერო – თამთას შემთხვე-ვაში საერთაშორისო ურთიერთობები, როგორც ჩემს შემთხვევაში – ეკონომიკა.

მოჩვენებითი სიმშვიდე.

მაგრამ ბოლოში მაინც გერხევა. გაგ-ნებს. გაგნებს, როგორც წარსულიდან საშველად გამოგზავნილი ტერმინატო-რი. გაგნებს და თავდაყირა აყენებს ყვე-ლაფერს. „არ ვდარდობ, რომ არ ვიცი, როდის მოვა აისი. მე მაინც ვაღებ ყვე-ლა კარს“ – ლამაზად თქვა დიკინსონმა. ეს პოეტები მძღვრეს მოგყიდინან ოქროს ფასად, ვალიაროთ, ზოგჯერ ამ ავტედით აისს სულ ფეხებზე ჰელია ღია გაქცეს კარი თუ არა, წიხლით შემოდის. ამჯე-რად, ნაციონალისტურასთან ლა-მაზი სამყაროს შენება კი არა, პირიქით, სკუპულობურად ნაშენები სამყაროს ნგრევაა, წიგნი კი რეალობის აღმწერია და არა რეალობისგან გასაქცევი ადგილი.

— სელინჯერი! – ამბობს თამთა.

— ალენ გინზბერგი! „ვარდისფერი პროჭი“ – როცა პირველად გავიგე, რომ ლექსში ამის თქმა შეიძლება... ამან ჩა-მავლო. მანამდე ფაშისტი ფუნდამენტა-ლისტი ვიყავი.

— ჰო, კიდევ „ახალგაზრდა ვერტერის ვნებების“ რიმეიქი იყო პლენცდორფის „ახალგაზრდა ვ-ს ახალი ვნებანი“, ძა-ლიან უარგონული ენით არის ნაწერი, მაგარი თარგმანია, მაშინ რომ წავიკი-თხე, ძალიან განსხვავებულად მეჩვენა. შემცვალა. წაგიოთხავს?

— არა, – ვპასუხობ, – გვეყო რა წიგნე-ბზე, ცხოვრებაზე ვიღაპარაკოთ.

— ამით ვერ გააქცებ ექვს გვერდს?

— ვერა.

— რა მოგიყვე... 2004 წელს ძალიან

ცუდი პერიოდი მქონდა და სტრესების გამო მარჯვენა ყურში დავკარგე სმენა... რას იცინი, მართლა. ძალიან სასაცილო სიტუაციებში მაგდებს, თუ, ვთქვათ, ხმაურია და აქედან ვილაცა მელაპარაკება, არ მესმის. მაგარია, უინტერესო ლექციაზე...

– აკაკი წერეთელივით ზიხარ?

– ჰო, CEU-ში ხშირად გამომიყენებია.

ბუდაპეშტში, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში თამთა გენდერს სწავლობდა. მაგისტრატურა გაიარა. ესეც ერთ-ერთი გზა იყო რეტინისგან თავის დასალევად. როგორც ჰანიბალს რომი სტულს, სითხ იმპერატორს – ლიუკ სკაი-ვიკერი, ჰოსნი მუპარაქს – მარკ ცუკერ-ბერგი, ჯოვერს – ბეტმენი, დიმიტრი ლორთქიფანიელს – ელტონ ჯონი, თამთასაც ეგრე ზარავს რუტინა, რომელიც სტრესის მეტს არაფერს უქადის.

16 წლის უკვე მარტო ცხოვრობდა თბილისში. მშობლებზე არც მანამდე ვყოფილვარ ჩამოკიდებულიო – მეუბნება. ორი უმცროსი და და ერთი ძმა როცა გყავს შენთვის ენერგია, უბრალოდ, აღარ დარჩებათო. „ეს დამოუკიდებლობაც არ ვიცი, რა არის. ბევრი რამით ვიტყუებთ თავს, მგონი დამოუკიდებლობაც ერთ-ერთი მათგანია. მაინც სოციალური ცხოველები ვართ, –“ ამბობს სიცილით.

მთელი მისი ცხოვრება დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა და შინაგანი ძიებებია, სამყაროში ადგილის პოვნის მცდელობა. უამრავ ადგილზე სცადა ბედი – ძიძაც ყოფილა, მიმტანი, თარჯიშანი, ასისტენტი, მდივანი ჰეტერონორმატიული გარეგნობით, სამთავრობო სტრუქტურებშიც უმუშავია. „ბევრი პროფესია რომ მოვსინვე, ვფიქრობ, უფრო საინტერესოდ ვიცხოვრე, ვიდრე სტანდარტული ფორმულით შევძლებდი. მოდელი რომაა – დაამთავრებ ინსტიტუტს, გათხოვდე-

ბი, ბავშვს გააჩენ, ან შეიძლება პარალალურად რაღაც კარიერა აწყო, მანქანა იყიდო, განვადებით სარეცხო მანქანა ან კარადა გამოიტანო. არ მინდოდა მეცეს ბილიკი გამეოულა, რომელსაც ყველა ქალი მიყვება, ან ცდილობს გაყვეს. ფიქრობენ, რომ ეს გზა თვითონ აირჩიეს“.

ყველაზერთ როცა სწყინდება გუდანაბადს კრავს და გზას მოუყვება. პირველად გერმანიაში ამოყო თავი. ფორტუნას მამაცები უყვარს. მხოლოდ ის ოთხი წინადადება იცოდა, რაც საელჩიოში უნდა ეთქვა და ზუსტად შესაბამისი კითხვები დაუსკვეს ბედად. შეფასების გრაფაში ჩაუწერეს, რომ გერმანულს სხლავს. ერთ წლამდე გაჩერდა თავისი საყვარელი მწერლის, ელფრიდე იელინგეის სამშობლოს. სადმეტ ჩაბარება და სტუდენტობა დაეზარა. როცა მიხვდა, რომ უკვე კარგად იყო, შემობრუნდა და უკან წამოვიდა. მეორე დიდი ვოლიუტი ბუდაპეშტში მოარტყა, ამჯერად, სასწავლად.

რადიკალი ფემინისტია, თუმცა არა სეპარატისტი ფემინისტი. მოკლედ, ყველანაირ ყბადალებულ როლს გაურბის, გენდერულსაც კი. შეხედულებები ნელ-ნელა უყალიბდებოდა. ათ ნელზე მეტი დაჭირდა იმის დასადგენად, როგორ სურს ცხოვრება – რა სურს პირად ფრონტზე, რა საზოგადოებრივზე.

ახლა უფლებადაცვით სექტორშია, მარგინალურ ჯგუფებს იცავს. განსხვავებულობისა და სათემო აქტივიზმის კუთხით მუშაობს. მეუბნება, რომ, ბოლოს და ბოლოს, იპოვა საქმე, რომელიც მოსწონს და ანაზღაურებადიცაა. პირველი ასეთი შემთხვევაა.

– თან წერისთვის და ფიქრისთვის ბევრი დრო არ მრჩება და ბედნიერი ვარ ამით.

– მაინც გენდერით დაამთავრე და ახლა მარგინალური ჯგუფების დაცვაში

იპოვე თავი ე.ი. CEU-ს პერიოდი პრაგმატული არჩევანიც ყოფილა, ატმოსფეროს შეცვლის და სტრესებისგან ტვინის განავების გარდა. ქალიც ხომ მარგინალური ჯგუფა?

– გენდერი მარტო ქალის უფლებები და ფემინიზმი არაა. კაცისაცაა. ესაა, ზოგადად, იდენტობის საკითხები, ასევე ლებტ. არასწორადაა მოტანილი ჩვენამდე და იმიტომ აქვთ ალერგია გენდერის გაგონებაზე. ფემინიზმზე უარესა ალერგია აქვთ.

– მე საერთოდ მგონია, რომ ფემინისტები საქართველოში უფრო ჩვენთვის იბრძვიან, მამაცებისთვის. ამ მონოლითური ნიღბის დასამსხვრევად, ყოველ დღე რომ ვიკეთებთ, ემანდ ვინმეტ არ დაინახოს, რომ პატრიარქიც იდებს დაბნეულ, შეშინქბულ გამომეტყველებას ხანდახან. არ ვპატარებიმობ.

– ბევრი მეუბნება, რომ ბევრ რამეს ვირთულებ, როცა ვამბობ, რომ ფემინისტი ვარ. ზოგი მეუბნება არ ხარ ფემინისტიო. არ ვემთხვევი ფემინისტებზე ჩამოყალიბებულ სულელურ სტერეოტიპს. არ ვარ მასკულინური, არ ვარ ბოროტი, არ ვარ მახინჯი, როგორც წარმოუდგენიათ ხოლო. საერთოდ, რაღაც ყალიბს როცა ვერ ერგები, ეს დაბნეულობას იწვევს. 31 წლის ვარ, არც ცოლი ვარ და არც ბოკვერს ვუზრდი სამშობლოს, ეს უკვე საშიშია ვიღაცისთვის. ძნელია სტერეოტიპების დანგრევა. ვფიქრობ, სამოქალაქო აქტივიზმზე ეფექტური ლიტერატურის საშუალებით ბრძოლაა. შეიძლება ძალიან ხმამაღალი ნათქვამია, რა ეფექტურიც იქონია მაგალითად იელინება ჩემზე, იგივეს მიღწევას ვცდილობ –

– მითხველი რომ დავაფიქრო, არ აქვს მინიშვნელობა ქალი იქნება თუ კაცი. ამის მაპროვოცირებული თემები მინდა შემოვტანო ტექსტში – ბევრი, ბევრი სექსი.

– ჰო, სექსიც, ომის არ იყოს, ჩვენში მარტო კაცი მწერლების თემაა. ენაც ხელს უწყობს, მარტო ეგენი „ტყიანვენ“ ვიღაცებს. ქალი ლტოლვის იბიქტია მხოლოდ.

– შემდეგში ქალების სექსუალობის თემას შევხო მინდა, ჩემს გმირებს ეს agenda-ც რომ ჰქონდეთ. თუმცა ჯერ არაფერს არ ვწერ. ვისვენებ. რაღაც იდები მაქვს, მაგრამ მომზადება მჭირდება. იხარშება...

31 წლის ვარ, არც ცოლი ვარ და არც ბოლოს ვუზრდი სამშობლოს, ეს უკვე საშიშია ვიღაცისთვის. ჩემისა სტერეოტიპის დანგრევა. ვფიქრობ, სამოქალაქო აქტივიზმზე ეფექტური ლიტერატურის საშუალებით ბრძოლა.



ABSOLUT
Plagiarism

ფოტო: ინა გეგიაძე



ფოტო: ინა გეგიაძე



ქართული კონფორმიზმის შესახებ „არც მცვალი დაცვა და არც შამფური“

„ნეტგაზეტის“ ლაივ-ჩანაწერის ტრანსკრიპტი <http://netgazeti.ge/GE/47/News/4580/>
(შემოკლებული ვარიანტი)

ზვად ქორიძე: ქალბატონ ნაირა გე-ლაშვილს, მწერალს, კავკასიური სახლის ხელმძღვანელს, ვთხოვე გვესაუბრა ერთ, აღმასა, ძალასან მნიშვნელოვან პრობლე-მაზე, რომელიც ქართული გამოთქმის სახით გამოვიტანეთ „ნეტგაზეტის“ მთა-ვარ გვერდზე: „არც მწვადი დაწვა და არც შამფური“.

გასულ წელს თქვენ გამოუშვით წიგ-ნი, რომელიც ძალას დიდხანს, 20 წელი „ხარშეთ“, „პირველი ორი წერ“. ამ წიგ-ნისთვის თქვენ მიიღეთ „საბაზ“. ეს არის

ერთგვარი ლიტერატურული ანალიზი იმისა, რაც ხდებოდა 20-22 წლის წინ საქართველოში. რატომ შეინახეთ ეს თემა აქამდე?

ნაირა გელაშვილი: მწერლის, ისევე როგორც ხალხის სულში მიდის რაღაც აუხსნელი პროცესები, რომელსაც სახელს ვერ დაარქმევ. ეს რომანი 20 წელი არ მიხარშია, ის 92-94 წლებში დავწერე, 2009 წელს კი, უბრალოდ, რედაქცია გავუკეთე. თვითონაც მიკვირს, ამდენი ხანი რატომ არ მინდოდა ამ წიგნის გამოცემა.

რაღაცნაირად მქონდა და მაქვს განცდა, რომ ჩევნს სინამდვილეში სიტყვა აღარ მნიშვნელობს, არც დაწერილი და არც – ნათქვამი. საერთოდ ლიტერატურის, მისი ძალმოსილების მიმართ დიდი ხანია გამიჩნდა ეჭვი.

ზვად ქორიძე: ანუ, არ კითხულობენ?

ნაირა გელაშვილი: ჰო, არ კითხულობენ, ან ვერ კითხულობენ ისე, როგორც უნდა კითხულობდნენ. თვითონ ეს როული წიგნია და რაღაცნაირად გამოწვევაა იმ თვალსაზრისით, რომ თანამედროვე

„ვფიქრობ, რომ ისეთი
დილი აბრესია აღარ
არის, მაგრამ მაცნე არის
უსაზღვრო გულგრილობა
და უსაზღვრობა, რომ
ეს პრობლემა ისოდე
და, ბოლოს და ბოლოს,
გაიგო, ან იმ ხალხის
გულში ჩაიხადო. და
ეს იმ ხალხისგან,
რომელიც საკუთარ თავს
ერისტიანო ასხალებს.“

ქართველი მეითხველი ისევე გამოტოვებს ამ წიგნში მთელ რიგ ანალიტიკურ ადგილებს და პასაურებს, როგორც მთელმა ქვეყანამ გამოტოვა განმანათლებლობა და ა.შ.

ზვიად ქორიძე: გამოტოვებს, რადგან ეშინია, თავისი თავი არ ამოიკითხოს იქ?

ნაირა გელაშვილი: წიგნს როული სტრუქტურა და მრავალი პლასტი აქვს. სტილური პლასტიკის ჩათვლით. ის, რაც მხატვრულადაა გამოსახული, შემდეგ მეცნიერულად არის გაანალიზებული, ოღონდ ეს ანალიზი მოცემულია მეოცე საუკუნის სამი დიდი მოაზროვნის ალბერტ შვაიცერის, კონრად ლორენცი-სა და ორტეგა ი გასეტის საეტაპო ნაშრომების ვრცელი რეზიუმების სახით. რაც ორგანულადაა რომანში ჩართული, რადგან მოქმედება მთარგმნელობით ცენტრში მიმდინარეობს, სადაც არა მხოლოდ ითარგმნება დასავლური ტექსტები, არამედ ინტერება წინათქმებიც მთავრის. კონრად ლორენცის „ცივილიზებული კაცობრიობის რვა მომაკვდინებელი ცოდვა“ და ორტეგა ი გასეტის „მასების ამბოხი“ მართლა ითარგმნა ქართულად ოთხმოცან წლებში და გამოიცა. მეც ამიტომ შევარჩიე. მაგრამ მათ ვრცელი ანალიტიკური რეზიუმები არ ახლდა.

ზვიად ქორიძე: მთელი პრობლემა ისაა, რომ ეს წიგნები ითარგმნა, დაიდო თა-როზე, მაგრამ საზოგადოებამ, რომელიც

მოხვდა ტრანსფორმაციის პერიოდში, არ ან ვერ წაიკითხა.

ნაირა გელაშვილი: სხვათა შორის, ეს სწორედ ისეთ წლებში მოხდა, როცა საზოგადოებას მართლა უნდა წაეკითხა, რადგან იქ არის მეოცე საუკუნის დასავლური საზოგადოების სიღრმისეული ანალიზი, მისი მომაკვდინებელი მანკიერებების, რაც ჩვენც გვეხება. მაგალითად, პიროვნების შთანთქმა საზოგადოებისა თუ მასის მიერ.

ზვიად ქორიძე: და რატომ არ წაიკითხა?

ნაირა გელაშვილი: არ იყო მოთხოვნილება.

ზვიად ქორიძე: იმაზე იყო მოთხოვნილება, რაც ხდებოდა 88-ში, 89-ში?

ნაირა გელაშვილი: დას. რაც საზოგადოებაში ხდება, საერთოდ, იმაზე ყოველთვის არის მოთხოვნილება. ან ყოველთვის დამსახურებულია. უმიზეზო შედეგი არ არსებობს. მე მგონია, რომ მასების მართვა ვერ მოხდება, თუ იმ მასაში საამისო მზადყოფნა არ არის. და რაც ამ წიგნში სააზროვნო პასაურები შემოდის, ნიშანებს ავტორის წინასწარ შეგუებას იმასთან, რომ ამას მკითხველი გამოტოვებს. ისევე როგორც, ჩვენმა ქვეყანამ გამოტოვა განმანათლებლობა, სერიოზული მეცნიერული ანალიზის ნაკადები და ა. შ. ერთმა მკითხველმა ამ რომანს „არშემდგარი განმანათლებლობა უწოდა“.

ზვიად ქორიძე: თუმცადა, დღეს უკვე განვლილია ეს 20 წელი და იქნებ, შეიცვალა რამე...

ნაირა გელაშვილი: ვერ გეტყვით. ამას ვერ ვგრძნობ. მე შემიძლა, ვიღაპარაჟი იმ მცირერიცხოვან მეოთხეულზე, რომელიც გამომებაურა და თავისი შთაბეჭდილება-მისაზრებები გამიზიარა, დანარჩენი არ ვიცი, რა ხდება. საერთოდ, წიგნს რომ წერ, სიბრძელეში მუშაობ, არ იცი, სად მიდის შენი წიგნი, ვისზე რა ზეგავლენას ახდენს.

ზვიად ქორიძე: პო, მაგრამ მწერლობაც ხომ ის არის, რომ მაინცდამაინც ის არ გამოთქვა, რაც უნდა შენს მეოთხეულს, რაც სიამოვნებს.

ნაირა გელაშვილი: არა, რა თქმა უნდა. მაგრამ მწერლობა არის გაზიარება, შენი

თავისთვის ხომ არ წერ. თავის მოტყუება იქნება, ეს რომ თქვა. რაღაც ტანჯვა განერინებს, რომელსაც სხვაგვარად ვეღარ ერევი. და გინდა ეს გაზიარებული იყოს.

ზვიად ქორიძე: იმ ყოფილი ისტორიებს მიუვარუნდეთ, რომლებიც ამ წიგნშია ასახული და რომელიც გადაიტანა მთელმა სახელმწიფომ და საზოგადოებამ. აფხაზეთი, მაჰმადიანი მესხების პრობლემა, ემიგრაციის პრობლემა, შინაგანი გაუცხოება. ეს ყველაფერი ხომ გავიარეთ? მანც უცხო ვართ ამისთვის? მანც არ გვაინტერესებს?

ნაირა გელაშვილი: ამ 20 წლის განმავლობაში ჩვენ უკუდმართად ვიარეთ, ზედმეტად გავიცვითეთ და დავიღალეთ. ეროვნული ენერგია მთლიანად გაფლანგებს პოლიტიკურსმა. და ამიტომ არის ახლა ასეთი დაღლის პერიოდი. ეს დაღლა ფიქტურულიც.

ზვიად ქორიძე: ვინ იღლება?

ნაირა გელაშვილი: ხალხი. ხალხი. ადამიანი. ახლა არის დაღლილობის და შეიძლება, საუკეთესო შემთხვევაში, დაფიქრების ეპოქაც. ავილოთ, მაგალითად, ისეთი პრობლემა, როგორიც მაჰმადიანი მესხებია. ამ საკითხის მიმართ ოდნავ შეიცვალა საზოგადოება ამ 20 წლის განმავლობაში. ვფიქრობ, რომ ისეთი დიდი აგრესია აღარ არის, მაგრამ მანც არის უსაზღვრო გულგრილობა და უსურვილობა, რომ ეს პრობლემა იცოდე და, პოლოს და ბოლოს, გაიგო, ან იმ ხალხის გულში ჩაიხდო. და ეს იმ ხალხისგან, რომელიც საუკუთარ თავს ქრისტიანად აცხადებს. პრატიკულად, ეს ადამიანები არ არიან შინაგანად ქრისტიანები. მათ თანაგრძნობა არ უჩნდებათ ამ უსასრულოდ დატანჯული ხალხის მიმართ, რომელიც დღესაც იტანჯება, თუნდაც, ამ ჩამოსახლების და რეპატრიაციის დროს.

ზვიად ქორიძე: რელიგიაც შეგუების ერთი ფორმაა? ვარ ამ რელიგიაში, ამ ფორმალურ წყობაში და მშვიდად ვარ, წყნარად ვარ.

ნაირა გელაშვილი: რა თქმა უნდა, 97 კი არა, 20 % რომ იყოს ნამდვილი ქრისტიანი, ეს ქვეყანა, ხომ სულ სხვანაირი ქვეყანა იქნებოდა?

ზვიად ქორიძე: და როგორი?



ფოტო: ირანის აპარატი



ფოტო: ბრონი საბარეკლი

ნაირა გელაშვილი: სხვანაირი.

ზვიად ქორიძე: რანაირი?

ნაირა გელაშვილი: აი, ახლა მივედით სხვა, უმნიშვნელოვანეს პრობლემასთან. რატომ ვერ ვაშენებთ ჩვენ დემოკრატიულ ქვეყანას? თომას მანის ცნობილი, კლასიკური გამოხატვების თანახმად, დემოკრატია ეს არის და-სავლეთის ქრისტიანული კულტურის პოლიტიკური გამოხატულება. ის ქრისტიანობამ შექმნა. მართალია, შემდეგ ეს ლიბერალური დემოკრატია შორდება თავის წარმომქნევლი წიაღს და ბევრ რამეში უპირისპირდება კიდეც. მაგრამ

მას წარმოშობს ქრისტიანობა. რადგან ადამიანის, პიროვნების მნიშვნელობა ასეთ სილრმეში და ასეთ სიმაღლეზე სხვაგან არსად დაფუძნებულა: ღმერთი ადამიანდება და წამებით კვდება ადამიანის გულისთვის. ამით ადამიანი და მისი მიწიერი ცხოვერება უდიდეს მნიშვნელობას იძენს. მაშასადამე, დემოკრატია უმაღლეს ეთოსში იღებს სათავეს. ეთიკური სანეისის, ეთიკური პრინციპების გარეშე არაფერი კარგი და კეთილი არსად არასდროს არ შექმნილა და არ დაკანონებულა. და არც შეიქმნება. ჩვენთან კი ნამდვილი ქრისტიანობა ჯერ არ გაშლილა, მანამდეც ძალიან შესუსტებული იყო. 70 წლის შემდეგ კი უცად იფეთქა, მაგრამ ეს არ დაეყრდნო ქრისტიანულ განმანათლებლობას. სერიოზული წყვეტა მოხდა ამ თვალსაზრისით და ის დაეყრდნო საბჭოთა ათეისტურ მემკვიდრეობას.

ზვიად ქორიძე: ანუ, ამ შემთხვევაში, რაკი არის ქრისტიანობის კრიზისი, შესაბამისად, არის დემოკრატიის კრიზისიც?

ნაირა გელაშვილი: რა თქმა უნდა. უამისოდ არ იქნება.

ზვიად ქორიძე: მაშინ რა სივრცე გვაქვს? სად ვცხოვრობთ ჩვენ?

ნაირა გელაშვილი: მე მაქს შეგრძნება, რომ ეს არის ცეცხლზე მოთუხუებუხე აჯაფსანდალი და ვეღარ გაგიგა, შიგ რა ინგრედიენტებია. თანაც მოხდა

თვითონ ლინგვისტური ველის ისეთი გაცვეთა, რომ არანაირ ნათქვაშს სიცოცხლე და სიზუსტე აღარ გააჩნია. თავის დროზე მერაბ მამარდაშვილი ლაპარაკობდა საბჭოთა ენობრივ ველზე, რომელზედაც აზროვნება შეუძლებელია, რადგან ეს ენა შეხებაში არ მოდის ცოცხალ სინამდვილესთან. და ჩვენ ეს ენა კი არ განვახლეთ, არამედ გავაგრძელეთ: სიცოცხლის ჩიმეცვლელი ენა. მაგალითად, ხელისუფლებამ რაც უნდა თქვას, უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს იმიტომ, რომ მან უკვე ყველაფერი თქვა. ამბობს და თვითონვე უარყოფს. ამიტომ მისი ენა მოკვდა. მაგრამ ასევე გაიცვითა საზოგადოებრივი მეტყველებაც. როდემდე შეიძლება, ერთი და იგივე ილაპარაკო? ეს არ არის არც მეცნიერული ანალიზის ენა, არც შემოქმედებითი აზროვნების ან პიროვნული გაბედულების ენა. ამას დაეშენა ახალი რიტორიკა, შემოიჭრა ამერიკანიშები თუ სხვა გაურკვევლი ნაკადები, არასამთავრობო სექტორის ენა. ეს ენა კი ძალიან ხშირად ჰგავს ახალი კომკავშირის ენას, რადგან იგივე კოლექტივების ენაა, დაცლილი პიროვნულობისა და უბრალო გულითადობისაგან. ჩვენ ვიმყოფებით იმ სივრცეში, სადაც არაფერი დეკლარირებული არ ნამდვილობს. არც დემოკრატია, არც ქრისტიანობა.

ზვიად ქორიძე: რატომ იღებს ამ ყველაფერს საზოგადოება? თქვენ ხატვათ ლამის აპოკალიფსურ ვითარებას, სადაც



ଓଡ଼ିଆ

„მა არ შევსრიგდვარ, ასეთ
დუხშირ, ასეთ დატაკ და ასეთ
მიირ საქართველოს, ამით
სასოფარებელი აღამიანს, მი
არ შევსრიგდვარ შიმშილით,
სისიცით, უნაღობითა და
უსახლყარობით გამოწვეულ
სიკვდილებს. ახლა ეს არის,
რაც საშველს არ გაძლიერს
და თეორიის საკითხებზე
ლაპარაკის ხალის
მიკარგებს“.

ძალიან რთული და გამოუვალი, ჩაკეტილი წრეა. რატომ არ ჩნდება პროტესტი?

ନାରୀ ଘେଲାଶ୍ଵିଳୀ: ପରିପ୍ରେସଟି ଆରିସ
ପ୍ରାଣକ୍ଷେତ୍ର ଅଧାରିନ୍ଦ୍ରିୟ, ଶୈଖିଳ୍ଲେଖା,
ପ୍ରାଣକ୍ଷେତ୍ର ସେବାକୁଳ୍ପର ଜ୍ଞାନକ୍ଷେତ୍ର, ମାଘରାମ
ଅଥ ପରିପ୍ରେସଟିରେ ଗାମନୋବାତ୍ରୀରେ ଗାଢ଼େଫ୍ଲୁଲ୍ଯେବା
ଅଧାର ଆରିସ. ଅଧାରପ୍ରାଣକ୍ଷେତ୍ର ଏହାରେ ଅଧାରପ୍ରାଣକ୍ଷେତ୍ର ଅଧ-
ଗିଲାନ. ଶୈଖିଳ୍ଲେଖା ଉପରାଳନ ଅଧାରିନ୍ଦ୍ରିୟ ଜ୍ଞାନ
ପରିପ୍ରେସଟି ପ୍ରାଣକ୍ଷେତ୍ର ସିତ୍ୟକ୍ଷେତ୍ର ଏହା ମିଳିବା
ଗାମନକୁଳ୍ପର ଅଧାରିନ୍ଦ୍ରିୟ ପରିପ୍ରେସଟିରେ, ମାଘରାମ
ତାଙ୍କୁଳିବା ସ୍ଵର୍ଗିଲିବା ସିଲରମିଦାନ ବିଶ୍ୱାସଟାରୁ
ଗର୍ଭନୀବା ସିନାମଦ୍ଵାରିଲିବା ମତେଣ ସାମିନ୍ଦ୍ରିୟ-
ଲ୍ଲେଖାରେ ଏହା ସିନାମଦ୍ଵାରିବା. ତୁମ୍ଭାତୀରୁ ଗର୍ଭନୀବା
କିମ୍ବାତାରୀବା.

რა არის ეკროპული ცივილიზაციისა
და სახელმწიფოს ერთ-ერთი ნიშანი? ის,
რომ მეცნიერულ საფუძველზე დგას და
ვითარდება, აქვს ასევე თვითრეფლექ-
სიისა და თვითკრიტიკის დაუშრეტელი
უნარი. ეს არის დასავლეთის ძალიან
დიდი ძალა. კაცობრიობმა შეაბიყვა ღრმა
კრიზისის გპოქაში, მაგრამ თუ რამებ იძ-
ლევა იმის იმედს, რომ დასავლეთი ამ
კრიზისს დაბლეგს, ეს არის ამორწულოვანი
ენერგია და გაბეჭდულება საკუთარი თა-
ვის კრიტიკული ანალიზითვის. თუ ჩვენ
ვიცით, რა ხდება დასავლეთში ცუდი,
ვიცით მათგან, მათი ფილმებიდან, მათი
წიგნებიდან. ჩვენ არა გვაქვს თვითრე-
ფლექსიის, საკუთარი თავის კრიტიკული
ანალიზის ასეთი მოთხოვნილება და გა-
ბეჭდობა.

ზურად ქორიძე: ერთი უკუნალრი კითხვა

მოვიდა ჩვენი მაყურებლისგან: „საუბრის დროს ვახსენეთ ქართული კონფორმიზმი და რას ნიშნავს ეს? ეროვნულ თავისებურებებთან ხომ არ გვაძეს საქმე თქვენი აზრით?“

ნაირა გელაშვილი: ჩვენთვის ეს კონ-
ფინანსურული მიზანი დამახასასათებელი
ჩანს. შეიძლება, ეს იყოს საბჭოთა მენ-
ტალობის მემკვიდრეობა... უწყინრად
კი უღერს, მაგრამ კონფინარმიზმის უკან
დგას სისხლი, ადამიანთა წამება, უბე-
დურებები. წესისმიერი ხელისუფლება
ძალადობას ახორციელებს სწორედ ამ
მასობრივი კონფინარმიზმის საშუალებით,
მასზე დაყრდნობით.

- „კონფიდენციალური მიმსახური“ სიტყვაა, რომელიც ნიშნავს ერთ-თვორმიანობას, მსგავსს. სოციალურ მეცნიერებებში გულისხმობენ მიმსახურებას, მისადაგებას, დათანხმებას საყოველთაოდ დაფენილ ნორმებზე. კველაფრის ერთ ფორმაში მოქცევას. ე.ი. მე ჩემს ინდივიდუალურ პოზიციაზე უარს ვამბობ და ორიენტირებული ვარ იმ აზრებზე და იმ პოზიციაზე, რაც არის დამახსასიათებელი საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილისათვის. ეს არ შეიძლება, ყოველთვის უარყოფითი იყოს. მე, მაგალითად, ვიზიარებ (ისევვე, როგორც თქვენ) საყოველთაო ნორმებს ზრდილობის სფეროში, სტუმართმოყვა-

რეობისა თუ ჰუმანურობის სფეროში. მაგრამ როდესაც მე არ ვიზიარებ

შინაგანად ამ თუ იმ გაბატონებულ და
დამტკიდრებულ მოსაზრებას, მაგრამ
ამას შეშით ხმამაღლა ვერ ვამბობ და
თავი ისე მიჭირავს, ვითომ ვიზიარებ, ეს
არის კონფორმიზმის ერთი სახე. არსე-
ბობს სხვა სახეც: როდესაც მე ვეცევ-
ვი საზოგადოების გაელერის ქვეშ და
შინაგანად ვიღებ მის სტერეოტიპებს.
კონფორმიზმს ხელს უწყობს საზოგა-
დოებრივი დიტატის, სოციალური ცენ-
ზურის, ფსიქოლოგიური ტერორის და
რეალური საფრთხის არსებობა, რომ
შენი ინდივიდუალური პოზიციის გამო
რაღაცა ფორმით დაისჯები. თუნდაც
იმით თავისჯიბი, რომ მარტო თარჩიბი.

და სხვათა მსგავსად თუ იმეტყველებ – რაღაც ფორმით დაჯილდოვდები. მითომ ადამიანები ლაპარაკობენ ან ხელი-სუფლების, ან, ვთქვათ, ლიბერალიზმის, ან ეკლესიის იდეოლოგიურ წორმებთან მისადაგებით. ყველა ამ სფეროდან მოდის დიქტატი. ამავე დროს ყველა ამ სფეროში შეიძლება შემოსავლის წყარო ან რაღაც დაცულობა იპოვო, თუკი მისი მსარდამშეტრი გახდები. მსარდამშეტრთა უმეტესობა კონფორმისტია. პირველ რიგში, ხელისუფლების იდეოლოგებად ქვეული ჩვენი ინტელექტუალები. ძალასა პროზაულია ეს ყალათარი.

ზვიად ქორიძე: შეიძლება ვთქვათ, რომ
ეს არის კარგი საფუძველი ტოტალიტა-
რიზმისათვის?

ნაირა გელაშვილი: რა თქმა უნდა. მა-

რამდენიმე საერთოდ, მინდა გითხვათ: ჩვენ
ისეთ სინამდვილეში ამოყყავით თავი,
რომ მსგავს პრობლემებზე ლაპარაკს
ნაჯები აზრი აქვს. მე, ყოველ შემთხვევაში,
ამის განწყობა დამეკარგა. როდე-
საც ხალხის მთავარ პრობლემად ისევ
ფიზიკური გადარჩენა იქცევა, როდესაც
ათასობით ადამიანმა აღარ იცის ბავშვების
რა აქამის და ყოველი დღის გათენება
თავზარს სცემს, როდესაც ქვეყნაში ში-
მშილი თარეშობს და ხალხი სიკვდილს
უყურებს თვალებში, – პირველ რიგში
ეს არის გადასაჭრელი – ადამიანის,
ბავშვის დახსნა შემშილისა და სიკვდი-
ლისაგან, უსახლკარობისა და დამცირე-
ბისაგან. პრობლემების 70-80% აქედან
გამომდინარეობს.

ზოგად ქრისტიანულობა: ახლა გისმენთ და მიჩნ-
დება კითხვა – ხომ არ ვეხებით ისეთ თე-
მას, რომელიც ძალიან საფრთხილოა, ან
ძალიან ხომ არ ვამძალობრება?

ନାରୀ ଗ୍ରେନଡ଼ିପୋଲିକ୍: ମେ ଅର୍ଥ ମାତ୍ରେ ନମ୍ବା-
ଟ୍ରେ ଉପରେ ମଦାଭରାଦ ସାର୍ଜନ୍କୁ ସ୍ଵର୍ଗିଲ୍ଲେ,
ବିଦର୍ଘ ନିର୍ବାଚନିକ ପାଇଁ ଯାଏନ୍ତିରେ ମେ ଅର ଶ୍ରେଷ୍ଠରେ-
ଦିଗବାର, ଆସିଥିଲେ ଦୁଃଖକିରଣ, ଆସିଥିଲେ ଧାର୍ତ୍ତାକୁ ଦା
ବାର ଆସିଥିଲେ ମନୀନ ସାହାରତପ୍ରେଲୋସ, ଅନ୍ତରେ ମନୀନ ସାହା-
ନାରାଜ୍ୟପାତ୍ର ଅଧାମିବାନ୍ତି, ମେ ଅର ଶ୍ରେଷ୍ଠରେଦିଗଙ୍କ
ଶିଳ୍ପିଲୋତ, ଶ୍ରୀପ୍ରିସନ୍, ଜ୍ଞାନାମିଲ୍ଲାବୋତା
ଦା ଜ୍ଞାନାମିଲ୍ଲାବୋତାକିମ ଗାମନ୍ଦିର୍ବ୍ୟୁଧ ଶିକ୍ଷଣ-
ଲେଖକୁଁ. ଆହ୍ଲା ଏହା ଅରିବ, ରାତ୍ର ସାର୍ଜନ୍କୁ ଏହା ଅର
ମାଦିଲ୍ଲେବୁସ, ରାତ୍ର ଜ୍ଞାନପ୍ରେସ ଫ୍ରାଂଚିସିସ ମାଧ୍ୟନ୍ତରେଥିଲେ
ଦା ତେବେରୀୟ ସାକ୍ଷିତ୍ୱରେଥିଲେ ଲାପାରାକ୍ୟାନ୍
ବ୍ୟାଲୀସିସ ମିକାରାଗ୍ଵାସ. ଆହ୍ଲା ଅରିବାନ ବ୍ୟାକ୍ୟାନ୍ତିକ,
ଜ୍ଞାନମାତ୍ର ଅଧାମିବାନ୍ତି, ବ୍ୟାନ୍ତି ଦେଇଦାଖାଲାକ୍ୟାନ୍
ତଥିଲ ପ୍ରକାଶକିମ୍ବଳୀ, କ୍ଲାନ୍ଡିକଲ୍ସା ତୁ ର୍ଯ୍ୟାନ୍ତାଫ୍-
ପ୍ରିୟିକିମ୍ବଳୀ ନିର୍ବାଚନିକ ପାଇଁ ଏହିକିମ୍ବଳୀରେ ଏହିକିମ୍ବଳୀ
କ୍ଷେତ୍ରବାନାରେ ମତଲୀବାନାରେ ଅନ୍ତରେ ମତାଶା ଦା
ଦୂରକ୍ଷେତ୍ର, କ୍ଷାଲାକ୍ଷେତ୍ର ଦା ସାର୍ଜନ୍କୁ ଏହିକିମ୍ବଳୀରେ
ଆସିଥିଲେ ନିର୍ବାଚନିକ ପାଇଁ.

ზევიად ქორიძე: მაგრამ ამ სხვა რაღა-
ცებზეც თუ არ ვილაპარაკეთ, მათ შო-
რის, შიძელზეც, არ გმოვა, ალბათ.

ნაირა გელაშვილი: რა თქმა უნდა, არ
გამოვა, მაგრამ როდესაც დღეში რამ-
დენიმე მათხოვარი მოდის ჩემს კართან,
უკვე პანიკაში ვარ, არ შემიძლია ამდებს
დავეხმარო და მიჩნდება უკვე საშინელი
შინაგანი ბზარი, წრიალი. დღეს, დღეს,
ამ წუთში რა ვენათ, რითი ვუშეველოთ
ბავშვს, რომელსაც სცივა და შია და ტყი-
ვითა ტანივა? ქალიშვილი ახო-

ვრებები გაჩნდა ჩვენს გარშემო, რომ
მოგიყვეთ, მხატვრული გამონაგონი გე-
გონებათ..

ზოგად ქორიძე: ამას ისიც ხომ ხედავს,
ვინც მართავს?

ନାରୀ ଗ୍ରେଲାଶ୍ଵିଳି: ଶ୍ରେଣୀଶ୍ଵରଙ୍ଗେବାଳ
ହେବେନ୍ଦ୍ରୀ ମେତ୍ରୀ ନିର୍ମାଣମାତ୍ରା ଏକୁସି, ମାଗରାମ
ଦାଲାଶ୍ଵରଙ୍ଗେବା ନିର୍ମାଣରେ ଅଧାମିନିରୀ ଗାରଙ୍ଗା-
କ୍ରମାଶ୍ଵରଙ୍ଗେବା, ଦାର୍ଢିପାଶ ଅଧାମିନାନ୍ତରୀ ତ୍ୟାଗିଶ୍ଵର-
ଦିଲ୍ଲିଶାଗାନ୍ତ. ଲମ୍ବିତୀର୍ଣ୍ଣପିଲାଶାଗାନ୍ତ, ତାଙ୍କାଗରନ୍ଦିନ-
ଦିଲ୍ଲିଶାଗାନ୍ତ. ରୂପମ ଆରିଲ ମାଜନ୍ତିରକଣଲ୍ଲେବେଲି
ନରଗାନମ୍ବେବା ସାଫିରିର? ରୂପମ ଆରିଲ ନମ୍ବ-
ଦିଲ୍ଲିଶା ସାଫିରିର? ରୂପମ ଆରିଲ ଶ୍ରେଣୀଶ୍ଵ-
ରଙ୍ଗେବିଶ ଗାଯପ୍ରତ୍ୟା ସାଫିରିର? କ୍ଷାତ୍ରପଦକିରଣବା
ଶାଶ୍ଵତବ୍ରନ୍ଦିନୀଶ ଗାନମିଶିଲନ୍ଦାଶି ଅକ୍ଷରିଦ୍ଵାରିବି-
ଦା ଦା ଉଚିଲ, ରମ ଦାଲାଶ୍ଵରଙ୍ଗେବା ଗନ୍ଧିବାଶ
ଅକ୍ଷାରଗବନ୍ଦିନୀଶ ଅଧାମିନାନ୍ତ. ଦାଲାବିନ ପ୍ରମତ୍ତା
ଶିଖିବା ଦ୍ୱାରାଦ୍ୱାରା ଅନିମ୍ବିତ.

ზოგად ქრონიქს: და იქნებ, ხელისუფლებას სწორედაც სიამოვნებს ის, რომ შიმშილისგან სასოწარკვეთილი ადამიანი ბევრ დათბობაზე გიყდის?

ნაირა გველშვილი: სიღატაკის ინსტრუ-
მენტალიზაცია ხდება. ეს ცნობილი და
გამოცდილი მეთოდია. გაღატაკებული
ადამიანის შართვა ადვილია გარკვეულ
ზღვრამდე.

და კიდევ ის მანუქბას, რომ ჩვენს
გაჭირვებულ ადამიანებს თვითმობილი-
ზაციის უნარი ნაკლებად აქვთ განვითა-
რებული. მეორე მსოფლიო ომის დროს,
თქვენც გინახავთ ის კადრები, ისეთი

დაგონეული იყო გეომათა, რომ იქნიდათ თუ რამე აღდგებოდა კიდევ, ვერ დაიჯერებდით... ნანგრევებით იყო სავსე ბერლინი, დრეზდენი, მთელი ქალაქები. და ომიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ, შეიძლება 20 დღის შემდეგ, ერთი თვის შემდეგ, გაჩინდა ქალაქის უგრძესი რიგე-

ბი, რომლებიც ერთმანეთს გადასცემდნენ ქვებს, არმატურებს. მათ განმინდეს ნაგრევებისგან მთელი ქალაქები. ეს, სწრაფი მოძილიზაციის თვისება, ჩვენ არ გვაქვს.

ନେତ୍ରାଳୀ ପାଦିକାରୀ: ମେ ଉପରେ ଏହାରେ ଆଜିର ପାଦିକାରୀ ହୁଏଥିଲା ଏହାରେ ଆଜିର ପାଦିକାରୀ ହୁଏଥିଲା

ზვიად ქორიძე: პიტლერიც ხომ ასევე კლავდა ინიჯაზთივას გერმანიაში?

ნაირა გელაშვილი: ცოტა ხანს იყო სა-თავეში, სწრაფად დამარცხდა. სხვათა შორის, გერმანელი ხალხი იმიტომ არის ტრაგიული ხალხი, რომ მსოფლიო სწავლობს მისი კატასტროფის მაგალითზე, რა საშინელებაა ნაციის ფაშიზმი, აგრესიული ნაციონალიზმი... ეს გრანძიოზული მაგალითი რომ არ გქონდეს, ასეთი ძლიერი არგუმენტებიც არ გექნებოდა ამ უკულმართობების საწინააღმდეგოდ.

ზოგად ქრონიქი: მაგრამ ეს ადამიანები, ხომ, ნანგრევების გატანამდე, 10-12 წლით ადრე, ამ შემგუებლობის პირობებში ცხოვრისტნებ?

ნაირა გელაშვილი: კი, ცხოვრობდნენ. თაგბრუ დაახვია ამ კატემა, ჰექნდა რა-ლაც დემინური, ადამიანთა უარყოფი-თი ენერგია გამოათავისუფლა... მაგრამ ამაზე შემდეგ დაიწერა ფსიქოლოგიური

გამოკვლეული, როგორ ხდება, რომ ადა-
მიანი არის განათლებულიც, ნორმალუ-
რიც, მერე მოდის ჰიტლერი და ეს აქამ-
დე ნორმალური ადამიანი აღტაცებისგან
იხრჩიობა და ხმას აძლევს. ამას ლოგიკუ-
რი ასხანა არა აქვს. ეს ჩვენ გამოვცადეთ
ზეიადიზმის მგალითზე, რითაც დაიწყო
ამ ქვეყნის ნგრევა. აგრესიული ბელა-
დის, ტირანის, ერთპიროვნული მმარ-
თველის მოთხოვნილება მოდის ქვეც-
ნიბიერიდან. ამას ძალიან ღრმა ძირები
აქვს. და ზეიადიზმი გრძელდება.

ზვისად ქორიძე: რამდენად ეფუქტური
იქნება, ძალიან ხშირად ელაპარაკო იმ

7 ნოემბერი 2007

საზოგადოებას, რომლის ქვეცნობიერიც სტიმულს აძლევს განუსაზღვრელ ძალაუფლებას. უფრო მეტად ხომ არ გააღიზიანებ, ან იქნებ პირიქით – საჭირო იყოს უფრო მეტი შეძახილი.

ნაირა გელაშვილი: ფორმასაც გააჩნია. მთელი უბედურება ისაა, რომ ადამიანი ლანძღვით უკეთესი არ ხდება, პირიქით.

ზვიად ქორიძე: აյ არ ვსაუბრობთ ლანძღვაზე. მაგალითად, თუნდაც, იმავე პრობლემებზე, რაც წელიან ჩამოვთვალეთ, და რაც თქვენს რომანშიც არის აღნერილი, იქნებ მეტი უნდა თქმულიყოთავის დროზე, 89-90-91-ში? შეიძლება, არ ყოფილიყო საზოგადოების ასეთი შემგუებლობა. თუ ეს გარდაუვალი იყო?


ნაირა გელაშვილი: იცით რა არის? რა

თქმა უნდა, რაღაც შესაძლებლობები იყო, მაგრამ ისეთნაირად მოხდა, რომ როგორც კი არენაზე გამოჩნდნენ ახალი პოლიტიკური ძალები, მათ სწრაფად დაიქვემდებარეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და უკვე ისეთ დონეს მიაღწია ამ აგრძესიული მასის აღვირასს-ნილობამ, რომ ფიზიკურად საშში გახდა მასთან დაპირისპირება. და დაუცველი აღმოჩნდა ადამიანი. კომუნისტური ხელისუფლების ბოლო წლებში უკვე ადამიანებს აღარ იცავდა და ვეღარ იცავდა, ამოქმედებულ მასას მართავდა ერთორი ბელადი.

ზვიად ქორიძე: და ეს, ბელადის მოთხოვნილება, დარჩა?

ნაირა გელაშვილი: კი, მასას ყოველ-

თვის აქვს ბელადის მოთხოვნილება – რომ ერთმა ადამიანმა ერთპიროვნულად მართოს და მისი პრობლემები გადაჭრას. ეს არის საბჭოთა გამოცდილება – გეშინია, თუ სინამდვილის წინაშე მარტო რჩები. სხვათა შორის, არავინ არ ცდილობს ამ უკანასკნელი 20 წლის ისტორია ობიექტურად გაანალიზოს და ფაქტების დონეზე დაწეროს. ახლაც პირველ არხზე პერიოდულად გადის ეს ისტორია და მაშინდელ პერიოდს აფასებენ ის ადამიანები, რომლებიც თვითონ იყვნენ აქტორები. როგორ შეიძლება მათი აზრი იყოს ობიექტური? და თუ ვინმე ისტორიკოსი გამოიდის, ახლაც კი ეშინია, რომ ხმამალლა თქვას, რეალურად რა ხდებოდა და 88, 89, 90 წლებში.



ფოტოები: ლათა არსაგაგაბაშვილი

პირადი სივრცე

ავტორი: ნინო გოგუა
ფოტო: სერგი ბარისაშვილი

პირადი სივრცე, სივრცეთა შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია.

იმანუელ კანტის სამუშაო ოთახის ფანჯრები, კენიგსბერგის ციხის ერთადერთ სარკმელს უყურებდა, რომლიდანაც ტუსაღები დიდი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ კანტის კაბინეტს, მის „წმინდათა წმინდას“. სულ მალე ტუსაღების ერთადერთი სარკმელი, კანტის „კატეგორიული იმპერატივით“, ქალაქის თვითმართველობისადმი გაგზავნილი წერილის საფუძველზე ამოიქოლა. სატუსაღოს ხსენებული სარკმელი დიდი გერმანელი აგნოსტიკოსის პირად სივრცეს არღვევდა. ზახერ მაზოხი პირიქით, საკუთარი ბედნიერებისა და კომფორტის ზონად – ციხეს მიიჩნევდა. ჯოაკინო როსინი დიდ წვეულებებს მართავდა და ხალხმრავლობა უყვარდა, რადგან ამ დროს იგი უფრო მეტი ჟინითა და მონდომებით წერდა თავის ოპერებს. რიპარდ ვაგნერს უთვალავი ბერეტი ჰქონდა თავის გარდერობში, ამდენივე ხალათი და ასზე მეტი ფაჩუჩი, ანუ სახლის ჩუსტეული. გალაკტიონი ცოტა სიყვარულს და ღერ პაპიროსს ითხოვდა, თუმცა სხვადასხვა ორდენებისადმიც არ ყოფილა გულგრილი, პლატონს ხეივანში უყვარდა სეირნობა, ბარათაშვილს – „ობლად სიარული“, სტალინს – „გაფრინდი შავო მერცხალო“, ილიას – წვეულებები, აკაკის – ბანქო და სასტუმროები. მათი იდენტიფიკაციები და პირადი სივრცეები განუყოფელია მათივე შემოქმედებისა და ცხოვრებისაგან.

„ცხელი შოკოლადი“ გთავაზობთ პროექტს, სადაც ჩვენი რესპონდენტები საკუთარ სივრცეზე და ინტერესებზე საუბრობენ, ყოველგვარი ანტურაჟისა და პროფესიული „შენიდბვების“ გარეშე.

რატი ამაღლობელი



Tea Time



ლავით საყვარელიძე

ყველაზე ხშირად კარგი მუსიკის მოსმენა მინდება. როცა კარგი მუსიკოსები ჩამოდიან და საინტერესო რალაც ხდება, ესაა ჩემი სულიერი საზრდო. თბილისში არცერთი ჯაზ-ფესტივალი არ გამიცდებია. რასაკვირველია, ბათუმში პლასიდო დომინგოს კონცერტზეც ვიყავი. სხვა დროს ჯანსულ კახიძის სახელის მუსიკალურ ცენტრში სიმღონიური მუსიკის კონცერტზეც და კონსერვატორიაში დავდივარ.

სალამოს ტელევიზორთან არასოდეს ვატარებ – ქართული არხების ყურებისას კლასუსტროფობა მეწყება. ტელევიზია გახდა სამომხმარებლო და არა შემოქმედებითი მედია. ტოკ-შოუებზე ლაპარაკიც ზედმეტია – ეს ძალიან ბრიყვული და ზედაპირული პროდუქტია. ეკრანით სულიერ საზრდოს ვერ მიიღებ. ამიტომ ვცდილობ, ჩემ გარშემო ყველას შევუშალო ხელი ტელევიზიის ყურებაში. მინდა ჩათვალინ, რომ საღამოს ეკრანთან გატარებული საათები, ესაა მათი სიკვდილის საათები. ტელევიზია ჩვენი მტერია. მასში შემოქმედებითი აღარაფერია.

ხშირად სხვა რეჟისორების დადგმულ სპეციალისტზე დავდივარ. საერთოდ, კარგი მაყურებელი ვარ, ძალიან კარგი აღქმის უნარით.

კინოც მიყვარს. ბოლოს crash ვნახე და ძალიან მომენთა, ახალ ფილმებს, ძირითადად, ინტერნეტით ვყიდულობ. მაკის „აითუ“ – ი და კარგი ტექნიკური შესაძლებლობები მაქს იმსთვის, რომ ფილმს გემრიელად ვუყურო. „ავატარიც“ ძალიან მომენთა, გასართობი და დასასვენებელი ფილმია.

ვისვენებ სტადიონზეც, ფეხბურთის ყურებისას. ახალი მწვრთნელის დანიშნვის შემდეგ, საქართველოს ნაკრებს ძალიან ვგულვეშმატკივრობ. თან ჯერჯერობით წაუგებელ სერიას თამაშობენ. წიგნის კითხვა ჩემთვის პროფესიის ნაწილი და მეშაობა უფროა, ვიდრე გართობა.

ვერ ვერთობი რესტორნებში, არადა სტუმრების გამო ხშირად მიხდება სიარული. თამადიობაც მინევს, რაც ჩემთვის სრულიად არაორგანულია. მოვალეობის გრძნობის გამო ქართულ სტუმარ-

მასპინძლობას ვწევ. ასეთ შემთხვევებში დროის კარგვის განცდა მიქმნის დისკომფორტის. ქეიფს მირჩევნია, სახლში ვიყო.

სამაგივროდ, ძალიან მიყვარს კაფეები. მაგალითად, კაფე „არ დაიდარდო“, ევროპის სახლის კაფე, „პურპური“ „თბილისი მერიოტის“ კაფე. ამ ადგილებში ისეთ მეგობრებთან ერთად დავდივარ, ვისთანაც ძალიან ფაქტიზ თემებზე მინევს საუბარი. მაგალითად, ლაშა ბუდაძესთან, რატი ამაღლობელთან, მეგობარ მსახიობებთან. სასაუბრო თემა მარტო თეატრი არაა, არამედ ლიტერატურა, ზოგადი თემები.

ჩემს ფოტოაღმდებრი მრავალი ცნობილი ადამიანი შეგხედებათ. ვმეგობრობ ხოსე კარერასთან, პლასიდო დომინგოსთან... მათ საქართველოში ჩამოსვლამდეც ვიცნობდი. რატომღაც, ისე ხდება, რომ ყველაზე ახლობელ ადამიანებთან არ მაქს ფოტოები გადაღებული, გამოჩენილ ადამიანებთან კი სულ ვიღებ. როცა ხედავ, რომ დომინგო გვერდით გყავს, ბუნებრივია, ცდილობ, გადაიღო. მერე ვხუმრობ ხოლმე – აი, ჩემი მეგობრები! რატომაც არა? ვმეგობრობთ.

ძალიან სანტერესოა პრეზიდენტთან მეგობრობა. რამდენჯერმე შეხვედრილვარ, დავუპატიუებივარ. პოლიტიკოსები დიდ ინფორმაციას ფლობენ. ამის გამო განსხვავებული შეხვედრები აქვთ სხვადასხვა საკითხზე. ეს ინფორმაცია ჩვენ არ ვგაქს, ამიტომ ანალიზისთვის მათ უფრო მეტი საშუალება აქვთ.

მასთან სერიოზულ თემებზე მისაუბრია. მაგალითად, ქუთაისისა და ბათუმის თეატრების განვითარებაზე. საკმით დაწყებული, განათებით დამთავრებული, მასთან ვათანაშმებდი ხოლმე იმიტომ, რომ ძალიან აინტერესებს არქიტექტურა და მშენებლობები. ბოლოს ბათუმში, პლასიდო დომინგოს კონცერტის შემდეგ ვნახე. იმედი მაქს, რომ ჩვენი ინტენსიური ურთიერთობა ოპერის თეატრის გახნის შემდეგ ისევ განახლდება.

ძალიან ახლო მეგობრობა მაქს გიგი უგულვასთან. ძალიან ეხმარება ოპერის თეატრს და საქმიანი ურთიერთობის გარდა, პირადი ნაცნობაც მაკავშირებს.

ეს ურთიერთობები ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ დასვენებას ყველაზე მეტად მაინც საზღვარგარეთ ვახერხებ. გერმანიის პატარა ქალაქ ბაიროითში ყოველ წელს გაგნერის ოპერების ფესტივალი იმართება. აქ გატარებული 10 დღე მთელ წელს მყოფის. ესაა სულიერი სანატორიუმი, სადაც ყველას არ შეუძლია მოხვდორა. ეს მექანიკური მუსიკის მოყვარულებისთვის, რომლის ბილეთების შესაძლობებების 7 წელი უწევს რიგში დგომა. წარმოიდგინეთ, ლიკანში რომ წახვიდეთ და იქვე იყოს უდიდესი საფესტივალო ცენტრი. აგვისტოში აქ ყველა იმისთვის ჩამოდის, რომ დილით სინუსარეში, სიმწვანეში, სუფთა ამინდზე ისეირნოს და საღამოს ამ გენიალურ წარმოდგენებს დაესწროს. მე დაგუმეტებორდი კატერინა ვაგნერს, ვაგნერის შეილობაშვილს, რომელიც ამ თეატრს ხელმძღვანელობს. თვითონ თეატრი ვაგნერის აშენებულია. ესაა ადგილი, სადაც ნამდვილად ვისვენებ და ვიმუხტები, მომავალ წლამდე კი სიხარულით ვიცდი ხოლმე, რომ ისევ ჩავიდე. აღარა, ყველაზენდა მონახოს ასეთი ადგილი.

დასვენებისას და გართობისას ფასებს არ ვაქცევ ყურადღებას.

ძეირადლირებული და ხარისხიანი სასმელები მიყვარს – ტეკილა და კონინი. თანაც ბევრი არ გჭირდება იმისთვის, რომ კარგ ხასიათზე დაგაყენოს.

ქართულ ღვინოსაც სიამოვნებით ვსვამ, თუ ძალიან ძეირფასია. დასვენების დროს, ზოგჯერ ძალიან მსიამოებებს სიგარა, მიუხედავად იმისა, რომ არ ვერცვი. მიხარია, რომ აჭარაში ჩვენც დავიწყეთ სიგარების წარმოება. რა თემა უნდა, კუპურს არ სჯობია, მაგრამ დანარჩენი ქვეყნების პროდუქტს არ ჩამოუვარდება.

ახლა ძალიან რთული პერიოდი მაქს – ოპერაში რემონტია, რესტავრაციას და ოპერის თეატრებში სპექტაკლებს ვდგამ, გასტროლებისთვის ვემზადებით. ასეთ დროს სიტყვა დასვენებაც კი ჩემი მტერია. ამ საქმეებს რომ მოვრჩები და დასვენების დრო მექნება, ერთი კვირა უნდა ვიძინო, რომ მერე ისევ სამუშაოს შევუდგე.

სიცოდუროები

ეკა ქვესიტაძე



ერთადერთი პერიოდი, როცა მთეული თავისუფალი დრო საკუთარ თავს მიუსძლებინი, პირველი ორსულობისას იყო. იმ დროს ტელევიზიში არ ვმუშაობდი, ურნალისთვის პერიოდულად ვწერდი და თავისუფალ დროს ვაკეთებდი ყველაფერს, რაც მინდოდა: დავდიოდი ოპერაში, კინოს სახლში, ვეუყურებდი კარგ ფილმებს, ვკითხულობდი. ეს ჰარმონია 7 თვეს გაგრძელდა.

ახლა თავისუფალი დრო იშვიათად მაქვს. რთულია, 2 ჰატარა ბავშვით სადმე დიდი ხნით ნასვლაზე იფიქრო.

საუკეთესო დასენება მეგობრებთან ერთად რომელიმე საყვარელ ადგილას წასვლაა. გუშინაც „ევროპის სახლში“ ვიყავით. ყველაფერი მომწონს – ინტერიერი, დიზაინი. შემიძლია მარტო ვიყო, რამე წავიკითხო – წიგნი, ან ურნალი. ადრე ვფიქრობდი, რომ ქართული სამზარეულო არ მიყვარდა. ამ ადგილას აღმოგაჩინე, რომ პირიქით – ტრადიციული რესტორნის გარემოს გარეშე, ევროპულ სივრცეშიც შესაძლებელია ევროპულად მომზადებული ქართული საჭმლის ჭამა. ამ რესტორნის კონცეფციაც ძალიან მომწონს. ცივილური სივრცეა იმისთვის, რომ დაისვენო.

არ მომწონს ქართული რესტორნები. ეს გარემო ჩემთვის უცხოა. თავს იქ ვგრძნობ კარგად, სადაც ადამიანები ჩუმად საუბრობენ, მუსიკაც ჩუმია, სადაც არა მხოლოდ საქმელად, არამედ წასაკითხადაც შეიძლება მიხვიდე, ან კომპიუტერით იმუშავო. მე მგონი, „ლიტერატურულმა კაფეზ“ დანერგა ამის კულტურა, სადაც ასევე ძალიან ხშირად დავდივარ.

თოვლი არ მიყვარს, მხოლოდ სამი დღით შემიძლია, გავუძლო. ამიტომ ზამთრის კურორტებზე არ დავდივარ. ბევრად მირჩევნია ზაფხული და ერთი სული მაქვს, სანამ ზღვაზე ჩავალ ხოლმე.

ბარსელონაში მიესვდი, რომ შავ ზღვაში ცურვა უფრო მსიამოვნებს. ბოლოს კვარიათში თუ გონიოში, მთაში

აღმოვაჩინეთ სასტუმრო, სადაც ამ ზაფხულის გატარებას ვაპირებთ.

ტაბახმელაში დიდი ხანია ერთ სახლს ვეირაობთ უჩვეულოდ დიდი აიგნით. ამ აიგანზე გაბმული ჰამაკი და მე შიგნით, წიგნით ხელში, სიმშვიდე, ჰაერი – ეს საუკეთესო დასვენებაა.

ადამიანების 90%-ს განტურთვაში შოპინგი ქმარება და მათ რიცხვში შევდივარ მეც. ჩემს ქმარს განსაკუთრებით უყვარს ხოლმე ამ თემაზე ქილიკი. მიყვარს ლამაზი ნივთები, ბიუტერიით დაწყებული, ტანსაცმლით დამთავრებული.

უფრო საზღვარგარეთ შოპინგი მიყვარს. აქაც მაქვს რამდენიმე საყვარელი ადგილი. ბოლო დროს ონლაინ შოპინგზე გადავედი. თუ ძალიან დაღლილი ვარ, ვირტუალურად ვარჩევ ხოლმე ტანსაცმელს, თანაც, გამოწერა რისკი აღარაა, როგორც ადრე იყო.

ზოგადად, ბრილიანტები და ბენვეული არ მიყვარს. მაღიზიანებს ქურქების ეს საერთო ტენდენცია, რაც დღეს თბილისის ქუჩებს აქვს მოდებული.

ბრენდებზე პრობლემა არ მაქვს. უზარმაზარი თანხის გადახდა რაიმე სტილში უაზრობად მიმართა.

ერთი პერიოდი ვამბობდი, სახლში სალონი მაქვს გახსნილი-მეთქი. კვირაში ერთი-ორჯერ მაინც გვსტუმრობენ მეგობრები. ღვინის და ჩაის სმის ტრადიცია ვაკევს. მე ცნობილი ცუდი კულინარი ვარ და ზუსტად იციან, რომ ჩემთან მხოლოდ ჩაის თუ დალევენ. ბოლო დროს წითელი ღვინი შემიყვარდა. სასმელებისადმი ყოველთვის არამეგობრული ვიყავი, მაგრამ ჩემს მამამთილს აქვს წითელი ღვინო, რომელიც ძალიან მომწონს და სულ თან დამაქეს, სადაც მივდივარ. სხვა ღვინოს იშვიათად ვსინჯავ.

მყავს დიდი ხნის მეგობრები, რომლებიც ოჯახის წევრებივით არიან. ასეთი ადამიანები შეიძლება ერთი თვე არ ვნახო, მაგრამ ძალიან მიშვნელოვანი ხალხია ჩემთვის. ძირითადად, ჩემი მეგობრები ჩემი თანამოაზ-

რეები არიან. არაა აუცილებელი, რომ ერთმანეთს ყველაფერში ვეთანხმებოდეთ, მაგრამ საერთო ღირებულებები უნდა გვქონდეს. მიყვარს როცა ჩემთან მოდიან გიგი თევზაბეს, ლამაბულაძე, ბაკურ სულაკაურ საუბარი. ხშირად ვსტუმრობ ბაკურსაც.

აზრთა განსხვავებულობის გამო მეგობრები რაღაც ეტაპზე დამიკარგავს, მაგრამ ისინი თვითონ წასულან, მეამის ინიციატორი არასდროს ვყოფილვარ. პრობლემა ისაა, რომ როგორც კი საკუთარ აზრს გამოთქვამ, არ უშვებენ, რომ ადამიანი ხარ და შენი კრიტიკული დამოკიდებულება გაქვს. ვყიქრობ, რომ ყველაზე ცუდია, როცა ადამიანი საკუთარი იდეა ფიქსების ტყვეობაში ხვდება.

მაგალითად, მომყავს ხოლმე ჩემი და ნინია კაკაბაძის მეგობრობა. ხშირად ვკამათობთ, მაგრამ ჩემი უახლოესი ადამიანია.

ტელევიზორთან „ექიმი ჰაუსის“ ახალმა სეზონმა დამბრუნება. ახალი ამბების ყურებითაც ვისვენებ, მაგრამ თუ რამე არ ხდება, შეიძლება საერთოდ არც ჩავრთო.

ახლა განცდა მრჩება, რომ ინტელექტუალური ელიტა, რომელიც ერთ მუჭქი შეიძლია მოაქციო, შენი ნაცნობების წრე შეიძლება იყოს. ზოგჯერ მრჩება შთაბეჭდილება, რომ მათ შეუძლიათ ცვლილებების პროცესირება, თუ სათანადო მომწნეტს სწორად შეარჩევენ. თუ ამას ექნება ხელისუფლების მხარდაჭერა, შეიძლება რაღაც ძირეული ცვლილებების გატარება. ზოგჯერ კი მეჩვენება, რომ ეს ელიტა მარგინალიზებულია. მათი მისწრაფებები სხვაა და ზოგადად ხალხისა – სხვა. საზოგადოების დიდ ნანილში ფსევდორელიგიური, ფსევდოპატრიოტული განწყობაა.

ჩემს თანამოაზრებთან ერთად ვცდილობ გავაკეთო ის, რაც მწამს. ვყიქრობ, რომ ადამიანები ბევრს უნდა აეთებდნენ იმისთვის, რისიც სჯერათ. მე ეს გზა ავირჩიე. შეიძლება, ცოტას ვაკეთებ, მაგრამ ვცდილობ.

საისტროები



ლავით პაიშაძე



ჩემს ცხოვრებაში სხვისოვის საინტერესო ბევრი არაფერია. თავისუფალი დრო, პრაქტიკულად, არ მაქეს. გმუშაობ სამ ადგილას. ამიტომ ჩემთვის თავისუფალი დრო არის წუთები, რომელსაც ვპარავ სამსახურებრივ მოვალეობებს. თუმცა, შრომაპოლიკი არ ვარ. ვშრომობ იმისთვის, რომ ვიცხოვო და არა – პირიქით.

ახლა თავისუფალი დრო რომ მქონდეს, გუდაურში, ჩემი მეგობრის სახლში ნავიდოდით. მანქანა გამოვცალე და სიარულიც მეიმდება. ბავშვები გაერთობოდნენ, მე ჰერს გამოვიცვლიდი და გავხალისდებოდი. ყოველდღიურობის კონტექსტისგან თავის ამოგდება დასვენებაა.

რესტორანში წასვლა სრულიად ბანალური რამეა, მაგრამ უსიამოვნო სულაც არა. ხშირად ბავშვები გვთხოვენ ხოლმე და ვცდილობთ, სხვადასხვა ადგილას ვიაროთ. მაგრამ ახლა ახალი სახლისთვის განკუთვნილი ხარჯების გმირ, ამას უფრო იშვათად ვახერხებთ.

ფასები ჩემთვის ყოველთვის მნიშვნელოვანია. უბრალოდ, ფასს უსადაგებ ცნობისმოყვარეობასაც. მაგალითად, „ეროპის სახლში“ არა დაბალი ფასები. მაგრამ წავედით და რაღაცები გავსინჯეთ. მათ შორის, შემწვარი ელარჯი. სამზარეულოში ჩნდება ახალი მიმართულება – ტრადიციული ქართული კერძების ევროპულად „მოქცევა“.

გადაჭარბების გარეშე, ჩემთვის ერთი სიამოვნება შეიღებთან ერთად კინოში წასვლა. სახლში თუ გულს აწყალებენ, გარეთ ძალიან განსხვავებულები არიან. ძალიან მწყინს, რომ იშვიათია საბავშვო ფილმები. თვეში ერთხელ თუ გამოჩენდა მულტფილმი, კარგია. „ამირანში“ და „რუსთაველში“ დავდივართ. ამ ჩვენებებს მოსდევს ხოლმე განხილვა – ძირითადად, უფროს შვილთან. თვეში ორჯერ მეუღლესთან ერთად ვარ ხოლმე კინოდარბაზში. ბოლო თვეებია, ერთობლივი შოპინგი გახდა დასვენების ერთგვარი ფორმა.

„ფეისბუქში“ მიმდის თავისუფალი დროის დიდი ნაწილი. თუმცა, ამ ბოლო

დროს მეჩვენება, რომ განელდა ის ვწება, რაც ახლდა ამ სოციალური ქსელის მოხმარებას.

ბოლო დროს მეც უფრო აზიზი გავხდი მეგობრების შერჩევაში. მეგობრები მყავს და ისინი სამსახურს არ უკავშირდებიან. ვხვდები ხოლმე სოციალურ სივრცეში გაცნობილ ახალ თანამოაზრებსაც. ბოლო ასეთი შეხვედრა ძალიან საინტერესო იყო. სერმონესტიმაგუანი – როგორც რომაელები ამბობენ, მეტყველება არის სულის ხატი და მეტყველებით შენ ხვდები, ვინაა ის.

ძალიან მიყარს სუფრა. ერთი სული მაქვს, ჩემი უახლოესი მეგობრები ახალ სახლში დავპატიუო, მაგრამ ქეიფი, ტრადიციული გაგებით, აღარ მომწონს. ამ ფორმება ჩემთვის დაკარგა მიმზიდველობა. 93-94 წლებში მითხრეს, – შენგან კარგი ფასიანი თამადა დადგებაო. მაშინ ეს სიცილად არ მეყო, მაგრამ შემოთავაზება დღემდე მახსოვს. ახლა სადღევრძელოს თქმა აღარ შემიძლია. ტრადიციული ქართული სუფრის ფორმას ვეღარ ვიღებ თავისი დასტრუქტურუბულობით. დღეს სუფრა კლიშებად იქცა. თემატიკა ცნობილია, შესრულებაც ცნობილია, ახალს ვერაფერს ვერ იტყვი, შეიძლება პათოსი დაატანო. სუფრა ჩემთვის, როგორც ძეველი რომაელებისთვის, არის შეხვედრების და მუსაიფის ადგილი.

მთავარი დასვენება – შვებულება – წმინდათაწმინდაა. შარშან ბირთვისში, ჩვენს აგარაკზე გავატარე ეს დრო. არაჩვეულებრივი ადგილია – ჰერი არსად რომ არ იძროდეს, მზე რომ ზენიტში იყოს, აივანზე მაქვს ერთი ადგილი, სადაც სულ უბრავს. თუ გინდა, დაჯექი და ცას უყურე, გინდა ჩათვლიმე, გინდა იფიქრე, ესაა ჩემთვის დასვენება – მოსვენება, როცა არ ვინძრევი. ვზივარ, ვკითხულობ, ვჭამ, მძინავს. მე არ მწყინდება.

სპეციფიკური სიხარულები მოაქვს ჩემთვის ტექსტებს. არ აქვს მნიშვნელობა, ვინ წერს მათ. საერთოდ, ძალიან კარგი ბიბლიოთეკა მაქვს – 2000-მდე წიგნი – იმის შედეგად, რომ წიგნის

მაღაზიებში სიარული ჩემი დასვენების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა. ყოველთვის ვერ ვკითხულობ ახალშეძენილ წიგნებს, მაგრამ მანც ვყიდულობ. კვირაში ერთი წიგნის სიჩქარით ვცხოვრობ. ძირითადად, რუსულად ვკითხულობ, მაგრამ რუსი ავტორები არ მანიტერესებს. ვყიდულობ სხვა ავტორებს, რუსულად ნათარგმნს. რუსულ თანამედროვე ლიტერატურასა და მეცნიერებაზე მაღალი აზრის არ ვარ.

ახლა ვკითხულობ პროფესიულ წიგნებს და ალექსანდრ ლოუენს, რომელიც ბიონერგეტიკის ერთ-ერთი მიმართულების შემქმნელია. აღწერილი აქვს თეორია, როგორ შეიძლება, კუნთებზე მანიპულაციამ ზემოქმედება იქონის ფისიკაზე და გვთავაზობს ვარჯიშების კომპლექსს. ეს არაა იოგასავით რთული ვარჯიშები, ამიტომ, ალბათ, გამოვიყენებ. შეიძლება, გამხნევება გჭირდებოდეს სტუდიაში შესვლის წინ.

ვკითხულობ „ლიბერალს“, „ტაბულას“, ინტერნეტ საიტებს. ასევე, მეგობრების და კოლეგების ნაწილებს.

არ ვიცო, რა უფრო მთავარია – იდენტობა, როგორ უყურებ შენს თავს, თუ ის, როგორ აღიქვამენ სხვები. ჩემთვის არსებითია ის, თავს რად მივიჩნევ. მაგრამ შეგუებული ვარ, რომ ეს არასდროს არ დაემთხვევა სხვების აზრს ჩემზე. სხვებისთვის ჩემი გადაცემებიც კი სრულიად სხვა გამოდის ხოლმე, ვიდრე მე ჩავიფიქრე.

მიმართია, რომ არიან ძალიან გამჭრიანი ადამიანები, რომელთაც რაიმე ჯგუფში არ მოვაქცევდი. მათ აქვთ წიგნიერება და შეუძლიათ დამაჯერებლად, გულწრფელად იმსჯელონ რაღაც საკითხებზე. ერთ-ერთ ჭკვიან ადამიანად მიმართია გიგა ზედანია, რომელიც სინტერესო ადამიანი და ცოცხალი ტიპია. შეიძლება, მას ვიღაცა ელიტას აკუთვნებდეს, მაგრამ რეალურად ის ცხოვრობს მეცნიერის ცხოვრებით. მე ჩემი პროფესიული იდენტობა მაქვს და ამის იქით თავი არ გამყავს.



თამარ კინწურაშვილი

ვისვენებ, როგორც მიხერხდება. იმის გამო, რომ ბევრ დროს ვხარჯავ სამსახურში, ვცდილობ, ბავშვს ეს დრო მაქსიმალურად ავუნაზღაურო. ამიტომ თავისუფალი დროის უდიდეს ნაწილს მასთან ვატარებ. მინდა, მის მეცადინეობაში არ ჩავერიო, რომ დამოუკიდებლობას მიეჩიოს, თუმცა ხანდახან ვეხმარები.

დასვენებისასაც საბავშვო რეპერტუარი მაქს. შაბათ-კვირას დავდივართ კინოში, საბავშვო ფილმებზე. ვცდილობ, წიგნების კითხვასაც შევაჩვიო, თუმცა ფილმები ურჩევნია. ზოგჯერ, მე თვითონ ვუკითხავ.

თავისუფალ დროს მეგობრებთან ერთად ვარ ხოლმე. მე და ჩემს მეუღლეს საერთო მეგობრები გვყავს და ამიტომ მარტივია ურთიერთობა. ხშირად მოდიან ჩვენთან სახლში, ან ჩვენ ესტუმრობთ. ბავშვისთვის დიდად მიმზიდველი არაა, როცა ყურადღება აკლდება, მაგრამ „ჯეტიქსი“ უვსებს ამ დანაკლისს.

ტელევიზიის მიმართ ჩემი დამოუკიდებულება მაქს – ინფორმაციის წყაროა, მაგრამ როცა ვერ ვახერხებ პირდაპირ ნახვას, ინტერნეტს მივმართავ ხოლმე. მე უფრო პროფესიული თვალით ვუყურებ – აკადემიურ საქმიანობასაც ვენევი, ლექციებს ვკითხულობ და მაინტერესებს ეს სფერო. გასართობი გადაცემების ხარისხი ხშირად საკამათოა, რა თქმა უნდა, მაგრამ არის რამდენიმე, რასაც შეიძლება უყურო.

მე „შუა ქალაქი“ ვუყურებ დიდი სიამოვნებით. ამ ხალხს რომ ვუყურებ, ჩემი ოჯახის წევრებივით არიან. სხვათა შორის, ბავშვი წავიყვანე შექსპირის „შობის მეთორმეტე ლამზე“, რომელიც „შუა ქალაქის“ მსახიობები თამაშობდნენ. სპექტაკლი სამ საათნახევარს გაგრძელდა, თემატიკაც არასაბავშვო იყო, მაგრამ ჩემმა შვილმა დათოს და ამირანის ეშით ბოლომდე უყურა. ასე რომ, ჰოლივუდის ფუნქციას ჩვენთან „შუა ქალაქი“ ასრულებს.

საერთოდ, როგორ ახერხებ თბილისში გართობას, ეს ინტერესებზე და ასაკზეა დამოუკიდებული. შეიძლება, ისეთი მრავალფეროვანი არაა ეს ქალაქი, მაგრამ ვფიქრობ, რომ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია შეიქმნას გარემო, რომელიც დააინტერესებს.

კაფეს სიმყუდროვის მიხედვით ვარჩევ. არის სხვადასხვა ადგილები, სადაც განწყობის და მოლოდნების მიხედვით მიდიხარ – თუ ვინმესთან საუბარი გინდა, სიწყარეს არჩევ, თუ ზაფხულია, გარეთ გირჩევნია ყოფნა, გრილ ადგილას.

„სალვე“ მშვიდი ადგილია. „People“ ზაფხულობით ძალიან მოსახერხებელია. ქალაქიდან გასვლა ძალიან მეხმარება და ზაფხულობით შაბათ-კვირას ვცდილობ ბავშვთან, ქვიშების აგარაჟზე წავიდე ხოლმე. მცხეთის სალობიები დავდივართ ხოლმე.

სუფრა ინტერაქციისთვისაა მნიშვნელოვანი. ეს შეიძლება, კაფეშიც მოახერხო და ტრადიციულ სუფრაზეც. უბრალოდ, ეს არ უნდა იყოს ფსევდორიტუალური სიტუაცია. თბილისში არის კარგი რესტორნები, ნორმალური სერვისით, თუმცა ამ მიმართულებას საფუძვლიანად არ ვიცნობ. სერვისის დონე, ალბათ, უკეთესობისკენ მიდის, თუმცა ამ კუთხით კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

სხვადასხვა წრისა და პერიოდის მეგობრები მყავს. ზოგჯერ სამსახურშიც განსაკუთრებული ურთიერთობები გიყალიბდება. გაზეთ „დროში“ რომ ვმუშაობდი, თანამშრომლები თითქმის ერთი ოჯახივით ვიყავით. ხშირად დავდიოდით პიკნიკებზე გასართობად. მათთან ისევ ვმეგობრობ.

თანამედროვე ქართულ ხელოვნებას დიდად ვერ ვადევნებ თვალს, თუმცა წარმოდგენებზე როცა მიწვევენ, მივდივარ ხოლმე, თუ ისეთი ავტორია, რომელიც მაინტერესებს. უცხოეთში როცა ვარ, ვცდილობ ბევრი რამ დავათვალიერო, თუმცა აქაც

ბევრი ნიჭიერი შემსრულებელია. დასახელება მიჭირს, ბოლოს საქართველოში არც ერთ წარმოდგენაზე არ ვყოფილვარ.

ბათუმში პლასიდო დომინგოს კონცერტზე ვიყავი. კლასიკური მუსიკა მიყვარს და ვცდილობ, როცა არის ამის შესაძლებლობა, რამე ღირებული ვნახო და დავესწრო. ძალიან მომენთია. ემოციური იყო, კარგი შესრულება, საინტერესო რეპერტუარი, შთამბეჭდვი.

ზოგადად აზარტული ვარ, ჯოკერიც მითამაშია. ზოგჯერ ზედმეტად ვერთვები და ამის გამო ვცდილობ, ნაკლებად ვითამაშო. კაზინოებში არასოდეს ვყოფილვარ.

განსაკუთრებული შთაბეჭდილება მქონდა, როცა ისლანდიაში, რეიკიავიში ავღმოვჩნდი კონფერენციაზე და ასეთი განცდა, ბუნებასთან ასეთი სიახლოებები, სიმართლე გითხრათ, არასოდეს მქონია. ძალიან საინტერესო ქვეყანაა და რომ არა ევროპასგრის ღონისძიება, ალბათ, ვერასოდეს მოვალეობიდი. 4-5 დღე გრძელდებოდა და ამ დროის განმავლობაში წყალი ყველა განზომილებაში ვნახე – წვიმის, ნალექის, გეიზერების. მშვიდად გიყვებიან – გუშინ რომ ვიყავით ცისფერ ლაგუნაზე, დღეს მინის ძვრა იყო, ვულკანმა ამოხეთქა. ეს ლავები – თითქოს უსახური ბუნებაა, მაგრამ ჩანჩქერები, გეიზერები, ცოცხლად შეიგრძნობ ბუნებას.

განმარტება, დასვენება ყველა ადამიანს სჭირდება. ამის მოთხოვნილება ნამდვილად მაქს. კომფორტი ყოველთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ როცა არჩევანი არ გაქს, შეიძლება ზოგჯერ რაღაცები დათმო. სტუდენტობის დროს კარავში მიცხოვრია და დიდი დისკომფორტი არ შემქმნია. რა თქმა უნდა, კომფორტი უკეთესია, მაგრამ ესეც ეგზოტიკაა. ახლაც წავიდოდი კარგით, რატომაც არა, თუ საინტერესო ადგილის საშვილებაში მექნებოდა.



გიჩა ზელანი



რთულია გამიჯვნა, როდის ვმუშაობ და როდის ვისვენებ. მაგალითად, სტუდენტობისას განვიცდიდი, რომ დაუსრულებლად შემეძლო სულელური ამერიკული ფილმების ყურება. სულ ვნანობდი გაცდენილ დროზე, სანამ არ მივხვდი, რომ ამაზე წერა შეიძლება. ფრანგებთან აღმოაჩინე, რომ შეიძლება, იაზროვნო და წერო ყველაფერზე, ასანთის კოლოფზეც კი.

თბილისის პრობლემა ისაა, რომ რაღაცები სპონტანურად არ გემთხვევა, არ მოგდის. სულ სხვა მეტაპოლისში ყოფნა. მაგალითად, ერთი წლის წინ პარიზში ვიყავი. ვფიქრობდი, გაფრენამდე რა მეკეთებინა. მიესეირნობ ქუაში და უცებ ვხედავ მუზეუმში გამოფენას ზუსტად იმ თემაზე, რაზეც იმ დროს ვმუშაობდი – ბიზანტიის იმპერიის ტრანსფორმაცია ოსმალთა იმპერიად. ხომ წარმოგიდგნიათ, რამდენი რაღაც უნდა ხდებოდეს ქალაქში, რომ ასეთი დამთხვევა მოხდეს?! რასაკირველია, ასეთი რამ თბილისში ვერ შემემთხვევოდა.

ძალიან მიყვარს ფილმის ყურება სახლში, ჭიქა ლვინის თანხლებით. კომპიუტერის ეკრანი კინოთეატრს მირჩევნია. ყველა კინომანი იტყვის, რომ ეს საშინელებაა, მაგრამ მე ეს მომწონს – ნებისმიერ დროს შეგიძლია გააჩერო, გადაახვიო, დაგუგლო, თუ რამე გაგასენდა. ეს, რა თქმა უნდა, ესთეტიკურ შთაბეჭდილებას ასესტებს, მაგრამ სააზროვნო თუ საწერ მასალაზე კონტროლს ზრდის.

მეგობრებთან ერთად უფრო სახის გადებში დავდივართ. ჩემს ცოლს უფრო ფრანგული სამზარეულო ურჩევნია, მე უფრო „ეთნიკური“ საჭმელი მიყვარს – ტალანდური, ჩინური, მექსიკური, მალრიბული სამზარეულოები.

ყავის საყიდლად რეგულარულად შევდივარ კაფე „ანტრეში“. ძალიან მეწყინა, როცა ამ თრი თვის წინ ლატეს დიდი ჭიქები დააპატარავეს, ფასი კი იგივე დატოვეს. მაშინ მიეც-

ვდი, რა ცუდია, რომ კონკურენცია არ არსებობს – „სტარბაქსი“ რომ გვქონდეს ქალაქში, ამას ხომ ვერ გაძედავდნენ!

ვფიქრობ, რომ ჩვენთან დღეს კულტურის სფერომ თითქმის მთლიანად დაკარგა პრესტიჟი. პოლიტიკურმა კოდმა წაშალა ყველაფერი, რაც კი არსებობდა და ახლა ყველაფერი მასთან მიმართებაში განიხილება. ესაა ნაბიჯი ახალი ბარბაროსაბისკენ, როცა ადამიანს სხვა არაფერი აინტერესებს, გარდა იმისა, რისი მიღებაც აქ და ამ დროს შეიძლება. ანუ მხოლოდ ფული და ძალაუფლება.

რეალურად, ახლა პოლიტიკაზე ძალიან ბევრს ვლაპარაკობ, რასაც ადრე ვერასდროს წარმოვიდგნდი. 2003 წლამდე საერთოდ არ ვიცოდი, რა ხდებოდა ამ სფეროში. რევოლუციის დროს გერმანიაში ვიყავი, დისერტაციის წერის პროცესში და იქ გადამედო არაჩვეულებრივი ენთუზიაზმი, როცა დავინახე ჩემი მეგობრები, რომლებიც ამ ყველაფერს აკეთებდნენ.

ძალიან მიყვარს ჩილიმი, თურქეთიდან ჩამოვიტანე. პირველად ეგვიპტეში გავსინჯე ზუსტად ათი წლის წინ, ჩემი ძმა მუშაობდა იქ და ახალ წელს ჩავაკითხე. ალექსანდრიის პლაზზე, სილაში იყო კაფეები, სადაც შავ ჩაისთან ერთად მოჰქონდათ ეს წყლის ჩიბუხები. მიუხედავად იმისა, რომ სიგარეტი არასოდეს მომინევია, ჩილიმი იმწამსევ შემიყვარდა.

ჩემი საყვარელი პერიოდი მუსიკაში – ბაროკო. მიყვარს ოპერა, მაგრამ არა პოპ-ოპერა. მაგალითად, ბოჩელის კონცერტი ჩემთვის დაახლოებით ბრიტი სპირსის მოსმენის ანალოგია. თუმცა ოპერაშიც სწობების გემოვნებას სერიოზულად ჩამოვრჩები – მიყვარს პუნინი.

დღეს ელიტურობის განცდა, მირთადად, ისეთ ადამიანებს აქვთ, ვისაც ეს მოჰყვება ოჯახიდან, მშობლებიდან. ის ადამიანები, ვინც

ახლა შრომით მიაღწია წარმატებას, საკუთარ თავს ელიტას ნაკლებად მიაკუთვნებენ. არა იმიტომ, რომ დემოკრატიულები და თავმდაბლები არიან, უბრალოდ, ცოტა დრო გავიდა იმისთვის, რომ საკუთარი მდგომარეობა და სტატუსი ბუნებრივად მიიჩნიონ.

ინტელექტუალური ელიტა, რა თქმა უნდა, არსებობს. როგორც ფრანგები იტყვიან, ნაღების ნაღები. ისინი იძლევიან ტონს, ისინი იგონებენ ახალ არგუმენტს.

რაც დრო გადის, ინტერნეტთან უფრო და უფრო მეტ დროს ვატარებ. აქც როგორია გაავლო მიჯნა სამუშაოსა და დასვენებას შორის. საერთოდ, თანამედროვე ადამიანი ძალიან დამოკიდებულია შეჩვევაზე, მისი პერსონალურობა არის, ინგლისური სიტყვა რომ გამოვიყენოთ, *addictive*. ეს იმიტომ, რომ თანამედროვე ადამიანის სუბიექტურობა ცარიელი სუბიექტურობაა. ადრე, როცა ტრადიციულ საზოგადოებაში იბადებოდი, შენ წინასწარ გეუბნებოდნენ – აი, შენი სფერო, აი, შენი მომავალი, აი, შენი ფუნქცია და შენ ამას ვერ გაცდებოდი. თანამედროვე ადამიანის შეუძლია, გააკეთოს ყველაფერი, რასაც მოინდომებს, მაგრამ ეს იმასაც გულისხმობს, რომ ადამიანი ცარიელია. რაც უფრო მოდერნიზებულები გავხდებოთ, მით უფრო გაიზრდება ჩვენი ადიტიურობა.

განსაკუთრებულად მიყვარს განთიადი ღამის თევის შემდეგ. საერთოდ, სულ დროის უკარისობის ნევროტული შეგრძნება მაქვს. ძალიან მიტინს სრული გათავისუფლება. პოდა, ზუსტად ამ დროს აბსოლუტურად მშვიდად ვარ. დაღლილობის გამო ფორიაქისა და მომავალზე ზრუნვის თავი აღარ გრჩება. გადიხარ გარეთ და საგნებს უყურებ ინტერესისგან სრულიად დაცლილი მზერით. ხანდახან მგონია, რომ ჩემი უსაყვარლესი უოლეს სტივენისი ასეთ მდგომარეობაში წერდა და საკუთარი ლირიკას.

Martin Heidegger

Gesamtausgabe

II. Abteilung: Vorlesungen 1925-1941

Band 55
Hölderlins Hymne »Der Ister«



Femme

ავტორი: ლელა ბაფრინდეშვილი

ინტელექტუალური სიხარბე და პასუხისმგებლობა – ეს ორი, განუყრელი მეგობარი სულ თან მახლდა, ამ უნიკალური ქალის ცხოვრებისა და შემოქმედებას რომ ისე დავწაფებოდი, როგორც განუმეორებელი ტებობისა და აღმოჩენების საგანძურს.

მაგრამ სიმონ დე ბოვუარის შესახებ წერისას საკმარისი საგზალი ვერ იქნება ის, რაც წაიკითხე. ამასთან აუცილებელია თვითრეფლექსია, შემეცნებულის საკუთარ ბეჭში, გამოცდილებაში და გონიერებაში გატარება, თანაგანცდისა და თანაწვდომის პერმანენტული მონაცვლება. ამის გარეშე ვერასდროს შეძლებ იმ სისავსის და მრავალმხრივობის გადმოცემას, რომლითაც იგი მარტივ, თვითტებობას მიცემულ გონებათაგან გამოირჩევა.

თუ სიმონ დე ბოვუარის გზას მასთან ერთად გაიღლი, შენთვის ახალი ჰორიზონტი გაიხსნება: სინამდვილე, რომელშიც ცხოვრობ და რჩები, უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო ხდება, მაგრამ შეცვლას, სილის გაწნას და გამოფხილებას მოითხოვს. და თუ შენს მეგზურ დაუჯერებ, მაშინ დღემდე „წაუკითხავ“ შინაარსებს წაიკითხავ და „დაუწერელ“ წიგნებს დაწერ.

ძველ, ეთნოგრაფიულ ტექსტებში ჩემი ხეტიალი სწორედ ბოვუარის დამსახურებაა. ქალინ მინდა სკანურიდან ნათარგმნი „ქალების წესი“ ამ ესესთან ერთად წაიკითხოთ, როგორც ერთერ-

თი „წაუკითხავი“ შინაარსი. ვინ იცის, რა ინტელექტუალური საზრდო იქნებოდა იგი კულტურაში ქალის ადგილის მკვლევარი ფრანგი ფემინისტისთვის?! Their polyamorous relationship was unconventional by any standards, not least those of the 1920s (when it began). The freedom to takeyamorous relationship was y standards

გზა ზრდილი გოგონალან ეგზისტენციალურ მარტოობაგამდე

სიმონ დე ბოვუარის გაცნობა მისი მემუარების გარეშე შეუძლებელია. აქ ამ უნიკალური ქალის აკადემიური და ლიტერატურული ნააზრევის გასაღებია. (ზრდილი ქალიშვილის მოგონებები – 1958; მონიფულობის ძალა – 1960; საგნების ძალა – 1963; შეჯამება – 1972). აქ ჩანს, რომ ცხოვრების სისავსის შეგრძნება, სინამდვილის წვდომა, განცდა და გააზრება მისი თანდაყოლილი ვნებაა. როგორ დაიწყო? თავდაპირველად საკუთარ თავს რელიგიაში ექცებდა: ლოცვებსა და ალსარებებში, შემდეგ – ინტელექტუალურ შრომაში, მოგვიანებით კი – ლიტერატურაში. შეძლებული ოჯახის შვილმა კურ დეზირის კოლეჯი დაასრულა, როგორც კეთილშობილმა ქალიშვილმა და საუკეთესო მომავალმა დედამ. თოთხმეტი წლის ასაკში კი სულიერი მამის მარტენის დაუმსახუ-



Unique



სიტორია

რეზელი საყვედურის შემდეგ ამბოხებას აწყობს: „... მისი სულელური ხელი კეფაზე მანვებოდა, მაიძულებდა თავი უფრო დამხეარა, მინისთვის მეცქირა, იგი სიკედილმდე მაიძულებს ... მინაზე ვიხოხო“.

ამ მომენტიდან იწყება წიგნების ეპოქა. „მე საკუთარი თავი უსაფრთხო მყუდროებას, საიმედო და მზამზარეულ ცხოვრებას გამოვგლიჯე“. ოჯახურ წესრიგსა და იდილიას გამოქცეული გოგონა ჟაკს უკავშირდება, ბიძაშვილს, რომელიც მას ლიტერატურული გმირების ბედში, ლამეული პარიზის ბოჰემურ სიმხურვალეში, ვნებების, „წორმისა“ და „მარგინალურის“ წვდომაში მეგზურობდა. აქედან კი მისი გზა სორბონის უნივერსიტეტში მიდის, ფილოსოფიის ფაკულტეტზე, სადაც „ინტელექტუალური ბედისწერა“, უან-პოლ სარტრი, ელოდება:

„ჩვენ უამრავ საკითხზე ვსაუბრობდით, მაგრამ ძირითადად იმაზე, რაც მე ყველაზე მეტად მაინტერესებდა: თავად ჩემს შესახებ. სხვები საკუთარ სამყაროში მექაჩებოდნენ, ... სარტრი, პირიქით, ჩემს გაგებას ჩემივე სისტემის, ლირებულებების, ჩანაფიქრების შექზე ცდილობდა.“

... მისი აზრით, მე უნდა გავფრთხილებოდი ყველაზე მნიშვნელოვანს ჩემში: თავისუფლებისკენ სწრაფვას, სიცოცხლის სიყვარულს, ცნობისწადილს, წერის სურვილს...

... პირველად ვიგრძენი, რომ ვიღაც ინტელექტუალურად ჩემზე ძლიერია... სარტრი ზუსტად შეეფერებოდა იმას, რაც თხუთმეტი წლის ასაკში ვისურვე: მასში მე იგივე მგზნებარე ვნებები აღმოვაჩინე, რაც საკუთარ თავში... უკვე სამუდამოდ: მე მას ყველაფერს გავუზიარებ. როცა, აგვისტოს დასაწყისში, ჩვენ ერთმანეთს დავშორდით, უკვე ვიცოდი, რომ ეს ადამიანი არასოდეს წავიდოდა ჩემი ცხოვრებიდნ...“

ორი უნიკალური მოაზროვნის ცხოვრება სამუდამოდ შეერთდა, თან ისე, რომ ორივე მათგანი მეაფიოდ ჩანდა, რადგან არცერთი არ ცდილობდა მეორის დაჩრდილვას, დაქვემდებარებას, იგნორირებას და მთანთქმას. სარტრთან ერთ ჭერქვეშ არასოდეს უცხოვრია, მაგრამ სხვადასხვა სასტუმრო-

ების ბინადარი ყოველთვის მისკენ იჩქაროდა: იდების და მიზნების გადასახედად, შემცნებითი წინსვლის განსაჭვრეტად.

ეს იყო ორი თვითონის თანაარსებობა და არა – მთელი, სადაც ერთი სუბიექტია, ხოლო მეორე – ობიექტი, სადაც ერთი თვითგამორკვეული და თვითრეალიზებულია, ხოლო მეორე – ამით ბედნიერი. ეს იყო ურთიერთობა ურთიერთ ვალდებულებების, იმპერატივების გარეშე. ინტელექტუალური მარტობა და პერსონალური ავტონომია ის აუცილებელი პირობებია, რომლის გარეშეც სიმონ დე ბოვუარი მისი მეგზურისკენ არასდროს გაიხედავდა. რეალობა, სადაც ვერაფერს ცვლი და სადაც მოძრაობის შანსი არ არსებობს, მიუღებელია მისთვის.

ყოფიერების ერთადერთი რეალობა ადამიანია, რომელიც თავისი სამყარო თავადვე უნდა ააგსოს შინაარსით. თავისუფალი ნება და თავისუფლებისკენ სწრაფვა საზოგადოებრივ კანონებზე და ცრურწმენებზე ძლიერია. ამიტომა, რომ ფრანგი ფემინისტი არასოდეს ერიდებოდა „წინააღმდეგ“ წასვლას, სკეპტიკურ, დამანგრეველ, შემაჯანვალარებელ კითხვებს. ამიტომა, რომ 1949 წელს გამოსული მისი „მეორე სქესი“ საფუძველს აცლის ქალის ჩაგვრის/დამორჩილების პატრიარქალურ ინჟინერიას, „ქალურობის“ მშენებლობის ინტელექტუალურ ტრადიციას: ალზრდის სისტემა, მითოლოგია, ლიტერატურა, ფილოსოფია, ფსიქოლოგია, თეოლოგია.

სიმონ დე ბოვუარის აზრით, ფრონდისეული ფსიქოანალიზი (ანატომია – ეს ბედისწერა) და ვულგარული მარქსიზმი (ადამიანის ბედი ეკონომიკურ პირობებზეა დამოკიდებული) ისევე, როგორც მთელი ისტორია ქალებს თავისუფლების ასპარეზს უხმობს, აფერხებს თვითგამორკვევისა და თვითდეგნის პროცესს:

... ქალებად კი არ იბადებიან, ქალები ხდებიან. არც ბიოლოგიური, არც ფიზიკური, თუ ეკონომიკური ხვედრი არ განსაზღვრავს იმ ხატს, რომელსაც იძენს ადამიანის მდედრი საზოგადოებაში; მარტოოდენ ცივილიზაცია აყალიბებს მთლიანობაში ამ შუალედურ

წარმონაქმნს მამრსა და კასტრატს შორის...“

„ქალის“ კონსტრუირების აქამდე დაფარული და იგნორირებული გამოცდილება „მეორე სქესის“ უმთავრესი ნაწილა: მენსტრუაცია და სექსუალური ინციდუაცია, ნარცისი, შეყვარებული, მისტიკოსა და ლესბოსელი ქალი.

„მე ვიყავი თვრამეტი წლის, როცა პირველად მენსტრუაცია მომივიდა. არავითარი გაფრთხილება ჩემთვის არ მოუციათ. ლამით დამეწყო ძლიერი სისხლდენა, რომელსაც მუცლის არეში ძლიერი ტყივილი ახლდა. მთელი ლამე, ვერცერთი წამით ვერ მოვისვენე. დილით გული მიცემდა; გავიქცი დედასთან და ტირილ-ტირილით ვკითხე ჩჩევა. მაგრამ პასუხად მხოლოდ ეს მკაცრი შენიშვნა მივიღე: „შენ უნდა შეგემჩნია უფრო ადრე და ასე არ დაგევსარა თეთრეული და ლოგინი“. სულ ეს იყო ახსნა. რასაკვირველია, თავს ვიტებდი, რათა გამეგო რა დანაშაული შეიძლებოდა ჩამედინა...“

„...ქალის ვნება, ყოველგვარი საკუთარი უფლებების ტოტალური უარყოფაა... ქალს სურს, რომ მას დაეუ-





„მა ვიყავი თვრამები ნლის, როსა კირველად
მანესტრუასია მომიღილა. არავითარი
გაფრთხილება ჩემთვის არ მოუციათ. ლაპით
დამაცყო ძლიერი სისხლდენა, რომალსაც მუსლის
არაში ძლიერი ტკივილი ახლდა. მოელი ლაპი,
ვერცხრთი წამით ვერ მოვისვენი. დილით გული
მისვალა; გავიქაცი დაღასთან და ტირილ-
ტირილით ვკითხე რჩევა“.



ფლონ... მაშასადამე, ის მოითხოვს ვიღაცას, ვინც მას დაუფლება, ვინც თვითონ არ მიეცემა, ვინც საკუთარ მე-ს არ დაივიწყებს; პირიქით, ვისაც სურს თავისი მე სიყვარულში გაამდი-დროს... ქალი მიეცემა და ამის წყალო-ბით მამაკაცი ამაღლდება...“

„მე დავწენე კელუცობა. მჭირდე-ბოდა რაღაც „გამღიზიანებელი“. ძა-ლიან მიყვარდა ცეკვა; ცეკვისას თვა-ლებს ვხუჭავდი, რათა ამ სიამოვნებას სრულად მივცემოდი... ცეკვისას მე განვიციდი ერთგვარ ექსპიტიციო-ნიზმს, რადგანაც მგრძნობელობა ჩე-მში სიმორცხვეს ჯაბნიდა. პირველი წელი მგზნებარედ ვცეკვავდი. მიყვარ-და ძილი და ბევრი მეძინა, ვმასტურ-ბირებდი ყოველდღე, ხშირად მთელი საათის განმავლობაში . . . ხშირად იქამდე, რომ ოფლში ვიღვრებოდი, აღარ შემეძლო გაგრძელება და დაღ-ლილი ვიძინებდი... ვიწვოდი და თანახ-მა ვიყავი ნებისმიერ მამაკაცზე, რომე-ლიც ჩემს დამშვიდებას მოინდომებდა. მე ვეძებდი არა ინდივიდს, არამედ კაცს...“

„.... რომ აღარ ვიღაპარაკოთ თი-თქმის პათოლოგიურ შემთხვევებზე, ისინი კი ხშირია, როდესაც დედა ერ-თგვარი ჯალათია, რომელიც ბავშვის ჩაგვრაში იკმაყოფილებს თავის დომი-ნირებისა და სადისტურ ინსტინქტებს, მისი ქალაშვილი წარმოადგენს მო-ხერხებულ ობიექტს, რომლის სახითაც ის ცდილობს განტკიცდეს როგორც სუვერენული სუბიექტი: დედის ეს პრეტეზიები გოგონას წინააღმდეგო-ბისა და ამბოხისკენ უბძიგებს...“

„.... არაფერია იმაზე მცდარი, ვიდრე ლესბოსური ინვერსიისა და მამაკა-ცურობის ერთმანეთში აღრევა. ბევრი ჰომოსექსუალი ქალია ოდალისკებს, კურტიზან ქალებს შორის, კველაზე უფრო „ქალურ“ ქალებს შორის, და პირიქით, „მამაკაცური“ ქალების დიდი რაოდენობა ჰეტეროსექსუალურია. სექსოლოგები და ფსიქიატრები ასა-ბუთებენ და ყოველდღიური დაკვირვე-ბაც მონმობს: „დაწყევლილი“ ქალების უმრავლესობა სწორედ სხვა ქალთა მსგავსია. არავითარი „ანატომიური ხვედრი“ მათ სექსუალობას არ განსა-ზღვრავს...“

„.... როდესაც მამაკაცისა და ქალის სექსუალურ ურთიერთობებზე პირვე-ლად დამელაპარაკენ, მე განვაცხადე, რომ ეს შეუძლებელია, რადგანაც მაშინ ჩემს მშობლებსაც უნდა ჰქონოდათ ეს, მე კი მათ მეტისმეტად უცემდი პატი-ვს და მათ შორის ასეთ ურთიერთობას ვერ ვიჯერებდი. ვამპობდი, რომ ეს მე-ტისმეტი საზიზღრობაა, რათა მე რო-დისმე იგივე ჩავიდინო. სამწუხაროდ, ძალიან მაღე, როდესაც გავიგონე რას აკეთებდნენ ჩემი მშობლები, დავრწ-მუნდი, რომ ვცდებოდი. ეს მომენტი აუტანელი იყო, მე დავიფარე სახეზე საბანი, დავიცე ყურები და მინდოდა ამ ადგილიდან ათასი კილომეტრით შორს ვყოფილიყავი...“

ასეთმა, აქამდე /გ/ამოუთქმელმა შინაარსებმა გამოიწვია დუმილსა და მსხერპლშეწირვაში ჩაძირული საზო-გადოების გაღიზიანება, მაგრამ ქა-ლებისათვის სიმონ დე ბოვუარი ალ-ტერნატივების არსებობის სიმბოლოდ იქცა და რწმენად, რომ ქალს, ყველა-ფრის მიუხედავად, შეუძლია საკუთარი ცხოვრებით ცხოვრება, საკუთარ ნებაზე, საკუთარი თავისთვის, თუ პი-რიპიოთებება და ცრურწმენებს დაუ-ძვრება. „50-60-იანი წლების წყვდია-დში „მეორე სქესი“ იყო საიდუმლო კოდი, რომლითაც ჩვენ, ახლახან გა-მოფხიზლებული ქალები, ერთმანეთ-თან ურთიერთობისას ვსარგებლობ-დით“, – წერს ფრანგი ქალი.

ცხოვრება საკუთარი ხებით

სკანდალი საზოგადოების შეც-ნობას აჩქარებს. ეს ძალიან ჰაგავს ჩვენს პიროვნებაში დაწყებულ შინა-გან კონფლიქტს, რომელსაც ფარული ვნებების მიზეზებამდე მივყავართ. „ორიგინალური მწერალი ყოველთვის სკანდალურია“ – ამბობს სიმონ დე ბოვუარი და ნევროზებისა და ფსი-ქოზების დაკვირვებას იწყებს. იგი აღ-მოაჩენს, რომ აქ ადამიანის ქცევა და ვნებები დაწმენდილი, პირველყოფი-ლი სახითაა მოცემული. ფსიქოზების უთვალაც წახნაგში კი არსებული რე-ალობის მამხილებელი მასალა იმაღე-ბა. მარგინალების სამყარო მისთვის ბევრად მიმზიდვებია, ვიდრე წარ-მატებული მეცნიერების გარემოცვა.

როგორც ფილოსოფოსს და მწერალს, განცდილი და შესწავლილი სამყარო ერთნაირად სჭირდებოდა.

ინტელექტუალური თანაცხოვრე-ბის ხუთი წლის თავზე სარტრისა და ოლგა კაზაკევიჩის სიყვარული იწყე-ბა. მასთან გატარებული შვებულება თრიაქივით აბრუებს ფილოსოფოსს. სიმონ დე ბოვუარი კი, როგორც მე-მატიანე „შედის“ ამ კომუნიკაციაში და მთლიანად ივსება აკრძალვების წინააღმდეგ მებრძოლი ქალის სუ-ლისკვეთებით: „...იგი ადამიანური ხვედრის ტყვეობიდან თავის დალწე-ვას ცდილობდა... სიამოვნებას ზღ-ვარდაუდებლად ეძლეოდა, ხანდახან გულისწავლამდე ცეკვავდა...“ 1943 წელს გამოქვეყნებულ რომანში „სტუ-მარი ქალი“ სწორედ ეს „დანის პირზე გავლის“ ისტორიაა გააზრებული და საფრთხე, რომელიც ამ საარაკო სტუ-მარშა მათ შეუქმნა.

>>> გაგრძელება გვ. 99





„მი ლავინები კეკლუსობა. მფირდებოდა
რაღაც „გამლიზიანებალი“. ქალიან მიყვარდა შეკვა; შეკვისას
თვალებს ვხატავდი, რათა ამ
სიამოვნებას სრულად მივსემოდი...
შეკვისას მი განვისლილი ერთგვარ
ექსპირიმენტის, რაღანას
მჩრდნობალობა ჩამახი სიმრაცხვეს
ჯაზნილა. მიყვარდა ძილი და
ბევრი გაძინა, ვეასტურბირებდი
ყოველდღი, ხშირად მთელი საათის
განვალობაში.“



მოგონებები პრეზიდენტები

(პირველი ნაწილი)

ავტორი: ლაშა ბულაძე

1

თუ არ ვცდები, ვაცლავ ჰაველს აქვს ნათქვამი, იმ ქვეყნებში, სადაც დემოკრატიის კუთხით არცოუ სახარბიელოდაა საქმე, ხალხი თავის ლიდერს ემსგავსება – როგორც ტემპერამენტით, ასევე მენტალურად.

არ ვიცი, რითი დავემსგავსეთ ჩვენი დამოუკიდებელი ყოფის სამ უფროსს, მაგრამ იმას კი, როგორც იტყვიან, საკუთარ ტყავზეც ვგრძნობ, რომ მეტ-ნაკლებად ჩვენც ვიცვლებოდით მათ ცვლასთან ერთად.

წელს იუბილე გვაქვს – დამოუკიდებელ საქართველოს ოცი წელი შეუსრულდა. ამ ოც წელინადში ბევრი ისეთი რამე მოვასწარით, რასაც სხვები ოც საუკუნეშიც ვერ მოახერხებდნენ – ოთხჯერ ვიომეთ, ორი პრეზიდენტი ჩამოვაგდეთ და, როგორც სტატისტიკა გვამცნობს, შეიძი ათას ორასთხუთმეტ მიტინგში მივიღეთ მონაწილეობა. პრეზენტი პრეზიდენტი არჩევიდან ექვს თვეში გავამწესეთ ფატალურ პენსიაზე, მეორე თერთმეტ წელინადში (ზოგი ოცდაათ წელს ასახელებს), ხოლო მესამეს ორჯერ შევერკინეთ და ორჯერვე ჩავიფლავდით. ეს მესამე იმ ორზე კერკეტი კაკალი აღმოჩნდა.

ჩვენთან, პოსტსაბჭოეთში, უმეტესად ასეა: გგონია, ადამიანი გყავს უფროსად, სინამდვილეში კი კუნძი გყოლია არჩეული – ერთ ადგილზე თუ დაერჭო, მერე ძვრას ვეღარ უზამ. თუმცა საქართველოში მაინც ოდნავ სხვანაირადაა საქმე. პრეზიდენტისადმი დამოუკიდებულება ისევე რადიკალურად იცვლება, როგორც მისი შეფასების ეპითეტები: ერთ დღეს მესამა, მეორე დღეს ანტიქრისტე. ხალხმაც თუ ავი ჩაიდო გულში, აღარ მოგასვენებს – საპრეზიდენტო ვადას გაგიმნარებს; მანამ არ დაწყნარდება, სანამ შენც არ დაგლუბავს და თავსაც არ გაინვალებს. შესაბამისად, თუკი პოსტსაბჭოურ „კუნძთა“ უმრავლესობას გადავავლებთ თვალს, დავინახავთ, რომ ჩვენი „კუნძები“ ამ მხრივ ყველაზე მოწყვლადნი გახლავან.

მართალია, პრეზიდენტები ყველგან აქტუალურები არიან, მაგრამ ჩვენთან ამ შემთხვევაშიც განსაკუთრებულ ვნებებთან გვაქვს საქმე: ის, ვისაც პრეზიდენტი ჰქვია, არანორმალურად, პათოლიოგიურად აქტუალურია საქართველოში (ოლონდ, ცხადია, მხოლოდ ვადის ამონურვამდე); რა თემაზეც არ უნდა ლაპარაკობდე, ბოლოს მაინც პრეზიდენტზე ალაპარაკდები; ვისაც არ უნდა ლანძლავდე, ბოლოს მაინც

თვის გადაბარებული და ამაოდ გახარჯული ცხოვრება... ის კი, აბა, რისი დამბრუნებელია, ერთადერთი, რაც შეუძლია, შენი ლანძღვა ან არშემჩნევაა.

და შენც დასდევ, როგორც უტანო, შფოთიანი მოჩვენება...

2

განვლილი ოცნეულის ისტორია პრეზიდენტისა და მოქალაქის ურთიერთდაზაფვრის ისტორიაა. როგორდაც ასე გამოვიდა, რომ ერთმანეთის დაშინებაში დავოსტატდით. ორთავენი მუდმივ სტრუშში ვამყოფებთ ერთმანეთს და, საბოლოოდ, არცთუ იმდენად ჭკვიან სადომაზოსისტურ წყვილად ვიქეცით: ტკივილი ბევრია, სიამოვნება კი ცოტა.

მართალია, ზოგიერთს არ უყვარს ამის გახსენება, მაგრამ გარკვეული დროით უმეტესობა მართლაც ტყუპისცალივით დავემსგავსეთ ჩვენს პირველ პრეზიდენტს (ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, სწორედ მისგან ვისწავლეთ დემონსტრაციებზე დგომა და სიტყვების – „დამოუკიდებლობა“ და

პრეზიდენტი შემოგეთათხება; ვისაც და რასაც არ უნდა ასხამდე ხოტბას, ბოლოს მაინც შენს „კუნძს“ დაუწყებ ქებას. პრეზიდენტი სრულად იქრება შენს ბიოგრაფიაში და რომც არ გინდოდეს, მაინც თავის მედიუმად გაქცევს. რატომ? დასაწყისი ხომ წაიკითხეთ? იმიტომ, რომ ცხოველურ დემოკრატიებში ერთი კაცი ხდება ქვეყანა და შენც მასზე ჰქიდებ შენს ყველა იმედსა თუ უიმედობას; შენს ტანსა და ბიოგრაფიას მას უთმობ მოსავლელად და გადასარჩენად. და ისიც იღებს, თან გპირდება: კარგად მოვუვლი, შენ კი არაფერზე იღელვო, მხოლოდ დამამშვიდებელი წამლები სვიო. მაგრამ, როგორც წესი, ვერ უვლის და შენც ბრაზონ – ყვირი, ჩხუბობ და მოუწოდებ, უკან დაგიბრუნოს მის-

„საქართველო“ – ერთი–მეორეს მიყოლებით თქმა), თუმცა მერე ამ კაცით ისე შევიშინეთ თავი, რომ თავადაც სიკვდილის პირას მივიყვანეთ შიშისგან.

ერთი კია, ჩამოყალიბებულად და გამართულად დღესაც ვერავინ გეტყვით, მაინც რატომ წამოვინყეთ პირველი პრეზიდენტის გადამგდები სამოქალაქო ომი, თუმცა შეშინებულები და გაღიზიანებულები რომ ვიყავით, ამას ძალიან ბევრი დაგიდასტურებთ.

საინტერესოა, მაინც რამ შეგვაშინა ასე?

ფაქტია, მეტისმეტად გიურუად გამოდიოდა მიტინგებზე. ანუ, რაც გაპრეზიდენტებამდე უხდებოდა, მერე თითქოს საშინალად ალარ მოუხდა. შეგვაშინა მისმა რამდენიმე

ცნობილმა ფრაზამ, რომელთა უმეტესობაც, თურმე, არც უთქვამს, მაგრამ ისტორიაში მაინც მისად დარჩა. მაგალითად: „საქართველო ქართველებისთვის“, ან თითქოსდა მამა ბუშტე (პრეზიდენტ ბუშტ ვეულისხმობ და არა რომელიმე სასულიერო პირს) თქმული: „მერიკის პრეზიდენტი კრემლის აგენტია“. თუმცა იმავე ისტორიას მისი ისეთი სიტყვებიც ახსოვს, რომელიც, წესით, არავითარ შემთხვევაში არ უნდა წამოცდენოდა განათლებულ დისიდენტს. თუნდაც ეს რად ღირს, ერთ-ერთ მიტინგზე წამოცდენილი – აფხაზეთში დასახლებული აფსუების შესახებ. პოლიტიკაში მოსულ ინტელექტუალს კარგად უნდა სცოდნოდა, რა შეიძლებოდა მოპყოლობა ამგვარ საეჭვო სალექციო კურსს.

დღემდე ვერც ის ამბავი გაგვირკვევია, მართლაც ადგენდნენ თუ არა „არაქართველთა შავ სიებს“ რიგ დაწესებულებებში? მართალია, ხალხი შეშინდა, მაგრამ შავი სიების ამბავი დღემდე „ისტორიულად არსებულ მითად“ რჩება. თუმცა ასეთი შემთხვევებიც იყო: მაგალითად, ჩემმა მეზობელმა, მოხუცმა რუსმა ქალბატონმა, მთელი ცხოვრება საქართველოში რომ გაატარა და სხვა ენას რომ არ სცნობდა რუსულის გარდა, ზვიად გამსახურდიას გაპრეზიდენტებისთანავე შეისწავლა რამდენიმე ქართული სიტყვა და ანი თუკი შენიშვნას იძლეოდა (შენიშვნები კი მისი სტიქია გახლდათ), მხოლოდ „მეორედ მოსვლის ენაზე“: „ნუ კმაურობტ!“, „ვინ გადაკეტა ცკალი?“, „პაბოშენს ვეტკვი“ და ა. შ. მაგრამ როგორც კი პრეზიდენტი განიდევნა, შიში უმაღმიივიწყა და კვლავ მშობლიური ენის წიაღში დაბრუნდა. ნეტავ, რას ფიქრობდა ეს ქალბატონი? თუკი ქართულს არ ისწავლიდა, დაიჭერდნენ ან ქვეყნიდან განდევნიდნენ? რატომ გაუჩნდა ასეთი შიშები?

ერთი ისეთი კაციც იყო, რომელიც ჯიუტად და ბრაზიანად უსწორებდა ხალხს ქართულს: „არა – ვერტალიოტი, არამედ – ცაომთქვეფია“, „არა – ვიოლინო, არამედ – ყელ-ფანდურა“. არ ვიცი, ეს კაცი რა თანამდებობას ფლობდა, მაგრამ პრეზიდენტის ახლოს კი იდგა, ზვიად გამსახურდიას სხვა მხარდამჭერ-ქვეშევრდომებივით ქართველ წმინდანად მიიჩნევდა (წმინდან-პრეზიდენტად) და უდიდესი სიამოვნებით ამხელდ ქართული ინტელიგენციის ზოგიერთ წარმომადგენელს. მაგალითად, კარგად მახსოვს, როგორ ამხილა – მე ვიტყოდი, როგორც მოციქულმა პეტრემ ნერონი – მე ვიოლინე ლიანა ისაკაძე და თითქმის დაწყევლა ყელფანდურათა ოჯახში შემავალი ყველა ინსტრუმენტი. თუ არ ვცდები, ვიოლინოს (და, შესაბამისად, ხსენებულ მევიოლინეს) უკიდურესად არაქართულ მოვლენად მიიჩნევდა.

ზემოთ ინტელიგენტთა წარმომადგენლები ვახსენე. ვინ-ვინ და ესენი კი ყველაზე მეტად დაფრთხენენ. იფიქრეს, შურის მაძიებელი დემონი მოგვევლინა პრეზიდენტადო. წლების წინ უშეალოდ ესენი თუ არა, სწორედ ამათი წინაპარი ინტელიგენტები უწყობდნენ ეგზეკუციებს დისიდენტად მყოფ ამჟამინდელ პრეზიდენტს მწერალთა კავშირში (ამ ეგზეკუციების სტენოგრამაც არსებობს). მაშინდელ „პროფესიულ სასამართლოებს“ კი აუცილებლად მოპყვებოდა სოციალური „მგლის ბილეთი“ და ციხე (ზოგჯერ დახვრეტაც).

ასეთი შიშებიც იყო: მავანი ხელოვანი ოფლგალვრილი იღვიძებდა ლოგინში და სასონარკვეთილი ლუდლუდებდა: „ახლა ყველას დაგვიჭერს, ჩვენი ბინებიდან გამოგვაგდებს და თავის მხარდამჭერებს (წაიკითხე – მეგრელებს) ჩაასახლებს“. ზოგი იარაღსაც მალავდაო ბალიშის ქვეშ





(როცა იმ ეპოქაზე ფიქრობ, შეუძლებელია ხელი არ გა-გექცეს და კონსტიტუციის გამსახურდისას სტილით არ შე-მოგწეროს ერთი ფრაზა მაინც). იმ დროის რესპუბლიკუ-რი არისტოკრატია, როგორც წესი, ამ სიტყვებით იწყებდა ხოლმე გამსახურდისა კრიტიკას: „მამამისის მუხლებში ვარ გაზრდილი, მე არ ვიცი, ეგ რა იყო!“. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს მთელი მაშინდელი ინტელიგენცია სა-ძულველი პრეზიდენტის მამის მუხლებზე იყო ჩამომსხდარი (ამისთანა რა მუხლები ჰქონდა ამ კაცს!) და სკეფსისთა და შიშით აკვირდებოდა „ადრეული ასაკიდანვე არანორმალურ, ფაშისტ ბაგშვ“ ზვიადს. ასე რომ, ის, რაც ოთხმოცდაათია-ნებში მოხდა, ბავშვობისდროინდელი შეშინებული მეგო-ბრების ამბოხადაც შეიძლება ჩავთვალოთ – დამფრთხალი ამხანაგების რევოლუციად, დაზაფრული ძმაკაც–დაქალე-ბის პუტჩად.

თუმცა პრეზიდენტის მხოლოდ მამამისის კალთაზე ჯდო-მით მოტრაბახე გოგო-ბიჭები არ შეუშინება, სხვებიც და-შინდნენ, – მათ შორის, თბილისის ცენტრალური უბნების ენერგიული ახალგაზრდები: ამ აგზებულ და თავნება ბა-გშებს სულ სხვა მოლოდინები ჰქონდათ, რეალურად კი დახვეწილ–ელიტარულ–თავისუფალი ქვეყნის მაგიერ, პა-თეტიკურ–პროვინციულ–პატერნალისტური „რესპუბლიკა საქართველო“ შერჩათ. მათი აზრით, თავისუფლება, ცოტა არ იყოს, გომური აღმოჩნდა. ამ დროს, რა კარგად დაინწყო ყველაფერი: შედარებით თამამი „მეორე არხის“ ერთ–ერთმა წამყვანმა თავისი გადაცემა პრეზერვატივით ხელში გაა-რულა და, არ ვიცი, ამ თუ სხვა მიზეზის გამო, მერე უსწრა-ფესად გაქრა ეთერიდან თავის პრეზერვატივიანად, ტელე-სივრცე კი ერთ მშვენიერ დღეს პრეზიდენტის სადოქტორო თემას, „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველებას“ დაეთმო – თბილისის პირველი არხი (მაშინ ასე ერქვა) პირდაპირ ეთერში სრული ექვსი საათის განმავლობაში გადმოსცემდა

ქვეყნის მეთაურის დისერტაციის დაცვას. შეგეშინდებოდა, აბა რა. მართალია, ფილოლოგებს გაუხარდათ – თავიანთი პროფესიის ამგვარ აღიარებაზე სხვა დროს და სხვა ვითა-რებაში, ვერც იოცნებებდნენ, მაგრამ მარტო ფილოლოგები და ლიტერატორები ხომ არ ცხოვრობდნენ ამ ქვეყანაში...

3

ხალხს ჩვენში ასე სჩვევია: პრეზიდენტის რომელიმე აქტიურ ქვეშევრდომს ამონჩემებს ხოლმე, შეიძულებს და ხელისუფლების ყოველგვარი ბინიერებისა და მანკიერების სიმბოლოდ დასახავს (ოლონდ, მთავარია, ეს ქვეშევრდომი ხშირად ჩანდეს საჯაროდ – ვთქვათ, ტელეეთერში). „გა-ლიზიანების ობიექტების“ წაკითხვაბობას, გულწრფელად რომ ვთქვა, არასდროს ვუჩინოდით, პირველი პრეზიდენტის შე-მთხვევაში კი ეს პატივი „ქართველ გებელსად“ წოდებულ თემურ ქორიძეს ერგო. ეს კაცი, დრო და დრო, დღესაც ჩნდება ეკრანზე და ვინმე ამა სოფელს განრიდებული ბე-რის სათნებით საუბრობს საქართველოს და უშალოდ მასთან დაკავშირებული წარსულის შესახებ (და არა მხო-ლოდ; ცოტა ხნის წინ თვალი მოვკარი, პაულო კოელიოზე ლაპარაკობდა). მაშინ კი ეს ადამიანი ხალხს ისეთი მონდო-მებით აძლევებდა თავის სათავეანებელ პრეზიდენტს, რომ, ვფიქრობ, ესეც მის უნებლიერ ჩამომგდებთა სიაში უნდა ჩავწეროთ. ახლა კი შეპყვარებია კოელიო და მისთანანი, მაგრამ იმხანად, თურმე, ცენტორობისკენაც გაქცევია ხელი – თეატრალური ჩაგრულები ჰყვებიან, რიგი სპექტაკლების აკრძალვა უნდოდა და პრემიერების თამაშის წებას არ გვა-ძლევდათ...

აკრძალა კი, ბოლოს და ბოლოს? ამას კი აღარ გვიყვე-ბიან. ეჭვი მაქეს, ვერ მოასწრო...

Կ

საბჭოთა კავშირი მეტისმეტად სასაცილოდ დაიშალა.

საბჭოური ხანის მიწურულს ტელეეკრანებზე ყველაზე ხშირად ათასგვარი ჯურის ექსტრასენსები, პარაფისიქოლოგები და პაროდისტები ჩანდნენ.

ხუმრობა და ბანალური მისტიციზმი ერთმანეთთან ველურ შეჯიბრში იყვნენ ჩაბმულნი. მახსოვს, სამეზობლოს ხნიერი ქალები რომელიმე ერთი დიასახლისის ბინაში იქრიბებოდნენ, ტელევიზორთან იკავებდნენ ადგილებს და საბჭოთის მიწურულის ყველაზე ცნობილი ექსტრასენსის მორიგი სეანსის დაწყებას ელოდნენ. ექსტრასენსი (მისი საზამთროსავით მრგვალი თავი მთელ ეკრანს იკავებდა) იდუმალი ხმით მოუწოდებდა ხალხს დაძინებისენ და ღამის „ვრემიას“ შემძეგ შესაშური პედანტურობით აპრუებდა ორას მილიონ ადამიანს.

— როცა ათამდე ავალ, თქვენ უკვე ღრმა ძილში იქნებით... ერთი... ორი... სამი...

ცოდვა გამხელილი სჯობს, ზოგ ქალბატონს ექსტრასენსის გამოჩენამდე ერეოდა თვლება, ზოგსაც პირდაპირ მისი გამოჩენისთანავე ელებოდა პირი, უმეტესობა კი უკვე „ექვსზე“ და „შვიდზე“ იწყებდა ფშვინვას. დღემდე ვერ გამიგია, რატომ უხაროდათ ჩვენს მეზობლად მცხოვრებ ქალბატონებს ამ თავ-გიდელას მითითებებისა და კონტროლის ქვეშ ჩაძინება. პაროდისტებს კი, ექსტრასენსებისგან განსხვავებით, ფაქტორივად,

მთელი დღის განმავლობაში დაპყრობილი ჰქონდათ ტელეეთერი. სადაც არ უნდა გაგეხედა, ყველგან მონდომებული მიმ-ბატველები დაგიხვდებოდნენ. არც ერთ იმპერიას არ ჰყოლია ამდენი პაროდისტი, რამდენიც ჩვენ გვყავდა, საბჭოთა მოქალაქეებს. მიბაძვა, „გაბაძვა“ და „გაბრაზება“ საბჭოთის დაისის ერთ-ერთი მთავარი გასართობი იყო. თუმცა საქართველოში ყოველივე ეს იდუმალებით მოცული ცეკას მდივნის, გიგი გუმბარიძის ნასვლით დასრულდა (ერის მიერ „მამადუდ“ სახელდებული, გრაფი კალიოსტროსავით აორთქლებული, საქ სსრ-ს ეს საოცარი მმართველი დღემდე ერთ-ერთ გამოუცნობ ფეხნომენად რჩება საქართველოს უახლეს ისტორიაში); ეროვნულმა პრეზიდენტმა პირნმინდად გააქრო ტელეეკრანებიდან პაროდისტები და პარაფისიქოლოგები (მფრინავ თეფშებზე მოსაუბრე ხალხის ჩათვლით). ერთხელ, ტელევიზორთან ჯდომისას, თავად შევესარი, როგორ შენწყოტეს ტრადიციულად ეკლექტიკური კონცერტის ტრანსლირება ფილარმონიად წოდებული დიდი საკონცერტო დარბაზიდან: ტრანსლაციის შეწყვეტის მიზიზი კი ერთი ლიუბანითელი ჯელი იყო, რომელიც მთელი გულით ცდილობდა თავისი პრეზიდენტის პაროდირებას. თუმცა მხოლოდ ორი წინადაღების თქმადა მოასწრო გვერდულად მალლა ანეული ტუჩით — პრეზიდენტის ხმით ალაპარაკებისთანავე გამორთეს. იმის მერე აღარც მახსოვს, ვინმეს საჯაროდ თუ მიებაძა ჩვენი პრეზიდენტისთვის, თორემ შევარდნაძის მიმბაძველების ნაკლებობას ნამდვილად არ უჩიოდა ნაციონალური ტელეეთერი. ჭორაობდნენ კიდეც, რომ თითქოს პრეზი-



დენტი თავისთან კაბინეტში იბარებდა ერთ ცნობილ მსახიობს და შევარდნაძის ხმით ალაპარაკებდა ამ უკანასკნელისთვის მეტად შეუფერებელ და დამამცირებელ თემებეზე. ლეგენდებს რა გამოლევდა. აქ რა მოსატანია, მაგრამ ერთხელ, პრეზიდენტის გაქცევიდან რამდენიმე თვეში, მე და „ცხელი შოკოლადის“ ერთ-ერთმა თანარედაქტორმა მაგნიტოფონის კასეტაზე ჩავწერეთ შევარდნაძისა და გამსახურდისა კამათი. შევარდნაძის ხმა ჩემი იყო, გამსახურდისას – მისა. ბებიაჩემის დაბადების დღე ახლოვდებოდა და, რაკი მის წრეში („გოგოებში“, როგორც თავად ამბობს) მრავლად ერივნენ განდევნილი პრეზიდენტის მომხრეები, ვიფიქრეთ, ქალბატონებს გულს მოვუოხებდით და ჩვენს ჩანაწერში მაინც გავამარჯვებინებდით მათ ფავორიტს. ასე ვთქვით: ერთ-ერთმა რადიოკომპანიამ შევარდნაძე-გა-მსახურდისა სატელეფონო ჩანაწერი მოიპოვა და შემდეგ კა-სეტებად გაავრცელაო. ტრაბახად წუ ჩიმიმართმევთ, მაგრამ იმდენად ცხოველმყოფლად ვპატავდით იმ დროს მთავარ გმირებს, რომ მსმენელებმა შოკურ მდგომარეობაში დაჰყვეს პირველი ათი წელი („საუბარი“ 45 წელს გრძელდებოდა), მერე კი ბებიაჩემა გაგვყიდა; ეტყობა, დაფრთხა, დაბადების დღე არ ჩამეშალოსო. მაშინ ყველაზე თავგანწირული, ულმობელი და ხმაურიანი ჩხუბები სწორედ პირველი პრეზიდენტის გამო ტყდებოდა და ერთმანეთთან ნაომარი ხალხიც შემდეგ თვეობით (ზოგიერთი კი წლობით) არ ელაპარაკებოდა ერთმანეთს. ჭეშმარიტად აპოკალიფსური სურათები ცოცხლდებოდა ჩვენს თვალწინ: ძმა ძმას ერჩიოდა, შვილი დედას (ერთმა, მაგალითად, პრეზიდენტის მომხრე, დაუდლელად მოკამათე დედა საგიუვე-ში გამოკეტა რამდენიმე კვირით), ცოლი ქმარს და მძახალი მძახალს... იშვიათად ყოფილა ქართველი ისეთი გაშმაგებული, როგორც ამ თემაზე ყვირილისას.

5

როცა ქართულ ფობიებზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია არ გაგვახსნდეს პრეზიდენტის ცოლი, რომელმაც საკმარისად დაგვაფრთხო მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლების ბოლოს. საერთოდ, უპრიანი იქნებოდა ქართველ პოლიტიკოსთა ქართველ ცოლებზე დამოუკიდებელი კვლევაც ჩაგვეტარებინა (ან ეგებ წიგნიც დაეწერა ვინმეს), რადგან ტემპერამენტიან და ამბიციურ ცოლებს რომ შეუძლიათ ავნონ პრეზიდენტებსა და, ზოგადად, პოლიტიკოსებს, ამდენი ზიანის მოტანა, ვფიქრობ, ერთად აღებულ ყველა გარე თუ შიდა მტერსაც კი არ გამოუვა. სამწუხაროა, მაგრამ, როგორც ჩანს, პრობლემა პოლიტიკოსების ქართველ ცოლებშია, რადგან უცხოელი ცოლები (თუნდაც მხოლოდ ამჟამინდელი პრეზიდენტის ცოლის მაგალითით თუ ვიმსჯელებთ), არათუ ხელს უწყობენ გაღიზიანების გამსხვილებას (როგორც ეს პირველი პრეზიდენტის ცოლის შემთხვევაში იყო), არამედ პირიქით – კრიზის დროს ხილულად დადებითი იმპულსები შეაქვთ გაღიზიანების კლების, ან, ყოველ შემთხვევაში, არგაზრდის პროცესში.

ДЕЛО №

საქართველოს მთავრობა
კავშირის პრეზიდენტის
სხმობის სტანდაფული
ჩანაწერი,
1977 წლის 1 აპრილი

პირველად გამოქვეყნდა www.lib.ge-ზე

ვისაც ისტორია აინტერესებს და იყვლევს, „ცხელი შოკოლადის“ ახალი რუბრიკა „არქივიდან“ ნამდვილად „ფასდაუდებელი განძია“.

ნინამდებარე ნომერში გთავაზობთ საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდენტის სხდომის 1977 წლის 1 აპრილის სტენოგრაფიული ანგარიშს, რომელიც ჩვენი ქვეყნისა და საზოგადოების უახლესი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი „დოკუმენტია“. 15 წლის ნინსნებით, 1991-92 წლების სამოქალაქო ომის ჩანასახსაც კი დაინახავს „მოდარაჯე კაცის თვალი“. ხსნებული „პრეზიდეტიები“ არცთუ ისე შორეულ ნარსულს განეცემუნება, ამგავრი ისტორიების ცოდნა და ანალიზი უფრო მიზანშენილად მიგვაჩნია, ვიდრე მისი მიჩქმალვა და განდევნა, მსგავსი განდევნილი ამბები ხომ მუდამ თავს გვატყდებიან „სოციალურ ნევროზებად“, „სამოქალაქო აშლილობებად“ და, არა იშვიათად, მასობრივ პარანოიებად. 34 წლის ნინ „საბჭოთა სამშობლოში“ ვცხოვრობდით, როგორი იყო „საბჭოთა საქართველო“ და მასში „ცხოვრება და მოღვაწეობა“, „ამას თქვენ ნინამდებარე მასალებიდან უფრო სრულფასოვნად შეიტყობთ, ვიდრე ისტორიის ნებისმიერი სახელმძღვანელოს დახმარებით. ჩვენ, გირჩევთ გვერდზე გადადოთ თქვენი სიმპათია-ანტიპათიები და ბუნებისმეტყველის მიუკერძოებელი თვალით შეიგრძნოთ საკუთარი საზოგადოების ისტორია და მისი „ბუნება“.

„საქართველოს მწერალთა კავშირი... საქართველოს სსრ ლხცს არქივი... ფონდი № 8... აღნ. 1, საქ. 2913... საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდენტის 1977 წლის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში... 01.04.77“.

სტენოგრაფიული ანგარიში საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდენტის სხდომის 1977 წლის 1 აპრილი.

თავმჯდომარეობს გრიგოლ აბაშიძე.

თავმჯდომარე: – ამხანაგებო, დღეს ჩვენ შევიკრიბეთ ერთი ისეთი საკითხის განსახილველად, რომელზედაც, ალბათ, ეს დღეები ყველა თქვენგანი

ფიქრობს.

თქვენ ყველა გაეცანით თქვენს პრესაში გამოქვეყნებულ მასალებს ჩვენი კავშირის წევრის ზოიად გამსახურდიას გარშემო.

ჩვენ, ყველანი, ბევრის მომსწრევართ, ბევრის შემთხვევა არა გვქონია. მას შემდეგ, რაც სოციალიზმმა გაიმარჯვა ჩვენს ქვეყანაში, მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხალხმა სამარტინო მოშიარეობის და ასეთი ძლევამოსილი გამარჯვება მოიპოვა და ასეთი წარმატება აქვს საბჭოთა ქვეყანას, მთელი საბჭოთა მწერლობა დარაზმული ჩვენი პარტიის ირგვლივ და არ ყოფილა რამე ფაქტი რომელიმე ქართველი მწერლის ანტისაბჭოთა მოღვაწეობის შესახებ. უფრო

მეტი კიდევ, ისეთი დიდი მწერალი ჩვენი დროისა, როგორიც კონსტანტინე გამსახურდია გახლდათ, რომელმაც ასეთი როტული გზა გაიარა, სრულიად დადგა საბჭოთა პლატფორმაზე, დაწერა ჩვენი დროისათვის სრულიად მოსაწონი ნაწარმოებები, დაწერა რომანი „მთვარის მოტაცება“, მისი პუბლიცისტური ნაწარმოებები, რომლებიც იდგა საბჭოთა პოზიციებზე და ის მთელი თავისი შემოქმედებით ემსახურებოდა ჩვენი ქვეყნის საქმეს, მოგეხსენებათ, ბოლოს კონსტანტინე გამსახურდია ლენინური ორდენის კავალერიცა გახლდათ და მრავალი ჯილდოსა და სახელმწიფო პრემიის მფლობელი.

ეს იმიტომ გავიხსენეთ, რომ დღე-

ვანდელი ჩვენი სხდომა ეხება ზვიად გამსახურდიას, ჩვენი კავშირის წევრს. თქვენ იცნობთ გაზეთის მასალას. ეს დღეები პრესა უთმობდა ადგილს იმ მასალებს, რომელიც ესხოდა ზვიად გამსახურდიას მოღვაწეობას. ჩვენ მოგვმართა რესპუბლიკის პროკურატურამ „სათანადო რეაგირებისათვის გეგზავნებათ...“ (კითხულობს) ... ეს მასალა მივიღეთ. პრეზიდიუმის წევრებმა გაიცნეს.

როგორც თქვენ ნახეთ და როგორც გაზეთები ადასტურებენ, ეს არის ანტისაბჭოთა პროპაგანდა. თქვენ მოგეხსენებათ მწერალთა კავშირის წესდება, რომლის მიხედვითაც მწერალთა კავშირის წევრად ითვლებიან ისინი, ვინც მთლიანად დგანან საბჭოთა პოზიციებზე და ლებულობენ აქტიურ მონაწილეობას კომუნიზმის მშენებლობაში. თუ კაცი ეწევა ანტისაბჭოთა პროპაგანდას, ანტისაბჭოთა მოლვანეობას, ის თავის თავს აყენებს ამ ორგანიზაციის გარეშე. თუ ჩვენ გვაერთიანებს კომუნიზმის მშენებლობა და მისი აქტიური მშენებლები ვართ, ეს არის ჩვენი სულის, ჩვენი მოწოდების ნაკარნახევი, და თუ კაცი იძრდებს მის წინააღმდეგ, ის თვითონ აყენებს თავის თავს ამ ორგანიზაციის გარეშე. ალბათ, ის თვითონ არ სთვლის თავს ჩვენი კავშირის წევრად. აქ ბევრი მასალაა, მაგრამ მარტო ორს დავასახელებ ამ მასალიდან, ერთი გახლავთ „საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნებული ანტისაბჭოთა პროკლამაცია, რომელიც მოსკოვში გაავრცელეს ფრანგმა და ნორვეგიელმა ტურისტებმა, რომლებიც ამის გამო დაპატიმრებული იყვნენ. ეს პროკლამაცია გადმობეჭდილია ამ „მოამბეში“. მეორე, რამაც გული ატკინა ჩვენს ხალხს, ეს გახლავთ ფაშისტი გენერლის მაღლაკელიძის გარდაცვალების გამო გამოქვეყნებული მასალა, სადაც ქება-დიდებაა იმ კაცისა, რომელიც მოუძღვდა ფაშისტურ ლეგიონს და რომელიც ვითომ საქართველოს სრული გათავისუფლებისათვის იძროდა.

აი, მოკლედ, რაც მინდოდა მეთქავა. ამსანაგები გამოთქვამენ თავიანთ აზრს და შემდეგ მოვუსმინოთ ზვიადს. როგორ გაიმართლებს თავს.

თავმჯდომარე: ვინ არის მომხრე, გაირიცხოს?
გთხოვთ, ასეიოთ ხალი! გთხოვთ, დაუშვათ! ვინ არის ნინეალმდები? არავინ. თავი ვინ შეიკავა? არავინ.
მაშასალაში, ნინეალმდება მიღებულია ერთხმალ.

ძალიან სამწუხაროა ეს შემთხვევა, რადგან ჩვენ ასეთი შემთხვევა არა-სოდეს არ გვქონია. განსაკუთრებით ახლა, როცა რესპუბლიკას წარმატებები აქვს და როდესაც ედუარდი მოვიდა ხელმძღვანელობაში, კონსტანტინე ერთი პირველთაგანი მიესალმა მას, და კიდევ უფრო გასაკვირი და სამწუხაროა ეს შემთხვევა.

ზვიად გამსახურდია – რა იურიდიული საფუძველი აქვს ყველაფერ ამას, როთ მტკიცდება?

თავმჯდომარე – პრესისა და პროკურატურის მასალით.

ზვიად გამსახურდია – იმ პროკურატურას რა იურიდიული საფუძველი აქვს? თქვენ საბუთებს არ გაცნობდენ?

თავმჯდომარე – გამოიგზავნა ეს მასალა, პროკურატურა სთვლის, რომ მასალა არის საქართვისი. აი, რას ინერება... „რომლებიც დაბეჭდილია და გავრცელებულია მწერალთა კავშირის წევრის, ზვიად გამსახურდიას მიერ არაოფიციალურ ჟურნალში „საქართველოს მოამბეში“.

ზვიად გამსახურდია – ის მთვლის მე რედაქტორად? მე ხომ ხელს არ ვაწერ. მე არა ვარ რედაქტორი.

თავმჯდომარე – მაგაზე თქვენ მიმართეთ პროკურატურას, ჩვენ უნდა დავეყრდნოთ იმ მასალას, რომელიც გაზეთშია... ნოდარ, ხომ არ დაინტერესოთ!

ნოდარ დუმბაძე – ჩვენ გავეცანით მასალას, რომელიც დაბეჭდილია არალეგალურ ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“. კიდევ გავეცანით ჟურნალების წყებას, რომელსაც „ოქროს საწმისი“ ჰქვია. პირადად მე, როდესაც წავიკითხე „ოქროს საწმისი“, ის არ მომერვენა სერიოზულ ჟურნალად, რადგან მასში ფრიად სუსტი და დაბალი გემოვნების ნაწარმოებები ქვეყნდება და როდესაც გავეცანი იმ მასალას, რომელიც მოგვაწოდა ჩვენ პროკურატურამ, სადაც გამოქვეყნებულია ან-

ტისაბჭოთა პროკლამაცია, რომელიც მოუწოდებს ჩვენს ხალხს საბჭოთა ხელისუფლების დამხობისაკენ, მე მიმართია, რომ ამ ჟურნალის ხელმძღვანელი ან ავტორი ამ მასალისა არ არის ლირსი მწერალთა კავშირის წევრობისა და პირადად ჩემთვის, როგორც მწერლისათვის და კომუნისტისათვის, მიუღებელია.

თავმჯდომარე – გიორგი!

გიორგი ციციშვილი – მე ჩემი მეგობრებისათვის არ მითქვამს, საერთოდ არ ვლაპარაკობდი, რომ ძალიან მძიმე წლები გავიარე ომში და არა იმიტომ, რომ დაჭრილი ვიყავი და ბრძა, არამედ ვახე საშინელებანი, რომლებიც ჩემს თვალწინი ტრიალებდა. ჩვენი პროპაგანდა თავის დროზე კი არ აჭარბედა, არამედ სუსტი იყო, რომ არ აჩვენა მთელი ის საშინელება, რაც ფაშიზმს მოჰყვებოდა.

მე საშინლად ამაღლება იმან, რომ მაღლაკელიძე აქციეთ ეროვნულ გმირად, მე არა ერთი პროკლამაცია ჩამოარდნია ხელში, მე შტაბში ვმუშაობდი და ბევრი მოჰყვებათ ასეთი პროკლამაციები, ის პროკლამაციები ბევრი მინახავს შტაბში, მაგრამ ამ პროკლამაციამ, რომელიც ამ არალეგალურ ჟურნალშია დაბეჭდილი, საშინლად ამაღლება იმიტომ, რომ ქართველ ახალგაზრდობაში აღძრავს ეჭვს, ქართველ ახალგაზრდებს ეჭვს უღვივებს და ამ პროკლამაციამ შეიძლება მოამაღლოს ქართველი ახალგაზრდობა. ზვიადმა ბრძანა, რომ ამისი რედაქტორი არა ვარო და ჩვენ ყველა იყცით, და ისეთი ავტორიცეტული ორგანიზაციის წერს, როგორიც არის პროკურატურა.

ჩვენ წავიკითხეთ ეს მასალა, თმები ყალყზე დაგვიდგა, განსაკუთრებით ეს პროკლამაცია. წარმოუდგენელია, 1977 წელს ასეთი პროკლამაცია ვინმეტ შეთხას ან გადმობეჭდოს.

>>> გაგრძელება გვ. 100

„პრა ცილი სწაო!“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დავით V-ის, მიზანურილი გაიოზ ნილების სახეობის სასულიარო სიმინდის რეაქტორი), ეპისკოპოს გიორგი მაგლების, ეპისკოპოს გრიგორი ალავერდელის ერთობლივი ლია წარიდო.

გამოქვეყნებულია „ლიტერატურულ საქართველოში“

17.03.77

დღეს ჩვენ, მისი მსახურნი, გამოხატავთ რა ყოველი მორნმუნე პიროვნების აზრს, მთელი ჩვენი მღვდელმთავრული შეგნებით თავს ვალდებულად ვრაცხთ და ხმას ვიმაღლებთ ამ გარეწრების წინააღმდეგ, რომელთაც სატანა დაპატრონებიათ, რომელთაც წინაპართა აღსარება უარყყიათ, ხელს არ აძლევთ ქართული მართლმადიდებლური ეკლესის მთლიანობა, სახელს უტეხენ საერთაშორისო ასპარეზზე, რათა ბინძური ვნებათაღლვანი დაიოკონ და ეგებ რაიმე სასწაულით დასაყრდენი მოიპოვონ მის წიაღში, რომ უძველესი ეკლესია სექტანტობისა და უკეთური საქმიანობის ასპარეზზდ გადააქციონ.

ეს ყველაფრის მკაფრებელი მანიაკები, რომელთაც მამულიშვილობისა და კეთილმორნმუნების ნიღაბს ამოფარებული ზეიად გამსახურდა მეთავეობს, თვალთმაქობენ, ბინძურ ხერხს მიმართავენ, ეროვნული გრძნობების სპეციულაციას ეწევიან და ნადავლს კი რადიო „თავისუფლების“ და ზოგიერთი უცხოური ურნალ-გაზეთის ჭუჭყან ბაზარზე ეზიდებიან გასასაღებლად.

და ეს არც არის შემთხვევით...

ყველა ქართველისთვის, ვინც ზ. გამსახურდიას ცოტად თუ ბევრად ახლოს იცნობს, ნათელია, რომ ეს ფსევდოინტელიგენტი ვაჟბატონი „სიყრმით თვისითგანვე“ გამოუსწორებელი ხულიგანი, გვარიანად განვრთნილი შანტაჟისტი და დახელოვნებული პროფესიონალი. მისი მოქმედების მთავარი იარაღია მე-მკვიდრეობით დარჩენილი ფული და

გარეცხილი სინდისი. ნებივრობაში, უსაქმიურობაში გაზრდილი, მამის ავტორიტეტს შეხიზნული, ერისა და ეკლესის ცრუ პატრიოტი, თავისი „ეროვნული მოღვაწეობის“ კრედოს მხოლოდ მასში ხედავს, რომ სხვათა საქმეებში – რისიც არ გაეგბა რა – ხელი აფათუროს, სასურველი ინფორმაციები ჩხრიკოს და მოიძიოს, ჭორები გაავრცელოს, ალალმართალ ხალხს სახელი წაუხდინოს, სხვათა დამცირებითა და შეურაცხყოფით საკუთარ განდიდებაზე იოცნებოს, ზნედაცემული პირები მოქრთამოს, ბნელ საქმეებში ჩაითრიოს, ლანძღვის, მუქარის ასობით ანონიმური წერილი დაანერინოს, საშიშ დამნაშავეებად აქციოს, დასჯა-დაპატიმრებანი მოითხოვოს, ერთი სიტყვით, ქვეყანა შეაწრიალოს, იმუქროს, ილანძღოს და ყოველივე ამასთან ერთად ჰუმანისტისა და ადამიანის უფლებათა დამცველის სახელი დაიჩიროს. სად, რომელ ქვეყანაში თქმულა – მორნმუნებია, კაცომოვარება და შანტაჟი თუ დივერსია და პროვოკაცია ერთმანეთიან თავსდებოდეს, ერთმანეთს ერგებოდეს. სად გაგონილა, ადამიანის უფლებათა და ღირსებათა პირველი ხელყოფელი სხვათა უფლებათა დაცვაზე ზრუნვდეს?! ამაზე შორს ხომ ვერ წავა ვერავითარი ცინიზმი და არამზადობა.

მის მიერ ფულით მოსყიდული ვალენტინა ფაილოძე ეს რამდენიმე წელია ეკლესიდან ეკლესიაში, ქალაქიდან ქალაქში დაიარება და ჭორებსა და მავნე ხმებს ავრცელებს. ზ.გამსახურდიას „განათლებუ-

ლი“ რჩევით იგი ხელს ოსტატურად იცვლიდა და ძველ ქართულ ენაზე, ვინ მოსთვლის, ვის და რის ლანძღვაგინებას ალარა წერდა იმ ანონიმურ წერილებში, ეს ვაჟბატონი საქართველოში „მხსნელად მოვლენილი მოციქულის“ სახელით რომ ავრცელებინებდა ეკლესიებში, უმაღლეს სასწაულებლებში, სახელმწიფო დაწესებულებებში თუ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. ვ.ფაილოძეს, რომელიც 130-ზე მეტი ანონიმურ წერილის ავტორია, თავისი მიეზღო, მაყრამ მისგან დავალებული ზ. გამსახურდია უნუგეშოდ არ ტოვებს თავის მარჯვენა ხელს. რადიო „თავისუფლებიდან“ ქვეყანას აგებინებს „სიმართლისათვის დევნილი გმირული და ვაჟკაცური სულის მქონე ქართველი ქალის მონამეობას“.

აფსუს, შეგინებული სახელო ქართველი ქალისაო! რომელ ქართველ ქალს უკადრებია ქუჩა-ქუჩა ხეტიალი და უცენზურო სიტყვებით ლანძღვაშეურაცხყოფა? ამ ორი ჭორიკანა „მორნმუნის“ მეგობრობამ ახალ „სიმაღლეს“ მიაღწია. საზოგადოების თვალის ახვევის მიზნით ზ. გამსახურდიამ მეორე ცოლთან შექნილი ბავშვის ნათლიანბა შესთავაზა, მაგრამ მღვდელს წესის შესრულებაზე უარი განუცხადებია. ვიდრე ეკლესიაში შფოთსა და არე-დარევას ტეხავთ, მე წესს ვერ შეგისრულებთო, – ეთქვა მოძღვარს. განინმატებული გამსახურდია იმუქრებოდა: ეხლა მიყურონ, ეხლა კი ისეთ რამეს გავაკეთებ, რაც აქამდე არ გამიკეთებიაო (?!).

არ მოელოდა, თუ მისი მამის შვილს უარით გამოისტუმრებდნენ.

ქართული ეკლესიის ამ არამკი-
თხე ვექილმა საქმე იქამდე მიიყვანა,
რომ ინგლისურმა გაზეთმა „ტაიმს-
მა“ კამათი გამართა საქართველოს
ეკლესიაზე. ალაპარაკა მტერი და
მოყვარე. ცნობილმა ინგლისელმა
ქართველოლოგმა, ქართული კულ-
ტურის მეგობარმა დ. ლანგმა და ფუ-
ლჰემისა და გიბრალტარის ეპისკო-
პოსმა და სხვებმა უსაფუძღლოდ
გალანძღული ქართული ეკლესიის
ავტორიტეტი დაიცვეს. ზ. გამსახურ-
დიას შორეული კოლეგები – კლი-
ფორდ ლონგლი და პიტერ რედევეი
მის მიერ თბილისიდან მიწოდებული
„მასალებისა“ და „დოკუმენტების“
საფუძღლზე თავისას ამტკიცებენ,
თავისას გაჰყვირიან, მოუწოდებენ,
რომ საქართველოში არსებული „ძა-
ლები, რომლებიც ცდილობენ ეკლე-
სიის განახლებას, ეძებენ და საჭირო-
ებენ საზოგადოებრიობის ჩარევას“.

ზ. გამსახურდიამ „განახლების
აზრი“ საქართველოს ეკლესიისა ჯერ
კიდევ 1968 წელს გამოამჟღავნა.
როცა განსვენებული კათალიკოს-
პატრიარქი ეფრემ მეორე შვეიცა-
რიაში ბრძანდებოდა განვეული, მან
ხულიგნების დახმარებით ეკლესიაში
განხეთქილების ჩამოგდება სცადა და
კათალიკოსის გადაყენება მოითხოვა.
ბ. ჯალააღანია, რომელსაც არცერთი
სამლენელო ხარისხი არ ჰქონია, ბო-
დიდები გაამგზავრა, წმ. ნინოს საფლა-
ვზე დააჩინქა და თავი ეპისკოპოსად
გამოაცხადებინა. იქ მას სურათი გა-
დაუღეს, ნეგატივში „ეპისკოპოსის“
თავს გვირგვინი შემოავლეს და და-
მზადებულ ფოტოს გულუბრყვილო
მორწმუნებში დაატარებინებდა: კა-
ნონიერი ეპისკოპოსია, სული წმიდის
ნათელში იმყოფება. ზეიადს ჩანა-
ფიქრი ვერ გაუმართლდა. სინოდმა
საქმე გამოიძია და რამდენიმე პირი
ქრისტიანობიდან განკვეთა კიდეც.
ბ. ჯალააღანიასთან შერცხვენილ-გა-
მტყუნებულმა ზ. გამსახურდიამ ისლა
მოახერხა, რომ „ეპისკოპოსი“ ბინაში
ჩაინერა და თავისი აკადემიკოსი მა-
მის მდიგნად გამოაცხადა. „ვისაც ას-
მენ ყურნი სმენად ისმინეთ“... რახან

მთელი გეგმები ჩაეფუშა და ვეღარც
ის დაამტკიცა, რომ წმინდანის სა-
ფლავზე მღვდელმთავრობის ხარის-
ხის მიღება შეიძლება ქიროტონიის
გარეშე, პირში „ჩალაგმოვლებული“
დაშორდა ეკლესიას და ხელსაყრელ
მომენტს დაელოდა, ვერც ამისთვის
სანატრელმა მომენტმა – ეფრემ მე-
ორის გარდაცვალებამ უშველა რა,
ჯავრმორეული, ეს რამდენიმე წელია,
მავნე პირების დახმარებით, უცხოურ
რადიოსა და პრესას ყალბ ინფორ-
მაციას ანვდის და ამ უკანასკნელის
საშუალებით მტერსა და მოყვარეს
გასძახს – საქართველოს ეკლესია-
ში სული ანარქია, აბსოლუტური
უნესრიგობა სუფევსო.

უცხოურ პრესაში ატებილმა
ხმაურმა დააინტერესა და ჩვენთან
ჩამოიყვანა ამერიკულ გაზეთ „კრის-
ჩენ საინს მონიტორის“ ყოფილი
მოსკოველი კორესპონდენტი ელისა-
ბედ პონდი. უურნალისტი ქალი, რო-
მელმაც მოისმინა საქმის რეალური
ვითარება, გაკვირვებული და გაოცე-
ბული გაბრუნდა უკან.

ზ. გამსახურდიას ოინებსა და ხრი-
კებს დასასრული არა აქვს. მისი
საეკლესიო „განმახლებლობა“ ესაა
მხოლოდ და მხოლოდ სექტანტი კა-
რიერისტისა და რენეგატის ბინძური
საქმე, რომელსაც ხალხი არ ააცდენს
კაენის წყევლასა და იუდას სირ-
ცხვილს. ან როგორ შეიძლება დალა-
გებულ მორწმუნებდ ჩაითვალოს ის,
ვინც ცათა უმაღლეს და ანგელოს-
თა უმინდეს ღვთისმშობელს ერთ
თავის ჩიქორთულ ლექსში ასე მი-
მართავს: „დაო და დედაო“. გადავი-
კითხოთ ქრისტიანულ საგალობრელთა
ორიათასწლიანი კრებული, თუ სადმე
ამის მსგავსი აღმოჩნდება. ეს ხომ
გაუგონარი მკრეხელობა და ანათე-
მაზე გადასაცემი ფანატიზმია. სხვას
რომ თავი დავანებოთ, მარტო ამის
შემდეგ განა ან მორალურად, ან იუ-
რიდიულად ხელენიფება ამ ვაიგანა-
თლებულ ღვთისმეტყველს საერთოდ
ეკლესიაზე ლაპარაკა? საქართველოს
ეკლესია ჯერ არ დაცემულა და არც
არასოდეს დამდაბლდება ისე, რომ
ვიღაც პარანოკების დაცვა და მხარ-
ში ამოდგომა დასჭირდეს მას.

„ეს ყველაფრის

მკადრებელი

მანიაკები, რომელთას

მაულიგვილობისა და

კეთილმორნეულობის

ნილაბ ამოფარებული

ზვიად გამსახურდისა

მითავეობს,

თვალთმაცობანის,

პინძურ ხერხს

მიმართავენ,

ეროვნული გრძელების

საკულაციას ენევიან

და ნალავლს კი რალიო

„თავისუფლების“

და ზოგიერთი

უცხოური ზურნალ-

გაზეთის ზუშყიან

ბაზარზე ეზილებიან

გასასალებლად.“





ბერლინალი არც წვიმს, არც თოვს, არც მზე ანათებს

<< დასახური გვ. 44

შესანიშნავი სამსახიობო ანსამბლი (განსაკუთრებით კევინ სპეისის როლს გამოყენებით), კლასიკური ამერიკული კინოს საუკეთესო ტრადიციებით ცდილობს გაითამაშოს ეკონომიკური კრიზისი „შიგნიდან“, დანახული თვავად კაპიტალისტების თვალით. ამერიკული დებიუტანტის ფილმი უიურის დიპლომითაც კი არ აღუნიშნავს – ეს კლასი „ბერლინალეზე“ არ უყვართ. მაშინაც კი, როცა „კაპიტალიზმის აპოკალიფსზე“ საუბრობენ. აქ უფრო მაიკლ მურის შეგავსი რადიკალებია მოდაში. სხვა საქმეა, რომ ეს რადიკალები უპირატესობას ანიჭებენ არა მკეთრად მემარცხენე „ბერლინალეს“, არამედ დეკადენტურ-ბურჟუაზიულ კანის კინოფესტივალს.

უთუოდ ამავე მიზეზით ჩავარდა წლევნძელ კონკურსში გერმანელი რეჟისორის, ანდრეას ფეიელას ფილმი „ვინ, თუ არა ჩვენ“, რომელიც მემარცხენების ისტორიას ასახავს დასავალეთ გერმანიაში 50-იანი წლებიდან 70-იანი წლების დასაწყისამდე, როცა ექსტრემისტების უმრავლესობა დააპატიმრეს. აქაც, ავტორის პოზიცია ცხადზე უცხადესია – რადიკალიზმი

დამღუპველია! რადიკალიზმი ერთი იდეოლოგიის ჩანაცვლებას იწვევს მეორე იდეოლოგიით, მაგრამ არანაირი იდეოლოგია არ ღირს ადამიანის სიცოცხლედ... ამასვე ამბობს ალექსანდრე მინდაძე ფესტივალის ერთ-ერთ საუკეთესო საკონკურსო ფილმში „შაბათს“, რომელსაც 1986 წლის აპრილში გადავყავრთ – ჩერნონილის რეაქტორის აფეთქების დღეებში. ამ რეჟისულ ფილმში იხატება სურათი აპოკალიფისა, რომლისთვისაც არავინ იყო მზად. ფილმის გმირს, ახალგაზრდა პარტიულ მუშაქს, რომელიც ყველაზე ადრე იგებს ხანძრის შესახებ რეაქტორზე, მაგრამ პარტია უკრძალავს ინფორმაციის გავრცელებას პანიკის თავიდან აცილების მიზნით, ვერა და ვერ გადაუწყვეტია როგორ მოიქცეს, ვის უშველოს – მხოლოდ საკუთარი თავი გადაარჩინოს და გაიქცეს? შეყვარებულიც? მეგობრებიც? იქნებ მთელი ქალაქი?

საოცარია, მაგრამ ფილმის ჩვენების შემდეგ დარბაზში სტენა გაისმა. პუბლიკა აქ, როგორც ჩანს, სულ სხვა ფილმს ელოდა – ეკოლოგიურ კატასტროფზე, რომელიც ბუნების დამცველებს გაახარებდა... და არა მარტო მათ. ბერლინის ფესტივალის პუბლიკა, ტრადიციულად, ძალიან „პოლიტიზირებულად“ ითვლება. მაყურებელი აქ შეაღამეზე იკავებს რიგს საღარისებთან, რათა ფესტივალის საკონკურსო და კონკურსგარეშე პროგრამებში ჩართული ოთხასამდე ფილმიდან რაღაც მაინც ნახოს; მხატვრულ ხარისხს ეს პუბლიკა ხშირად საერთოდ არ ანიჭებს მნიშვნელობას (იგივე კანის, ან ვენეციის ფესტივალებისგან განსხვავებით). მთავრია მაყურებელმა – ვიმეორებ, პოლიტიკურად აქტიურმა – თანამოაზრეს მიაგნოს სურათის ავტორში. ამიტომაც მოლოდინის ფაქტორი აქ ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მაგალითად, როცა ბერლინელ რეჟისორს, კირილ ტუშის, გაუქურდეს ოფისი და მოპარეს ახლად დამთავრებული ფილმის, „ბოდორკოვსკის“ ასლი, გაღრმავდა ეჭვი იმაზე, რომ ფესტივალზე გამოიხატა სურათის რეჟისორს. მოლოდინი ფილმმა გაამართლა. მართალია „ბოდორკო-

ვსკის“ დასრულების შემდეგ რეჟისორმა განაცხადა, რომ ვერ დაბრალებს რეჟისულ სპეციალისახურებს ვერაფერს სანამ გამოძიება არ დასრულდება, თავად ფილმი ქმნის თავისებურ სურათს სრულიად რეჟისორისა, რომელიც არა მარტო ხოდოროვსკის, არამედ სურათის ავტორსაც „ებრძვის“ – არ აძლევს მას ინტერვიუს, გაურბის მიკროფონს. რეჟისულ საზოგადოებას, გარდა ხოდოროვსკის მეგობრებისა, არ უნდა იუკისის შეცვებისაზე საუბარი. ეშინია. თუმცა, როგორც კირილ ტუშიმ განაცხადა, პირად საუბრებში დარწმუნებულია, რომ ოფისი სწორედ სპეციალისახურებმა გაქურდეს. „ასე ენდობა რეჟისორითავის ხელისუფლებას“ – განაცხდა რეჟისორმა, რომელიც ფილმში ხოდოროვსკის ისეთ პორტრეტს ქმნის, აუცილებლად დაგეხადებათ აზრი – ეს კაცი ციხიდან თუ გამოვიდა, შეიძლება რეჟისორის პრეზიდენტიც გახდეს!

ამაზე ტაშს უკავენ. ალექსანდრე მინდაძის ფილმზე კი უსტვენენ. მოლოდინის გაცრუება არავის უყვარს.

რეჟისული ფილმის პრემიერის შემდეგ „Hollywood Reporter“-ის პოპულარულ მიმოხილვებმა დებორა იანგმა, მინდაძის სურათს ვრცელი რეცენზია მიუძღვნა: „შეიძლებოდა კარგი ფილმი გვენახა კატასტროფაზე, მაგრამ მივიღეთ აპათის დამანგრეველი კვლევა“... იშვიათად გულწრფელი ნათქვამია! „შეიძლებოდა გვენახა“, მაგრამ „მივიღეთ კვლევა“! ეს „კვლევა“ აღარავის უნდა, ყოველ შემთხვევაში, „ბერლინალეზე“ ნამდვილად.

არადა „შაბათს“ არა მარტო საინტერესო „კვლევაა“ ადამიანისა, რომელიც სასაზღვრო სიტუაციაშია მოქცეული, არამედ სანტერესო მხატვრული ნამუშევრაც; ფილმი ხან დანიურ „დოგმას“ ჰგავს, ხანაც თავისებური პოლემიკაა ამ სტილთან; დინამიკა, გამოხატული მოძრავი, სუბიექტური კამერით და სტატიკა, სურათები. რომელიც 80-იანი წლების კინოს მოგამონებობის გაერთიანებულია და იმდროინდელი საზოგადოების წინააღმდეგობებს ასახავს. საბჭოთა კავშირი ინგრევა, მაგრამ ხალხმა ეს ჯერ არ იცის. ანდა, როგორც თავად ალექსანდრე მინდაძემ განაცხადა პრესკონფერენციაზე

„ფილმი გამოხატავს მდგომარეობას, რომელიც ასე შეიძლება აღვწეროთ – სიკვდილი უკვე მოვიდა, მაგრამ სიცოცხლემ არ იცის ამის შესახებ“

ესაა უმეცურების, სინქელის, ფანატიზმის ბრწყინვალე სახე – ხალხი რადიაციისგან გადარჩენას წითელი ღვინით ცდილობს. ესაა საპჭოთა კავშირი, რომელიც არ დანგრეულა! მაგრამ „ბერლინალეს“ პუბლიკას, როგორც ჩანს, ამის არ სჯერა და მოლოდინის გაცრუებას არავის პატიობს.

ვეჭვობ, სწორედ მოლოდინის გაცრუების გამო დაკარგა ბოლო დროს პოპულარობა ვიმ ვენდერსმა. მისი თაყვანის მცემლები რამდენი წელია უკვე ელიან ახალ „ალისას“ ანდა, თუნდაც. რაღაც მსგავსს ფილმებისა „პარიზი-ტეხასი“, „ცა ბერლინის თავზე..“. ვენდერსი კი რაღაც უცნაურ ფილმებს იღებს, თითქოს დაიღალა ევროპული

კინოს მეტრობით და, უპრალოდ, არ იცის, რა გააკეთოს გადასაღებ მოედანზე. ამიტომაცაა, ალბათ, რომ მეც და „ბერლინალზე“ აკრედიტებული ჩემი ნაცონბი უურნალისტებიც, არაფერს ახალს არ მოველოდთ ვენდერსის ახალი ფილმებიგან „პინა“. მით უმეტეს, რომ სურათი კონკურსში არ ჩართეს. ეს კი ეჭვს ბადებდა, რომ ფილმი, უბრალოდ, არ ვარგა... დიდი-დიდი იმ მუსიკალურ დოკუმენტურ ფილმებს ჰგავს ტელეკომპანია „არტე“ რომ უჩვენებს ხოლმე შაბათ-კვირას.

ჰოდა, „პინა“ ის შემთხვევაა, როცა მოულოდნელი ეფექტი ფილმის გამარჯვებას განაპირობებს. პირადად მე აღმოდოვარის „ელაპარაკე მას“ გამასენდა, სადაც ფილმის გმირებს ცრემლი ერევათ პინა ბაუშის სპექტაკლზე „კაფე მიულერი“. ასე მოგვერია აქაც ბევრს ცრემლი. მით უმეტეს, რომ

ვერავინ შეგვამჩნევდა – ვენდერსის ფილმი ხომ 3D-ზეა გადაღებული. „პინას“ სათვალით უნდა უყურო!

„პინას“ პრემიერის დღეს „ბერლინალებ“ სათვალები ყუთებით მოამზადა. ჯერ ფრანგული საკონკურსო ანიმაცია, 3D-ში გადაღებული „დამის ზღაპრები“ უჩვენებს. ახალგაზრდა ქალ-ვაჟი აქ მოხუც რეჟისორთან ერთად ერთ მიტოვებულ კინოთეატრში შედის და იგონებენ ზღაპრებს; ხატავენ დეკორაციებს და პერსონაჟებს, მოგზაურობენ დროსა და სივრცები. სურათს ძალზე საინტერესო ვიზუალური გადაწყვეტა აქვს – ფონი „სტერეოა“, პერსონაჟები კი ბრტყელი. ეს ყველაფერი „ჩრდილების თეატრის“ სტილს ჰგავს, როცა ნინა პლანი ძლიერად ჩაბნელებული, ფონი კი, პირიქით, განათებული... მაგრამ ფილმის მსვლელობის დროს, ნელ-ნელა ამ სტერეოფექტებმა, შე-

ეაფიქერი, ვის ანორქ შენს ხბილებს!



გამოცემება

საძლოა, გაგალიზიანოთ. უბრალოდ, დაიღალოთ ამდენი თვითმიზნური ტექნიკით. მით უმეტეს, თუკი იმ დღეს ამ ტექნიკაში გადაღებული სხვა ფილმებიც გაქვთ სანახავი. მაგალითად, „პინა“.

მაგრამ ვენდერსის ფილმი ყველა-ნაირ დაღლილობას ხსნის და კიდევ ერთხელ გარჩეუნებთ, რომ კარგ ფილმზე დაძინება შეუძლებელია. როგორც არ უნდა იყოთ დაღლილი! იმაშიც გარჩეუნებთ, რომ ტექნიკას არავთარი მნიშვნელობა არა აქვს, როცა ფილმს ნიჭიერი ადამიანი იღებს. „პინას“ ყურების დროს არც სათვალე გახსოვს და არც 3D-ს შესაძლებლობები.

ვიმ ვენდერსმა „პინას“ გადაღება 2005 წელს გადაწყვიტა. მაგრამ გადაღება რამდენჯერმე გადაიდო. 68 წლის ქორეოგრაფის გარდაცვალება შოკი იყო ვენდერსისთვის. მან მაშინვე თქვა უარი პროექტზე, რომელიც დაწყებული ჰქონდა. მოგვიანებით ისევ პინა ბაუშის დასის მსახიობებმა აიძულეს გაეგრძელებინმა გადაღება. ვენდერსის ფილმში ისინი არა მარტო ცეკვავენ, არამედ იხსებენ კიდეც პინას. ოღონდ არ ლაპარაკობენ. თვალებში გვიყურებენ. მათი ხმა კი კადრს გარედან ისმის.

ბალეტის ეკრანიზაცია ყოველთვის რთული იყო – კინომ ვერ შეძლო მთელი სცენის „სიმულანტური“ გადაღება. ეკრანი მუდმივად „აბრტყელებდა“ ცეკვას. აქ კი, ვენდერსის ფილმში, კინომ არა მარტო შეინახა ქორეოგრაფიული სიგრცე, უკვდავება შესძინა პინას ნაშეშვრებს, არამედ კიდევ უფრო პლასტიკური გახადა. არ ვიცი, შეიძლება ვცოდავ, ამას რომ გაღიარებ, მაგრამ რატომლაც მეონია, რომ პინა ბაუშის სპექტაკლები თეატრში ჩემზე არ დატოვებდა ისეთ შთაბეჭდილებას, როგორც ვენდერსის ფილმში. კამერას აქვს უნარი – ახლოდან დაგვანახოს ადამიანის სხეული, მისი სახე, მისი თვალები, მისი მზერა. აღმატებოს მზერას აქვს უნარი – ახლოდან დაგვანახოს ადამიანის სხეული, მისი სახე, მისი თვალები, მისი მზერა.

საბედნიეროდ, წლევანდელმა ბერ-

ლინალემ და პირადად უიურის თავმჯდომარემ, იზაბელა როსელინიმ დაამტკიცეს, რომ ასეთ მიზანტროპულ კინემატოგრაფს ისინი მხარს არ უჭერენ. ბერლინში გაიმარჯვა სიცოცხლით და ადამიანის სიყვარულით სავსე ფილმმა.

„როგორინი ირჩევს სიცოცხლეს!“ – ასე დაარქვა ფრანსუა ტრიუფომ თავის სტატია-მარგალიტს როგორტო როგორინიზე. სამგვერდიან წერილს, რომელიც პირადად ჩემთვის კინოკრიტიკის ეტალონია. ირანელი რეჟისორის, ასპარ ფართაძის ფილმში „ნადერი და სიმინი. განქორნინება“, იზაბელა როგორინი უთუოდ ამოიკითხავდა თავის ბავშვობას (ინგრიდ ბერგმანის და რობერტო როსელინის ქალიშვილის თვალინინ გრძელდებოდა განქორნინებული მშობლების გაუთავებელი დავა შეიღებზე, ქონებაზე, ფილმების საავტორო უფლებებზე); სურათი ხომ განქორნინების სცენით იწყება და მთავრდება...ასევე განქორნინების სცენით. ფინალში 15 წლის გოგონამ უნდა გადაწყვიტოს ვისთან ჩება – დედასთან თუ მამასთან. „დიახ, მე მივიღე გადაწყვეტილება“ – უუბნება გოგონა მოსამართლეს. მაგრამ გადაწყვეტილების თქმა უფირს. ითხოვს, რომ მშობლები გარეთ გავიდნენ, მოსაცდელში დაელოდონ. გადიან და კამერაც მათ მიჰყება. მშობლები იცდიან. ეკრანზე ჩნდება ფილმის ფინალური კადრები...

მანამდე კი ფილმში უამრავი რამ ხდება – ოჯახურ დრამაში, ფაქტობრივად, მთელი თანამედროვე ირანული საზოგადოება იხატება; ირანული კინოსთვის დამახასიათებელ სტილისტურ სიძენწეს და რეპორტაჟულობას, პორტრეტების სიყვარულს (ადამიანის სიყვარულს!), ემატება რელიგიური ცრურწმენების, ირანული მართლმსაჯულების მძაფრი კრიტიკაც. თუმცა აქ – და ესეც ირანული კინოსთვისაა დამახასიათებელი – ყველას თავისი სიმართლე აქვს. დასავლური „პუბლიცისტური კინოსგან“ განსხვავებით, მამხილებული ტრინი სრულიად უცხოა ირანული კინოსთვის. იქნებ ამიტომაც აკრიტიკულებნ ხშირად ირანში მოღვაწე თანამედროვე რეჟისორებს... და იქნებ ამიტომაც ჰქონდა ბერლინში გა-

მარჯვების ნაკლები შანსი ფარპადის. წლევანდელი ფესტივალი ხომ ირანში დაპატიმრებული რეჟისორის, ჯაფარ ფანაპის სოლიდარობით დაიწყო.. ფესტივალის გახსნაზე ცარიელი სკომიც კი დადგეს წარწერით „ფანაპი“ იმის აღსანიშნავად, რომ უიურის წევრი (!), ჯაფარ ფანაპი აქ იყო, „ბერლინალებზე“... და თუკი ფანაპი ცოხეშია, თუკი უამრავ ირანულ რეჟისორს კინოში მუშაობას უკრძალავნენ, რატომ უნდა დაეჭირა მხარი „ბერლინალეს“ რეჟისორისთვის, რომელმაც მაინც მოახერხა კინოს გადაღება. თანაც, კინოსი, რომელშიც პირდაპირ არ ადასაშაულებს ირანის დღევანდელ ხელისუფლებას და, როგორც ჩვენი მიზანტროპი-ინტელექტუალები იტყვან, „არც მწვადს წევას და არც შამფურს“

მაგრამ ირანული ფილმი პირადად ჩემთვის მოულოდნელად ბერლინის კინოფესტივალის ნამდვილი ტრიუმფატორი გახდა. „ბერლინალეს“ ისტორიაში, თუ არ ვცდები არ ყოფილა შემთხვევა, ერთი ფილმი თითქმის ყველა „დათვით“ აღენიშნათ. მაგრამ უიურიმ გარისკა – ექვს მსახიობს (!) დაურიგა „ვერცხლის დათვები“, თავად ფილმი კი „ოქროს დათვით“ აღნიშნა. ამით არა მარტო სოლიდარობა გამოუკხადა ირანულ კინოს („სოლიდარობა“, საერთოდ, ბერლინის კინოფესტივალის იდეა). შეარჩან „ბერლინალემ“ რომან პოლანსკის გამოუკხადა სოლიდარობა, არამედ ლიად აღიარა, რომ წლევანდელი ბერლინის კინოფორმული იყო კატასტროფულად ცუდი ფესტივალი. საკონკურსო პროგრამა არ ვარგოდა. ისიც აღიარა, რომ „ნინაალმდევობის ენერგია“, როგორც წესი, პროგრესს განაპირობებს ხელოვნებაში. იმ ქეყანაში, სადაც ცენზურამ ლამის ხელოვანის სუნთქვა გააკონტროლოს, უფრო თამამ და საინტერესო ფილმებს იღებენ, ვიდრე თავისუფალ ქვეყნებში.. იქ, სადაც ხელოვანს მარწუხებები დაადეს, სიცოცხლეზე იღებენ კინოს. იქ კი, სადაც თავისუფლება მოპოვებულია, მოახლოებული აპოკალიფსის თემა აწუხებთ, აპოკალიფსისა, რომელიც სრულიად მიზანტროპული სამყაროს მოღვაწინის მიუხედავად, არა და არ ხდება.



ტაბალან, სიყვარულით

<< დასაცილებელი გვ. 48

წითელი ზღვა ძალიან მდაშეა, თვალებს წვავს, და გამშრალზე კანი რომ მოილოკო, სასა გენვის. ახლა ყველაფერი წითელი მაქეს – თავი, კანი, თვალები. ლამაზი ვარ, აი, ძან.

სილამაზის ამბავში: კაბა ვიყიდე. იცი, რა კარგია? გუგამ მითხრა, რომ ძალიან მიხდება, და მეც ასე მგონია. თუ გნახავ რდეს მე (საეჭვოა; აქ კომენდანტის საათია, საპარო სივრცე ჩაკეტეს და, ალბათ, რამე კარიერი მელის. იხილე „სივაში ანუ მარილის აკვანი“, ან „აჭამეთ ხუფუს ნიანგს“. ანა კ.ს.) და მეტყვი, რომ არ ვარგა, გადავაგდებ, მაგრამ არ მეტყვი, იმიტომ, რომ მართლა მიხდება.

კაი, მოვრჩი წერას და დავიწყე კითხვა. გამაგიუბებს ეს სარაგოსას ხელნაწერი. ამდენი უშედეგო სექსი, ოდნავ ქალწული და ნახევრად ორსული არსად შემხვედრია. და კაცები კიდე, სულ რომ შეცდენილები არიან, თორემ თვითონ? აპაპაპა! ეგ რამ მაიქერებინა!

ანა კ.ს.

CHUB CHUBS ARE COMING!

30.01.11

დღეს კახიმ ჩაყვინთა და წითელი ზღვიდან საოცრება ამოიტანა. მარჯანია. ვაგლახ, ვერ ჩამოვიტან – კონტრანანდად ითვლება და საზღვარზე შეიძლება თავი მომაჭამონ, ფლორას (თუ

ფაუნას) გვინადგურებო.

წყალქვეშ დიდი ამბავია. ძალიან ლამაზია, ოღონდ მე ცოტა მაფრთხობენ ცისფერი თევზებიც, ცოცხალი მეჩერებიც და ზღვის ზღაბებიც. რომ მოცურავ, სულ ვიღაცის სამფლობელოში იქრები, და ისინი ან ბრაზდებიან და ფერს იცვლიან, ან ეშინიათ და იმაღებიან, ან სულაც შეიძლება შემოგიტიონ – ამას გადავრჩი. მაგრამ ვიღაცები მაინც სულ გედებიან, ან შეს ედები, რაღაცას ბუტბუტებენ და ვერ იგებ, სალამს გეებნებიან თუ დედას გაგინებენ – მოკლედ, სხვაგან ხარ, ყველა თვალსაზრისით. მეტისმეტად ცოცხალია ეს წითელი ზღვა.

ქართველი დამსვენებლები, მე მგონი, ვერც ნაპირზე ხარობენ, რაც ძალიან მართობს. ტაბა ჰაითსს მომსახურე პერსონალს გაფიცეა გამოუცხადებიაო – ტყუილი. ტაბაში აჯანყებულები შესულიანო – ტყუილი. ეგვიპტის საპარო სივრცე ჩაკეტილიაო – ეს კი მართალია და ვაშა!!! მთავარია, საქართველოში ვადაზე ადრე არ დამაბრუნონ. ერთია, რომ ამანშიც გადატრიალების სუნი დატრიალდა, და ვიფიქრეთ, რომ პეტრას სიზმარში თუ ვნახავთ, მაგრამ ბორანი მაინც დადის იქით-აქეთ და სად ჩავრჩები მონად, იორდანიაში თუ ეგვიპტეში, ბოლოს და ბოლოს, სულ ერთი არაა?

სათაურს რაც შეეხება – გახსოვს, ანიმაცია გაჩვენე, პიქსარების. ჰოდა,

აქაც ამბობენ, მოდიანო. ვნახოთ. რაღა დაგიმალო და არ მედარდება. არ მინდა პოლიტიკა. მზე მინდა, ჩემო კარგო, ზღვა და სიყვარული. კაი კაცონ, იტყვი, და მართალიც იქნები, მაგრამ მინდა და ჰა... ჰა... ჰა...

ანა კ.ს.

სამსა, აშარა

31.01.11

სამსა არაბულად ხუთს ნიშნავს, აშარა – ათს. სანაპიროზე ბედუინი დგას ხოლმე, აქლემით საქონელი აქს მოტანილი, და ათასგვარ სისულელეს ჰყიდის: თავსაფრებს, თილისმებს, თაბაშირის კატებს... მისთვის ორი რიცხვი არსებობს მხოლოდ, ზემოთ ხენებული ხამისა და აშარა. თუ დიდხანს არ ეშვებიან, აშარადან სამსამდე ჩამოდის ხოლმე, ესაა და ეს.

დღეს, როგორც გუგამ თქვა, ბედუინი და მისი აქლემი ისვენებდნენ, და მათ მაგივრად ბედუინის ცოლი მოვიდა. იგივე საქონელი მოზიდა, ოღონდ უაქლემოდ. ეს პირველი არაბი ქალია, რომელსაც აქ ხმა გავეცი. მეთქი (ესპერანტი; ქალს არცერთი ენა არ ეყურება), არაფრის ყოდვას არ ვაპირებ. მე მეგონა, რომ მითხრა, ნურც იყიდი, დაათვალიერე, და ვათვალიერე, მეტი რა საქმე მქონდა. დამშვიდობებისას კი ქალმა დამისტვინა – გავშემდი! – და ჰელო, ბარონესო, და სიცილით მოკვდა.

როგორც ჩანს, მართალია ბრძენი ხალხი – სურვილებს ასრულება სჩვევიათ. ამქვეყნად ყველაფერზე მეტად მოგზაურობა მიყვარს, მუდამ გზაში მინდოდა ყოფნა, და ამას დიდი შიმშილის უამსაც ვახერხებდი – რის ფასად, სხვა საკითხია, მაგრამ მინდოდა და სულ დავდოდი. ალბათ, ასეთივე შემართებით რომ მენატრა სიმდიდრე, შვილები და კარიერა, ამასაც მივიღებდი. უბრალოდ, ალბათ, არასოდეს მინატრია. კარგია ეს თუ ცუდი, არ ვიცი.

რა მომწონს ხოლმე, იცი? აი, გრძელ გზაზე რომ მიდიხარ და არავინ რომ არ იცის, სად ხარ. შეიძლება ითქვას, რომ ასეთ დროს საერთოდ არსად არა ხარ, არა? არადა, ხარ რომელია – ყოველ შემთხვევაში, მე ყველაზე ცოცხალი ამ დროს ვარ ხოლმე. ვახ, ვერ ვაყალიბებ...

გამოცემება

ჰოდა, ხვალ პეტრაში მივდივართ მე და გუგა, გემით. ფასზე გვაყაყანეს, აქ აშარ-ხამსა არ ჭრიდა, და ამიერიდან ცალ-ცალი აზიაცით მოგვიწევს სია-რული.

ანა კ.ს.

ნვია უდაბნოში

1.02.11

ვერსადაც ვერ წავედით. წუხელ მო-გვახსენეს, რომ საზღვარზე რაღაც გაუგებრობა მოხდა და ამიტომ მხო-ლოდ ხვალ გავემგზავრებით. ჰოდა, ღამით, დარდიან გულზე, საბოლოოდ გამოვშტერდით.

კახი ჰყვებოდა ჰურგადას შესანიშ-ნავი სასტუმროს, „მინა მარკეტის“ ამბავს. „კა ადგილია, აი, ძაან!“ და ჰყვებოდა და ჰყვებოდა, და გუგა „ვაი-მე, დედას“ კვენსოდა, მე – ვერაფერს, საშინელი კახი კი არ ჩუმდებოდა: „ზღ-ვამდე მიდიხარ ჯერ მეტროთი, მერე – ავტობუსით, მერე ბედუინი წაგიყვანს და მაგრად დაგლის...“ ვამე, დედა.

ახალი წიგნი მოვიპოვე. ბეგბედე-რი. კაცი – ჯანკი, ლოთი, აფერისტი, პორნოსტარი, ცოლის მცემელი. ვნახავ, ჰა...

სამაგიეროდ, დღეს ზღვაში ისეთი რამეები ვნახე, ახლაც ვერ ვიჯერებ, რომ სიზმარი არ იყო: ისსფერი მარჯა-ნი, ოქროსფერი ლოდების ნაპრალებში – პირდაღებული ნიუარები, შიგ ვი-ღაცები ცხოვრობენ და რომ შეეხები, უმალვე ხურავენ თავიანთ სახლ-კარს – აბა, ნიუარა? ქვა ვარ, მამა, ქვა! მაგრამ მერე ცუდ ადგილას მოვხვდი და იმდენ ზღარბს გადავეყარე, სულ წყალზე ვია-რე.

მერე კახიმ დაიყვირა, ნახე, რამხე-ლაო, და კუ ვნახეთ. ძალიან დიდი. მე რომ ბაკანი დამადგა და წყალში გამიშ-ვა, და დიდი, ბრტყელი თავი რომ მქონ-დეს, გესიამოვნება ჩემთან შეხვედრა? ჰოდა, არც მე მეამა დიდად, და მორჩა, ღრმად აღარ შევალ.

ახლა წვიმს. მართლა! სამწუთიანი ინტერვალებით ციდან წვეთები ცვივა, აქაური გაგებით, წარლვნაა. ჩიტმა ამ-ბავი მოიტანა, ჰურგადაში ყველა რეისი გააუქმეს და შარმში საფარი ცენტრი ააფეთქესო. ჩიტი ერთი აქაური ვაუკა-ცია, რომელმაც მთელი თავისი ეგვიპ-

ტური ფული დოლარებად აქცია და აშკარად გაურცხვლას აპირებს. თუ მართლა ასეა, მეჩერზე გავიყვანთ და მერე საუდის არაბეთში იყვლოთ, ვისი გვამი გამოირყა ზღვაშ...

ნოსრუმ მენ ალლაპ! ეგებ ერთი თვით მაინც ჩავრჩეთ ამ თბილ მხარეში.

ანა კ.ს.

А ВОТ У АРЧИ И КАРМА ЧТО ДХАРМА...
(ვიკა მოსკვევა ანა კ.ს.-ს
შესახებ, მოსკვი, 1997 წელი)

2.02.11

შუალამისას ისრაელის თავზე ჭექა-ქუხილი ატყდა. ზღვის პირას ვიდექი და შეა წყალზე თეთრ ტალღებს ვუყუ-რებდი. იქით ცა ნათდებოდა, ძალიან ხშირად, და კლდები ჩანდა, და ვფი-ქრობდი, რომ ახლა თაზოს აწვიმს და მე ამას ვხედავ, ოღონდ იმან არ იცის, რომ ვედავ, და მისგან ორმოც წუთში ვარ და ვერც ვინახულებ, ვერც ხმას მივაწვდენ, და საშინლად მომენატრა თაზო.

დღეს მივხვდი, რომ ვერ მივხვდი, მომენონა ბეგბედერი თუ – არა. წიგნი კი უცებ ჩავყლას, მაგრამ ეგრე დონ-ცოვის დეტექტივებიც უსვად წამიგი-თხავს, და რა, კარგია? აუზის პირას ვეითხულობდი ფრედერიკის რეკომენ-დაციებს, როგორ უნდა მისვდე აუზის პირას, ღირს თუ არა ვინმე ქალთან ურთიერთობა, და ბევრი ვიცინე. ეგ იყო და ეგ. მოკლედ, ბეგბედერი აშკა-რად არა ჩემი საყვარელი მწერალი. ან მთარგმნელი ჰყავს უვარგისი.

„ტუპაილა,“ დაასკვნა კახიმ.

„ტუპალა,“ დააზუსტა გუგამ.

ახ, რა კარგად ვარ! და კიდევ რამ-დენიმე დღე კარგად ვიქნები – წესით. მძინავს, ხან – ზეზეულად, ხან – მზე-ზე, ხან – შიშაბარში. არაფერი მეხება. როცა მითხვეს, რომ შენთვის განკუ-თონილი საჩუქარი აქ უნდა დავტოვო, იმიტომ, რომ კონტრაბანდად ითვლება, არავინ გამილანძლავს, არხეინად დავა-ბრუნე ზღვაში, და მერე გამყიდველს იმდენსანს ვუყურე ნეტარი სახით, და კახიმ იმდენი არაბული დახარჯა, რომ ახლა იმაზე უკეთესი რამ მომაქს შენ-თვის.

ეგვიპტეში სამოქალაქო ომი იწყება. მოგვიწოდეს, წადით აქედან, მაგრამ

სად წავალთ: მარჯვნივ – უდაბნო, მარ-ცხნივ – უდაბნო, წინ – კლდეები, უკან – ზღვა. ამიტომ ესხედვართ მზეზე, ვთვლემთ, ან სისულელეებს ვყვებით და ვიცინით, ცოტა გიუბიცით.

ეგეც აღარა?

ახლა კარგ სიზმრებს ვნახავ და ხვალ ალიონს ზღვაზე შევხვდები, ბორანზე.

ისე, ეგეც კაცმა არ იცის. ამბობენ, იორდანიაში სახელმწიფო გადატრია-ლებაა.

ანა კ.ს.

მორჩა

3.02.11

მორჩა ეგვიპტური ლამეები, ჭრელი თევზები და ქვემაში ძილი. ქართველი ქალების დაუინტელული მოთხოვნისა და რამდენიმე გურჯი ვაუკაცის საჯაროდ წახდენის შედეგად, ხვალ ალიონზე წამოვარდები ჩემი დიდი, ლამაზი, თეთრი ლოგინიდან, და ისე, რომ ზღ-ვაში ფეხსაც ვერ ჩავყოფა, წავალ აერო-პორტში, სადაც რამდენიმე, არა, ბევრი საათის განმავლობაში თვითმფრინავის ლოდნი, თანამემამულეთა ატანა და უდაბნოს ცქერა მომიწევს. მერე – სა-მშობლო.

არადა, სალამოს, იორდანიიდან რომ ვტრუნდებოდით, ვფიქრობდი, რომ დღევანდელ დღეს, „ალ შარას წყალო-ბას“ დაგარქემებდი. მერე გიამბობ, რა-ტომაც – რა თქმა უნდა, თუ მოგინ-დება. ისე, რა სასაცილო მიმოწერა, უფრო სწორად, (მი)მიწერა გვექონდა ამ ცივ ზაფთარში თავს დატეხილი ცხელი ზაფხულის განმავლობაში!

არადა, თორმეტი დღე უნდა ყოფი-ლიყო.

„რა პოეტური ხარ,“ – მეტყოდა კახი, ბოლო ორი წინადაღება რომ წაეკითხა. – „აი, ძაან!“

ქვიშა უნდა ჩამოვიპანო. რომ დავდი-გარ, ისმის, როგორ მცვივა...

ანა კ.ს.

P.S. არ იცი, ქართველები რას ლაპა-რაკობენ! ნეტა აეროპორტში ბედუი-ნები შემოცვივდნენ, ამათ აუტრიალონ მკვდარ-ცოცხალი. ოთხი დღით ადრე არასოდეს არსაიდან არ დატრუნებულ-ვარ (სამმაგი უარყოფა! ყოჩალ, ანა!), და ნახე, რა, რამდენი გამიბედებეს!!!



Femme Unique

<< დასაცილებელი გვ. 76

სარტრი 1945 წლიდან ნიუ-იორკშია, მსახიობ დოლორეს ვანეტა ერენრაიხით გატაცებული. სიმონ დე ბოვუარი კი – ნელსონ ოლგრენს შეხვდა. განუმეორებელი ქალით მოხიბლული ამერიკელი მწერალი მას ოჯახის შექმნას სთავაზობს. ეს შეუძლებელია, რადგან პარიზში კლოდ ლანცმანია, 17 წლით უმცროსი ჟურნალისტი, ვინც ასაკის სიავეგბით შეშინებულ ქალს თავდაცინებით უყვარს.

1954 წელს, როცა რომანი „მანდა-რინები“ გონკურის პრიზით აღინიშნა, ნელსონი გაოგნებული დარჩა: ჩემი გრძნობების განსაჯაროებას ვერას-დროს ნარმოვიდგენდო. ვინ იცის, რა ძალისხმევა დასჭირდა ოლგრენის დარწმუნებას, რომ მხატვრულ ნაწარმოებში მათი ურთიერთობის განზოგადება სცადა და არა სარკისებური ასახვა.

ამ სიყვარულის ისტორიამ საზოგა-

დოებას თავი მოგვიანებითაც შეახსენა, როცა 1998 წელს, ბოვუარისა და ამერიკელი მწერლის პირადი მიმოწერა გამოქვეყნდა სათაურით „ტრანსატლანტიკური სიყვარული“. აქ მკითხველი აბ-სოლუტურად მინიერ სიმონ დე ბოვუარს ეზიარება: ოჯახზე, სახლის ზღურბლთან მომლოდინე საყვარელ ადამიანზე მეოცნებეს, რომელიც ადრესატს ხშირად „ქმარსაც“ კი უწოდებს. „...მე ძილშიაც გელოდები, ჩემი გული სავსეა დაუკებელი სურვილებით, რომლებიც სიხარულს მანიქებს, რადგან ვიცი, რომ შენც იმავეს განიცდი. ლამე მშვიდობისა, საყვარელო, რა ნაზია ჩემი შენდამი სიყვარული ამ საღამოს..“ სამასზე მეტი ნერილის ნაკითხვის შემდეგაც გაქვს განცდა, რომ ეს ვიღაც სხვაა და არა ის, ვისაც მანამდე მეამბოხე და მოუხელთებელ ქალად იცნობდი.

მოგზაურობა და ძიება, წვდომა და აღმოჩენა, სამყაროს მრავალფეროვნებასთან ზიარება – ეს ის საკებელია, რომელიც სიმონ დე ბოვუარს ეპისტომოლოგიურ შიმშილს უქმაყოფილებს. მას ალჟირი, ბრაზილია, ისრაელი, იტალია, კუბა და საბჭოთა კავშირი ერთნაირად აინტერესებს. მაგრამ სოციალური მოძრაობა, საზოგადოებრივი ან პიროვნული ამბობი მის გულს და გონებას ყველაზე მეტად ახარებს: ნუთუ ადამიანი ყველგან თავისუფლებას ესწრაფვის, ანგრევს და აშენებს, უარყოფს და ამკვიდრებს, ნუთუ საბჭოთა დისიდენტებს, რადიკალ-მემარცხენე, მაოსიტ ახალგაზრდებს, აბორტის ლეგალიზაციის მოთხოვნით გამოსულ ქალებს, ფრანგ სტუდენტებს, უნგრელ ანტისაბჭოთა აქტივისტებს და ერნესტო ჩე გვარას ერთი და იგივე ნება ამოძრავებს? დიას, ასეა! „ადამიანის ცხოვრება არ კარგავს აზრს მანამ, სანამ მას სიყვარულით, მეგობრობით, თანაგრძნობით და უსამართლობის წინააღმდეგ პროტესტით სხვების ცხოვრებაში საზრისის შეტანა შეუძლია. ადამიანი მხოლოდ სხვების თავისუფლებით შეიძლება გახდეს თავისუფალი“, – ამბობს სიმონ დე ბოვუარი და სარტრთან ერთად ასეთი ადამიანების ზოგჯერ სუსტ, განწირულ სულისკვეთებას საკუთარ ხმას უერთებს.

1963 წელს საბჭოთა კავშირშიც „ყინულის ლღობის“ პროცესზე დაკვრვების

სურვილმა ჩამოიყვანა. იგი და სარტრი საქართველოს 5 სექტემბერს ესტუმრნენ. ყველაფერი მოსკოვში შედგენილი, „თვალის ამხვევი“ პროტოკოლის მიხედვით ხდებოდა: მცხეთა, მუშეუმები და კოლმეურნეობა მოატარეს, მაგრამ ახალგაზრდა ფილოსოფოსებთან შეხვედრაზე უარი უთხრეს. მათთვის ნათელი გახდა, რომ ამ ქვეყანაში საიმედო ძვრები ძალიან იგვიანებდა: მართალია თვალები არ მივარგა, მაგრამ პრმა არ ვარ და მაღაზიების ვიტრინებიც დავინახე და პურის რიგებიც – უთხრა სარტრმა მზია ბაქრაძეს, რომელიც მისი და ბოვუარს მეგობარი იყო და თბილსური დღეები მათთან ერთად გაატარა. მანვე არაჩვეულებრივად აღწერა საკუთარი დაკირვება, რომელმაც ჩემზე ძალიან იმოქმედა:

„... მათ ყოველთვის ჯერ ცალ-ცალკე ვევდებოდი, ჯერ ბოვუარს, შემდეგ კი სარტრს. ხშირად ერთი და იგივე შეკითვებს გუსვამდი. ძალიან ვნანობ, რომ იმხანად დიქტოფონი არ გამარჩდა ჩვენი საუბრების ჩასანერად. უფრო სწორად, მათი პასუხების აღსაბეჭდად ფირზე. ეს პასუხები ჩაწერილი რომ ყოფილიყო, ჩანაწერებში მსმენელი ქალისა და მამაკაცის ხმებს, ცხადა, გაარჩევდი, ინტონაციას, ხმის ტემპს, მაგრამ რაც შეეხება მათი პასუხების შინაარსს, მოსაზრება იქნებოდა თუ რჩევა, პრბლემის ახსნა თუ არგუმენტების ლოგიკა, ნაწარმოებთა, პერსონაჟებისა თუ მწერლების მიმართ მათი დამოკიდებულება, ყველაფერი ზუსტად ერთნაირი ჰქონდათ. ერთნაირად აზროვნებდნენ, ერთნაირ დასკვნებს აკეთებდნენ, ერთნაირ უურებდნენ ამა თუ იმ საკითხს ისე, როგორც ტყუპებს ერთმანეთისგან ხშირად ვერ არჩევნ, მათი გონიერაც და აზროვნებაც წყლის ორი წვეთივით ჰგავდა ერთმანეთს“ (მზია ბაქრაძე „დაუკირვება როგორებათა რამდენიმე ეპიზოდი“, გაზეთი „ჩვენი მწერლობა“, 19-26 აპრილი, 2002).

დაშორება და სიკვდილი

60-იან წლებში უან-პოლ სარტრის ცხოვრებაში ახალი სიყვარული, ორლეტა ელკამი გამოჩნდა, რომელიც მოგვიანებით ფილოსოფოსმა იშვილა კიდეც და მემკვიდრედაც აღიარა. ამბო-

გამოცემება

ბენ, რომ ამ საქციელმა სიმონ დე ბოვეური შეძრა და საპასუხოდ სილვია ლე ბონის შეილობილობა გადაწყვიტა.

1980 წელს სარტყო გარდაიცვალა. სულ მალე კი ფრანგი ფემინისტის ახალი ნაშრომი „გამომშვიდობების ცერემონია“ გამოქვეყნდა, სადაც ვერ-თხულობ: „მისმა სიკვდილმა ჩვენ და-გვაშორა. ჩემი სიკვდილი კვლავ ვერ

შეგვაერთებს. ეს უკვე თავისთავად მშვენიერია, რომ ჩვენ ასე ხანგრძლივად შევძლით ჰარმონიულად გვეცხოვრა“.

მან უკვე შეიცნო და განიცადა სიცოცხლე, გაიაზრა და შემოიჩვა სიკვდილი თავის ნოველებში: „ყველა ადამიანი მოკვდავია“ (1946), „უნაზესი სიკვდილი“ (1964) და „სიბერე“ (1970). ალბათ, ამი-ტომ გადაწყვიტა, – ჰარიზის ერთერთ

საავადმყოფოში, საკუთარ აღსასრულს მარტო შეცვედროდა, მის უკვდავმყოფელ ექსისტენციალურ მარტობაში!

რ. სიმონ დე ბოვეურის „მეორე სქესი“ მალე ქართულად გამოვა. მას ფრანგული-დან პროფესორი მზია ბაქრაძე თარგმნის, თავისი განუმეორებელი მეგობრისადმი დიდი პატივისცემის ნიშნად. მე კი მაქვს ბედნიერება ნიგნის რედაქტორი ვიყო.

რაცომ ემართებათ ქალებს „ქალების წესი“

სვანურიდან თარგმნა ლელა გაფრინდაშვილმა;
გურია ფილფანის თქმით, 1940 წელს სვანეთში ჩაინირა მაქსიმე ქალდანმა.

ძველად მენსტრუაციის ბეგარა მა-მაკაცებს ჰქონიათ გადასახდელი და სისხლი იღლიებიდან მოსდიოდათ თურმე. ამბობენ, ვითომ ამის ნიშანიაო, რომ კაცებს ნამეტანი თმიანი იღლიები აქვთ და სულ ეფხანებათ, ამიტომაც იღლიჯავენ ბერვს. ამ დროს თურმე კაცები იღლიებში გოვრას იმა-გრებდნენ და სისხლი იქ ჩაედინებოდა.

ახლა ქალები ნაბდის ნაჭრებს იყენე-ბენ სისხლის შესაკავებლად.

ისინი დღესაც წყევლა-კრულვას უგზავნიან იმ პირველ ქალს, ვინც ეს წესი კაცებიდან ქალებზე გადმოიტანა.

ეს ამბავი ასე ყოფილა: ძველად სვა-ნეთს ბევრი მტერი ჰყოლია და თა-ვადაც ბევრს მტრობდა, სულ შიშში ცხოვრობდა და იქითაც ბევრს აშინე-ბდა თურმე. უფრო მეტად ყაბარდო-ბალყარელებს და სვანებს ჰქონიათ ურთიერთებისპობა, კვლა და წართმე-ვა. ერთ დროს ყაბარდო-ბალყარელე-ბს თავეაცად მირზაბეგი ჰყოლიათ. ის ისეთი ავისმენელი და მარჯვე ყოფი-ლა, რომ ღამით, მძინარე ქალებს ბა-ვშვებს აკვნიანად ჰპარავდა და იტაცე-ბდა. შვილებს დედები „მირზაბეგით“ აშინებდნენ თურმე. როგორც კი ამ სა-ხელს გაიგებდნენ მტირალა ბავშვები, მაშინვე ხმას ჩაიგდებდნენ.

ამ მირზაბეგმა შეიტყო თურმე, რომ ერთ სოფელში ყველა კაცს მენსტრუ-აცია ჰქონდა. დრო შეარჩია და თავი-სი ჯარით შეუხტა მათ. კაცებისთვის, თავიანთი მდგომარეობის გამო, გარეთ გამოსვლა არ შეიძლებოდა. მტრებმა შეაგროვეს ამ სოფლის ყველა სულიე-

რი, ყველა სიკეთე, ქალი და ბავშვი და თან წაასხეს. ამ უბედურებას ერთი ქალი გადარჩენილა და უყურებდა, როგორ მიერკებოდნენ მომსდურნი თავისიანებს.

მუხლებზე დაცემულა მაშინ ქალი და მარიამისთვის უთხოვა: „მადლია-ნო მარიამ, შეიბრალე ქრისტიანი ადა-მიანები, კაცებს მენსტრუაცია მოაცი-ლე და მე დამმართე!“

მარიამს შეუსმენია მუდარა: კაცე-ბი განკურნებულან და ქალს შეჰყრია მათი სენი. იგივე დამართნიათ და-ტყვევებულ ქალებსაც. ეს რომ ყაბარ-დო-ბალყარელებს შეუტყვიათ, შეზი-ზღებიათ ქალები და დაუტყვებიათ. ამასობაში განკურნებულმა კაცებმა აისხეს თავიანთი ოფუ-ხანჯალი, დაე-დევნენ მტერს, ამონყვიტეს და მთელი ნადავლი დაატოვებინეს.

ამის შემდეგ იქცა თურმე მენსტრუ-აცია „ქალების წესად“.

2.

მთელ ქვეყნიერებაზე ყველგან ქა-ლებს მენსტრუაცია ემართებათ. მა-გრამ სვანეთში იგი სხვა სახით და წესით არის შერვეული ქალებზე. ეს ბეგარა ყველა ქალის სახადია და არც ესირცხვილებათ ისევე, როგორც ქმრისგან დაორსულება.

როცა ქალს ეს ბეგარა სჭირს, მა-შინ იგი ერთი დღით ადრე გაერიდება ყველას უკაცრიელ სახლში ან განმარ-ტოებით მდგარ სადგომში. ამით ყველა სვდებოდა, რომ იგი უნმინდური იყო. ამ სადგომში, ზამთარში, ბავშვები მას

შეშას და კვარს უგროვებენ ცეცხლის დასანთებად, ასევე მოაქვთ ფეტვის ან ქერის ჩალა, ძველმანი ნაბადი და რამე ზემოდან დასაფარებელი და ამ ყველაფერს სადგომიდან მოშორებით აღაგებენ, რომ უნმინდურნია არ გა-დაედოთ და სახლი არ შებილნონ.

ასე იყო ქალი ერთი კვირა უკა-ცრიელ აღაგში. საჭმელ-სასმელს თუ მოუტანდნენ, იმასაც განზე, შორია-ხლო აღაგებდნენ. თუ სოფელში სხვა-საც სჭირდა ეს წესი, მაშინ ქალები ერთად შეყურებოდნენ ხოლმე.

სისხლის წამოსვლიდან მესამე დღეს, პირველ პირ წყალს ივლებდნენ, მესუ-თე დღეს – მეორე პირს. ახლა ვითომ ნაკლებად უნმინდური იყო ქალი. მა-გრამ სახლში მაინც არ შეიძეგებოდა. კვირის თავზე მესამე პირ წყალს ივ-ლებდა და საგულდაგულოდ ბანაობდა. ამის შემდეგ შინ ბრუნდებოდა.

ისეც მომხდარა, რომ მეორე პირი წყლის გადავლების შემდეგ, ქალს მისი საყარელი დაუბარებია სადგომში. მა-გრამ თუ ამას ვინმე შეიტყობდა, ნა-მეტანი სამარცხვინო იყო სვანეთში. ასეთ ყმანვილს ჩხუბის დროს „უნმინ-დურის სარცელის მოწილეს“ მიაძხე-ბენ ხოლმე.

თუ სახლში უნმინდურია, მაშინ სა-ნადიროდ არავინ მიდის, რადგან მო-ნადირეს ბედი არ სწყალობს და უკან ხელცარიელი ბრუნდება. ამის გარდა, ასეთ სახლში ლოცვაც არ ვარგოდა, რადგან მლოცველის წადილი გაქა-რწყლდება და არ გაჭრის.



მოგონებები პრეზიდენტებზე

<<< დასაცილებელი გვ. 82

მარტივად: წარმოიდგინეთ, მიხეილ სააკაშვილს რომ თავისნაირი იმპულსური, მყვირალა და ექსტრავერტული ცოლი ჰყავდეს, ან თუნდაც ისეთი, როგორიც პირველ პრეზიდენტს ჰყავდა, აქამდე, დარწმუნებული ვარ, იმდენ სისულელეს ჩაიდენდა ეს ქალი, რომ მარტო ორჯერ კი არა, ათჯერ შევერკანებოდით მის ქმარს. პოლიტიკაში თავშეყოფილი ცოლები მეტად საშიშნი გახლავან. ისტორიას გადახედეთ. ფრანგებს ლუი მეთექვსმეტეზე არანაკლებ სძულდათ საბრალო მარია-ანტუანტა, რუსებმაც ნიკოლოზ მეორის ცოლი, ალექსანდრა აირჩიეს თავიანთი რისხვის ერთ-ერთ მთავარ სამიზნედ (რას აღარ აბრალებდნენ ამ დღედაღამ მლოცველ ქალს – რასპუტინის საყვარლობასაც კი), მუსოლინი თავის ძვირფას კლარა პეტარისთან ერთად დაჰკიდეს მილანის „დუომოს“ წინ, ხოლო ჩაუშესკუს ცოლს ძალაუფლებისა და ფულის სიყვარული არ აპატიეს – ესეც დახვრიტეს. პოლიტიკოსთა პატივმოყვარე ცოლები მეტისმეტად ცუდად ამთავრებენ. ჩემი თუ არ გჯერათ, უილიამ შექსპირის „მაკბეტი“ გადაიკითხეთ. ედუარდ შევარდნაძის ცოლს ერთხელ წამოცდა – კარგი დიასახლისი რვა ლარადაც არ-

ჩენს ოჯახსო – და მის ქმარს ლამისაა გადადგომის დღემდე აძახებდნენ ამ სიტყვებს. არ ვიცი, რატომა ასე, მაგრამ ხალხს არასდროს ავინყდება პოლიტიკოსის ცოლის შეცდომები. ხალხი – პირველი ლედის მრისხანე, გულჩახვეული და დაკვირვებული დედმოტილია; თუკი რამე სისულელეს მოიმოქმედებს, თავდაპირველად მდუმარედ შეიზიზდებს (აბა, შვილს {პრეზიდენტს} ხომ არ დაკარგავს), მაგრამ თუკი „სისულელები“ კვლავაც გაგრძელდება, მერე შვილსაც აღარ დაინდობს, ყველაფერს იღონებს, რათა სახლიდან გააგდოს (ცხადია, თავად არავითარ შემთხვევაში არ წავა). პირველი პრეზიდენტის ცოლის მთავარ სისულელედ მისი სახელ-გვარის გაჩენა მიმაჩნია საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე. ამ მცირე, მაგრამ უცნაურმა და დამთრგუნველმა დეტალმა რაღაც საოცარი სიმსხვილით გამოავლინა პრეზიდენტისა და სახელმწიფოს უსუსურობა. პარლამენტის წევრი რომ ყოფილიყო, კიდევ პო, იტყოდი, ეკუთვნის, მაგრამ ის რომ ვერ დადგინდა, სინამდვილეში, რა იყო და რა უნდოდა და მაინც თავისი რომ გაპქონდა ყველგან, ამიტომაც შეიქნა მეტისმეტად საშიშად. თუმცა ამჟამად სრულიად არასაშიშია. მას თავისი პარტია აქვს და, თუ

არ ვცდები, საქართველოს უგვირგვინო პრემიერ-მინისტრად ითვლება. მისი პოლიტიკური ბრძოლის მეთოდები და სტილი შესაშურად უნიკალურია. ალბათ, არ მოიძებნება ქვეყნად პოლიტიკური პარტია, რომელიც თავის ბრძოლის იარაღად იყენებდეს ისეთ ღრმად დამაბნეველ მოვლენას, როგორიც წყევლაა. ესაა ერთადერთი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც იწყევლება. ამ სიტყვების დამწერი თავად იქნა მათ მიერ ორჯერ შერისხული (თუმცა მეორეჯერ დავით კლდიაშვილის თხზულებებიდან ნასესხები შელოცვა გამოიყენა თავდაცვის მიზნით: „ეგ წყევლა შენ მოგიბრუნდეს!“), ხოლო ექსპრეზიდენტ შევარდნაძეს, როგორც ცნობილია, ყოველდღე წყევლიან მისი რეზიდენციის ფანჯრებთან. ცოდვა გამხელილი სჯობს და ბარემ აქვევიტყვი, რომ რეალურად ეს ქალბატონი ჩემი პრემიერ-მინისტრიც გახლავთ. ერთხელ, ომბუდსმენის ოფისის მაგივრად შემთხვევით შევაბიჯე „მრგვალი მაგიდის“ პარტიის ბუდეში (კარგი ამერია) და იქიდან მანამ ვერ გამოვედი, სანამ ის არ ვაღიარე, რასაც ჩემგან მოითხოვდნენ.

რაებს აღარ მოვაწერე ხელი...

– აღიარებთ თუ არა ქ-ნ მანანა არჩევაძეს სახელმწიფოს მეთაურად?

– დიახ, ვაღიარებ...

– მოაწერეთ აქ ხელი...

– აღიარებთ თუ არა კონსტანტინე გამასახურდიას მსოფლიოში საუკეთესო მწერლად?

– ვაღიარებ...

მახსოვს, წინ შაეკით გატანჯულებივით, შუბლზე შავ ნაჭერშემოხვეული რამდენიმე მსუქანი ქალი და პოლიეთოლენის პარკუჭებით ხელდამშვენებული (ლმერთო, როგორ მეშინია ამ „სეტკების“), ბრაზინა-გაქუცული კაცი გადამიდგა. თუმცა, რაც მართალია, მართალია, იმ დღეს არავის დავუწყევლივარ, მხოლოდ აღიარებები წაიღეს ჩემგან...

ახლა ვფიქრობ – მართლაც ასეთი საშიშები იყვნენ ეს ადამიანები, თუ მე მომერევენა? იქნებ ყველა ჩვენი უბედურება ჩვენივე არასწორი რეაქციის შედეგია?

6

ის, თუ როგორ და რას მაუწყებლობდა თბილისის პირველი არხი პრეზიდენტის განდევნამდე ცოტა ხნით ადრე, ერთდროულად კომიკურიც იყო, სევდიანიც და საშიშიც. „თბილისი“ მთავრობის სახლთან მდგომი ავტობუსიდან გადმოსცემდა გადაცემებს, უფრო სწორად, გადაცემები არც იყო – პრეზიდენტი, პრეზიდენტის გაგიუბული თუ ჯერ მაინც სრულ ჭუაზე მყოფი მხარდამჭერები და მოწყენილი ქალი-დიქტორები გარკვეული რიგოთობის მიხედვით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს, შუალედებში კი „კონტექსტუალური“ ფილმებით გვართობდნენ; მაგალითად, „იულიუს კეისარით“, სადაც მარკუს-ანტონიუსის ფინალურ მონოლოგში ქართველ მაყურებელს თაგისი ქვეყნის მომავალი უნდა ამოეკითხა. ეფექტი მართლაც შთამბეჭდავი იყო: თვალები რომ დაგეხუჭა, იფიქრებდი, რომ მარკუს-ანტონიუსის მაგივრად თემურ ქორიძე ლალადებს – კეისრის მოკვლის შემდეგ რომში ქართველი დაისადგურებს... ქვეყანა ორად გაიყოფა... ბოლო არ მოეღება ომებს...

თუმცა ზოგჯერ სრულიად შორდებოდნენ კონტექსტს და მოცემული ვითარებისთვის შეუსაბამო ფილმ-ოპერებს გვაყურებინებდნენ. არასდროს დამავიწყდება, როგორ საუბრობდა ტელებუნკერიდან ბუდასავით მშვიდი გოგი ნიუარაძე ვერდის „რიგოლეტოს“ შესახებ. გარეთ უკვე ისროდნენ, პრეზიდენტი გასაქცევად ემზადებოდა, საქართველოში კი მთელ ხმაზე უდერდა მანტუის ჰერცოგის Questa o quella.

რაც უფრო ახლოვდებოდა მეამბოხეების გამარჯვება, მით უფრო ისტერიულები ხდებოდნენ ტელებუნკერში გამომსვლელები. სწორედ მაშინ ჩატარა თავისი ბოლო, საჯარო და ისტერიული ქართულის გაკვეთილი უკვე მოჩვენება-მოლანდებად ქცეულმა გურამ პეტრიაშვილმა („ირინე – სწორია, ირინა – არასწორი“), ხოლო ვიღაცამ პატრიარქს მოუწოდა, შუა რუსთაველზე გამოსულიყო და სისხლისმღვრელი ომი გაერებულინა. კარგად მასხოვე, ამ უცნაურ შემოთავაზებას რა პასუხი მოჰყვა ეკლესიდან: პატრიარქს გრიგორი აქვს {ვერ შეგარიგებთო}. შემდეგ იგეოქის ერთმა ტიპურმა გმირმა-სამხედრომ მეტად ბრძნული გეგმა გაახმაურა (ამ კაცს მიქელანჯელოს მოსესავით მოეზარდა წვერი და „ბუშლატა“ მოეცვა): ბომბს მთავრობის სასახლეზე ჩამოვაგდებთ და მთელ სოლოლაქს ჰაერში ავნევთო. ქალაქის დანარჩენ, პროსახელისუფლებო ნაწილში კი ხმა გავარდა, გენერალმა ეპიტაშვილმა (ისტორიას ასეთიც ახსოვს) ტანკებით ჩაიარა რუსთაველის გამზირზე და იქაურობა „პუტჩისტებისგან“ გაათავისუფლავ (სხვათა შორის, ქალაქის ამავე ნაწილში გავრცელდა ჭორი იმის შესახებ, რომ ხუნტისთავი ექსპრემიერი სიგუა, არც მეტი, არც ნავლები, ღრიბოლებში იჩხირავდა ნემსებს). ამ და სხვა ამბებმა ნათლად დაგვანახეს, რომ პრეზიდენტის მომხრებს მხოლოდა მოსაწყენი ჭორები შერჩენოდათ ტყვია-წამლად. ხოლო, თუკი ზვიად გამსახურდიას ერთი მხარდამჭერის ნაამბობს ვენდობით, მას შემდეგ მიუტყვებია კანონიერი ხელისუფლების დამცველთა რიგები, როცა თავის შეკითხვაზე – ანი რაღა ვქნათო, – პრეზიდენტს ასე გაუცია პასუხი: ზეციური მხედრობის იმედად უნდა ვიყოთო. არ ვიცი, ზეციური მხედრობიდან არ წამოვიდა საკმარისი ინიციატივა, თუ საქართველოს მხედრობინში აღმოჩნდნენ „ზეციურებზე“ მაგარი ბიჭები, მაგრამ, ასე იყო თუ ისე, პრეზიდენტი გაიქცა. მერე კი მართლაც ყველაფერი ისე მოხდა, როგორც კინოფილმ „იულიუს კეისარში“: გახლეჩა, ომები და ბოლოს – ავგუსტუსის გამეფება. ერთადერთი განსხვავება ჩვენსა და ძველ რომს შორის ის იყო, რომ ყველაფერ უბედურებასთან ერთად ჩვენს მოსახლეობას „დელისის მანიაკის“ მსგავსი ფსიქოპატებისგანაც უბედებოდა თავდაცვა – ყველა ბრძელ სადარბაზოსა თუ მინის-ქვეშა გადასასვლელში თითო მანიაკი გველოდა; სამოქალაქო ომის თვისება ყოფილა ადამიანის მაქციად ქცევა...

7

ასე დასრულდა ზვიად გამსახურდიას პირველი და უკანასკნელი სა-

პრეზიდენტო ვადა (და არა სიცოცხლე), თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ისტორიამ ნაგვის ამხელა მასა დაგვიტოვა გადასარჩევად და დასახარისებლად, ჩემი აზრით, ეს კაცი მაინც ამ ერთადერთი, შეიძლება ითქვას, მისი ცხოვრების მთავარი ეპიზოდით შევაოთხმოცდათიანების ხმაურიანი კაკაფონიის ექვებისგან დაცლილ მომავალში: თუ როგორ იხსნის სათვალეს – უცებ და ნერვიულად, – როგორ სწევს მუშტემართულ ხელს მაღლა და რა ბედნიერი გამომეტყველება აქვს, რაკი წამნახევრისნინ ამ სიტყვების თქმის საშუალება მიეცა: „ვაცხადებ საქართველოს დამოუკიდებლობას...“

ასეთი ეპიზოდიც მახსენდება:

ზუსტად ამ დღემდე, ანუ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, სვეტიცხოველში აღმოვჩნდი ჩემს მშობლებთან ერთად. წინასააღვევომო დღეები იყო და იმდენ ხანს დავრჩით, რომ დაგვადამდა კიდეც. უკვე წამოსვლას ვაპირებდით, მაგრამ უცებ ზვიად გამსახურდია მოვიდა თავის შევილებთან ერთად და ჩვენც შევყოვნდით – მის სათვალიერებლად დავრჩით. მახსოვეს, როგორ ეზიარნენ და მერე როგორ იდგა ეს კაცი კარგა ხნის განმავლობაში სანთლით ხელში ერთ-ერთ ხატთან; ეცვა ვეებერთელა პალტო და რაღაც უცნაურად ირწეოდა. კონცენტრირებული და მშვიდი ჩანდა. არ მინდა, ამ მცირე მოგონებაში პათეტიკური ტონები წამცდეს, მაგრამ მართლაც ასე ვნახე ცოცხლად პირველად და უკანასკნელად – დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე სამი თუთხი დღით ადრე – ლოცვის დროს. მას მერე საქართველოს პრეზიდენტები მხოლოდ ტელევიზორში თუ მინახავს სოციალური ლოცვისას – გადაპრანქული ეპისკოპოსებით, პირქუში დაცვის ბიჭებით, უურნალისტებით, ოპერატორებით, პარლამენტარებითა და თავისი თუ სხვისი მრევლით გარშემორტყმულები. მახსოვეს, გავიფიქრებ რა ჩვეულებრივი ადამიანი – ასე კიდეც. რა ჩვეულებრივი ადამიანი ყოფილა და თან, აბსოლუტურად არასაშიში.

სხვა პრეზიდენტებზე შემდეგ ნომრებში

სტენოგრაფული ანგარიში
საქართველოს მთავრობის
კავშირის პრეზიდენტის
სხლობისა,
1977 წლის 1 აპრილი

<< ლასაცის გვ. 88

მან, ამრიგად, შეურაცხყო ქართველი მწერლის სახელი, რამდენადაც ის დაკავშირებულია ამ დოკუმენტთან. ყველამ ვიცით, რომ, ეს ამასთან არის დაკავშირებული. მე მიმართ, რომ, რა თქმაუნდა, ზეიადი არ შეიძლება იყოს კავშირის წევრი.

თავმჯდომარე – იოსებ!

იოსებ წონეშვილი – მე მიქირს როცა ამას ვლაპარაკობ, როცა ამ საკითხზე ვლაპარაკობ იმიტომ, რომ ვამაყობდ კონსტანტინე გამსახურდათი, მაგრამ მე ვხედავ, რომ ფაქტია ეს პროკლამაცია, ამ ფაშისტი გენერლის ასე ეროვნულ გმირად გამოცხადება. მაგრამ, რაც მთავარია, ზეიადი ბრძანებს, რომ ჩემი დაწერილი არ არის და წევრი პრეზიდენტის წევრებს სხვა წყარო არ გაგვაჩინია გარდა იმისა, რასაც პროკურატურა გვნერს, რაც პრეზიდენტია, ის, რაც დღეს „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილი. მე ამაღლვა საქართველოს პატრიარქის წერილმა, რომელიც „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილი. ეკლესიასაც უნდა ვერწმუნოთ და პროკურატურასაც, რომ მათ შეისწავლეს და გვნერენ და თუ კი ის შემდეგ დაადასტურებს, დაარჩმუნებს პროკურატურას, ჩევნ ყველანი გახარებული ვიწერით და ამოვისუნთქვავთ, რომ ამ საქმეში მას მონანილება არ მოულია – არც ფაშისტი გენერლის ქებასა და არც ამ პროკლამაციის შედეგენაში.

მაგრამ ჯერჯერობით ეკლესია, პროკურატურა გვიმტკიცებს და როგორც წესდებაშია, მწერალთა კავშირის წევრი არ შეიძლება, იყოს ის, ვინც არ დგას ჩევნს, საბჭოთა პოზიციაზე.

ამიტომ, მე, როგორც სხვებმა ბრძანეს, მიმართ, რომ მწერალთა კავშირის წევრი არ უნდა იყოს ის, ვინც პროკლამაციას ავრცელებს და ფაშისტ გენერალს აქებს.

თავმჯდომარე – მორის!

მორის ფოცხიშვილი – შეიძლება, გამეორება მომიხდეს იმისა, რაც უკვე ითქვა. ვერ წარმომედგინა, რომ ჩევნს წრეში, მწერალთა რიგებში და საერთოდ, ჩევნს ქვეყანაში აღმოჩნდებოდა ადამიანი, რომელიც ასეთ მიმართულებას მოუნახავდა ფაშისტი გენერლის მოქმედებას. ამიტომ შეშფოთებული ვარ, და თუკი ეს დადასტურდება, რომ როგორმე ვინმე შხარს უჭერდა ამ წერილებს, – ასეთი კაცი არ შეიძლება იყოს მწერალთა კავშირის წევრი, თუ ეს მისი ხელიდან არის გამოსული, ის არ შეიძლება იყოს მწერალთა კავშირის წევრი.

თავმჯდომარე – კარლო!

კარლო კალაძე – მძიმე მდგომარეობაში ჩაგვაყენა ჩევნ ზეიადმა. არა მარტო თავისი თავი ჩაყენა მძიმე მდგომარეობაში, უპირველეს ყოვლისა, თავისი თავი, მაგრამ უკიდურესად ძნელ მდგომარეობაში ჩამაყენა მე და ყველა მწერალი, რომელიც ამ ხნის განმავლობაში, თოთქმის 40 წლის განმავლობაში, როგორც კონსტანტინესთან, ისე ამ ოჯახთან

ახლოს ვიდექით.

რასაკვირველია, მე ვეჯუთვი იმ ამხანაგებს, რომლებმაც (ჩვენ) კონსტანტინე გამსახურდისა ვაჟიშვილი მივიღეთ მწერალთა კავშირში. მეც მივეცი ხმა.

მწერალთა კავშირში ყოფნა ნიშნავს, რომ იზიარებდე შენ იმ შეხედულებას, იმ მდგომარეობას, იდეურად იდგე იმათ გვერდით, ვინც ამ მწერალთა კავშირშია გაერთიანებული, და როცა ადამიანი თავისი საქციელით უპირისპირდება მწერალთა კავშირს, მწერლობას, რა თქმაუნდა, ჩვენ ვალდებული ვართ ჩვენი დამოკიდებულება გამოვხატოთ, გარდა იმისა, რაც ჩვენ ამ დღეებში პრესაში წავიკითხოთ, მე მეტი არაფერი ვიცი. თუ კიდევ არის რამე, უნდა ვიცოდე ისიც. რაც პრეზიდენტმა, ისიც უნდა ვიცოდე, მაგრამ რაც ოფიციალურად, რაც ჩვენს თვალწინ არის, მე ამისიც მჯერა.

ამიტომაც მწერალთა კავშირის უმრავლესობის აზრს ვიზიარებ, რომ ჩვენი ერთად ყოფნა არ შეიძლება, ის სცილდება ყოველგვარ საკითხს, ეს არის სამიმიბლოს საკითხი, ეს არის პატრიოტული სინდისის საკითხი, ეს არის თვით კონსტანტინესთან დამოკიდებულების საკითხი, რაც არ უნდა მძიმე იყოს, პასუხი უნდა აგოს ზეადმა თავისითავის მაგივრად, ზეიადმა პასუხი უნდა აგოს კონსტანტინეს მაგივრადაც. ის უნდა ყოფილიყო ჩევნს გვერდით და რადგან არ ისურვა, მან უნდა მკაცრი პასუხი აგოს, და ის ამას შეურიგდა. მე მგონა, ჩვენთან ერთად მძიმე იყოს ყოფნა ძნელია და წარმუდებულების საკითხი, რაც არ უნდა მძიმე იყოს, პასუხი უნდა აგოს ზეადმა თავისითავის მაგივრად, ზეიადმა პასუხი უნდა აგოს კონსტანტინეს მაგივრადაც. ის უნდა ყოფილიყო ჩევნს გვერდით და რადგან არ ისურვა, მან უნდა მკაცრი პასუხი აგოს, და ის ამას შეურიგდა. მე მგონა, ჩვენთან ერთად მძიმე იყოს ყოფნა ძნელია და წარმუდებულების საკითხი.

თავმჯდომარე – კიდევ ვის სურს გამოთქვას აზრი?

ალექსი გომიაშვილი – ვიდრე ჩემს მოსაზრებას გამოვთქვამდე, მინდა შევეკითხო ზეიადს.

თქვენ განაცხადეთ – ამისი არც რედაქტორი ვარ და არც ავტორიო. თუ თქვენ რედაქტორი არა ხართ და არც ავტორი, როგორც მწერალთა კავშირის წევრი, როგორ უყურებთ ამ ორგანოს პოზიციას? რა პოზიცია გაქვთ ამ ორგანოსთან? – და თუ თქვენ მონაწილე ხართ ამ ყველაფრისა, და იმის შესახებ, რაც გაზითში იყო გამოქვეყნებული, იმ სიტყვების შემდეგ, რაც მწერალთა კავშირის პრეზიდენტმის სხდომის პროცესში კონსტანტინესთან – რა აზრი დაგებადათ და რა

გამოცემება

მოსაზრება გაქვთ?

ზვიად გამსახურდია – მოკლედ მოგა-სხენებთ. სოლენიცინი რომ გარიცხეს კავშირიდნ, საკუთარი ნაწარმოებები-სათვის გარიცხეს. თქენ მაგდებთ იმის-თვის, რაც ჩემი არ არის, უმთავრესად ანტიფაშისტური პროკლამაციის და მაღლაკლიის პიოგრაფიისათვის, რომლებიც ჩემი არ არის, ჩემი დაწერილი არ არის. მე არ ვაწერ ხელს. მე ვაგდებ პასუხს მხოლოდ იმაზე, რასაც მე ვწერ და ხელს ვაწერ. ეს რომ იყოს ჩემი უურნალი, მა-შინ მოვაწერდი ხელს. შეიძლება, ბევრ რამეს მე არ ვიზიარებ, ის პროკლამაცია ჩემთვის უცხოა. თუ არის იმ ჟურნალში რაიმე ფოკუმენტური მასალა, ამას ვი-ზიარებ. აქ ცდილობენ გაცილებით მეტი დამაბრალონ, ვიდრე ეს სინამდგოლებია. პრესაც ამას ცდილობს. პოზიცია? ამაზე მე თავს ვიკავებ, ამას ბოლოს ვიტყვი.

ალექსი გომიაშვილი – მე მონია ბე-ვრი ლაპარაკი ზედმეტია. ჩვენი წესდება, რასაც გვეუბნება, ჩვენი ვალდებულე-ბაა, მწერალთა კავშირის წევრები უნდა ვიყოთ საბჭოთა პოზიციაზე და ვამარ-თლებდეთ წესდებას, ვინც ამ წესდებას არ იზიარებს, ვინც ამ პოზიციაზე არ არის, ის მწერალთა კავშირის წევრი არ უნდა იყოს.

თავმჯდომარე – ვის სურს გამოთქვას აზრი?

ვანო თარბა – უხერხულ მდგომარე-ობაში ვარ, როგორც ყველა. მინდა და-ვიწყო კარლო კალაძის სიტყვით. კონსტანტინე გამსახურდია ჩემთვის იყო ღმერთი, უდიდესი ქართველი კაცი და ჩვენი ხალხის დიდი მეგობარი და ძმა. როცა მამაჩემი მოკვდა, სპეციალურად ჩამოვიდა ოჩამჩირები, ჩემს სახლში იყო და ძალიან ახლობელი კაცი იყო ჩემთვის და დღეს ჩემთვის ეს საკითხი ძალიან მძიმეა, მძიმე მდგომარეობაში ვარ, ისე როგორც ყველა თქენ, სადღაც მე – უფრო მეტადაც.

არ ვიცი, თუ ზვიადი დაამტკიცებს, რომ არათერ შუაძია... ხდება განა, რომ ჩვენს პრესაში ასეთი მასალა იყოს მო-თავსებული და არ იყოს სწორი? იმ მა-სალების მიხედვით, ზვიადს გაუჭირდება ჩვენს რიგებში, მწერალთა კავშირის რი-გებში დარჩენა.

თავმჯდომარე – გიორგი!

გორგი ნატროშვილი – ვანომ თქვა,

რაც ყველა ჩვენგანის საწუხარია. გარდა ამისა, ჩვენი პრესა, ეს უცხოური გადმო-ცემები, ეს მასალა, ესენი ყველაფერი – როგორ შეიძლება?! ვუერთდები აქ გამო-სულ ამხანაგებს.

თავმჯდომარე – ელგუჯა!

ელგუჯა მალრაძე – მე მიმაჩნია, რომ ზვიად გამსახურდია არის მსხვერპლი იმ განუკითხავობისა, რაც 20 წლის განმა-ვლობაში გრძელდებოდა ჩვენს რესპუ-ბლიკაში, რასაც 20 წლის განმავლობაში ვერ ვებრძოდით და როცა მან პირველი ნაბიჯი გადადგა ამ მხრივ, ჩვენ პასუ-სისტემები ვართ და დამნამავე ვართ, რომ თავის დროზე არ მივუთითეთ და არ ვუთხარით, რომ ეს მცდარი გზაა. ამ ორ-განიზაციას რომ უფრო მეტი ფხა, უფრო მეტი ვაჟაცობა, მორსმფრეტელობა გა-მოეჩინა, მიეთითებინა მისთვის (თითქმის ყველას შეიღებულ ასაკად გვეკუთვნის), ჩვენ შეგვეძლო მისი მობრუნება, აღმრ-და. გვეთქვა, რომ ის არის მცდარი გზა, მაგრამ ჩვენს მწერალთა კავშირში იმ 20

წლის მანძილზე იყო დანერგილი ის, რომ ეს ცეცხლითა და წესებით ვინც გადორდა, ჩვენ ამას ვუწყობდით ხელს, ვაქეზებდით ამანაც თავისი დალი დაასვა. ჩვენ რომ თავის დროზე აგველაგმა ის, ვინც ექს-ცესებით იკაფავდა გზას, საქმე აქამდე არ მივიღოდა.

ახლა ის დაპირისპირებული აღმოჩნდა ჩვენთან, ყველა ჩვენგანთან და წესდე-ბასთან. მისი საქციელი და მოქმედება დასაგმობია და ამდენად მწერალთა კავ-შირის რიგებში რომ დარჩეს, ძნელია.

თავმჯდომარე – ხუტა!

ხუტა ბერულავა – მწერალთა კავშირი – ეს არის თანამაზრეთა კავშირი, რო-გორც ამას ჩვენი წესდება ითვალისწი-ნებს. რა თქმა უნდა, ეს მოქმედებაც შეუთავსებელია საბჭოთა მწერლების სახელთან.

მე მინდა, დავეთანხმო ზოგიერთი ამსანაგის წინადაღებას. რადგან ზვიად გამსახურდია აცხადებს, რომ ეს მას არ ეკუთვნის, რომ ეს მისი ხელმძღვანელო-ბით თუ მონაწილეობით არ გაკეთებულა (გვითხრას, ვისია) და თუ ეს ასეა, ერ-თხელ კიდევ შევეცადოთ, იქნებ აღმოვა-ჩინოთ...

თავმჯდომარე – ამაზე რომ არ იყოს ლაპარაკი, მოგახსენებთ: ის, რაც პრესა-შია დაბეჭდილი და რაც აქ მოტანილია,

ეს დადასტურებულია და არავის არ უნდოდა ამის გამოგონება და შეთხზვა. ეს არის დადასტურებული და დამტკი-ცებული და იმიტომ არის გამოტანილი. ვიდრე ბოლომდე არ იყო დამტკიცებუ-ლი, არ გამოუტანით. ზვიადს შეუძლია, გამოთქვას თავისი აზრი. ის, რაც არის – დამტკიცებულია და ამას არ გაფხდით სადავოდ. ვიმსჯელოთ იმაზე, რომ ფა-ქტიური მასალაა. ხომ არ შეიძლება გა-ზეთი „კომუნისტი“, „თბილისი“, „ახალ-გაზრდა კომუნისტი“, „ლიტერატურული გაზეთი“ ტყვილს სწერდეს?!

ხუტა ბერულავა – ყველაზე მთავარი ის არის, რომ ჩვენ არავის არ უნდა მი-ვცეთ უფლება, სული აუმღვრის ჩვენს ახალგაზრდობას, რომელიც ჩვენ, შემოქ-მედებითმა მუშავებმა უნდა აღვზარდოთ კომუნისტურ იდეალებზე და კომუნის-ტური სულისვეთებით და ამ შემთხვევა-ში, როდესაც ლაპარაკია ძალიან მაღალ და წმინდა საქმეებზე, აქ დათმობა არ შეიძლება.

მე ვუერთდები ამხანაგების აზრს – სა-ქართველოს მწერალთა კავშირის რიგებ-ში არ შეიძლება, რომ ასეთი კაცი იყოს.

თავმჯდომარე – კიდევ?

ვახტანგ ჭელიძე – ჩემთვის ცოტა ძნე-ლია ლაპარაკი იმიტომ, რომ თვითონ ზვიადთან არ მქონდა კეთილი ურთიერ-თობა, მაგრამ უნდა გამოვთქვა აზრი, იმის შემდეგ რა საბუთებსაც ჩვენ გავე-ცანით – იმ პროკლამაციას, ფაშიზმის რეაბილიტაციის ცდას, – წესდება არ გვაძლევს უფლებას, რომ ჩვენს რიგებ-ში იყოს და ვუერთდები საერთო აზრს – ასეთი ადამიანი არ უნდა და იყოს მწერალ-თა კავშირის რიგებში.

თავმჯდომარე – სერგი!

სერგი ჭილაძა – მე სხვა მასალას არ ვიცოდ, რაც გაზიეთშია, იმას ვიცნობ და მე მიმაჩნია – საბჭოთა პრესაში მოყვა-ნილი ფაქტები და მასალა ისეთ შეუვალ სურათს ქმნის, რომ აქ აზრი არსე-ბოდეს, შეუძლებელია.

თავმჯდომარე – კიდევ?

რევაზ მარგარიტი – ძალიან რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა ქართული მწერლება. მე გავეცანი ამ მასალებს. თავისთავად ზვიადის საქციელი მეტყვე-ლებს, რომ ის არ იზიარებს ქართული საბჭოთა მწერლების პოზიციებს და თვითონ ლაპარაკის – არ არის საჭირო.

იყოს წევრი ამ კავშირისა.

თავმჯდომარე – ირაკლი, ხომ არ იტყოდით რამეს?

ირაკლი აბაშიძე – რა მძიმეც არ უნდა იყოს ამის თქმა, ამსანაგზო, უნდა ვთქვათ – საბჭოთა მწერალს არ შეიძლება სხვა რაიმე აზრი ჰქონდეს. საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის წევრი ჩვენს წესებას იცნობს, მათ შორის, რასაკვირველია, ზვიადიც იცნობს. რა-საკვირველია, არ შეიძლება, თუ ეს ყველაფერი ვიცით, რაც ვიცით ჩვენ... (მე ახლა ავად ვიყავი და ყველაფერი ვერ წავიგოთხე). თქვენ აქ დაგიძახეს იმიტომ, რომ სთქვათ...

ზვიად გამსახურდია – ბოლოს ვიტყვი...

ირაკლი აბაშიძე – სხვათა შორის, ბოლოს ჩვენ უნდა ვთქვათ. ჩვენ რას ვლაპარაკობთ?

ზვიად გამსახურდია – სასამართლოზე ჯერ ეკითხებიან ბრალდებულს და შემდეგ გამოაქვთ განაჩენი.

ირაკლი აბაშიძე – თუ საჭიროა კენჭი ვუყაროთ, კენჭი იმიტომ, რომ თქვენ-

თვის გადაწყვეტილია, საკითხი ნათელია და მე მომზრე ვარ საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირიდან ზვიად გამსახურდია გაირიცხოს, მაგრამ ჩვენ ალბათ, იმიტომ დავუძახეთ, რომ მას მოვუსმინოთ. ახლა ჩვენ ვლაპარაკობთ და მერე მოვუსმენთ?


11 წელია მწერალთა კავშირში გვყავს კაცი, ჩვენი დიდებისა და სიამაყის შეილი, ჩვენი ყველა ოჯახის შეილი. რა ვქენით, რა გავაკეთეთ?! ჩვენს თავზეც უნდა ვთქვათ და პირადად ჩემს თავზედაც – ვუთხარით მას რაიმე, გავაფრთხილეთ, დავუძახეთ? აი, მე რომ ირაკლი აბაშიძე ვარ – რა გავაკეთე. 1966 წელს მიგვიღია წევრად. ეგ დაჭრილი იყო ერთხელ, მეც მოვეხმარე. ჩემს თვალწინი უთხრა კონსტანტინე გამსახურდიამ, მოგვლავო, თუ კი გაიმეორებო.

მერე რა მოხდა, დავუძახეთ, ველაპარაკეთ, თუ რა ვქენით?! ასე არ არის სულ, ჩვენ ხომ გვთხოვენ პასუხს და მოგვკითხავენ და საესებით მართალი იქნება. ასე კი არ არის – აუნევთ ხელს. იმსელა დიდი მოვლენაა, რომ არც ერთ

რესპუბლიკაში არ მომხდარა. თქვენ ამას ანგარიში უნდა გაუწიოთ. ეს კაცი ამბობს – მე არა ვარ რედაქტორი, ჩემი ხელმოწერა არ არის. ვკითხოთ რაშია საქმე, რა არის, დაგვეძახებინა, ერთხელ გაგვეფრთხილებინა, მეორედაც, უნდა გვემუშავა. მე ცოტა მკაცრად გამოვდივარ, ავად ვარ – მე ჩემს შესახებაც ვლაპარაკობ იმიტომ, რომ ძმად მიმაჩნდა კონსტანტინე და მეგობრად მისი ოჯახი. ამ ბოლო ხანებში ხუთჯერ ვყყავით და დღე არ იყო, რომ არ დაერევა ჩემთვის და გიორგი ნატროშვილისათვის. ჩვენ დამაშავები ვართ და ჩვენ მოგვთხოვენ პასუხს.

ხმები – სთქვას.

ზვიად გამსახურდია – საერთოდ, რა უნდა მოგახსენოთ. სასამართლო რომ სასამართლოა, მას თავისი წესი აქვს – საბჭოთა კავშირსა თუ უცხოებში, არ-სებობს იურისპრუდენცია, არსებობს კანონი. თუ ყველაფერი მოთავსებულია, უნდა გაეზუმდე და თქვენ რაც გინდათ, ის გამოიტანეთ, ის დაადგინეთ. არ შეიძლება, სანამ სასამართლო არ დაადგენს



**"KNOWING I LOV'D MY BOOKS,
HE FURNISH'D ME FROM MINE
OWN LIBRARY WITH VOLUMES"**

*Prospero... - The Tempest,
William Shakespeare*

გამომცემლობა „ემ ფაბლიშინგის“ ჟურნალები – „ლიბერალი“, „ცხელი შოკოლადი“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“ უკვე Prospero's Books & Caliban's Coffee-ს წიგნის მაღაზიასა და კაფეში იყიდება!

გუბაობს ყოველ დღე: 9:30 – 20:00
პავილიონისათვის: კვირა, 12:00

მისამართი: თბილისი, რუსთაველის 34
ტელეფონი: (995 32) 92 35 92



გამოყენება

დანაშაულს, კაცი დაისაჯოს და იმის თქმა, რომ ეს სიმართლეა იმიტომ, რომ პრესაშია. პრესას შეიძლება, შეეშალოს. ვერც პრესა გასწევს სასამართლობას და ვერც პროკურატურა. ეს რომ ასე იყოს, მაშინ სასამართლო აღარ იქნებოდა. პროკურატურა გამოთქვამს თავის აზრს და მას რომ შეეძლოს გადაწყვეტა, მაშინ სასამართლოც არ იქნებოდა საჭირო. მარტო პროკურატურის აზრი რომ იყოს კომპეტენტური, სასამართლო აღარ იარსებდა. სასამართლო იმიტომ არსებობს, რომ დაადგინოს სიმართლე, ის სიმართლე, რომელსაც ვერ ადგენს პროკურატურა. რატომ არსებობს სასამართლო და შეიძლება თუ არა ასე სროლა ადმინისტრაციის მიმართ და ყველაფერი ის, რასაც პრესა აკეთებს? ყველაფერი, რაც ენაზე მოადგება „სოვეტსკაია კულტურის“ კორესპონდენტს, გადმოიგზავნება აქ და იძექდება ან თუნდაც ის, რომ მე რადიო „სვობოდას“ უვარი მასალებს. როგორ შეიძლება ასე დაბრალება? და რამდენი უნდა ჩამოვთვალო?

აი, თვით აქ რაც წამდევარებულია. მე არ ვიცი, სად გამოდის ეს უურნალი, ვის მიერ. მე ვწერ და ვაძლევ მეგობრებს. მე ვწერ და რასაც ხელს ვწერ, სამუშაოდ არ იძექდება, ცენზურა მკაცრია, ამიტომ გადავცემ ნაცონბ-მეგობრებს. მაგალითად, ძეგლთა დაცვის მდგომარეობაზე დავწერე, პრესის ყველა ორგანოს მივმართუ. არ დამიბეჭდეს და შემდეგ გადავწყიტე მიმეწოდებინა ხალხისათვის.

რაც შეეხება პროკლამაციას, არ მინახია, არც მითარგმნა და საერთოდ მე არ ვარ საბჭოთა წყობილების მტერი, არც მისი დამხობის მომხრე და არც არავს მოვუწოდებ ამისკენ, თუ მე რაიმეს ვწერ, ვაკრიტიკებ რომელიმე დანესტყულებას, ეს არ ნიშნავს, რომ მე ვარ მტერი. ნუ აიღებთ თქვენს თავზე სასამართლოს ფუნქციას. მე ვიცი, თქვენ ეს დაგეგმილი გაქვთ და, რაც არ უნდა ვთქვა, თქვენ ვერაფერს შესცვლით. ეს გადაწყვეტილია, მაგრამ თქვენ სასამართლო არ ბრძანდებით, თქვენა სართ მწერალთა წრე.

არავითარი მაღლაკელიძის შესახებ წერილის ავტორი მე არა ვარ. გადახედეთ და ნახვთ - არც ერთი სიტყვა ჩემი არ არის. და სხვათა შერის, მაღლაკელიძის შესახებ უნდა მოგახსენოთ, - ის თქვენი „მერნის“ კონსულტანტი იყო, თუ ის

ფაშისტი გახლდათ, რატომ არ მოხვდა ნიურნბერგის პროცესში? იმიტომ, რომ სწორედ ის იყო ანტიპიტლერელი, ანტიფაშისტი, უბრალო სამხედრო. ის გახლდათ შულენბერგის დაჯგუფების წევრი, ანტიფაშისტი და არც ვიცნობდი და არც ვმეგობრობდი მაღლაკელიძეს, ის თქვენი გამომცილობა „მერნის“ თანამშრომელი იყო წლების განმავლობაში და ყველა თქვენთაგანს მასთან პური უჭიმია და კარგი სიტყვა უთქვამს.

გიორგი ურუმლიანი - მე არ ვარ მაგ წერილის ავტორიო...

ზვიად გამსახურდია - თუ სასამართლო დაამტკიცებს, რომ მე ვარ მაგ წერილის ავტორი, ან ეს პროკლამაციაც ჩემი თარგმნილია... მე არ ვწერ ხელს უურნალს, იმიტომ კი არა, რომ მეშინა, არა, მე არა ვარ მშიშარა. მე არ ვიცი, სად გამოდის ეს უურნალი. ამ უურნალში ყველაფერი - რაც ფაქტიური მასალაა - სიმართლეა და მე ამაზე ვაწერ ხელს.

გიორგი ციციშვილი - თქვენ ამბობთ, რომ არ იცით, სად გამოდის, ვინ არის რედაქტორი და ხელმძღვანელი. გაქვთ თუ არა უულება მწერალთა კავშირის წევრს, ბეჭდოთ, გაუშვათ თუნდაც უწყინარი კორესპონდენცია იმ უურნალში, რომლის არც რედაქტორი იცით, არც შემდგენელი, არც ინიციატორი, არც ფასი აწერია და ის კი ნამდვილად იცით, რომ არაღებალური უურნალია. მე პირადად არც მინახია ეს უურნალი. ეს რომ ყოფილიყო დაბეჭდილი „ცისკარში“, „მნათომში“, გამოვიდოდი, შევაფასებდი. რანაირად შეფასდება ეს თქვენი საქციელი ამ შემთხვევაში, როცა თქვენ ბეჭდავთ იმ უურნალში?

ზვიად გამსახურდია - ბატონი გიორგი, ეს ისეთი უურნალია, სადაც შეიძლება ხვალ თქვენი ნანარმოებიც მოხვდეს. მე ჩემს ნანარმოებს ვუშვებ ჩემს ნაცონბ-მეგობრებში, ისეთებს, რომლებსაც არ მიბეჭდავს პრესა. იქ რედაქციაა და კანტორა კი არ არის, როგორც წერენ, არავითარი კანტორა არ არის. ეს გეშლებათ. ეს ყველაფერი დასადგენია და რაც განზრაბული გაქვთ უკვე, შეგიძლიათ გადაწყვიოთ.

თავმჯდომარე - გურამ!

გურამ ფანჯიკიძე - მე ვარ ძალიან ცუდ დღეში და ძალიან მიჭირს დღეს გამოსვლა, ვინაიდან ორი წელია მე და ზვიადი ერთმანეთს არ ვეღაპარაკებით, რადგან გვერდიდა ძალიან დიდი ჩხები - ახლა არ მინდა ამ გაჭირვებულ დროს ბრალმდებელი გამოვიდე, ვინაიდან არ დაგემსგავს ჩასაფრებულ მტერს. მიუხედავად ამისა, მე ვიზიარებ პრეზიდიუმის აზრს.

ისე კი, არსებობს წესდება. მაგალითად, პარტიიდან რიცხვავენ კაცს, თუ სამი თვის საწევრო არ გადაიხადა, ვინაიდან ზვიადი არ ემორჩილება მწერალთა კავშირის წესდებას, არ იზიარებს მის პროგრამას, თვითონვე უნდა გასულიყო ამ კავშირიდან.

რასაკვირველია, მე ვიზიარებ პრეზიდიუმის აზრს, მაგრამ ძალიან ცუდ დღეში ვარ.

არჩილ სულაკაური - მეც იგივე მინდა ვთქვა, რაც გურამმა. მე და ზვიადი არა გვაქვს კარგი ურთიერთობა, დიდი ხანია. მე, როგორც თქვენ, პირველად გავიგებ პრესიდან ეს ამბეჭი. მე პრინციპულად არ ვკითხულობდი, რასაც ეგ წერდა, მაგრამ ახლა რაღაცნარად, ბატონი ირაკლის გამოსვლის შემდეგ, არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიო იმას ამბობს, რომ არავითარი კავშირი არ ჰქონია...

ზვიად გამსახურდია - კავშირი კი მქონდა, ჩემი მასალა დაბეჭდილია, ამას

მანც ფაქტებს თავისი ლოგიკა აქვს და არა მგონია, რომ თქვენ არ იცოდეთ ამ უურნალის ასავალ-დასავალი. ბოლოსა და ბოლოს, თქვენი ნების გარეშე როგორ იძექდება? თქვენ სრული უფლება გქონდათ, პროტესტი გაგეცხადებინათ ოფიციალურად, როგორც ეს მოხდა მოსკოვის გაზეთებში და რაკი ეს ასე არ არის, თქვენ თანამშრომლობთ ამ უურნალში და თანაუგრძნობთ ამ უურნალის პოზიციას.

თქვენ თქვენი ნიჭით, თქვენი ოჯახის ტრადიციებით, რასაკვირველია, კავშირში უნდა იყოთ ჩემინთან და თქვენი პრაქტიკული საქმიანობა საწინააღმდეგოა ამისა, ამიტომ მეც მხარს ვუჭერ ნინადადებას, რომ თქვენი კავშირში ყოვნა შეუთავსებელია კავშირის წევრის მოვალეობასთან.

თავმჯდომარე - გურამ!

გურამ ფანჯიკიძე - მე ვარ ძალიან ცუდ დღეში და ძალიან მიჭირს დღეს გამოსვლა, ვინაიდან ორი წელია მე და ზვიადი ერთმანეთს არ ვეღაპარაკებით, რადგან გვერდიდა ძალიან დიდი ჩხები - ახლა არ მინდა ამ გაჭირვებულ დროს ბრალმდებელი გამოვიდე, ვინაიდან არ დაგემსგავს ჩასაფრებულ მტერს. მიუხედავად ამისა, მე ვიზიარებ პრეზიდიუმის აზრს.

ისე კი, არსებობს წესდება. მაგალითად, პარტიიდან რიცხვავენ კაცს, თუ სამი თვის საწევრო არ გადაიხადა, ვინაიდან ზვიადი არ ემორჩილება მწერალთა კავშირის წესდებას, არ იზიარებს მის პროგრამას, თვითონვე უნდა გასულიყო ამ კავშირიდან.

რასაკვირველია, მე ვიზიარებ პრეზიდიუმის აზრს, მაგრამ ძალიან ცუდ დღეში ვარ. არავითარი მანარბი მენტის გარეშე ურთიერთობა, დიდი ხანია. მე, როგორც თქვენ, პირველად გავიგებ პრესიდან ეს ამბეჭი. მე პრინციპულად არ ვკითხულობდი, რასაც ეგ წერდა, მაგრამ ახლა რაღაცნარად, ბატონი ირაკლის გამოსვლის შემდეგ, არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიო იმას ამბობს, რომ არავითარი კავშირი არ ჰქონია...

ზვიად გამსახურდია - კავშირი კი მქონდა, ჩემი მასალა დაბეჭდილია, ამას

ყველა ხედავს, სად და როდის გამოდის, მე არ ვიცი.

არჩილ სულაკაური – ისიც მართალია, რომ სასამართლომ უნდა დაადგინოს. ზვიადი ისე უნდა მოსულიყო, რომ სა-სამართლოს დამტკიცებინა ეს. ისე, ვი-ზიარებ საერთო აზრს.

თამაზ ჭილაძე – ვიზიარებ პრეზიდიუ-მის აზრს.

გურამ ასათიანი – ყველამ თქვა და მეც უნდა ვთქვა – ძალიან მტკიცეული საკითხია. ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვართ. მე არა მგონია, რომ დარბაზში იყოს მწერალი, რომელიც პირად მტრად თვლიდეს ზვიად გამსახურდია. მე ესეც მანუსებს, მე მინდა ზვიადს მიემართო და თუ ის ობიექტურად შეაფასებს, ძნელია ასე დასცილდეს პირად განცდას.

ზვიად გამსახურდიას ადგილზე მე პი-რადად უფრო ადრე დავწერდი განცხა-დებას იმის შესახებ, რომ გამოგვეყვანა კავშირიდან.

კოსტა მარგევი – მე მასალებს არ ვიცნობ. ვიცნობ მხოლოდ გაზეთებში დაბეჭდილ მასალას. დღეს ვხედავ პირა-დად ამ შესანიშნავ ახალგაზრდას, მაგრამ მე თანახმა ვარ პრეზიდიუმის აზრისა.

ფრითონ ხალვაში – ამხანაგები გა-მოვიდნენ. მე ვეთანხმები ამხანაგების აზრს. სხვა მხრივ, საქმის კურსში მე არ ვარ, გარდა იმისა, რაც პრესაში იყო და უმრავლესობის აზრს უჯუქრ მხარს.

რომან მიმინშვილი – ძალიან ძნელია ლაპარაკი. გვიან შემოვედო. აქ რაზე იყო საუბარი, მე არ ვიცი, მაგრამ რამდენა-დაც ვატყობ, პატივცემული ზვიადი უა-რყოფს იმას, რომ ეს გამოცემები მისი ინიციატივით ხდებოდა. პრესაში რაც გამოქვეყნდა მასალა, ეს მხოლოდ ნაწი-ლია, რის საქმის კურსში შეიძლება იყოს განყოფილება.

აქ რომ მოვდიოდი, მე ზოგიერთი რამ მოვიტანე (გადასცემს გრიგოლ აბაში-ძეს) და ზოგი რამ გამეგს აქეს. ეს არის „თავისუფლების ტრიბუნა“, სადაც და-ბეჭდილია ზვიად გამსახურდიას სიტყვა და, აგრეთვე, კონსტანტინე გამსახურ-დიას გამოუქვეყნებელი ნოველა და რა-მდენადაც მე ვიცი, კონსტანტინე გამსა-ხურდიას არქივზე არავის არ მიუწვდება ხელი.

თავმჯდომარე – ეს არის ემიგრანტუ-ლი ურნალი?

რომან მიმინშვილი – დიახ, ეს არის ემიგრანტული ურნალი, რომლის სარე-დაქციო კოლეგიაში შედიან გ. წერეთე-ლი, მ. ნოზაძე და... ზვიად გამსახურდიას ლა წერილი პროფესიონალების.

ზვიად გამსახურდია – ეს ჩემია, მე ვა-ნერ ამას ხელს. ეს წერილი მე გაუკეთავ-ნე დევიდ ლენგვა. ასევე ხვდება „თავი-სუფალ ხმაში“ ყველაფერი. ვის მიაქვს, მე არ ვიცი.

რომან მიმინშვილი – აი ეს ერთგვერ-დიანი ამონანერი, „საქართველოს მოამ-ბიდან“. აქ არის ჩამოთვლილი ის პირები, რომელებიც მოსკოვში ხელმძღვანელობენ ე. წ. ადამიანთა უფლებათა დაცვას და მათი წერილია, რომელსაც ხელს ანერენ აკადემიკოსი სახაროვი, ტევრდოკრედო-ვი და ჭელიძე. ჯგუფის წევრები: ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ვიქტორ რცხილაძე და სხვანი. „ოქროს საწმისის“ შესახებაც იგივე მდგომარეობა.

ამ „ოქროს საწმისთან“ დაკავშირებით მინდა მოგახსნოთ, „ოქროს საწმისში“ არის კონსტანტინე გამსახურდიას გა-მოუქვეყნებელი ნაწარმოები. საიდან ღე-ბულობს რედაქცია?

ზვიად გამსახურდია – მთელს ქალაქში დადის ეს.

რევზზ ჯაფარიძე – მეგობრებო, ალბათ თვითეული ჩვენებანი დათმობდა თავისი სიცოცხლის რამდენიმე წელს, რომ ეს ამბავი არ მოსწრებოდა. მე დავთმობდი რამდენიმე წელს, რომ არ მჭირდებოდეს აქ გამოსვლა. მე არ ვიტყვი რატომ, რა ურთიერთობა მქონდა კონსტანტინე გა-მსახურდიასთან, როგორ მიყვარს ზვია-დი, მაგრამ აქ რომ ბრძანდებოდეს, ჩვენს პრეზიდიუმზე, ბატონი კონსტანტინე ისიც ასე იტყოდა.

არსებობს წესდება და ფორმალური ლოგია მოითხოვს, როცა არ ეთანხმები ამ წესდებას, შენ თვითონ დასწერო გან-ცხადება და არ ჩაგვაყენო ჩვენ უხერხულ მდგომარეობაში.

კარგი იყო, რომ ზვიადს ასე გაეკეთე-ბინა და ძალიან ვწესვარ, და იძულებული ვარ ყველა იმის გამო, რაც ჩვენთან არის აქ, მხარი დაუუჭირო ამ წინადადებას.

მურმან ლებანიძე – გაოცებული ვარ იმ მდგომარეობით და გაკირვებას იწვე-ვს ის ფატი, რომ ჯერ კიდევ ბილომდე არ არის გარკვეული და სამტკიცებული ხდება ჩვენს სხდომაზე, როგორც ბატო-

ნი ზვიადი აცხადებს, არის თუ არა ის ყველა ამ მასალის ორგანიზატორი, რე-დაქტორი და რედაქტორ-გამომცემელი.

თავმჯდომარე – ამხანაგებო, მე ოფი-ციალურად ვაცხადებ – როცა ეს საკითხი დასვა, ჩვენ გვითხრეს, რომ ყველაფერი დოკუმენტირებულია და ნუ გაეხდით სა-დავოს, და თუ კი ზვიადი დაამტკიცებს, ჩვენ არ გაგვიჭირდება სხვანაირად ვი-მსჯელოთ.

მურმან ლებანიძე – მანც წუთუ ზვია-დს არ დაუძახს და დღეს სალაპარაკო ხდება – არის თუ არა რედაქტორი. დღეს ზვიადი აქ უნდა მოსულიყო აბსლუტუ-რად განიღრალებული, აბსლუტურად შემზადებული, რომ ეთქვა – კი ბატონო! ამის შემდეგ უნდა მოხდეს ზვიადის ალ-სარება და სად? – სხვაგან! ისე, რომ ჩვენ არ გვეცოდინება.

თუ ის მარტო გურამ რჩეულიშვილის კეთილი მოსაგონარის ავტორია, მაშინ ულგივია მისი გარიცხვა. მაგრამ თუ ის იმ ურნალის რედაქტორია, სადაც პროკლამაცია და მაღლაკელიძის მოსა-გონარია დაბეჭდილი, მაშინ მისოვისაც და ჩვენთვისაც ნათელია, რომ ის გაირი-ცხება.

თავმჯდომარე – კიდევ თუ დარჩა ვინ-მე?

შოთა ნიშნანიძე – ორი აზრი არ შეიძ-ლება არსებობდეს იმის შესახებ, რაც აქ ითქვა, თუ ეს ბრალდებები დოკუმენტი-რებულია, კარგია, თუ კი ზვიადი მოა-ხერხებს თავის მართლებას, მაგრამ თუ ეს ვერ მოახერხა, მაშინ საჯაროდ, პრე-საში აღიაროს შეცდომები, ეს ბევრ რამეს ნიშნავს. მას ისეთი აღზრდა აქეს, ისეთ გარემოშია აღზრდილი, რომ არ შეიძ-ლება ერისათვის სასარგებლო არ იყოს განათლების გამო, წიგნიერების გამო, ხომ შეუძლია ისე ითანამშრომლოს, რომ ერისათვის სასარგებლო იყოს. მე მგონია მთელი ქალთველი მწერლობისათვის ეს კარგი იქნება, თუ გამართლება და თავის თავის რეაბილიტაცია ვერ მოახერხა, ამ შეცდომის აღიარება ნიშნავს მისი სინ-დისის ნინაშე ერთგვარ გამარჯვებას და პერსპექტივაში ჩვენთან იქნება ეს კაცი.

თავმჯდომარე – ვინ დარჩა კიდევ?

ანა კალანდაძე – ბატონი მურმანისა არ იყოს, რა უნდა ვილაპარაკო, პირ-ველი განცდა ის არის, რომ გარკვეული და სამტკიცებული ხდება ჩვენს სხდომაზე, როგორც ბატო-

გამოცემება

ყველანი უმძიმეს მდგომარეობაში და განასაკუთრებით მე. ზვიადი ნათლიმა-მა ჩემი, ნათელ-მირონი მაკავშირებს. და რაც აქ ითქვა, იმან მე ცოტა იმედი მომცა. პირველი სამსჯავრო – ეს არის მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი. ნუთუ არავინ დაიბარა, მარტო ჩვენ ვართ პირველები?... შეიძლება, მოხდეს სასწაული და ზეიადმა თავი გაიმართლოს და ამოვისუნთქოთ. შეიძლება, მოხდეს ასეთი სასწაული და მე ამ სასწაულისა მჯერა.

თავმჯდომარე – ბატონი დემან!

დემან შენგელაია – ამხანაგებო, ძნელია იმ ყმანვილის მდგომარეობა და მისი გათვალისწინება ჩემთვის, რომლის ხელშიც ის გაიზარდა. სულ პატარა იყო, როდესაც კრისტანტინე მას თავს ევლებოდა და დღლს სულ სხვანაირად წარმოსდგა. საკმარისია ჩემთვის ის, რაც პრესაშია. არ შეიძლება ასე, პირადი მორალის საკითხი საეჭვოა ძალიან, ანონიმურ წერილებს რომ კაცი წერს სამღვდელოებაზე, 170 წერილი გაუგზავნია ანონიმური, და ზვიადმა ამაზე ნაკლები წერილები კი არ გაზიარდა. გაუფრთხილდეთ ქართულ ენას, ეს ისეთ ეჭვებს ალძრავს, აქ არავითარი სასამართლო დადასტურება არ გვჭირდება, ყველაფური ნათელია. ეს ყველაფური ახდენს ძალიან კუდშთაბეჭდოლებას, როგორც მოქალაქეს და აქ ინტელექტის მდგომარეობას კიდევ საფიქრებელი. ჭუათმყოფელი კაცი ამას არ იზამს და მით უმეტეს შენ, სამშობლოს შვილი ხარ და ამღვრევ წყალს.

მე ვწუხვაო ჩვენი ოჯახის წევრი აქამდე რომ მივიდა და თუ ზვიადი მოახერხებს იმას, რომ გაიმართლებს თავს, არ ვიცი, ეს არის კილისხამება. თუ ის გაიმართლებს თავს, ეს იქნება ბედნიერება, ეს იქნება მისი გადარჩენა და კრისტანტინეს გადარჩენა და გადარჩენა ჩვენი პრეზიდიუმის სახელის გატეხისა, ეს საკითხი ძალიან რთულია. რთულია ჩემთვის პირადად ბიოგრაფიულად მისი წარმოდგენა, ეს „სამიზდატი“, ეს ყველაფური, არაფერი სისაძალე რომ არ აელია ამ საქმეს. ეს სამწუხარო მდგომარეობაა. არ აელია არც ანტიპატრიოტიზმი, არც ამხანაგების დასმენა და განირვა. აბა რა არის ანონიმური წერილები. მე ძალიან მენიშნა ერთი სიტყვა, რომელსაც ამბობს სამღვდელოება „პარანოკები“.

რა თქმა უნდა, თქვენ კარგად იცით,

რომ ჩვენს ქვეყანას იმდენი მტერი ჰყავს, რომ მტრის გამოგონება კიდევ არავის არ სჭირდება და ვიდრე ამ საკითხს აქ მოვიტანდთ, გვითხრეს, რომ ეს ფიქ-სირებულია. მაგრამ რაკი ზვიადმა ეს განაცხადა, ბევრი სიკეთე გვაკავშირებს მასთან, თუ კი ის იმ აზრისაა, რომ არ იზიარებს, რაც აქ არის და გაიმართლებს თავს ან დასწერს ეხლავე, რომ გმობს ყველაფურის...

ზვიად გამსახურდია – ყველაფურის არ ვგმობ. რაც მე დამინტერია, იმას არ ვგმობ. არავითარი ანტისაბჭოთა მე არ დამინტერია, მთავრობის წინააღმდეგ მე არაფერი დამინტერია. რაც შეეხება პროკლმაციას, ის მე არ მეტებოდა, არ ვიცი.

თავმჯდომარე – თუ თქვენ ცნობთ, რომ ეს არის ანტისაბჭოთა მოდეანეობა, გმობთ და არ იზიარებთ; არ იზიარებთ იმ რადიოგადაცემებს და წინააღმდეგი ხართ ამ მოქმედების...

ზვიად გამსახურდია – ყველაფურის როგორ ვგმობ, ჩემი თავის წინააღმდეგი ხომ არ ვიქნები? დამინტერია დავით გარეჯის ძეგლის მდგომარეობის შესახებ და სხვა ძეგლების შესახებაც და ამას ყველაფურის მე არ ვგმობ. ვგმობ იმ პროკლმაციას, რაც არის ანტისაბჭოთა, ანტისაბჭოთა მე არაფერი დამინტერია.

გიორგი უორულიანი – თქვენ განაცხადეთ, – არ იცით ამ ჟურნალის გამოცემა, სად იცემა და ვინ განაგებს და არც მოგწონთ. მაში როგორ ბეჭდავთ?

შოთა წიშნიანიძე – დაწეროს ახსნა-განმარტებითი ბარათი, აი ის, რაც მოგვახსენა. ეს კარგი იქნება.

თავმჯდომარე – ზვიად, როცა თქვენ იყავით სირაძესთან, განა არ იყო ამაზე ლაპარაკი?

ზვიად გამსახურდია – სირაძესთან მე ვიყავი მეტკილრობის საკითხთან დაკავშირებით და ეს ვუთხარი.

გიორგი უორულიანი – „ოქროს საწმისი“ იხსება თქვენი წერილით და ლექსით.

ზვიად გამსახურდია – ლექსი ჩემია, წერილი კი – არა.

გიორგი უორულიანი – ხელმოწერა არის ბატონი ზვიადის.

სერგი ჭილაძა – ბევრ რამეზე ამბობს უარს და ეგებ დაწერის.

თავმჯდომარე – მე ნუ ჩამაყენებთ ბრალმდებლისა და მოსამართლის როლ-

ში. ჩვენ მოვუსმინეთ აქ გამოთქმულ აზრებს. თუ მართლა ზვიადი დაამტკიცებს, რომ არავითარი ურთიერთობა არა აქვს, ჩვენ გვეტყვან და აღვადგენთ ისე, რომ არ დაგვჭირდეს მისი გარიცხვა, ეს იქნება ჩვენთვის დიდად სასახელო და ჩვენი ყველას რეაბილიტაცია. განა მარტო ზვიადი, არამედ მთელი ორგანიზაციას უხერხელ მდგომარეობაში. ვის გაეხარდება ეს. ხვალვე დავარღვევთ ამ დაგენილებას, ოლონდ დაამტკიცეთ. როგორ გეკადრებათ?

ჩვენ ვთქვით, რომ ჩვენი კავშირის წევრისათვის ეს შეუთავსებელია და შენ თვითონ უნდა დაასაბუთო შენი სიმართლე. შენ არაფერი სთქვი.

კენჭისყრა მაინც უნდა მოხდეს, ფორმალურად ხომ უნდა ვუყაროთ კენჭი იმას, რაც აქ ითქვა.

რევაზ ჯაფარიძე – არ უნდა კენჭისყრა.

თავმჯდომარე – ვინ არის მომხრე იმ აზრისა, რომელიც თქვენ სთქვით?.. არ არის კენჭისყრა საჭირო? ვინ არის მომხრე იმ წინადადებისა, რომელსაც ყველა ანერს ხელს?

ირაკლი აბაშიძე – რომ გაირიცხოს?!

თავმჯდომარე – ვინ არის მომხრე, გაირიცხოს? გთხოვთ, ასწილო ხელი! გთხოვთ, დაუშვათ! ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. თავი ვინ შეიკავა? არავინ. მიშასადამე, წინადადება მიღებულია ერთხმად.

მე კიდევ ვიმეორებ, თუ ზვიადი დღესვე დაამტკიცებს იმას, რაც მან განაცხადა – რომ არა აქვს კავშირი ამ საქმიანობასთან, ჩვენ პირველები ვაშუამდგომლებთ, რომ გააუქმონ დადგენილება.

ალექსი გომიშვილი – მოღით ორშაბათამდე მიყცეთ ვადა, ორშაბათს თუ წარმოადგენს, ხელახლა შევიკრიბოთ და გადახევდოთ.

თავმჯდომარე – ჩვენ კენჭი ვუყარეთ და გავათავეთ და მე ვამბობ – თუ კი ზვიადი გამართლება, რომ მას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს და არ იზიარებს იმ პროკლმაციის დაბეჭდვას და ანტისაბჭოთა პროპაგანდას, ჩვენ ყველანი დაუუჭრებთ მზარს მის კავშირში დაბრუნებას.

ამით ჩვენი ეს დღევანდელი სხდომა დამთავრებულია...

www.silknet.com 100 400



Silk^{Internet}

კაფები სილქის სიჩქარეს

ანა კორძაია-სამადაშვილი

შუშანიკის შვილები



ბაკურ სოლაკაურის
გამომცემლობა

სანაზოლან ვარსკვლავების კენ

ერთი-ორი ადვილად ამოსაშრობი წვეთის გარდა, სულხან-საბა ორბელიანის შემდეგ, ქართული პროზა ნაგავია და ჩვენს ცხოვრებას ნაგვით ავსებს. ამ ნაგვიდან თხზავს ავტორი „შუშანიკის შვილების“ და ისე უახლოვდება ნამდვილ ღირებულებას, როგორც მხოლოდ აკა მორჩილაძეს თუ გამოსდის ალაგ-ალაგ.

მამუკა ლეკიაშვილი

პრეზენტაცია გაიმართება ღირებულების მუზეუმში

მისამართი: ჭანტურიას ქ. N8

11 მარტი, 18 სთ